

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ტექსტოლოგიის საკითხები



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1970

ეძღვნება
კორნელი სამსონის ძე კეკელიძის
დაბადების 90 წლისთავს

წინამდებარე კრებულში დაბეჭდილი ნარკვევების მიზანია მკითხველს გააცნოს ტექსტოლოგიის ძირითადი პრობლემები, როგორცაა: ტექსტის ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროები, ძირითადი ტექსტის არჩევა-დადგენა, ატრიბუციისა და დათარიღების საკითხები, ეპისტოლარული ტექსტის გამოსაყვამად მომზადება და სხვა.

დღემდე ქართულ ენაზე ტექსტოლოგიური პრობლემათიკა არ ყოფილა სპეციალური განხილვის საგანი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ პრობლემათიკის შესწავლის პირველ ცდას.

რედაქტორი

სოლ. ყუბანეიშვილი

ტექსტოლოგია როგორც მეცნიერება

ტერმინი „ტექსტოლოგია“ შემოიღო ბორის ტომაშევსკიმ¹. ეს ტერმინი თანდათან იკაფავს გზას და მკვიდრდება მსოფლიო ხალხთა ლიტერატურათმცოდნეობაში. ევროპა-ამერიკისა და აზია-აფრიკის ქვეყნებში კი ტექსტოლოგიის საპირისპიროდ მიღებულია ტერმინები: „ტექსტის კრიტიკა“² და — „ედიტორული საქმიანობა“³.

ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების დასაწყისი შორეულ წარსულს უკავშირდება. ელემენტები მეცნიერულ-ტექსტოლოგიური ანალიზისა შეიძლება ვიპოვოთ ელინიზმის ეპოქაში, ალექსანდრიელ მეცნიერებთან, რომელთა მიზანს ჰომეროსის პოემის ტექსტის აღდგენა წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება ტექსტოლოგიურ საქმიანობაში აღორძინების ხანის ფილოლოგებთან.

ფაქტიურად ტექსტოლოგიას, როგორც ახალ მეცნიერებას, საფუძველი ჩაეყარა წარსული საუკუნის შუა წლებში, თუმცა მეთოდები, რომლებიც გამომუშავებული ჰქონდათ ძველ მწიგნობარ-სწავლულებს, დიდხანს იხმარებოდა მეცნიერულ წრეებში. ზოგიერთი მეცნიერ-გამონცემელი, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ, თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უკანასკნელ დრომდე ხელმძღვანელობდა ძველი მეთოდოლოგიით. ასე მაგალითად, ძველი ძეგლების გამოცემისას გამოცემლები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ერთი ხელნაწერით და გვერდს უვლიდნენ სხვა ხელნაწერებს.

¹ Б. В. Томашевский, Писатель и книга, Л.-д. «Прибой», 1928. введение; Второе издание, М., «Искусство», 1959.

² М. В е р л и, Общее литературоведение (перевод с немецкого), М., 1957, стр. 46—55.

³ Witkowski Georg. Textkritik und Editionstechnik..., Leipzig, 1924; Конрад Гурский, Штука едугорска, Варшава, 1956 («Известия» АН СССР ОЛЯ, т. XV, 1956, вып. 6, стр. 552—555).

ახალი ტექსტოლოგიის⁴ განვითარების საქმეში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა გამოჩენილი გერმანელი ფილოლოგის კარლ ლახმანის (1763—1851) შრომებს. კარლ ლახმანმა, ინგლისელი ფილოლოგის რობერტ ბენტლისა და დიდი გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ ვოლფის მოწაფემ, შექმნა ახალი სკოლა და შეიმუშავა კვლევის ახალი მეთოდები, რაც პირველ რიგში გულსხმობდა თვით ტექსტოლოგიური წყაროების შესწავლას, მათ კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას, კარლ ლახმანის აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ცალკეული (თუ ჯგუფი) ხელნაწერების ურთიერთობის განსაზღვრა და მათი კლასიფიკაციის მეთოდის გამომუშავება. სწორედ ამის გამო კ. ლახმანმა აუცილებლობად ჩათვალა ხელნაწერთა გენეალოგიური შესწავლა, რომელსაც საფუძვლად დაუდო ე. წ. „საერთო შეცდომების“ პრინციპი. კ. ლახმანის თეორიას გაუჩნდნენ თავისებური მოდიფიკატორები, მაგ. შ. კანტენმა „საერთო შეცდომების“ თეორია შეცვალა „მსგავსი ადგილების“ თეორიით. მოდიფიკატორების გარკვეული ჯგუფი კი ეყრდნობოდა არა „საერთო შეცდომებს“, არამედ ნაირწყაიხებებს (ვარიანტებს). მოდიფიკაცია არსებითად არ ცვლიდა კ. ლახმანის თეორიას. პრაქტიკულად ეს მექანიკური ტექსტოლოგია იმდენად მოხერხებული და თითქოს ზუსტი იყო, რომ იგი განაგრძობდა არსებობას, მიუხედავად ცალკეული საწინააღმდეგო აზრისა და განახლების ცდისა.

კ. ლახმანისა და მისი მიმდევრების მეთოდმა თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა. ფაქტიურად კ. ლახმანის თეორია წარმოადგენდა პირველ და აუცილებელ ეტაპს ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში. ცნობილია, რომ სტატისტიკისა და ფორმალური კლასიფიკაციის გარეშე არც ერთი მეცნიერება არ განვითარებულა. ამ მიმართულებით არც ტექსტოლოგია წარმოადგენს გამოწვევას. თუ რომელიმე მიზნით არ მოვახდენთ მასალის კლასიფიკაციას, ვთქვათ „საერთო შეცდომებით“, შემდეგში, ექვგარეშეა, მისი დამუშავება ისტორიული თვალსაზრისით სამძიმო გახდება.

კარლ ლახმანის თეორიის მიმდევრების მთავარი ნაკლი იმაშია, რომ ისინი შემოიფარგლნენ მარტო ტექსტის მექანიკური კლასიფიკაციით (ე. წ. დიქტომური სტემებით)⁵; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი

⁴ ვამბობთ „ახალი“, რამდენადაც კ. ლახმანის თეორიის წამოყენებამდე ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში ტექსტის გენეალოგია წარმოკვიდგებოდა მის თანდათანობით დამახინჯებათა ისტორიად. ეს შეხედულებები ცნობილი იყო მეთვრამეტე საუკუნეში თავისი რაციონალიზმით, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ა. შლეცერი.

⁵ „დიქტომური სტემის“ ქვეშ იგულისხმებოდა ნუსხებისა და რედაქციების გენეალოგიური ურთიერთობის ცხრილი.

რამდენადმე ახერხებდნენ მასალის სისტემატიზაციას, მაგრამ არ იკვლევდნენ მის რეალურ შინაარსს, მის შინაგან ურთიერთკავშირს, არ სწავლობდნენ მასალას კომპლექსურად, მთლიანად.

კ. ლახმანის, შ. ბედეს, ა. ხაუსმანის, ე. ხემის, ვ. ვინავერის, ე. ფერკეს, შ. როკის და სხვათა შრომებში თავი იჩინეს თეორიულმა საკითხებმა ტექსტოლოგიის არსზე, თუმცა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფესორი დიმიტრი ლიხაჩოვი, საზღვარგარეთელ მეცნიერთა მსჯელობაში „ტექსტოლოგია ხშირად გვევლინება, როგორც ხელოვნება, როგორც „თამაში წესების გარეშე“ და არა როგორც მეცნიერება“⁶. მათი აზრით, ტექსტოლოგებს თავიანთ საქმიანობაში შეუძლიათ შემოიფარგლონ „სალი აზრით“, რომლითაც შესაძლებელია წინამორბედთა გამოცდილებისა და სამეცნიერო ტრადიციების შეცვლა (ამერიკელმა ტექსტოლოგმა ე. ხემმა თავის განმაზოგადებელ წერილს, რომლითაც სტუდენტები უნდა გასცნობოდნენ ტექსტოლოგიის საფუძვლებს, უწოდა „ტექსტის კრიტიკა და სალი აზრი“)⁷. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უცხო არ არის ტექსტოლოგიაზე უაღრესად პესიმისტური შეხედულებანიც. მაგალითად, ე. ვინავერი წერს: „უკანასკნელი გამოკვლევები ტექსტის კრიტიკის სფეროში მოასწავებენ საუკუნოვანი ტრადიციების დასასრულს. მეცხრამეტე საუკუნის დიდი ოსტატების მიერ განვითარებული საგამომცემლო ტექნიკის მახვილგონიერება ისევე დაძველდა, როგორც ნიუტონის ფიზიკა. ტექსტოლოგების თაობების მუშაობამ დაკარგა თავისი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიერიდან შეუძლებელია ხელნაწერთა კლასიფიცირება საერთო შეცდომების საფუძველზე. გენეალოგიურმა სტემებმა დაკარგეს თავისი ავტორიტეტი და მასთან ერთად გაიფანტა რწმენა შენაჯერი კრიტიკული ტექსტებისა“⁸.

ყოველივე ეს მექანიკური ტექსტოლოგიის კრიზისის ნიშნებს იწვევს. არსებობს ტექსტოლოგიის სავალალო მდგომარეობის ზოგიერთი საერთო მიზეზი. პროფესორი დ. ლიხაჩოვი ამ სავალალო მდგომარეობის უპირველეს მიზეზად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საზღვარგარეთ „ტექსტოლოგია ჩახშობილია“ ტექსტების გამოცემის პრაქტიკული ამოცანებით, რაც უარყოფითად მოქმედებს თეორიის განვითარებაზე. მოძრაობის ნელმა პროცესმა გარდაუვალი გახადა კრიზისის ნიშნები მექანიკურ ტექსტოლოგიაში.

რუსული ტექსტოლოგიის პრაქტიკული საქმიანობა (უმთავრესად მექანიკური ხასიათისა) მე-18 საუკუნის შუა წლებიდან იწყება, რო-

⁶ Д. Лихачев, Текстология на материале русской литературы X—XVI вв., АН СССР, М.-Л., стр. 7.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

დესაც ფეოდალური საზოგადოების წიაღში მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობის სტიქიური ფორმირება. ფართოდ არიან ცნობილნი იმდროინდელი გამომცემლები: ვ. ტრედიაკოვსკი, მ. ლომონოსოვი, ს. ნაკოვალნინი, დამასკინი — იგივე დიმიტრი რუდნევი, ნ. ნოვიკოვი, მ. პოპოვი, მ. ჩულკოვი, ვ. ლოვშინი, ალ. ფოსტოკოვი და სხვ.

ტექსტოლოგიური მუშაობა რუსეთში ძირითადად მე-19 საუკუნეში გაიშალა. ტექსტის კრიტიკის პრინციპებს სათავე ა. შლეცერმა დაუდო, თუმცა ეს პრინციპები მისი ორიგინალური კვლევის შედეგი არ ყოფილა (რასაც თვით შლეცერი აღნიშნავს). მან ტექსტის კრიტიკას უწოდა „სტიკყვათა კრიტიკა“ ანუ „მცირე კრიტიკა“⁹.

რუსულმა ტექსტოლოგიამ მე-19 საუკუნეში მოგვცა შესანიშნავი ტექსტოლოგები: ა. სმირდინი, პ. ბეკეტოვი, პ. პლეტნევი, ი. გლაზუნოვი, პ. ეფრემოვი, ა. აფანასევი, ე. ტიხონრაჟოვი — აკადემიკოსი და დიდი ტექსტოლოგი, პ. კულიში, ს. დუდიშკინი — ლერმონტოვის პირველი გამომცემელი, დ. მაიკოვი, ვ. საიტოვი, ა. ეფრემოვი, პ. მოროზოვი, ს. ვენგეროვი, ვ. იაკუშინი, ვ. ანიჩკოვი და სხვები. მათ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჩამოაყალიბეს ტექსტოლოგიის პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები¹⁰, მაგრამ თეორიული საკითხების აღძვრასა და მათ გადაჭრას თითქმის გვერდი აუარეს.

ედიციურ-ტექსტოლოგიური მუშაობა საქართველოში მე-18 საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა) და მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებამდე ძირითადად განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა. აღნიშნულ პერიოდში ქართულ ედიციურ საქმიანობაში უმთავრესად გაბატონებული იყო მექანიკური ტექსტოლოგია¹¹, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ხელნაწერი წყაროს დასტამბვა ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების გარეშე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარსულში არა ერთი შემთხვევაა, როდესაც ტექსტზე მუშაობა სცილდება მექანიკური ტექსტოლოგიის ფარგლებს, თავს იჩენს წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, იდგმება ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის პირველი ნაბიჯები (მაგალითად, ვეფხისტყაოსნის 1712, 1841 და 1888 წლების გამოცემების კომისიების მუშაობა, ვახტანგ შექვესის „დასტურლამალის“ 1886 წლის პ. უმიკაშვილისეუ-

⁹ А. Ш л е ц е р, Н е с т о р, СПб. 1809, стр. 86, 411—416.

¹⁰ ი. ლ ო რ თ ქ ი ე ა ნ ი ძ ე, გლაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, „მეცნიერება“, 1965, გვ. 136—137.

¹¹ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ტექსტოლოგიური მუშაობა საერთოდ იწყება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ლი გამოცემა). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის ეს იყო თავისებურად აკადემიური გამოცემა, რადგანაც მას დართული ჰქონდა ძირითადი ტექსტის ვარიანტები, საძიებელი, ლექსიკონი: და კომენტარები.

ცხოვრების წინსვლასთან ერთად თანდათან ისახებოდა ახალი, მეცნიერული მოთხოვნილებების შესაბამისი პრინციპები, ტექსტის გამომცემლები აღარ სჯერდებოდნენ ტექსტების უბრალო მოწოდებას, ისინი თავიანთ მუშაობას უქვემდებარებდნენ გარკვეულ ტექსტოლოგიურ ხერხებსა და მეთოდებს. 70-იანი წლების დასასრულიდან აუცილებელი ხდება პასუხი გაეცეს კითხვებს: „თუ საიდან ვაღმოიბეჭდა ტექსტი“, „რა ცვლილება შეტანილი ავტორის მიერ ტექსტში“. ანგარიში ეწევა მწერლის ნებას—„თუ ოდესმე დაჰბეჭდავთ ამ ეგზემპლარიდან უნდა დაბეჭდოთო“—მოითხოვდა გრ. ორბელიანი პ. უმიკაშვილისაგან¹²; ტექსტი „უშეცდომოთ და იმ სახით უნდა დაბეჭდონ, როგორიდაც იგი უკანასკნელად გამოვიდა ავტორის ხელიდან, მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად შეუმცდარად დედნისა უნდა დაიბეჭდოს“ — სწერდა ილია ჭავჭავაძე კირილე ლორთქიფანიძეს¹³, „დასაბეჭდად უნდა წარმოადგენდეს ავტორის მიერ უკანასკნელად გადათვალთვრებული და შესწორებული ტექსტი“ (პ. უმიკაშვილი)¹⁴. დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით ღვება ატრიბუციის პრობლემა: „ამ წიგნში შესული ლექსები უექველად ალექსანდრე ჭავჭავაძისაა“¹⁵, „საეჭვოა რომ ლექსეში გრ. ორბელიანს ეკუთვნოდეს“¹⁶, „ჩინარი — ზედმიწევნით ვიცი, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია“¹⁷.

მკვიდრდება ნაწარმოების ქრონოლოგიური¹⁸ და ქანობრივი განლაგების პრინციპი. „პირველ ტომში შედის ლექსები“, „მეორე ტომში დაიბეჭდება მოთხრობები“¹⁹, „ნაწერები დალაგდა დაწერის წლებით“²⁰... დიდი ყურადღება ექცევა „მართლწერისა და დასასვენებელი ნიშნების“ საკითხებს²¹. უყურადღებოდ არ რჩება ნაწარმოების და-

¹² გრ. ორბელიანი, ლექსები, 1884, ბოლოსიტყვაობა.

¹³ ი. ჭავჭავაძე, თბულუბათა სრული კრებული. ტ. X, 1961, გვ. 113.

¹⁴ ვახ. ორბელიანი, ლექსები, 1894, წინასიტყვაობა.

¹⁵ ალ. ჭავჭავაძე, ლექსები, 1881, წინასიტყვაობა.

¹⁶ „დროება“ 1884, № 49 (პ. უმიკაშვილის რეცენზია).

¹⁷ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1876, გვ. 5—7.

¹⁸ გრ. ორბელიანი, ლექსები, 1873, პ. უმიკაშვილმა ამ კრებულში ლექსები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგა.

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თბულუბანი, ტ. 1—4, 1892—1893.

²⁰ „დროება“, 1886, № 126, 127.

²¹ „დავითიანი“, პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, 1881.

თარიღების პრობლემა. ინერგება ე. წ. „ტექსტის რეკონსტრუქციის“ მეთოდი (მაგალითად, პ. უმიკაშვილის მიერ განხორციელებული „არსენას ლექსის“ და „ეთერიანის“ გამოცემები). გამომუშავდა საკმაოდ ჩამოყალიბებული შეხედულება გამოცემის ტიპზე²². ძირითად ტიპად პოპულარული გამოცემა იყო მიჩნეული. ყველა ეს საკითხი პრაქტიკულმა აუცილებლობამ დააყენა დღის წესრიგში, მათი თეორიული განზოგადება არავის უცდია.

80-იანი წლების დასასრულს საქართველოში ტექსტოლოგიური მუშაობა თავისუფლდება მექანიკური თეორიის არტახებისაგან და როგორც მეცნიერება დგამს პირველ გაბედულ ნაბიჯებს.

წინა თაობის ქართველ ტექსტოლოგთა შორის აღსანიშნავია ვახტანგ მეექვსის, პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ი. ჭავჭავაძის, ნ. მთვარელიშვილის, განსაკუთრებით კი პ. უმიკაშვილისა და ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა.

მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მუშაობა კლასიკოსთა მემკვიდრეობის ასათვისებლად საქართველოში ძირითადად მეოცე საუკუნიდან გაიშალა და მის დასაწყისად ჩვენ მიგვაჩნია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა²³.

როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ მე-19 საუკუნეში, მიუხედავად მრავალი სამეცნიერო სკოლის არსებობისა და მათი დიდი და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისა, ტექსტის კრიტიკა ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერებად.

მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე ტექსტოლოგია მიჩნეული იყო როგორც „ძეგლის ლიტერატურული ისტორია“²⁴, „შედევრის ისტორიის შემოქმედებითი შესწავლა“²⁵, „ჯამი ფილოლოგიური ხერხებისა“²⁶, „პოეტური ტექსტის კრიტიკა“²⁷, „ლიტერატურათმცოდნეობის პრაქტიკული დარგი“²⁸, „ლიტერატურათმცოდნეობის ნაწი-

²² ფხა (რ. ფანცხავა), პასუხის პასუხი, „კვალი“, 1895, № 48, გვ. 11.

²³ ი. ლორთქიფანიძე, გლავატონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, „მეცნიერება“, 1965, გვ. 33—34.

²⁴ В. Перетц, Из лекций по методологии истории русской литературы История изучения. Методы изучения. Источники, Киев, 1914.

²⁵ Н. Пиксанов, Новый путь литературной науки, Изучение творческой истории шедевра (принципы и методы), «Искусство», жур. Российской Академии художественных наук, М., 1923, стр. 94—113.

²⁶ Б. Томашевский, Писатель и книга, М., 1959, стр. 30.

²⁷ Г. Винокур, Критика поэтического текста, М., 1927.

²⁸ Б. Эхенбаум, Основы текстологии, «Редактор и книга», вып. III, М., 1962, стр. 42.

ლი²⁹, „დამხმარე ჩვევების კომპლექსი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად“³⁰ და „ტექსტის დადგენის თეორია და პრაქტიკა“³¹.

ტექსტოლოგიის თეორიული საკითხების შესწავლა რამდენადმე წინათაც მიმდინარეობდა, რაც უმრავლეს შემთხვევაში შემთხვევითი ექსკურსები იყო, რომლებიც არა მარტო პრობლემატიკის ინტერესით შემოიფარგლებოდა, არამედ კერძო, კონკრეტული საბაბით (ამა თუ იმ ტექსტის გამოცემა და მასთან დაკავშირებული თეორიული პრობლემატიკა):

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ტექსტოლოგიის თეორიული პრობლემების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოდესტ გოფმანის შრომებს პუშკინოლოგიის საკითხებზე. ამ შრომაში არსებითი იყო თეზა (ავტორის მექანიკური პოზიციის მიუხედავად) ავტორის ნების საკითხზე³².

იმავე ხანებში რუსულ ტექსტოლოგიაში ნიკოლოზ პიკსანოვმა პირველმა აღნიშნა და წამოაყენა მოთხოვნა კვლევა-ძიების ე. წ. „ტელეოგენეტიური“ მეთოდის დაფუძნებისა (ამ მეთოდის ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლაში). პრობლემის ნაწილობრივი გადაფასების მიუხედავად, ცნება „შემოქმედების ისტორია“ დამკვიდრდა საბჭოთა ტექსტოლოგიაში. ნ. პიკსანოვმა მართებულად მიუთითა, რომ „ნაწარმოების, ძეგლის შემოქმედებითი ისტორია იძლევა ძირითად მასალას მისი გაგებისათვის“, რამდენადაც „ყოველი ცალკეული ნაწარმოები არის მთელი სამყარო იდეებისა... რომლებიც ორგანიზდებიან ძირითადი ჩანაფიქრის გარშემო“³³.

მ. გოფმანის მოსაზრებათა წინააღმდეგ გამოვიდა ბ. ტომაშევსკი,

²⁹ Стенограмма текстологического совещания, 10—13 мая, 1954. 1—3; 156. ეს სტენოგრამა დატულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 21.

³¹ Б. Б у х т а в, О природе текстологии и проблеме выбора основного текста, журнал «Русская литература», 1965, № 3, стр. 125.

³² М. Г о ф м а н, Пушкин. Первая глава науки о Пушкине, Пб., 1922, (два издания); მოსკოე, Пропущенные строфы «Евгения Онегина», Пб., 1922; მოსკოე, Посмертные стихотворения, «Пушкин и его современники», вып. XXXIII—XXIV.

³³ Н. П и к с а н о в, Новый путь литературной науки, изучение творческого шедевра (принципы и методы), журнал «Искусство» (Российской Академии художеств), М., 1923, № 1, стр. 94—113.

ნან გააკრიტიკა მისი ტექსტოლოგიური შეხედულებანი და უპირატე-
სობა რედაქტორულ კონიექტურას მიანიჭა³⁴.

1927 წელს გამოიცა გიორგი ვინოკურის წიგნი „პოეტუ-
რი ტექსტის კრიტიკა“. წიგნის ძირითადი დებულებები ავტორმა მოზ-
სენებად წაიკითხა 1925 წელს. მხედველობაში ჰყავდა რა მოდესტ
გოფმანი (ნაწილობრივ ტომაშევსკიც), გ. ვინოკური აცხადებდა: „კანო-
ნიკური ტექსტის დადგენა შესაძლებელია“, მაგრამ არა მექანიკურად,
„მექანიკური მიდგომა ფილოლოგიური მეცნიერების ძირითადი ცო-
დვაა... ტექსტის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ფილოლოგიური
კრიტიკის მოშველებით“- მართებულად აფუძნებდა რა მუშაობას ავ-
ტორისეული ტექსტის აღდგენაზე, მისი „გაგების“ თვალსაზრისით,
გ. ვინოკურმა გადააფასა კონიექტურული კრიტიკის შესაძლებლობანი
და ტექსტის „სელექციის“ პრინციპები („სელექციაში“ იგულისხმება
სხვადასხვა რედაქციის საფუძველზე აღდგენილი ტექსტი). ამ მეთო-
დოლოგიურ ბრძოლაში გ. ვინოკური თავის ამოცანად ისახავდა ტექს-
ტოლოგიის პრობლემების თეორიულ გააზრებას, ცდილობდა დაეყვან-
ნა ისინი „სოლიდურ ფილოლოგიურ ბაზამდე“³⁵.

ტექსტოლოგიის არსის, მისი ბუნების, მისი საფუძველების სისტე-
მატური გადმოცემისა და თეორიული დასაბუთების პირველი ცდა
ბორის ტომაშევსკის ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით საყურად-
ღებოა მისი 1927 წელს დაწერილი (1928 წელს გამოცემული) შრომა
„მწერალი და წიგნი“³⁶, რომელიც ავტორის დიდი პრაქტიკული მუშა-
ობის შედეგს წარმოადგენს. ავტორი სიკვდილამდე ერთგული დარჩა
თავისი პრინციპებისა, ხოლო მისი წიგნი ერთადერთი სახელმძღვანე-
ლო იყო ტექსტოლოგიაში იმ ძვრებამდე, რომელიც საბჭოთა ტექ-
სტოლოგიაში 1952 წლიდან დაიწყო. ბ. ტომაშევსკის წიგნზე აღიზარდა
საბჭოთა ტექსტოლოგების მთელი თაობა. თეორიული მხარის არსებო-
თი ნაკლის მიუხედავად, ბ. ტომაშევსკის წიგნს ტექსტოლოგიის ის-
ტორიაში საპატიო ადგილი უყავია.

წიგნის პირველივე სტრიქონებიდან ბ. ტომაშევსკი მკვეთრად მიჯ-
ნავს ძველ და ახალ ლიტერატურას. ამ გამიჯვნის ეპოქალური ზღვარი
გუტენბერგის გენიალური გამოგონებაა. ცნობილია, რომ წიგნის ბეჭ-
დვამ მკვეთრად შესცვალა ლიტერატურული ტექსტების წყაროთა ხა-
სიათი. ძველი ავტორებისათვის ნაწარმოების საბოლოო ფორმა ხელ-

³⁴ Б. Томашевский, Новое о Пушкине, Альманах «Литературная мысль», Пб., 1923, № 5, стр. 171—186.

³⁵ Г. Винокур, Критика поэтического текста, М., 1927, стр. 47—48.

³⁶ Б. Томашевский, Писатель и книга (Очерк текстологии), Л.-Д. 1928, Издание 2-е, М., 1959.

ნაწერი იყო, ხოლო ახალი დროის ავტორის ძირითადი მისწრაფება ბეჭდურად გამოაქვეყნოს თავისი ნაწარმოები. ბეჭდური გამოცემისას წიგნი მასობრივად დიდი ტირაჟით ვრცელდება ერთნაირი სახით, შეცდომები აქ უფრო სხვაგვარია, ვიდრე ძველი დროის გადამწერლის შეცდომები. გადამწერლებს ხშირად არ ესმოდათ თხზულების ესა თუ ის სიტყვა, რის გამოც ისინი საშინლად ამახინჯებდნენ ტექსტებს. ტექსტის ახსნა-განმარტება (ე. წ. „აპარატი“) სჭირდება არა მარტო ძველი ლიტერატურის ძეგლს, არამედ ახალსაც. ასეთმა მსჯელობამ ბ. ტომაშევსკი მიიყვანა დასკვნამდე, რომ „თანამედროვე ფილოლოგიაში გამოუმუშავდა ტექსტის კრიტიკის ერთგვარი ხერხების სისტემა, ნაწილობრივ ძველი ლიტერატურის შესწავლის გამოცდილებიდან, ნაწილობრივ ახალი მასალის თავისებურებიდან. ფილოლოგიური ხერხების ეს სისტემა უნდა აღინიშნოს სიტყვით „ტექსტოლოგია“³⁷. ბორის ტომაშევსკის აზრით, „ტექსტოლოგია... არის გარკვეული მეთოდი, გარკვეული მეცნიერული იარაღი, რომლის დახმარებითაც მეცნიერება მოიპოვებს მისთვის საჭირო აუცილებელ მონაცემებს. მაგრამ, როგორც ყოველი მეცნიერული მეთოდი, იგი (ტექსტოლოგია — ი. ლ.) უშუალოდაა დაკავშირებული მასალასთან. ტექსტოლოგია ისახავს არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მიზნებსაც, ამდენად ტექსტოლოგია პრაქტიკული დისციპლინაა, უპირატესად ის წარმოადგენს განსაკუთრებული სახის გამოყენებით ფილოლოგიას“³⁸. ეს დებულება საყოველთაოდ იყო გაზიარებული 1954 წლამდე, ამ ხნიდან კი მას გრავალი მომხრე ჩამოშორდა³⁹.

1952 წლის 24 აპრილს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „დემიან ბედნის ნაწარმოებთა ტექსტების ყოვლად უხეშ პოლიტიკურ დამახინჯებათა ფაქტების შესახებ“⁴⁰.

გაზეთმა „პრავდა“ თავის მოწინავე წერილში „მაღალი იდეურობისათვის გამომცემელთა მუშაობაში“ ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების ხელახალი გამოცემის დროს ადგილი

³⁷ Б. Томашевский, დასახელებული წიგნი, გვ. 30.

³⁸ ი ქ ვ ე.

³⁹ ძირითადად ამავე აზრისაა დიდი რუსი ტექსტოლოგი ბორის ეიხენბაუმიც, რომელიც ტექსტოლოგიას მიიჩნევს „ლიტერატურათმცოდნეობის პრაქტიკულ დარგად“ (იხ. კრებული «Редактор и книга», вып. III, 1962, стр. 42). ხოლო „დღი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-14 ტომში (გვ. 114—115) ტექსტოლოგია ასეა განმარტებული: „ტექსტოლოგია დამხმარე ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინაა, რომლის უმთავრესი მიზანი მდგომარეობს ლიტერატურული ძეგლების ზუსტი ტექსტების დადგენაში... მის მეცნიერულ გამოცემაში“.

⁴⁰ პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ (დოკუმენტების კრებული), სახელგამი, 1956, გვ. 844—846.

ჰქონდა უხემ შეცდომებსა და დამახინჯებებს, ნაწარმოებთა ხელახალი გამოცემის დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გულდასმითი მეცნიერული მომზადება⁴¹.

„პრავდამ“ სპეციალური სარედაქციო წერილი მიუძღვნა ვ. მაიაკოვსკის თხზულებათა მეცნიერული გამოცემის საკითხს; წერილში გამახვილებულია ყურადღება გამოცემაში გაპარულ და დაშვებულ უხემ შეცდომებზე „ავტორის ნების“ დარღვევის რიგ შემთხვევებზე, უშუალოდ ტექსტის დამახინჯებებზე“⁴².

„პრავდის“ მოწინავე წერილს გამოეხმაურა „ლიტერატურნაია გაზეტა“, რომელმაც რამდენიმე წერილი მიუძღვნა ტექსტოლოგიის საკითხებს⁴³. ერთ-ერთ წერილში, რომელშიც წამოყენებული იყო ტექსტოლოგიის აქტუალური პრობლემები, ხაზგასმით იყო აღნიშნული: „...უცნაური მდგომარეობაა: ტექსტოლოგია მეცნიერებაა და ამავე დროს ამ დარგში არა გვაქვს არცერთი მეცნიერული გამოკვლევა. მდგომარეობას ართულებს ახალგაზრდა ტექსტოლოგთა კადრების უყოლობა. დროა აღვკვეთოთ ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების შეუფასებლობა, აუცილებელია შემოღებულ იქნას ერთიანი მეცნიერული დებულება, რომელიც დაადგენს ძირითად, სავალდებულო პრინციპებს მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული გამოცემის საქმეში“⁴⁴...

1954 წელს (10—13 მაისს) ქ. მოსკოვში შეიკრიბა ტექსტოლოგთა დიდი ფორუმი, თათბირში მონაწილეობა მიიღო მრავალმა წამყვანმა ტექსტოლოგმა. მოსმენილ მოხსენებათა (დ. ბლაგოი, ვ. ნეჩაევა) გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 41 კაცმა. თათბირმა დასახა ტექსტოლოგიის შემდგომი განვითარების გზები და ამოცანები, რაც ასახულია სპეციალურ დადგენილებაში.⁴⁵

ზემოთ დასახელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების, შემდგომ განვითარებას.

1957—1967 წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი ტექსტოლოგიის უმთავრეს პრობლემატიკაზე⁴⁶.

⁴¹ «Правда», 1952, № 141 (20. V).

⁴² «Правда», 1953, № 104.

⁴³ «Литературная газета», 1952, 15 июля.

⁴⁴ «Литературная газета», 1953, № 44 (11, IV).

⁴⁵ «Совещание по вопросам текстологии» — «Известия» АН СССР, ОЛЯ, т. XIII, 1954, вып. 4, стр. 392—396.

⁴⁶ ასეთებია: «Вопросы текстологии», Сборник статей, кн. I, М., 1957; «Вопросы текстологии», вып. II, М., 1962; «Основы текстологии», под редакцией В. Нецаевой, М., 1962; Д. Л и х а ч е в, Текстология, на материале русской

1962 წელს ავტორთა კოლექტივის ნაშრომში „ტექსტოლოგიის საფუძვლები“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „მხატვრული ლიტერატურის ტექსტოლოგია ფილოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ლიტერატურულ ნაწარმოებთა ტექსტების ანალიზის ხერხებს მათი სწორი გაგების, მათი კრიტიკული შემოწმების, შესწორებისა და გამოცემის მიზნით“⁴⁷. ტექსტოლოგიური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს წარმოადგენს: ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის და მისი ტექსტების წყაროების შესწავლა, ძირითადი ტექსტის არჩევა და მისი კრიტიკული შემოწმების შედეგად კანონიკური ტექსტის დადგენა, ატრიბუცია (ავტორობის დადგენა), დათარიღება, კომენტირება და გამოცემის ტიპის შედგენილობის განსაზღვრა.

იმავე წელს გამოიცა ცნობილი რუსი მეცნიერის დ. ლიხაჩოვის ნაშრომი „ტექსტოლოგია“, სადაც ავტორმა სრულიად ახალი სიტყვა თქვა ტექსტოლოგიის ისტორიაში.

ტექსტოლოგია მან წარმოგვიდგინა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი და თავისი მუშაობის მეთოდი. „თუ ტექსტოლოგია სწავლობს ტექსტის ისტორიას და მის დასკვნებზე შენდება ელიციური ტექნიკა, მაშინ, ეს სხვა სიტყვებით ნიშნავს, რომ პირველად ჩვენ უნდა შევისწავლოთ ტექსტის ისტორია და შემდეგ გამოვცეთ იგი“, რომელიც ამ ეტაპზე ამომწურავად იქნება შესწავლილი. ამისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გამოვყოთ საკითხები: „როგორ შევისწავლოთ ტექსტი“ და „როგორ გამოვცეთ ტექსტი“. ასეთ დაყოფაში ტექსტის გამოცემა რჩება ტექნიკად, ხოლო ტექსტის შესწავლა—მეცნიერებად⁴⁸.

ტექსტის გამოცემა დაფუძნებულია მის ტექსტოლოგიურ შესწავლაზე. ნაწარმოებთა მეცნიერული გამოცემა პრაქტიკულად იყენებს ტექსტოლოგიური გამოკვლევის შედეგებს.

ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე ეტაპზე ტექსტოლოგიამ თავი დააღწია ელიციური ტექნიკის უშუალო დაქვემდებარებას

литературы X—XVII вв., М.-Л., 1962; Д. Л и х а ч е в, Текстология, краткий очерк, М.-Л., 1964; Принципы издания эпистолярных текстов, Вопросы текстологии, вып. 3, М., 1964; Е. П р о х о р о в, Текстология (принципы издания классической литературы), М., 1966; Текстология произведений советской литературы, Вопросы текстологии, вып. 4, М., 1967.

⁴⁷ Основы текстологии, под редакцией В. С. Нечаевой, М., 1962, стр. 5.

⁴⁸ Д. Л и х а ч е в, Текстология, М.-Л. 1962, стр. 539.

და იქცა დამოუკიდებელ დისციპლინად, რითაც ნაწარმოების გამოცემა უეჭველად იგებს.

საქმე იმაშია, რომ ტექსტის გამოცემა, როგორც ბ. ტომაშევსკი ფიქრობს, არ არის დაფუძნებული „ფილოლოგიური ხერხების სისტემაზე“, რომელიც ნებას იძლევა ტექსტის ერთფეროვნად დამუშავებისათვის მის სტამბაში გასაგზავნად, არამედ ის დამყარებულია ნაწარმოების ტექსტის ისტორიის შესწავლაზე⁴⁹. მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწავლილია ტექსტის ისტორია და მასზე მუშაობა დამთავრებულია, ტექსტის გამომცემელი შეიძლება მივიდეს ობიექტურ დასკვნამდე — რომელი ტექსტი გამოიცეს და როგორი ხერხებით.

დღეს ტექსტოლოგიის მიჩნევა „გამოყენებით დისციპლინად“ — გაუმართლებელია, ზამდენადაც „ტექსტოლოგია, — წერს პროფ დ. ს. ლიხაჩოვი, — დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ნაწარმოების ტექსტის ისტორიას. მისი დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას სულ სხვადასხვა დარგში... ეს დასკვნები აუცილებელია ედიციური ტექნიკისათვისაც, მაგრამ ედიციური ტექნიკა არის განსაკუთრებული დარგი, რომელიც მხოლოდ პრაქტიკულად იყენებს ტექსტოლოგიის დასკვნებს, მაგრამ თვით ტექსტოლოგია სრულიად არა“⁵⁰.

ტექსტოლოგიის უაღრესად მეცნიერულ («сугубо научный») არსზე მიუთითებდა აკად. კ. კეკელიძეც⁵¹.

ტექსტოლოგია სწავლობს არა მარტო წარსულს, არამედ მან მომავალშიც უნდა გამოქმენოს გზები თავისი პრინციპების გასაუმჯობესებლად, რათა ტექსტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების პრესტიჟი კიდევ უფრო ამაღლდეს თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისადაც, ამით ჩვენ შევძლებთ დიდი კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული დამუშავების დონის სრულყოფას.

მეცნიერების დაყოფა „მასალების მიმწოდებლად“ და „მასალების დამამუშავებლად“ წარსულს ბარდება. სწორედ ასეთ დაყოფაზე ფუძნდებოდა ის მეთოდოლოგიური გათიშვა, რომელიც არსებობდა საბჭოთა ფილოლოგიაში „ძირითად“ და „დამხმარე“ მეცნიერებათა

⁴⁹ ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია ბ. ბუხშტაბის მოსაზრებაც, რომელიც აცხადებს: „არ არსებობს საფუძველი... გადაიტანოთ ტექსტოლოგიის სახელწოდება ტექსტის ისტორიაზე“ (იხ. «Русская литература», 1965, № 1, стр. 68).

⁵⁰ Д. Лихачев, დასახელებული წიგნი, გვ. 538 (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.).

⁵¹ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ტექსტოლოგიის განყოფილების სხდომის ოქმი, 1957, № 1.

შორის. ამჟამად ეს მეთოდოლოგიური გათიშვა თანდათან ისპობა. თანამედროვე მეცნიერება ვიწრო სპეციალიზაციისაკენ მიისწრაფის. მსგავსი განვითარება ახასიათებს ტექსტოლოგიასაც, რომელიც ყალიბდება ტექსტის ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებად და განუყრელადაა დაკავშირებული ლიტერატურათმცოდნეობასთან. ასეთია დ. ს. ლიხაჩოვის ძირითადი მოსაზრებანი ტექსტოლოგიის არსზე. დასკვნებში ავტორი დაკინებთ მოითხოვს ტექსტის კრიტიკის ძველი ხერხების გადაჭრით დაგმობას⁵².

ეგვ. პროხოროვის სიტყვით: „ტექსტოლოგია ფილოლოგიური მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც განაზოგადებს ლიტერატურული ძეგლის შესწავლის პრინციპებსა და მეთოდოკას.“⁵³ ტექსტოლოგიას გააჩნია თავისი შესწავლის საგანი—ნაწარმოების ტექსტი და თავისი კვლევის მეთოდი—წყაროთა შედარებით-ისტორიული შესწავლა.⁵⁴ ეს მეთოდი მოითხოვს: ა) ტექსტი ყოველ წყაროში შესწავლილი უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ შეპირისპირებით; ბ) ტექსტების ურთიერთშეპირისპირება უნდა მოხდეს არა ნებისმიერად, არამედ მათი შექმნის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით.⁵⁵

1964 წელს დ. ლიხაჩოვმა გამოაქვეყნა წიგნი „ტექსტოლოგია“ (ზოკლე ნარკვევი), რომელშიც ავტორი უფრო ფართო საკითხების წრეს შეეხო, ვიდრე 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში. „ზოკლე ნარკვევი“ ერთგვარი ცდაა ტექსტოლოგიის საერთო პრინციპების განზოგადებისათვის. ავტორის სიტყვებით, ეს „შრომა დაწერილია ძველი რუსული ლიტერატურის მასალის ტექსტოლოგიურ შესწავლაზე, მაგრამ იგი გამიზნულია ტექსტოლოგებისათვის, რომლებიც მუშაობენ სხვა სფეროშიც. ნაშრომი განკუთვნილია გამოცდილების გასაზიარებლად განზოგადებისათვის, განხილვისათვის, მსგავსებისა და განსხვავების დადგენისათვის. იგი არავის არ ეკამათება, მაგრამ ის დანიშნულია საკამათოდ. ესაა თეზისები, გამოცხადებული კამათის წინ“⁵⁶.

შესწავლის ობიექტის შესაბამისად არჩევენ: ანტიკური, ძველი, მედიევისტური და ახალი ლიტერატურების ტექსტოლოგიას. პირველი,

⁵² Д. Лихачев, დასახელებული წიგნი, გვ. 540.

⁵³ Е. Прохоров, Текстология, принципы издания классической литературы, М., 1966, стр. 4.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე, გვ. 5.

⁵⁶ Д. С. Лихачев, Текстология, краткий очерк, М.-Л., 1964, стр. 4 (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.). ამ წიგნმა მართლაც ფართო დისკუსია გამოიწვია (იხ. ეურნ. «Русская литература», 1965, № 1, стр. 65—89; № 3, стр. 125—162. ბ. ბუხშტაბის, დ. ლიხაჩოვის, ა. გრიშუნინისა და ე. პროხოროვის წერილები).

ვინც აღნიშნა მკვეთრი გამიჯვნა მუშაობის სპეციფიურობის უაღრესად განსხვავებულობის გამო, იყო ბ. ვ. ტომაშევსკი.⁵⁷ თითქმის ორმოცი წელია ადასტურებენ, რომ ტექსტოლოგიური მეთოდოლოგია და პრობლემატიკა ძველ ლიტერატურასა (ხელნაწერით გავრცელებული, ძირითადად უავტორო) და ახალ ლიტერატურას (ბეჭდური და ავტორიანი) შორის მეთისმეტად განსხვავებულა⁵⁸. ეს აზრი განაპირობა თეზამ, რომ წიგნის ბეჭდვამ, როგორც აღენიშნეთ, მკვეთრად შეცვალა ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტების წყაროთა ხასიათი.

დ. ლიხაჩოვმა თავისი „მოკლე ნაკვეთით“ გაილაშქრა ასეთი დაყოფის წინააღმდეგ.

დ. ლიხაჩოვის ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან გაბედულად გადადგა ნაბიჯი იმ გათიშულობის, განცალკევებულობის დასაძლევად, რომელიც არამართებულად, შედარებით შემთხვევით, წარმოიშვა ტექსტოლოგთა შორის. არავინ უარყოფს; რომ ტექსტოლოგები მუშაობენ სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურის მასალაზე — ანტიკური, ძველი, გედივისტური, ახალი. ყოველ ამ შემთხვევაში ისწავლება ლიტერატურული ტექსტები. დღევანდლამდე შეიძლებოდა ისინი ჩაგვეთვალა მეცნიერებებად ანდა ერთი მეცნიერების სხვადასხვა განყოფილებებად — თავიანთი საგნებით, მეთოდებით, ტერმინოლოგიით, რამდენადაც არსებული განსხვავებანი უფრო რაოდენობითაა, ვიდრე თვისობრივი. ყოველი დროის ლიტერატურას საქმე აქვს შექმნა-ყოფიერების სხვადასხვა პირობებთან. ეს კი არ იძლევა საფუძველს ტექსტოლოგიის ცალკე განყოფილებებად გამიჯვნისათვის, რომელიც პრინციპში, როგორც მეცნიერება, ერთნაირია. მასში ჩვენ გვაქვს საერთო საგანი (ტექსტი), საერთო მეთოდი (შედარებით-ისტორიული შეპირისპირება), იგივე კატეგორიები (ატრიბუცია, დათარიღება, ძირითადი ტექსტის არჩევა, „მწერლის ნება“, კომენტირება, ლოკალიზაცია და ა. შ.) და ცნებები, ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა ტერმინები გამოიყოფა მოსაზღვრე დარგებში ჩაუხედავობის გამო⁵⁹.

ჩვენ დაინტერესებული არა ვართ გამოვყოთ ძველი და ახალი ლიტერატურების ტექსტოლოგია ურთიერთ შორის გაუვალა ზღვარით.

დასაშვებია და შესაძლებელია სპეციალიზება განსაზღვრული პერიოდის ლიტერატურაში, მწერალთა განსაზღვრულ წრეზე, ცალკეულ

⁵⁷ Б. В. Томашевский, Писатель и книга, М., 1959, стр. 25—31.

⁵⁸ Б. Бухштаб, Что же такое текстология? «Русская литература», 1965, № 1, стр. 75.

⁵⁹ იხ. Б. Н. Путилов, Вопросы текстологии произведений русского фольклора, წიგნი «Издание классической литературы», «Искусство», Москва, 1963, стр. 17—58. К. В. Чистов, Современные проблемы текстологии русского фольклора, М., 1963.

მწერალზეც, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ არ არსებობს ტექსტოლოგია, როგორც მთლიანი, ერთიანი მეცნიერება.

პროფ. დ. ლიხაჩოვის ცდა ადასტურებს იმას, თუ რამდენად ნაყოფიერია საერთო მეთოდის ძიება ყველა სახის ლიტერატურის ტექსტოლოგიის განვითარებისათვის.

დ. ლიხაჩოვის ერთ-ერთი მთავარი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტოლოგია, როგორც მეცნიერება, უნდა გამოეყოს ტექსტების გამოცემის ტექნიკას, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ტექსტოლოგიის მხოლოდ ერთ პრაქტიკულ გამოყენებით საშუალებას. ეს უსათუოდ პროგრესული ტენდენციაა, რომელიც შეეფარდება როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებებს, ასევე ტექსტოლოგიასაც, რომელიც სწორედ ამ გზით განვითარდება კემპარიტ მეცნიერებად. შევნიშნავთ, რომ ტექსტოლოგია—ტექსტების კვლევა-ძიება (და არა მარტო გამოცემა), რომელიც შესანიშნავად ზრდის ერთიანი ტექსტოლოგიის შექმნის შესაძლებლობას⁶⁰.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ ამჟამად, დღე მეთოდოლოგიური გარდაქმნის ხანაში, მიმდინარეობს ტექსტოლოგიის ამოცანების გაფართოება და მისი უფრო მძლავრი კავშირი ლიტერატურათმცოდნეობასთან. ეს კი უზრუნველყოფს ლიტერატურათმცოდნეობის უდიდეს სიზუსტეს და დამაჯერებლობას. დღეს მეცნიერული მეთოდოლოგია იგება ყველა მეცნიერების ერთიანობისა და კავშირის გათვალისწინებით. ტექსტოლოგია გარკვეული აზრით ლიტერატურის ისტორიის საფუძველია. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც იცვლება მეთოდოლოგია და ხასიათი, ლიტერატურათმცოდნეობა, მისი გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით საჭიროებს ტექსტოლოგიის მონაცემებს.

ავტორისეული ტექსტის დადგენის დროს, რაც ყოველთვის ითვლება ტექსტოლოგიის ცენტრალურ პრობლემად, სრულებით არ არის სავალდებულო მხედველობაში გვექონდეს მისი აუცილებელი გამოცემა. ღრმა კვლევით ხასიათს, გამოცემის ამოცანებისაგან დამოუკიდებლად, ატარებს ისეთი პრობლემები, როგორცაა: ატრიბუცია და დათარიღება.

⁶⁰ ერთიანი ტექსტოლოგიის მომხრე იყო აკად. კ. კ ე ე ლ ი ძ ე ც, რაც ნათლად ჩანს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ტექსტოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში (იხ. ტექსტოლოგიის განყოფილების სხდომის ოქმი; №1 1957).

ტექსტის გამოცემა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი პრაქტიკული დამატებაა, ერთი ფორმათაგანი ტექსტოლოგიური გამოკვლევის ფიქსაციონისათვის.

ამავე დროს ბ. ტომაშევსკი ისე, როგორც დ. ლიხაჩოვი წერდა: „საერთოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია გამოცემის თაობაზე საკითხის დასმა, თუ გამორკვეული არ არის ტექსტის ისტორია“⁶¹.

მან გვერდი ვერ აუარა ტექსტოლოგიის მეცნიერულ არსს და თავისდაუნებურად აღიარა ტექსტის ისტორიის მეცნიერული შესწავლა.

ტექსტოლოგია სწავლობს ლიტერატურული ტექსტების ანალიზის წესებსა და ხერხებს, მაგრამ ამის გაკეთება მას არ შეუძლია ტექსტის ისტორიის ღრმად შესწავლის გარეშე. ტექსტის ისტორიის შესწავლა შეადგენს თვით ტექსტოლოგიის მეთოდის (ე. ი. ფილოლოგიური ანალიზის) აუცილებელ და მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, იგი არსებითად ისტორიულია.

ჩვენ ვსწავლობთ ნაწარმოების ტექსტს და ვეძებთ ავტორის შემოქმედებით ჩანაფიქრს (შეადარე ბ. ტომაშევსკისთან: „უნდა შეგვეძლოს ტექსტში ავტორის შემოქმედებითი განზრახვის აღმოჩენა“⁶², ხომ არის ეს ძიება ისტორიული?).

დ. ლიხაჩოვმა თავის შრომებში მეტად დამაჩერებლად ცხადყო, რომ ტექსტოლოგიის ყველა საკითხი წყდება ტექსტის ისტორიის შეძლებისდაგვარად მთლიანი შესწავლის საფუძველზე. ბ. ბუზშტაბს დ. ლიხაჩოვის ამ მსჯელობაში კორექტივი შეაქვს და ფიქრობს, რომ „არა მხოლოდ ისტორია, არამედ უწინარეს ყოვლისა, თვით ტექსტის შესწავლა, ზოგჯერ ერთი წყაროთიც კი, შეადგენს ტექსტოლოგიის შინაარსს“⁶³. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ტექსტის მთლიანი გააზრება, თუ მისადმი არ გვექნება ისტორიული მიდგომა ერთი წყაროს არსებობის შემთხვევაშიაც (თუმცა ასეთი შემთხვევა არც იმდენად ტიპურია). ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვსწავლობთ წყაროს შრეებს და სინამდვილეში ეუფარდებით ტექსტს — რიგ ტექსტობრივ მოვლენებს, ვეძებთ ანალოგიებს იმავე ავტორის, ან მისი თანამედროვის, სხვა ტექსტებში. ეს კი უფლებას გვაძლევს, ამ კერძო შემთხვევაშიაც, ვილაპარაკოთ მაინც ტექსტის ისტორიულ შესწავლაზე.

⁶¹ Б. Томашевский, Писатель и книга, М., 1959, стр. 31 (დაფოტა ჩვენა — ი. ლ.)

⁶² იქვე, გვ. 272.

⁶³ იხ. ეურბ. «Русская литература», 1965, № 1, стр. 70—74.

ტექსტოლოგიის სპეციალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი დაკავშირებულია ესთეტიკურ მხარეებთან, ეს კი განსაკუთრებულ დასასვენებელს მის მთელ მეთოდოლოგიას.

როგორც ცოდნის დარგსაც არ უნდა ემსახურებოდეს ტექსტოლოგია, იგი ყოველთვის ფილოლოგიურ ორბიტაში მოექცევა, რამდენადაც „ტექსტი“⁶⁴ უარესად ფილოლოგიური ცნებაა.

მართო ტექსტოლოგიის საგნის გადმოტანა პრაქტიკული ედიციური ნაწილიდან საკვლევადიებო სფეროში მოგვცემს უფლებას ვთქვათ, რომ ტექსტოლოგია—მეცნიერებაა; რის გამოც იგი სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს ედიციური ტექნიკის დაქვემდებარებისაგან.

ნაწარმოების ტექსტის ისტორიის შესწავლის გარეშე ტექსტოლოგია მოკლებულია სათანადო მეცნიერულ საფუძველსა და ღირებულებას.

ტექსტოლოგიურმა მეცნიერებამ ახალი შინაარსი შეიძინა. მან მიზნად დაისახა შინაგანი პროცესების ანალიზი, რაც საბოლოოდ, გაპირობებულია ამა თუ იმ ნაწარმოების ტექსტის ისტორიით, ნაწარმოების ტექსტის ისტორია კი მკვიდროდა დაკავშირებული ავტორის მსოფლმხედველობასთან, ეპოქის ძირითად იდეოლოგიურ ტენდენციებთან.

ამრიგად, ტექსტოლოგია დამოუკიდებელი ფილოლოგიური მეცნიერებაა, იგი სწავლობს ლიტერატურული ნაწარმოების ისტორიას ტექსტის კრიტიკული შემოწმებისა და დადგენის მიზნით, ხოლო მის დასკვნებს იყენებს ლიტერატურათმცოდნეობა⁶⁵.

⁶⁴ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: დ. ლიხაჩოვი ნაწარმოებისა და ტექსტის ცნებებს განასხვავებს. მაგალითად, ტექსტის შესახებ იგი წერს: „ტექსტი მისი შემოქმედის ჩანაფიქრის ენობრივი გამოხატულებაა“—ო (რხ. Д. Лихачев. Текстология, краткий очерк, 1964 г. стр. 9—10). ჩვენი აზრით, „ნაწარმოები“ და „ტექსტი“ ურთიერთგადაკვეთი ცნებებია. ტექსტი ნაწარმოების ფორმის განსაკუთრებული სახეა. ვსწავლობთ რა ტექსტს, ჩვენ ამავე დროს ვსწავლობთ ნაწარმოებს მისი განსაკუთრებული მხრით—ტექსტობრივი ასპექტით. ამით ტექსტოლოგია უფრო მკვიდროდ უკავშირდება ლიტერატურათმცოდნეობას.

⁶⁵ ტექსტოლოგიის წინაშე ახალი ამოცანების შესახებ დაწერილებით იხ.: Н. Ф. Бельчикова, Советская текстология и ее задачи, «Вестник» АН СССР, 1954, № 9, стр. 36—45; Н. К. Гудзний, В. А. Жданов, Вопросы текстологии, журн. «Новый мир», 1953, № 3; Д. С. Лихачев, Задачи текстологии, журн. «Русская литература», 1961, № 4; მისვე, Текстология на материале русской литературы X—XVII вв., М.-Л., 1962, стр. 9—27. მისვე, Текстология, краткий очерк, М.-Л. 1964, стр. 5—8.

ლევან ბრალაშვილი

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა გამოცე-
ნათა უმაღლესი სახეა. სხვა სახეებისაგან განსხვავებით იგი სრულად
მოიცავს მწერლის მთლიან მემკვიდრეობას; მასში წარმოდგენილია არა
მარტო მხატვრული, პუბლიცისტური, მეცნიერული, ფილოსოფიური
და სხვა ჟანრის თხზულებანი, არამედ ისეთი ნაწერებიც, როგორცაა:
წერილები, დღიურები, სხვადასხვა საბუთები, ჩანაწერები, კონსპექ-
ტები, შენიშვნები და მინაწერები წიგნებზე, წარწერები ნაჩუქარ წიგ-
ნებზე, საალბომო ჩანაწერები, საქმიანი ქაღალდები და სხვ.

ღ თხზულებებიდან აკადემიურ გამოცემაში უნდა შევიდეს არა მარ-
ტო დამთავრებული ნაწარმოებები, არამედ დაუმთავრებელიც, დაუ-
შუშავებელი თხზულებანი, ნაწყვეტები, ყრმობისდროინდელი ნაწერე-
ბი, უცხო ენაზე დაწერილი საკუთარი ნაწარმოებები—თარგმანისა და
ორიგინალის სახით, უცხო ენიდან თარგმნილი ნაწარმოებები და აგრე-
თვე სხვებთან თანაავტორობით დაწერილი თხზულებანი. გარკვეულ
განყოფილებაში, რომელსაც „Dubia“-ს უწოდებენ, შევა ისეთი ნა-
წარმოებები, რომელთა მწერლისადმი კუთვნილება სავარაუდოა ზო-
გიერთი მოსაზრებით.

მეცნიერება დროთა განმავლობაში ფაქტებს აზუსტებს. ხშირად
გარკვეული დროის განმავლობაში ესა თუ ის ნაწარმოები ერთი მწერ-
ლის კუთვნილებად ითვლება, მაგრამ ახალი საბუთებით დასტურდება
საწინააღმდეგო; ასეთი ნაწარმოებები თხზულებათა სრული კრებულს
აკადემიურ გამოცემაში, ცხადია, აღარ შეგვაქვს, მაგრამ მათ შესახებ
გამოცემაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ისინი ამ ავტორს არ ეკუთ-
ვნის. დასასრულ, ყოველი ტომის სამეცნიერო აპარატში უნდა დაიბე-
ჭდეს მთელი მასალა, რომელიც ასახავს მწერლის შემოქმედებით მუ-
შაობას, როგორცაა ვარიანტები, რედაქციები, კონსპექტები, ცნობები

პერსონაჟთა შესახებ, ამონაწერები, პირველი მონახაზები, ჩანახატები და სხვ. სხვადასხვა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია თავისებურებით ხასიათდება და შესაძლებელია, აქ დასახელებულის გარდა, კიდევ იძლეოდეს დამატებით მასალას, რომელიც აგრეთვე საერთო წესის მიხედვით შეტანილი უნდა იქნეს თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემაში.

აღნიშნული პრინციპით პირველ რიგში კლასიკოსთა მემკვიდრეობის გამოცემა ტექსტოლოგიური მუშაობის უპირველესი და ძირითადი ამოცანაა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა, საბჭოთა ტექსტოლოგებს ჯერ კიდევ არა აქვთ რომელიმე კლასიკოსის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა. ა. პუშკინის თხზულებათა თექვსმეტტომეულის აკადემიური გამოცემა ითვლება ყველაზე საუკეთესოდ, მაგრამ მკვლევრები ახლა უკვე აღნიშნავენ, რომ ტექსტოლოგიის თანამედროვე დონეს იგი ვეღარ აკმაყოფილებს და მეცნიერების წინაშე მისი ახალი გამოცემის გადაუდებელი ამოცანა დგას. იგივე უნდა ითქვას ქართული გამოცემების შესახებ. თუმცა გვაქვს ჩვენი ზოგი კლასიკოსის თხზულებათა სრული კრებულები, რომლებსაც ჩვეულებრივ და თვით გამოცემის რედაქტორებიც აკადემიურს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში მთლიანად ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს აკადემიური ტიპის გამოცემების ამ სახისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. მაგ. „მეათე ტომით ვამთავრებთ ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას, — წერს გამოცემის სარედაქციო კოლეგია და იქვე შენიშნავს, — ჩვენამდე მოღწეულია ვ. ბარნოვის მოზრდილი ნაშრომი „გაკვეთილები“, რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებთან წაკითხულ ლექციებს. ზოგიერთი ნაწილი ამ შრომიდან ვ. ბარნოვმა გამოაქვეყნა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ხოლო „ქართული სიტყვიერება“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1923 წელს. თხზულებებში შევიდა ის ნაწილები, რომლებიც ავტორის მიერ იყო გამოქვეყნებული.

ათტომეულში არ შეგვიტანია ვ. ბარნოვის ზოგიერთი წერილი. — განავრძობს სარედაქციო კოლეგია, — რომელიც უბრ. „მწყემსში“ არის დაბეჭდილი, აგრეთვე ზოგი ისტორიული ხასიათის თხზულებათა თარგმანი (მაგ. შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“, ძამპის — „მეგრელთა სარწმუნოების აღწერა“ და დიუბუას — „კოლხიდა რომაელთა მფლობელობის დროს“), რადგან ისინი საჭიროებენ სპეციალურ დაზუსტებასა და წყაროების შემოწმებას.¹ სარედაქციო კოლეგიის ეს განცხადება თავისთავად უარყოფს ამ გამოცემას, როგორც

¹ ვ. ბ. ა. ნ. ვ. ი., თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 512.

აკადემიური ტიპის სრულყოფილ სახეს. რადგან გამოცემაში გამოტოვებულია მწერლის მთელი რიგი თხზულებანი, ამიტომ იგი ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სრულ კრებულად ვერ ჩაითვლება. იგივე შეიძლება ითქვას ა. წერეთლის თხუთმეტომეულზე, რომელშიც პოეტის რამდენიმე პოემა არ დაბეჭდა სარედაქციო კოლეგიამ, აგრეთვე ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულზე, რომელშიც ვარიანტები შერჩევით ან სრულებით არაა წარმოდგენილი და სხვ.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის სათანადო დონეზე განხორციელებას, გარდა კვალიფიციური გამომცემლისა, ვანაპირობებს გამოცემის მომზადების საერთო ორგანიზაცია. მუშაობის სწორი მეთოდი აქაც წარმატების საწინდარია. მწერლის თხზულებათა ზუსტი ბიბლიოგრაფიის შედგენა პირველი აუცილებელი საფეხურია აკადემიური გამოცემის სრულყოფისათვის; სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა კი, ცხადია, გულისხმობს ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი ფონდების ზედმიწევნით გასინჯვას. მწერლის ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების წინასწარი გახსნის გარეშე, ზედმეტია ლაპარაკი ამოწურავი ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი სადავო თხზულებანი, რომელთა ავტორობა საბოლოოდ გარკვეული არაა. ჩვეულებრივ, ამ დიდი სამუშაოს შესრულება ერთი პირის შესაძლებლობას აღემატება და ამიტომ საბჭოთა ტექსტოლოგიაში მტკიცედ დამკვიდრდა კლასიკოსთა თხზულებების სრული კრებულის აკადემიურ გამოცემაზე კოლექტიურად მუშაობის მეთოდი. ამა თუ იმ გამოცემისათვის საჭიროა წინასწარ ინსტრუქციის შედგენა, სადაც მოცემული უნდა იყოს ტექსტზე მუშაობისათვის სახელმძღვანელო წესები.

განყოფილების მიერ შედგენილ ინსტრუქციებს საბოლოოდ ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო. მუშაობის დროს პრაქტიკულად, ცხადია, წამოიჭრება ბევრი სხვა საკითხი, რომლებიც ინსტრუქციაში გათვალისწინებული შეიძლება არ აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, თუ საჭიროა, საკითხების გარკვევა ხდება განყოფილებისა და თვით სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა დიდი კულტურული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სამეცნიერო დაწესებულების მთელი ძალები უნდა იქნეს ჩაბმული ამ გამოცემის მაღალ დონეზე შესრულებისათვის. «Ответственность за выполнение основной задачи, — წერს დ. ბლაგოი, — стоящий перед академическим изданием... должна лежать не только на специалистах-текстологах, не только на возглавляющих издание редакционных советах или редакционных коллегиях, но и на научном

руководстве данного института в целом в лице его ученого совета»².

აღნიშნული ორგანიზაციის საქიროებას უფრო ნათლად გვიჩვენებს თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის კომენტარები. ჩვეულებრივ გამოცემის კომენტარებს წერს ტექსტის გამომცემელი, მაგრამ საქმის ინტერესი მოითხოვს, ისინი წაკითხული იქნეს არა მარტო რედაქტორების მიერ, არამედ საჯარო სხდომებზე და შეიძლება თვით სამეცნიერო საბჭოზეც. კლასიკოსის მემკვიდრეობა ღრმად სწვდება ერის გარკვეული პერიოდის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამიტომ სპეციალისტთა ავტორიტეტული კოლექტივი, სამეცნიერო საბჭოს სახით, შეცდომების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მხარეა მასში შესულ ნაწარმოებთა ვარიანტების ჩვენება. აკადემიური გამოცემის ცალკეულ ტომებში პეტიტით დაბეჭდილი „ვარიანტები“ ზოგჯერ მოცულობით ძირითად ტექსტს აღემატება. მაგ. პუშკინის თხზულებათა სრული კრებულის IV ტომში „ევგენი ონეგინის“ ძირითად ტექსტს ორასი, ხოლო „სხვა რედაქციებსა და ვარიანტებს“ ოთხას ორმოცდა ათი გვერდი უკავია. ძირითად ტექსტსა და ვარიანტებს შორის მსგავსი შეფარდებაა ვ. ბარნოვის VI. გ. ტაბიძის V, VI ტომებში და სხვ. თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემისათვის ასეთი მდგომარეობა იშვიათი არაა. არანორმალურია, როდესაც პრაქტიკულად სასტამბო სამუშაოების გაადვილების მიზნით გამომცემლობა „ვარიანტების“ შემცირებას მოითხოვს და ზოგჯერ ახორციელებს კიდევ. ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ნაბიჯი თეორიული თვალსაზრისით გამოცემის გარკვეული სახის უარყოფას ნიშნავს. მსგავსი მოქმედების შემდეგ იბეჭდება არა თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა, არამედ მისი არასრულფასოვანი სახე.

ქართველი კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულების აკადემიურ გამოცემებში ზემოთ აღნიშნული მხარეები სხვადასხვა სიზუსტითაა დაცული. შეინიშნება, რომ ამ სახის გამოცემებში თანდათან მტკიცდება თეორიულად აუცილებელი კომპონენტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით დღემდის ყველაზე სუსტ უბნად რჩება აკადემიური გამოცემისათვის საჭირო საძიებლების თანდართვის საკითხი.

² Д. Д. Б л а г о й, Типы советских изданий русских писателей-классиков. Вопросы текстологии, 1957, стр. 18.

საძიებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემისათვის. ისინი მკვლევარს დროის დიდი ეკონომიის საშუალებას აძლევენ. საძიებლების საშუალებით მან მინიჭალურ დროში უნდა შესძლოს გამოცემაში მისთვის საინტერესო ცნობის მიღება, საძიებელი მას უნდა დაეხმაროს კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებაზე ან საგანზე მწერლის მიერ გამოთქმული აზრის მოძებნაში. ამავე საშუალებით ნახავს მკვლევარი ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟზე გამოთქმულ აზრს და სხვ. აღნიშნულ მიზანს ემსახურება აგრეთვე საძიებლები, რომლებიც აჩვენებენ ტომების შინაარსს, თხზულებებს ანბანური და ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, აგრეთვე პირთა, გეოგრაფიული, ეთნიკური და ტერმინოლოგიური საძიებლები. ცალკე უნდა გამოიყოს ლიტერატურული პერსონაჟების საძიებლები, მოძველებული ან დიალექტური გამოთქმების, პერიოდული გამოცემებისა, რომლებშიც თანამშრომლობდა მწერალი და სხვ. ასეთი საძიებლები დიდად შეუწყობს ხელს, როგორც მკვლევრის მიერ მწერლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის გამოყენებას, ისე საერთოდ მწერლის მემკვიდრეობის შესწავლას.

კლასიკოსის ინტერესთა წრე ფართოა, რაც შემოქმედებაში კონკრეტულად გამოვლენილია თხზულებათა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემაში ნაწარმოებთა განლაგების შესახებ, რისთვისაც ტექსტოლოგიაში ამჟამად გამტკიცებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი. მაგ. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ხუთტომეულში არის განყოფილებები: ლექსები (I ტ.), პოემები (II ტ.), მოთხრობები (III, IV ტ.), დრამატული ნაწარმოებები, თარგმანები, ნაწყვეტები (IV ტ.), პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები (V ტ.). გამოცემაში თავიდან ბოლომდის ჟანრების მიხედვით დაცულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. აქაც შეიძლება წამოიჭრას ბევრი სპეციალური საკითხი. ამგვარად ჩვენ ყურადღებას გვაქმნებთ ე. წ. ყრმობისდროინდელი თხზულებებისათვის განკუთვნილ ადგილზე აღნიშნული სახის გამოცემაში, რადგან იგი გამოცემის მთლიანობაში ერთ-ერთი ზოგადი მხარეა.

ყრმობისდროინდელი ლექსები დამატების სახით ერთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ხუთტომეულის პირველ ტომს, ხოლო მ. ლერმონტოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ექვსტომეულში (1954—1957 წწ.) კი დასაწყისშია დაბეჭდილი. მაშასადამე, არსებობს ამ საკითხის სხვადასხვანაირი გადაწყვეტა. ერთი ტიპის გამოცემებში აღნიშნული საკითხის სხვადასხვანაირად გადაწყვეტა გამოცემის სახეთა აღრევის შედეგია. მწერლის

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემაში ყრმობის-დროინდელი ნაწარმოებები დასაწყისში უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ, როცა ასეთი გამოცემა დიდი ტირაჟით იბეჭდება, იძულებული ვართ ბოლოში მოვათავსოთ.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემისათვის აუცილებელია მოკლე შესავალი სტატია რედაქციისაგან. აქ დახასიათებული უნდა იქნეს, როგორც წინა გამოცემები, ისე ახალი გამოცემა; რედაქციამ მკითხველი უნდა გაარკვიოს იმ სიახლეში, რომელაც წინა გამოცემებთან შედარებით ახასიათებს ახალს; სარედაქციო სტატიაში აღნიშნული უნდა იქნეს ის ტექსტოლოგიური პრინციპები, რომლებიც გატარებულია დასახელებულ გამოცემაში³.

ტექსტოლოგები გამოთქვამენ აზრს, რომ თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატში მოცემული უნდა იქნეს აუცილებელი ცნობები: «Справочный аппарат академического издания должен заключаться лишь в источниковедческих и библиографических справках, сведениях по истории создания произведения и в обязательном развернутом обосновании принятых датировок, а также выбора данного текста в качестве основного. Наконец, в академическом издании должна, в случае спорности или неясности, обосновываться принадлежность данного произведения данному автору. И только»⁴—წერს დ. ბლაგოი.

გამოცემებში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა ჩვეულებრივი როგორცაა. ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულების აკადემიურ გამოცემებს წამძღვარებული აქვს კრიტიკული ნარკვევები (ვაჟა-ფშაველას ანოტირებული, გ. ტაბიძის თორმეტტომეული), რაც აკადემიური გამოცემისათვის საჭირო არ არის, მის ნაცვლად აუცილებელია დაერთოს მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფია. თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოთ მოყვანილ თეორიულ-პრაქტიკულ მითითებათა გათვალისწინებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქართულ გამოცემებში აღნიშნული სახე უგულებელყოფილია კლასიკოსის თხზულებათა აკადემიური გამოცემების თვით დაგეგმვის დროსვე.

აკადემიურ გამოცემას ერთდროულად რამდენიმე მიზანს უსახავენ; მას დაკისრებული აქვს როგორც მასობრივი, ისე სპეციალისტი მკითხველის სამეცნიერო ინტერესის დაკმაყოფილება, რაც შეუძლებელია. ასეთი გამოცემა მკითხველთა ფართო წრის სამართლიან უკმაყო-

³ იხ. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხუთტომეულის სარედაქციო სტატია, ტ. I, 1961.

⁴ Д. Д. Б л а г о и й, მითითებული შრომა, გვ. 14.

ფილებას იწვევს. რიგით მკითხველს ზედმეტად მიაჩნია მისთვის გამოუსადეგარი რთული სამეცნიერო აპარატი, სპეციალისტი კი მწვავედ გრძნობს მის საჭიროებას. აღნიშნულ ნაკლს თავიდან ავიცილებთ, თუ მკითხველის გათვალისწინებით თავიდანვე განვსაზღვრავთ გამოცემის ტიპსა და სახეს, რაც გულისხმობს სათანადო პრინციპებით მომზადებული გამოცემის განსაზღვრული ტირაჟით დაბეჭდვას.

ამჟამად რუსეთში, როგორც წესი, თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა იბეჭდება ხუთიდან ათიათასამდე ტირაჟით, ამავე სახის ქართულ გამოცემებს კი აქვს ოცი და ოცდახუთი ათასი ტირაჟი. ეს გარემოება არანორმალურ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. ხშირად სწორედ ეს იწვევს ქართულ გამოცემებში აღნიშნული სახისათვის სავალდებულო ცალკეული მოთხოვნების უგულებელყოფას. გამოცემა იბეჭდება მასობრივი მკითხველისთვისაც და მართლაც, როგორ დაეიწყებთ მას ყრმობისდროინდელი ნაწარმოებები: ამავე მიზეზით გამართლებულია ზოგიერთი ნაწარმოების გამოტოვება, ვარიანტების შემოკლება და სხვა. მაგრამ მაშინ გამოცემას აღარ უნდა ეწოდებოდეს თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა ან იგი უნდა დაიბეჭდოს მცირე ტირაჟით აღნიშნული პრინციპების დაცვით.

დაგეგმვის დროსვე გამოცემის ტიპისა და სახის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; იგი უზრუნველყოფს, როგორც გამოცემლის დროის, ისე სასტამბო სამუშაოებისა და ხარჯების ეკონომიას. მაგ., ვასილ ბარნოვის VI ტომის სამეცნიერო აპარატის 18 ფორმა, რომელიც ვარიანტებსა და სხვა რედაქციებს უკავია, საჭიროა მხოლოდ სპეციალისტებისათვის. საქართველოში ასეთი მოცულობითი სამეცნიერო აპარატის მქონე ტომი შეიძლება ხუთი ათასამდე ტირაჟით იყოს საჭირო.

რუსეთსა და საქართველოში თხზულებათა სრული კრებულებას აკადემიური გამოცემის ისტორიის ზოგადი გაცნობიდანაც ჩანს, რომ ზემოთ წარმოდგენილი პრინციპები ტექსტოლოგიური პრაქტიკისა და ძიების შემდეგ ჩამოყალიბდა.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა რუსეთში განხორციელდა 1855 წლიდან, როცა პ. ანენიკოვმა პირველმა დაიწყო ა. პუშკინის თხზულებათა სრული კრებულის მეცნიერული გამოცემა. 1917 წლამდის აკადემიური ტიპის გამოცემებზე მუშაობა ედიციური საქმიანობით ხასიათდებოდა; ცალკეული მეცნიერები და გამომცემლები საკუთარი შეხედულებისამებრ ამზადებდნენ და სცემდნენ კლასიკურ მემკვიდრეობას. რევოლუციამდე თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური სახის ჩამოყალიბებას ხელს უშლიდა ისიც, რომ არ

ხდებოდა ტექსტოლოგიური მუშაობის განზოგადება, 1917 წლამდე არ დაწერილა თეორიული შრომა, რომელსაც მიზნად ექნებოდა ტექსტოლოგიის ზოგადი საკითხების დამუშავება⁵.

მიუხედავად აღნიშნულისა, საბჭოთა პერიოდის ტექსტოლოგიური მეცნიერება დიდად არის დავალებული რევოლუციამდელი მეცნიერებისაგან. ამ უკანასკნელებმა დემოკრატი მწერლების მემკვიდრეობის გამოცემისადმი სახელმწიფოებრივი უგულებელყოფის პირობებშიც დიდი ტექსტოლოგიური ტრადიცია შექმნეს. აკადემიური ტიპის გამოცემისათვის დღეს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები თანდათან მუშავდებოდა. მნიშვნელოვანი ძეგლებისა და მწერლების მემკვიდრეობის სრულყოფილად გამოცემის პრინციპი ჯერ კიდევ ა. პუშკინმა წამოაყენა. პოეტის აზრით, დიდი მწერლის ყოველი სტრიქონი განძს წარმოადგენს შთამომავლობისათვის. შემოქმედებითი ლაბორატორიის ჩვენებით მწერლის ხელიდან გამოსული ყველა ნაწარმოების კრიტიკულად გამოქვეყნების იდეას XIX საუკუნის პირველ ნახევარში იცავდა ნ. პოლევი. ბესარიონ ბელინსკი ამ იდეის დაცვასთან ერთად მოითხოვდა ნაწარმოებების ქრონოლოგიური პრინციპით განლაგებას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოქმეული სწორი ტექსტოლოგიური შეხედულებანი ფილოლოგიურ მეცნიერებაში დემოკრატიული მიმართულების გამოხატულებას წარმოადგენდა. აღნიშნულ ტენდენციას უპირისპირდებოდა ლიბერალურ-მემამულური თვალსაზრისი, რომელიც რუსეთში ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ვითარდებოდა. ამ მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, საჭირო არ იყო მწერლის მემკვიდრეობის მთლიანი გამოცემა; ისინი ხელმძღვანელობდნენ ე. წ. „ესთეტიკური“ მოსაზრებით და ფიქრობდნენ, რომ გამომცემელმა საზოგადოებას მწერლის მხოლოდ საუკეთესო ნაწარმოებები უნდა გააცნოს.

60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა რაზნოჩინცებმა განავითარეს დემოკრატიული მემკვიდრეობა და ბრძოლა გამოუცხადეს ლიბერალურ-მემამულურ შეხედულებებს. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული „ბიბლიოგრაფიული“ კვლევა-ძიების გაცხოველება, როცა კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა და გამოქვეყნება მეცნიერული მუშაობის უმთავრეს მიზნად გადაიქცა. ფაქტობრივი მასალის დაგროვებამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ფილოლოგიის განვითარებას საერთოდ და აკადემიური გამოცემების განხორციელებას კერძოდ. დადებითთან ერთად „ბიბლიოგრაფიზმს“ ახასიათებდა უარყოფითი მხარეც, რაც მის უკიდურესობაში გამოიხატებოდა. რევოლუციონერი

⁵ Основы текстологии, 1962, стр. 80.

დემოკრატები ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის ხელმძღვანელობით „ბიბლიოგრაფიზმის“ სათანადო შეფასებასთან ერთად უარყოფდნენ მის უკიდურესობამდის განვითარებას და მოითხოვდნენ მოპოვებული მასალის განზოგადებით ფილოლოგიური კვლევებიდან ახალ საფეხურზე აყვანას. მართლაც, ამ ორი მომენტის ერთობლიობამ, ორგვე მიმართულების შეერთებამ, რაც გამოჩენილი ფილოლოგების ი. გროტის, ნ. ტიხონრაჟოვის, მ. სუხომილინის, ლ. მაიკოვის და სხვათა საგამომცემლო საქმეში ჩაბმით გამოინახა, უზრუნველყო იმდროისათვის სათანადო ღირსების მქონე მეცნიერული გამოცემის განხორციელება.

მართალია, მასების რევოლუციური მოძრაობის ამსახველი დემოკრატი მწერლების პროგრესული შეხედულებების განვითარებამ მოგვცა პირველი მეცნიერული გამოცემები, მაგრამ 60-იან წლებში რევოლუციონერმა დემოკრატებმა აკადემიური ტიპის უმაღლესი ფორმის განხორციელება მაინც ვერ შესძლეს. ეს აიხსნება იმით, რომ თვით ისეთი მოაზროვნეც კი, როგორც იყო ნ. ჩერნიშევსკი, ტექსტოლოგიურ მუშაობასაც რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს უფარდებდა. მან ნ. დობროლიუბოვის სიკვდილის შემდეგ გამოსცა კრიტიკოსის თხზულებანი, სადაც ტექსტის შერჩევასთან ერთად მათში სათანადო განმარტების გარეშე ზოგიერთი ცვლილების შეტანაც კი დაუშვა. ასეთი მოქმედება, მართალია, რევოლუციური აზროვნების განვითარების ისტორიით ერთგვარად გამართლებულია, რადგან ჩერნიშევსკი ამით რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ემსახურებოდა, მაგრამ, ცხადია, გაუმართლებელია იგი წმინდა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. დემოკრატი მწერლების 60-იანი წლების გამოცემებში და მათ შესახებ დაწერილ რეცენზიებში უკვე მოცემულია აკადემიური გამოცემისათვის საჭირო ბევრი რამ, კერძოდ, აღნიშნულ გამოცემებში გატარებული და განმტკიცებული იქნა თხზულებათა სრული ტექსტების კრიტიკულად დადგენის, მათი ქრონოლოგიურად განლაგების, გამოცემისათვის პირველწყაროების ამსახველი სამეცნიერო აპარატის თანდართვის, ენარობრივი დაყოფისა და ზოგიერთი სხვა პრინციპი, რომლებიც ერთიანობაში წარმოდგენილი იქნა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის გამოცემებში.

დამახასიათებელია, რომ მაშინ, როდესაც რევოლუციონერი დემოკრატები ყოველნაირად ცდილობდნენ დემოკრატიული მემკვიდრეობის, ცხოვრების რევოლუციურ სიტუაციასთან უშუალოდ დაკავშირებული მწერლების პოპულარიზაციას, საიმპერატორო აკადემია პირიქით მოქმედებდა. უკანასკნელი არა ზრუნავდა ახალი ლიტერატურის წარმომადგენელთა თხზულებების გამოცემებზე, ხოლო 1859 წლიდან კი,

როცა პ. პლეტნევმა საკითხი დასვა ამ მიმართულებით მუშაობის გაშლის შესახებ, გამოსაცემად შერჩეულ იქნა ისეთი მწერლების მემკვიდრეობა, რომელსაც დამოკიდებულება არა ჰქონდა მასების რევოლუციურ მოძრაობასთან.

საიმპერატორო აკადემიამ აკად. ი. გროტის რედაქციით 1864—1883 წლებში გამოსცა დერჟავინის თხზულებანი, ხოლო ხენიციერისა კი 1873 წელს, ბატიუშკოვის თხზულებათა ამავე სახის გამოცემა ლ. მაიკოვმა განახორციელა 1885—1897 წლებში. ეს გამოცემები მრავალმხრივად საყურადღებო აკადემიური გამოცემის ტიპის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მოწინავე ტექსტოლოგიური შეხედულებანი ერთიანობაში პირველად მათშია წარმოდგენილი და ამიტომაც ითვლებიან ისინი პირველ აკადემიურ გამოცემებად რუსეთში. ი. გროტის გამოცემებს, რომლებიც იმ დროს „გროტულის“ სახელით იყვნენ ცნობილნი, საფუძვლად ედო საიმპერატორო აკადემიის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილების მიერ წინასწარ შემუშავებული პრინციპები: გამოცემა შესაძლებლობის ფარგლებში სრული უნდა იყოს, მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ნაწარმოებების ქრონოლოგიური განლაგება. გამოცემას ყოველგვარი ვარიანტების სრულად ამსახველ განყოფილებასთან ერთად თან ერთვის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კომენტარები და მწერლის ბიოგრაფია. ყველა ეს პრინციპი იმდროისათვის სათანადო მეცნიერულ დონეზე იყო მოცემული დასახელებულ გამოცემებში.

პირველ აკადემიურ გამოცემებს დადებითთან ერთად ახასიათებდა უარყოფითი მხარეებიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აკადემიურ გამოცემაზე წარმოდგენის ჩამოყალიბებისათვის. ბოლოდროს აღმოჩენილი მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ გროტის გამოცემები არ წარმოადგენდა სრულს. ზოგიერთი მასალა, რომელიც გამომცემლის განკარგულებაში იყო, არ შესულა გამოცემაში. განსაკუთრებით საყურადღებოა თვით გროტის თვალსაზრისი ვარიანტების განყოფილების შედგენილობაზე. მისი აზრით, აკადემიურ გამოცემაში საკმარისია ვარიანტების სრულად ჩვენება ნაბეჭდი წყაროების მიხედვით, ხელნაწერებიდან კი ისინი შერჩევით უნდა იქნეს წარმოდგენილი. გამოსაცემად პირველ რიგში რევოლუციურ მოძრაობასთან შორს მდგომი მწერლების გამოცემის ფაქტი და მათი ნაწარმოებების კომენტარების ხასიათი ჯერ კიდევ მაშინ ნათელყოფდა, რომ გროტის გამოცემები იღვეურად ოფიციალურ თვალსაზრისს გამოხატავდა. ეს გარემოება უფრო ნათელია მაშინდელი კრიტიკის გამოხმაურების ფონზე; რევოლუციონერი დემოკრატების გამოხმაურებაში გროტის გამოცემები გაკრიტიკებულია, როგორც ცხოვრების მოთხოვნილებისაგან განზე მდგარი, ხო-

ლო ლიბერალურ-მემამულური და ბურჟუაზიული ბანაჟი ქება-დიდებას ასხამდა მას.

პირველი აკადემიური გამოცემების შემდეგ ამ ტიპის მრავალი გამოცემა განხორციელდა. მართალია, ისინი მეცნიერულად ყველანი ერთ დონეზე არ იდგნენ, მაგრამ პრაქტიკულად მათში ბევრი საკითხი იქნა წამოჭრილი და გადაწყვეტილი. იყო წარმატებებიც და ჩავარდნებიც, რაც უკანასკნელ შემთხვევაშიც თავისებურად ხელს უწყობდა აკადემიური გამოცემის ტიპზე შეხედულების ჩამოყალიბებას. მაგალითად, 1891 წელს მ. სუხომილინმა გამოსცა ლომონოსოვის ნაწერები, სადაც ძირითად ტექსტად, ძველი ლიტერატურის ტექსტებზე მუშაობის გავლენით, აღებული იყო პირველი ნაბეჭდები და ავტოგრაფები, ხოლო ავტორის სიცოცხლეში გამოსული სხვა გამოცემების ნაირწყაი-თხვები გამომცემელმა ვარიანტებში აჩვენა. ამასთან დაკავშირებით გამოთქმული იქნა კრიტიკული შენიშვნები, რომელთა ავტორებმა საფუძვლიანად გაარკვიეს, რომ აკადემიური გამოცემისათვის ძირითადი ტექსტის ასეთი არჩევა მცდარი გზა იყო.

სუხომილინის მსგავსად აღნიშნული შეცდომა შემდეგში ბევრ გამომცემელთან ერთად გაიმეორა ისეთმა გამოჩენილმა ტექსტოლოგმაც, როგორც იყო ნ. ტიხონრაჟოვი. მან, მიუხედავად დიდი ღვაწლისა, სხვადასხვა მიზეზით ავტორის ბოლო სწორებების უგულვებელყოფასთან ერთად გოგოლის თხზულებათა ძირითადი ტექსტის დადგენისას კომპინირების მეთოდს მიმართა. შემდეგში ბევრი გამომცემელი ასეთი მეთოდის უარყოფით ხელს უწყობდა სწორი ტექსტოლოგიური პრინციპების შემუშავებას⁶.

პუშკინის თხზულებათა ვენგეროვის გამოცემაში სუბიექტივიზმი პრინციპმდის იქნა აყვანილი—ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არა მარტო ტომები, არამედ ტომის ცალკეული ნაწარმოებების გამოსაცემად მომზადებაც, რადგან სხვადასხვა რედაქტორები საკუთარი შეხედულებების მიხედვით ამუშავებდნენ მათ. თვით ვენგეროვი, რომელიც ხელმძღვანელობდა გამოცემას, უარყოფდა ერთიანი კანონიკური ტექსტის არსებობის შესაძლებლობას.

პუშკინის ძველი აკადემიური გამოცემა კოლექტიური უნდა ყოფილიყო, რადგან პუშკინის კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული პრინციპებით დაიწყო მისი მომზადება, მაგრამ შედეგის მიხედვით ამ გამოცემამ კოლექტიური მუშაობის მხოლოდ დისკრეტიზაცია შესძლო. ფაქტიურად, ძველი აკადემიური გამოცემის ცალკეული ტომებიც სხვა-

⁶ რუსეთში თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის შესახებ ისტორიული მიმოხილვა ვრცლად იხ. «Основы текстологии», 1962, стр. 11—137.

დასხვა პრინციპებით იყო მომზადებული გამოსაცემად, რადგან კვლავ რედაქტორების ედიციური მუშაობის პრაქტიკა დაედო მათ საფუძვლად. კომისიის მიერ პირველად შემუშავებული პრინციპებიც კრიტიკის გავლენით ტომიდან ტომამდის იცვლებოდა. ამ გამოცემის ერთი თავისებურება იყო ისიც, რომ ყოველ ტომს ერთოდა მეცნიერული გამოკვლევები ა. პუშკინის შემოქმედების სხვადასხვა საკითხზე.

რევოლუციის შემდეგ ა. პუშკინის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადების საქმეში ჩაბმული იყო თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერი. მათ პრაქტიკული გამოცდილებისა და აკადემიური გამოცემების ისტორიული ტრადიციების განზოგადებით საბჭოთა ტექსტოლოგიურ მეცნიერებასთან ერთად პუშკინის თექვსმეტტომეულის სახით თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ტიპური სახეც შექმნეს.

საქართველოში ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მემკვიდრეობის მეცნიერული გამოცემა, რუსეთთან შედარებით, გვიან დაიწყო. ასეთი სახის პირველ გამოცემად, როგორც სამართლიანად შენუშნავს ი. ლორთქიფანიძე, ი. კაეჭავაძის თხზულებათა ი. გედევანიშვილისეული გამოცემა უნდა ჩაითვალოს⁷. მის სარედაქციო შენიშვნებში წარმოდგენილია ტექსტოლოგიური პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გამოცემის განხორციელების დროს.

რედაქციამ ძირითად ტექსტად მიიღო უკანასკნელი გამოცემა, რომელიც ილიას სიცოცხლეში დაიბეჭდა ავტორის უშუალო მონაწილეობით. სხვა შემთხვევაში, თუ ამის საშუალება არ იყო, ძირითადი ტექსტი დადგენილია ავტოგრაფებზე დაყრდნობით და ყველა იმ დროს ცნობილი წყაროს გათვალისწინებით.

ი. გედევანიშვილის გამოცემაში თხზულებანი განლაგებულია უნარობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. ამ გამოცემის უკანასკნელი მხარე განსაკუთრებით საყურადღებოა იმიტომ, რომ იგი მაშინდელი ტექსტოლოგიური აზროვნების უკეთესი მიღწევის გაზიარებას წარმოადგენს. რედაქციამ არ გაიზიარა „ბიბლიოგრაფიზმის“ უკიდურესობა, რაც ქრონოლოგიის ფეტიშიზმში მდგომარეობდა. ამ მიმართულების ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი, თვით ტიხონრაევისა და ლემკეს სახითაც, მასალას უნარისა და მხატვრული ღირსების (დაუმთავრებელი თუ დამთავრებული ნაწარმოების) მიუხედავად, ერთად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ბეჭდავდნენ, რასაც თავიდანვე

⁷ იხ. ი. ლორთქიფანიძე, გლავტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, 1965, გვ. 34.

უარყოფდნენ ქანრობრივ-ქრონოლოგიური განლაგების მომხრეები. ამ-
ჟამად საბჭოთა ტექსტოლოგიაში ეს უკანასკნელი პრინციპია გაბატო-
ნებული. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სარედაქციო კომისია სავსებით
სწორ პოზიციაზე იდგა ნაწარმოების დათარიღების საკითხში. ი. გედე-
ვანიშვილის გამოცემის ასეთი მაღალი მეცნიერული დონე არც იყო
მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ სარედაქციო კომისიის შემად-
გენლობას, რომელშიც შედიოდნენ: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვი-
ლი, ივანე გომართელი, ილია ზურაბიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ია-
კობ ფანცხავა, ნიკო ჩიგოგიძე და ივანე ჯავახიშვილი.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა დასახელებული გამოცემა მეცნიერუ-
ლად არის მომზადებული არა მარტო ზემოთ აღნიშნული გარემოებით,
არამედ თანდართული სამეცნიერო აპარატის გამოც. აქ მოცემულია
წყაროების მოკლე აღწერილობა და რაც მთავარია, წარმოდგენილია
ვარიანტები; ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმი-
ტომ, რომ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვა და პირველწყაროებზე
დაყრდნობა არც წინა გამოცემებისათვის იყო უცხო. მაგ., ნაწარმოე-
ბების ქანრობრივ-ქრონოლოგიური განლაგება დაცულია ჯერ კიდევ
გ. ერისთავის თხზულებათა კრებულში, რომელიც 1867 წელს გამოს-
ცა ესტატე ერისთავმა, ხოლო განმეორებით კი 1884 წელს მწერლის
შვილმა დავით ერისთავმა. ცალკეული ტექსტებისადმი მეცნიერული
დამოკიდებულების მაგალითებიც ბევრია მეცხრამეტე საუკუნის გამო-
ცემელთა პრაქტიკაში. მაგალითისათვის საკმარისია დავაახელოთ
ი. ჭავჭავაძის შეხედულება ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოქვეყნე-
ბის შესახებ. იგი კ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც „კრებულში“ უნდა
დაებეჭდა ილიას მიერ მიწოდებული ხელნაწერები, წერდა: „ძნაო, კი-
რილე, გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანო-
ბამ, როგორც კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაბეჭდავ. მართ-
ლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნის არის
და ეგრეთვე უნდა დაიბეჭდოს“⁸. ასეთივე მზრუნველობით ეკიდებოდა
ილია არჩილ მეფის ლექსების „შეუცდომლად“ დაბეჭდვას⁹... როგორც
იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ტექსტის გამოცემისადმი ასეთი დამო-
კიდებულება დღეს სავსებით გამართლებულია მეცნიერულად.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის
(1922 წ.) შესახებ აზრი, როგორც ჩანს, იმავე წრეში დაიბადა, რომელ-
მაც განახორციელა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი მეცნიერული
გამოცემა; ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალი ქართული ლიტერატურის

⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 27.

⁹ იქვე, გვ. 118.

კლასიკოსთა მემკვიდრეობის აკადემიური ტიპის გამოცემებზე მუშაობის სათავედ ჩვენი საუკუნის დასაწყისი უნდა ჩაითვალოს.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის რედაქციამ თავის სხდომებზე შეიმუშავა გარკვეული გეგმა. კომისიას განზრახული ჰქონდა, როგორც პოლიგრაფიულად, ისე მეცნიერულად მაღალ დონეზე მდგომი აკადემიური გამოცემის განხორციელება; ამას გარდა, გათვალისწინებულია პირველწყაროების კრიტიკული შესწავლით ძირითადი ტექსტის დადგენა და გამოცემაში პოეტის მართლწერის დაცვა, სამეცნიერო აპარატში ყოველი ლექსისათვის დაწერილი ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარების თანდართვა და თვით შრიფტისთვისაც კი ნ. ბარათაშვილის ეპოქის გათვალისწინება. ყოველივე ეს სარედაქციო კომისიის მაღალ ტექსტოლოგიურ კულტურაზე მიგვიბრუნებს. მათ პირველსავე აკადემიურ გამოცემას დღევანდელი ვაგებიტაც სწორი ტექსტოლოგიური პრინციპები დაუდეს საფუძვლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა საშუალებას არ იძლეოდა მაღალ მეცნიერულ დონეზე აკადემიური გამოცემის განხორციელებისა. „იმედს გამოეთქვამთ,—წერდა ს. ფირცხალავა, — რომ გვეღირსება გამოცემის განმეორება და მაშინ შეეძლებოდა სავსებით განვხორციელოთ ის გეგმა, რომელიც ჰქონდა პატივცემულ ეკატერინე ერისთავისას და მთელს კომისიას“¹⁰.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ქართველი მწერლების თხზულებათა კრებულების მრავალი გამოცემა განხორციელდა. ზოგიერთ მათგანში პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად აკადემიური გამოცემის შესახებ თეორიული მოსაზრებანიც არის მოცემული; ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს პროფ. ს. ხუნდაძის ტექსტოლოგიური მუშაობა. მას ნ. ნიკოლაძის, ე. ნინოშვილის და გ. წერეთლის თხზულებათა მეცნიერული გამოცემების წამოწყებასთან ერთად ეკუთვნის ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ე. ნინოშვილის და გ. წერეთლის ზოგიერთი პირადი წერილის პუბლიკაციაც. აღნიშნულ გამოცემებში ს. ხუნდაძე წარმოგვიდგება, როგორც ერუდირებული ტექსტოლოგი. მის მექანიკურებაში დღევანდლობის თვალსაზრისითაც ბევრი რამ არის მიაბაძი და სახელმძღვანელო.

ს. ხუნდაძის აზრით, კლასიკოსი მწერლების მემკვიდრეობას ისტორიული ღირებულება აქვს; ამიტომ ასეთი „მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გაიცნოს, როგორც იგი ისტორიულად იყო მოცემული“¹¹—წერდა იგი. ავტორის ნების დაცვა ტექსტოლოგის ერთ-ერთ

¹⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. X, 1961, გვ. 247.

¹¹ გ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, ტ. I, გვ. XII.

უძირითადეს მოვალეობად მიაჩნდა მკვლევარს; იგი მოითხოვდა ტექსტების კრიტიკულ გამოცემას, რაც უპირატესად რედაქტორ-გამომცემლებისა და, რაც მთავარია, ცენზურის ჩარევისაგან ტექსტის გაწმენდაში მდგომარეობდა; დაცული უნდა ყოფილიყო ავტორის სტილი და მართლწერაც. ერთი სიტყვით, ტექსტოლოგმა ნაწარმოები უნდა გამოსცეს ისე, როგორათაც ეს ავტორის ხელიდან გამოსულა და დაუწერია“¹². აკადემიური გამოცემა, ს. ხუნდაძის აზრით, გარდა იმისა, რომ კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს უნდა შეიცავდეს, პირველ რიგში სისრულეთ უნდა ხასიათდებოდეს. მასში დაბეჭდილი უნდა იყოს მწერლის ყველა ნაწარმოები; სწორედ ამ თვალსაზრისითაც არ მიაჩნდა მას ე. ნინოშვილის თხზულებათა წინა გამოცემები აკადემიურად, მათში გამოტოვებული იყო მთელი რიგი მოთხრობები. აკადემიური ტიპის გამოცემას თან ერთვის მეცნიერული კომენტარები და შენიშვნები, სადაც გამომცემელმა მკითხველს ტექსტის შექმნის ისტორიის შესახებ ყველა საჭირო და არსებული ცნობები უნდა მიაწოდოს. მართლაც, მკვლევრის შენიშვნები მთელ გამოკვლევებს წარმოადგენს, სადაც ზედმიწევნით არის ასახული თხზულების შექმნისა და ბეჭდვის ისტორია. ს. ხუნდაძე ასეთი შენიშვნების სპეციფიურობის შესახებ წერდა: „მკითხველმა წინდაწინავე უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ნაწარმოების კრიტიკულ განხილვას კი არ ვიძლევეთ არამედ „ნაწარმოების ისტორიას“, მისი წარმოშობისა და ბეჭდვის საქმეს ეხებებით“¹³. მკვლევარს აკადემიური გამოცემისათვის საჭიროდ მიაჩნდა სრული ბიბლიოგრაფიისა და სხვადასხვა სახის საძიებლის დართვა. თვით გამოცემებში ძირითადად იცავდა ნაწარმოებების ქანობრივ-ქრონოლოგიური განლაგების პრინციპს, რომელიც „ერთის მხრივ, — წერს ს. ხუნდაძე, — საშუალებას იძლევა მკითხველს ნათლად უჩვენოს თვით მწერლის თანდათანო ზრდა, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია. მეორე მხრივ, — გააცნოს ისტორიული თანრიგის მიხედვით იმ საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა. ამრიგად, ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად და სრულად ეცნობა, როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით განვითარებას“¹⁴.

ს. ხუნდაძის გამოცემების ზოგიერთმა ნაკლმაც, რომელიც უკუგდებულია ბოლო დროის გამოცემებში, გარკვეულად ხელი შეუწყო ქართულ აკადემიურ გამოცემებზე შეხედულების ჩამოყალიბებას. მაგ. მკვლევარი სრულად არ იძლევა ვარიანტულ წაკითხვებს, რაც თა-

¹² ე. გ. ნ ი ნო შ ვ ი ლ ი, მოთხრობები, ტ. I, 1953, გვ. XIV.

¹³ ი ქ ვ ე, გვ. VIII.

¹⁴ ნ. ნ ი კო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. IV—V.

ნამედროვე ტექსტოლოგიაში აკადემიური გამოცემისათვის აუცილებელია. მიუხედავად ნაკლისა, ს. ხუნდაძის ტექსტოლოგიური შეხედულებანი და მათი პრაქტიკული გამოყენება ძირითადად დღეს გაპართლებულია. „სწორედ იმაშია ს. ხუნდაძის დამსახურება,—წერს რ. კუხრაშვილი, — რომ მისი მეთოდი და პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა დაახლოებით 30 წლის წინათ საგამომცემლო მუშაობაში, ძირითადად ისეთივეა, როგორც დღესაა მიღებული (რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვარიანტებზე მუშაობას)“¹⁵.

30-იან წლებშივე სწორ ტექსტოლოგიურ შეხედულებებს ავითარებდა აგრეთვე პროფ. მიხ. ზანდუკელი; მან 1935 წელს გამოსცა გრ. ორბელიანის „ლექსები“, რომლის სარედაქციო სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული ავტორის ნების დაცვაზე. აღნიშნული გამოცემა წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს წინა (1928 წლის) გამოცემასთან შედარებით. მიხ. ზანდუკელი სამართლიანად შენიშნავს, რომ 1928 წლის გამოცემის ნაკლს წარმოადგენდა პოეტის „უქანასკნელი სურვილი“ გაუთვალისწინებლობა. მისი აზრით, გამოცემაში პოეტის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ისე, როგორც საბოლოო სახით დაგვიტოვა იგი მწერალმა: „ჩვენი შეხედულებით, — წერს მ. ზანდუკელი, — არც გამოცემლობას და არც რედაქტორს არა ჰქონდათ ამის უფლება (გამოცემაში გრ. ორბელიანის თექვსმეტმარცვლოვანი ლექსის რვა მარცვლოვანი საზომით დაბეჭდვისა—ლ. ჭ.). ფორმა, რომელშიაც მწერალი თავის განცდას აყალიბებს, ჩვენის რწმენით, ურყევად უნდა დარჩეს და უცვლელად უნდა გადაეცეს შთამომავლობას. ლექსთაწყობაც ზომ ერთერთი სახეა პოეტური შემოქმედებისა და თავისებური წვლილი შეაქვს მწერლის სამყაროს გამომყვანებასა და გაგების საქმეში“.

მიხ. ზანდუკელის აზრით, რედაქტორს სრულიად უმართებულოდ დაურღვევია პოეტის ნაწარმოებიან „სადღეგრძელოს“ საბოლოო სახე. რომელიც პოეტის სიცოცხლეში რამდენჯერმე იყო დაბეჭდილი. ამასთან ერთად არ არის მიღებული ავტორის უქანასკნელი სურვილი.—თუ ვინმე მოისურვებდა შემდგომი დაბეჭდვას, გადაებეჭდა მის მიერ შესწორებული ეგზემპლარიდან.

„სადღეგრძელოდან“ რედაქტორს ამოუღია „სადღეგრძელო ნიკოლოზ პირველისადმი“. ურყევად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ რაც დაიწერა და მით უმეტეს დაიბეჭდა მწერლის სიცოცხლეშივე. განსაკუთრებით რამდენჯერმე, იმის შეცვლის ან შესწორების უფლება არავის არა აქვს, რა თქმა უნდა, არც რედაქტორს, მწერლის მიერ დამ-

¹⁵ რ. კუხრაშვილი, ს. ხუნდაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIII, 1960 წ., გვ. 400. პ. კუხრაშვილი, ს. ხუნდაძის ტექსტოლოგიური ძიებანი, „მნათობი“, 1968, № 9.

თავრებული ნაწარმოების სახე და მისი სურვილი ამ მხრივაც ურყევი და შეუბღალავი უნდა დარჩეს. რედაქტორს ევალება ტექსტის გარშემო წამოჭრილი გაუგებრობანი თავის შენიშვნებში ახსნას, განმარტოს და მით მკვლევარს დახმაროს ნაწარმოების სწორ ათვისებაში¹⁶. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ავტორის ნების ასეთი კატეგორიული დაცვა დადებითად მოქმედებდა ქართული გამოცემების აკადემიური ტიპის ჩამოყალიბებაზე.

ქართულ აკადემიურ გამოცემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემას; წინასწარ შედგა სარედაქციო კომისია, რომელშიც შედიოდნენ: კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, ი. გრიშაშვილი, გ. ქიქოძე და ს. ჩიქოვანი. მკვლევრები პირველ რიგში ხელნაწერი წყაროების შესწავლას შეუდგნენ. გადასინჯულ იქნა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქალაქების სიძველეთსაცავები, რომლებშიც კი შესაძლებელი იყო ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების თუ ასლების არსებობა. რადგან გამორიცხული არ იყო კერძო პირთა ხელში პოეტის დღემდე უცნობი ნაწერების არსებობაც, ამიტომ კომისიამ პრესის საშუალებით („კომუნისტი“, 1945 წ. № 46) მიმართა საზოგადოებას, თუ ასეთი ნაწარმოებები მოეპოვება ვისმე, მიაწოდოს ისინი მას დროებით სარგებლობისათვის. კრიტიკულად დამუშავებული მასალა კომისიამ გამოცემაში დაალაგა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით და დაურთო მას ს. ყუბანეიშვილის, გ. იმედაშვილის და თ. ჭყონიას მიერ ამოწერილი ვარიანტები, — აგრეთვე ლექსებისათვის გ. აბზიანიძას, ხოლო წერილებისათვის ა. ვაწერელიას კომენტარები. გარდა ამისა, გამოცემას ერთვის შესავალი წერილი „რედაქციისაგან“, შემდეგ პ. ინგოროყვას ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ბოლოს კი სოლ. ყუბანეიშვილის ნაშრომი „ხელნაწერები და გამოცემანი“, ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის ლექსიკონი და მთავარი რედაქტორის, აკად. კ. კეკელიძის განმარტება „გამოცემისათვის“.

აღნიშნულ გამოცემას ქართულ აკადემიურ გამოცემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმიტომ, რომ იგი თავისი ხასიათით ერთგვარ მიჯნას წარმოადგენს მანამდელ და შემდეგი დროის მსგავს გამოცემებს შორის. აქ, როგორც წინა გამოცემებში, შეტანილი აღარ არის სხვადასხვა სახის ფილოლოგიური გამოკვლევები, რომელთა მიზანს პოეტის მსოფლმხედველობისა, ენისა და პოეტიკის საკითხების გარკვევა შეადგენს. მართალია, გამოცემაში წარმოდგენილია პ. ინგოროყვას ვრცელი ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, მაგრამ

¹⁶ გ. რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსები, 1935, გვ. VI—VII.

იგი უმთავრესად პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიას არ-
კვეს. როდესაც 1945 წლის გამოცემას განვასხვავებთ წინა გამოცემებო-
საგან, მხედველობაში გვაქვს ისეთი შრომები, რომლებიც შეტანილი
იყო მაგ. 1922 წლის გამოცემაში; ნ. ბარათაშვილი—გ. ქიქოძისა, ნ. ბა-
რათაშვილის შემოქმედების განვითარება — დ. უზნაძისა, ნ. ბარათა-
შვილის ლექსის ფორმა—ს. გორგაძისა; აგრეთვე 1939 წლის გამოცემა-
ში შეტანილი შრომები: ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბო-
ლოცკი—ლ. ასათიანისა, ბარათაშვილის ენა—ა. შანიძისა, ნიკოლოზ ბა-
რათაშვილი და იოჰან ლაიზევიცი — გიორგი ნადირაძისა. როგორც
აღვნიშნეთ, ასეთი სახის თავისთავად საინტერესო საკითხებზე დაწე-
რილი შრომები არ შეიძლება დაერთოს მწერლის თხზულებათა აკადე-
მიურ გამოცემას.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის აკადემიური გამოცემა
წინა გამოცემებისაგან განმასხვავებელი ნიშნით თავისთავად ემსგავსება
შემდეგდროინდელ გამოცემებს, მაგრამ მსგავსების თვალსაზრისით
განსაკუთრებით საყურადღებოა ამ გამოცემისათვის დართული ვარიან-
ტები და ტექსტების წყაროების აღწერილობა—„ხელნაწერები და გა-
მოცემანი“. ქართული გამოცემებიდან პირველად აქაა ყველაზე მეტი
სისრულით მოცემული თხზულებათა ვარიანტები, რომლებიც მწერ-
ლის შემოქმედებით ლაბორატორიას ასახავენ. ჩვენი აზრით, ს. ხუნ-
დაძის, მ. ზანდუკელის, პ. ინგოროყვას, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის
და სხვათა მიერ აკადემიური ტიპის ქართულ გამოცემებში შექმნილი
ტექსტოლოგიური კომენტარების შესანიშნავ ტრადიციას ამ გამოცემით
მიემატა აკადემიური გამოცემისათვის ერთი უმთავრესი ნიშანთაგანიც,
კომპაქტურად შედგენილი ვარიანტების სრული განყოფილება.
ს. ყუბანეიშვილმა, რომლის მონაწილეობითაც იქნა შედგენილი აღნიშ-
ნული გამოცემის ვარიანტები, მის მიერ 1951 წელს გამოცემულ
იოსებ დავითაშვილის თხზულებათა სრულ კრებულში და ა. წერეთ-
ლის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ოთხ ტომში, ალ. ყაზ-
ბეგის თხზულებათა ხუთტომეულში და სხვ. გამოცემებში განამტკიცა
ეს ტრადიცია, რომელიც შემდეგ დაცული იქნა ვაჟა-ფშაველას,
ვ. ბარნოვისა და გ. ტაბიძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში.

40-იან წლებში აკადემიური გამოცემის შესახებ ქართული ტექსტ-
ოლოგიური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით დამაპასიათებე-
ლია ერთი პოლემიკა ა. წერეთლის თხზულებათა III ტომის გამოსკ-
ლასთან დაკავშირებით. 1940 წ. ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გა-
მოვიდა პოეტის აღნიშნული ტომი, რეცენზია ამ ტომზე გამოაქვეყნა
მ. დუდუჩავამ, რომელმაც გამოცემის მაღალ შეფასებასთან ერთად გა-
მომცემელს ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტისადმი სუბიექტური დამო-

კიდებულება შენიშნა. კერძოდ იგი წერდა: „არ მიგვაჩნია მართებულად „კიკოლას ნაამბობის“ ერთ-ერთ სტროფში, სახელდობრ:

და მართლაც რომ ჩამბარეს
სატანჯავად სისხლის მსმელებს...
არ უშვებდნენ არც მნახველებს...
ვინ მოსთელის ჩვენ გასაჭირებს.

უკანასკნელ სტრიქონთა ადგილების შენაცვლება. მართალია, ასეთი შესწორების შემდეგ ეს სტროფი უფრო გამართულია, მაგრამ ასეთი შედარებით უკეთესობის თვალსაზრისით რომელიმე კლასიკოსის ნაწარმოებში შესწორების შეტანა, მაშინ, როდესაც ამის საფუძველს არ იძლევა ამ ნაწარმოების არც ერთი ვარიანტი, ან შესასწორებელი ადგილი რამე აშკარა დამახინჯებას არ შეიცავს, გაუმართლებელია. აქ საჭიროა, გავიხსენოთ ის ცნობილი გარემოება, რომ დიდი პოეტებაც არ არიან უცოდველნი, მათ ცალკეულ ნაწარმოებებშიც გვხვდება საგრძნობლად სუსტი, ხან მეტად შეუსაბამო ადგილები. მეტიც: ზოგერთ შემთხვევაში ცალკეული ნაწარმოებები მთლიანადაც კი ისაზღვრება ასეთი ბედით. როგორც ცნობილია, აკაკის პოეზიასაც გარკვევით ახასიათებს ასეთი მაგალითები. ერთის მხრივ ეს, ხოლო მეორეს მხრივ—ის ფაქტი, რომ გადასმული სტრიქონები, როგორც ამას თვით ი. გრიშაშვილიც აღნიშნავს, „კიკოლას ნაამბობის“ ყველა ნაბეჭდ ტექსტში, მათ შორის თვით აკაკის „ქრებულში“ დაბეჭდილ ვარიანტშიც ერთნაირად მეორდება, უდავოდ გვართმევს უფლებას ეჭვი შევიტანოთ მათ აკაკიანულობაში. ძირითადად ეს ითქმის იმ უფრო არსებითი შესწორების შესახებაც, რომელიც „ალექსის“ ერთ-ერთ სტროფში შეუტანია რედაქტორს რითმების მიხედვით... მთელ რიგ სიტყვების გადასმის შედეგად აღნიშნული სტროფის შესწორებული სტროქონები შედარებით გაცილებით უფრო ძლიერად ელერს, მაგრამ აქაც არ გვაქვს რაიმე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ პირველ ვარიანტში ასე უნდა ყოფილიყო და არა იმ სახით, როგორც წარმოდგენილია ცნობილ ნაბეჭდ ტექსტში“¹⁷.

ი. გრიშაშვილმა არ მიიღო მ. დუდუჩავას შენიშვნა და სავასუხო სტატიამში სცადა მისი დასაბუთებული უარყოფა. პოეტის აზრით, გამოცემულს სათანადო დოკუმენტური ჩვენების გარეშე უფლება აქვს, საკუთარი ინტუიციით შეიტანოს ცვლილებანი კლასიკოსის ტექსტში. რაც შეეხება დუდუჩავას მიერ აღნიშნულ ფაქტებს, ი. გრიშაშვილს

¹⁷ მ. დუდუჩავა, აკაკი წერეთელი, III, ი. გრიშაშვილის რედაქტორობით, „მნათობი“, 1942, № 7—8, გვ. 150—151.

ისინი არამც თუ შეცდომად, საკუთარ დამსახურებადაც კი მიაჩნია: „აკაკის ერთ პოემაში („ალექსი“), — წერს იგი, — სამი სიტყვა გადავსხი რითმების მიხედვით. მე ვიცი, რომ მამია დუღუჩავა მეცნიერი მუშაკია, მაგრამ თუ მას ლექსებიც უწერია, უძველესად უნდა მიეღო ჩემი „გასწორება“ და საყვედურის მაგიერად განსაკუთრებული ხალისით აღენიშნა ეს ჩემი რედაქტორული ინტუიცია... ამ შესწორებით აკაკის სიტყვები როდი გადამისხვადურებია—მისი წამიშლია, ჩემი ჩამიწერია; არა! ამას არც რეცენზენტი მიკეიენებს... მოვიყვანოთ ეს ადგილები...

დაბეჭდილი იყო ძველად

ძილი დაუფრთხათ
ტკბილი, მაგარი,
ამ ხმაურობით პატარა კრავებს,
რა რომ წამოხტნენ
მაშინვე მიხვდნენ,
რომ აბრუებდა ელაც მათ მტრობით.

ჩვენ გამოცემაში დაიბეჭდა

დაუფრთხათ ძილი
მაგარი, ტკბილი,
პატარა კრავებს ამ ხმაურობით!¹⁸
რა რომ წამოხტნენ,
მაშინვე მიხვდნენ,
რომ აბრუებდა ელაც მათ მტრობით.

ესლა მკითხველისათვის მიმინდვია ახსნას, „გადასმით“ რაიმე დამიშავებია აკაკის ნიჭისათვის, თუ შესტამბის გამო მექანიკურად არეული სტრიქონებისათვის მიმიგნია, შიგნით შებნეული რითმები ნაპირს გამომიტანია და ასე შემისწორებია? ვინც იცნობს აკაკის რითმას, მის პოეტიკას და რაც მთავარია — თვით ამ პოემის წყობის პარალელურ ადგილებს, ის, დარწმუნებული ვარ, აუგად არ ჩამითვლის ამ კორექტურას¹⁹. სხვა შემთხვევებშიც ამავე თვალსაზრისით აქვს პოეტს დასაბუთებული საკუთარი ჩარევა აკაკის ტექსტში.

დღეს, როდესაც მტკიცედ არის ჩამოყალიბებული ტექსტის აკადემიურად გამოცემის პრინციპები, ძნელი არ არის გავარკვიოთ, ამ პოემიკაში სიმართლე რომელ მხარეზე იყო. როგორც ვხედავთ, თვით ისეთი გამომცემელიც კი, როგორც იყო პოეტი-აკადემიკოსი ი. გრაშაშვილი, ზოგჯერ ტექსტების დადგენის დროს არასწორი სუბიექტუ-

¹⁸ ხაზი ყველგან ჩვენია (ლ. კ.).

¹⁹ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. ერთი რეცენზიის გამო (პასუხად მამია დუღუჩავას), „მნათობი“, 1942, № 9, გვ. 151—153.

რი მეთოდით ხელმძღვანელობდა. ვფიქრობთ, ცხადია, რომ მ. დუდუჩავამ მას საესეებით სამართლიანად შენიშნა დაშვებულ შეცდომებზე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მ. დუდუჩავა წერს, ი. გრიშაშვილის ჩარევის შემდეგ „შესწორებული სტრიქონები შედარებით გაცილებით უფრო ძლიერადა ჟღერს“, გამომცემლის მოქმედება მაინც გაუმართლებელია. ამ მეთოდით, ალბათ, ბევრი გამომცემელი პოეტი შეასწორებდა წინა პოეტის მემკვიდრეობას; ასეთი შემთხვევები ტექსტოლოგიის ისტორიამ მრავალი იცის, მაგრამ ყველა ისინი „აუგად“ იხსენიებან.

სუბიექტივიზმის ნიშნები ტექსტოლოგიურ მუშაობაში სხვა ქართულ გამოცემებშიც ბევრგან იქნა გამოქვადვებული. 50-იანი წლების დასაწყისში სსრ კავშირის მასშტაბით გაცხოველდა ინტერესი ტექსტოლოგიის თეორიული საკითხებისადმი. ამ თვალსაზრისით კრიტიკულად იქნა გადასინჯული ქართველი გამომცემლების მუშაობაც. ივ. ქავთარაძემ წერილში „შენიშვნები ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემის გამო“, რომელიც „ლიტერატურულ ძიებანში“ დაიბეჭდა 1955 წელს, რამდენიმე გამოცემიდან მოიტანა სუბიექტურად საკითხის გადაწყვეტით ტექსტის დამახინჯების ზოგიერთი მაგალითები. მაგალითად, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „თვით ისეთ სოლიდურ გამოცემაშიც კი, როგორც უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, არა ერთი და ორი ტექსტისადმი სუბიექტური დამოკიდებულების მაგალითები. ილიას თავის „მგზავრის წერილების“ ქვესათურად უწერია „ვლადიკავკასიადამ ქალაქამდე“..., 1950 წლ. აკადემიური გამოცემის II ტომში (და სხვაგანაც!) სწერია „ვლადიკავკასიადამ ტფილისამდე“²⁰, მსგავსი მაგალითებია მოტანილი აგრეთვე ა. ფურცელაძის, ე. ნინოშვილის, ი. დავითაშვილის და სხვა მწერალთა თხზულებების გამოცემებიდან.

აღნიშნულ წერილში ყურადღება არის გამახვილებული მწერლის ენისა და სტილის დაცვაზე. მკვლევარი ასაბუთებს და შენიშნავს, რომ ზოგიერთი გამომცემელი ნაწარმოებებში ავტორის კუთხისათვის დამახასიათებელ საესეებით სწორ დიალექტურ ფორმებს ლიტერატურული ნორმების მიხედვით ასწორებს. ამიტომ მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს „აუცილებლად საჭიროა... ვიცოდეთ ყოველმხრივ ის კუთხე, — წერს ივ. ქავთარაძე, — სადაც მწერალი აღიზარდა და გავიგოთ იმ კუთხის მოსახლეობის მეტყველება, რომლის ფორმებსაც მისი მოთხრობების პერსონაჟები ხმარობენ“²¹.

²⁰ ივ. ქავთარაძე, შენიშვნები ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემის გამო, „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, ტ. IX; გვ. 381.

²¹ იქვე.

ქართული სალიტერატურო ენისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების მნიშვნელობის შესახებ ვაჟა-ფშაველას შეხედულება ცნობილი ამბავია. მწერალი შემოქმედებითად იყენებდა ამ დიალექტების მდიდარ ლექსიკურ მარაგს და მას თავის შემოქმედების „ლონეს“ უწოდებდა. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებისათვის, რომელმაც მოამზადა პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ყველაფერი ცნობილი იყო. განყოფილების თანამშრომელმა ე. შარაშენიძემ სპეციალური წერილიც დაწერა, სადაც მან საგანგებოდ აღნიშნა: „ახალ მეცნიერულ გამოცემაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვაჟას ენის სიზუსტის დაცვა“²². მიუხედავად ამისა, გამოცემაში ვერ მოხერხდა „ვაჟას ენის სიზუსტის დაცვა“. თუ რატომ ვერ მოხერხდა, ამაზე პასუხს იძლევა განყოფილების მეორე თანამშრომლის, ც. კალაძის მსჯელობა ტექსტში შეტანილ ზოგიერთ შეჭწორებაზე. „უნებლიე შეცდომები შეიძლება ისეთი იყოს, — წერს ც. კალაძე, — რომ უაზრობას გვაძლევდეს ან აზრს ისე ამახინჯებდეს, რომ მისი (შეცდომის) შემჩნევა ადვილი იყოს, ასეთ შემთხვევაში ტექსტოლოგს მათი გამოსწორება ადვილად შეუძლია. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია ვაჟა-ფშაველას აოქმა „მონადირის“ გაზ. „ივერისეული“ ტექსტი, ჩასწორებული ავტორის ხელით. გასწორებათა შორის არის ერთი ასეთი გასწორება: ირმის — ირმების;

წუხელ ნანახი სიზმარი
 მითც არ მოცდება, — ცხაღია,
 ამ სიზმრით ბევრჯელ თორღვამა
 ირმებს სუკები ეწვადია —

ამ გასწორებით სტილი გაუმართავია. ეტყობა ვაჟას უნდოდა უკანასკნელი სტრიქონის შეცვლა, დაიწყო კიდევ, მაგრამ აღარ დაუმთავრებია, შეცვლილი სიტყვის ძველი ფორმით აღდგენა კი დავიწყებია. ვფიქრობთ, შეუძლებელია ძირითად ტექსტში გადავიტანოთ ეს ავტორისეული ჩასწორება (შდრ. ვაჟას შეიდტომეულის III ტომი, გვ. 34), რაც აზრს უკარგავს მთელ სტროფს“²³; მკვლევარი იმავე წერილში მსგავს მსჯელობას ავითარებს მეორე შესწორების შესახებ. „ქართულ

²² ე. შარაშენიძე, ტექსტოლოგიური შენიშვნები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 2, 1960, გვ. 255.

²³ ც. კალაძე, ქართველ კლასიკოსთა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, 1961, გვ. 380.

აკადემიურ გამოცემებშიც არაერთია იმის მაგალითი,—წერს იგი,—თუ როგორ უპირატესობას აძლევენ გამოცემელები ხელნაწერის ზოგჯერ უაზრო ფორმასაც კი ნაბეჭდთან შედარებით. ნიმუშად ერთ მაგალითს დავასახელებთ ვაჟას იმავე აკადემიური გამოცემის ტექსტიდან. პოემა „მოხუცის ნათქვამის“ ხსენებულ ტექსტში (გვ. 34) ვკითხვლობთ:

მე უკან ვინაბოლი,
როგორც ყანაში მწყურია.
მსურდა ქურღულად შემეტყო
მეფის ერი და ფერია.

საკმაოა უბრალო დაკვირვება და მკითხველი მიხვდება, რომ მე-4 სტრიქონში რაღაც გაუგებრობაა. იმ ხუთი წყაროდან, რომელიც გამოცემელს ხელთ ჰქონდა, ოთხივე ნაბეჭდი გვაძლევს ამგვარ გასაგებ წაკითხვას, მეფისიერი, ფერია, ერთადერთი წყარო კი—ავტოგრაფი—გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილ წაკითხვას. რასაკვირველია, მხოლოდ ავტოგრაფის უსაფუძვლო ფეტიშიზაციით თუ ავსებით ამგვარ შემთხვევაში ამ წაკითხვის დატოვებას ძირითად ტექსტში (მით უფრო, რომ ის ძველი და შავია)²⁴.

აღ. ჭინკარაულმა ვაჟას თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე დაწერილ რეცენზიაში ცხადყო, რომ მოტანილ ტექსტებში და ბევრგან სხვაგანაც, სადაც გამოცემელებმა მსგავსი შესწორებანი დაუშვეს, პოეტს არაფერი არც „დავიწყებია“ და არც ხელნაწერშია „უაზრო ფორმები“, ისინი ფშაური დიალექტისათვის სავსებით ბუნებრივ და აზრიან ფორმებს წარმოადგენენ²⁵. ამრიგად, ც. კალაძე, რომელმაც ანგარიში არ გაუწია მწერლის კუთხის მოსახლეობის მეტყველებას, უნებლიედ მოექცა იმავე გამოცემელების რიგში, რომელთა სუბიექტურად ტექსტზე მუშაობის მაგალითებია მრავლადა აქვს მოტანილი თავის გამოკვლევაში.

ტექსტოლოგიურ მუშაობაში სუბიექტივიზმი თავს იჩენს არა მარტო ცალკეულ შემთხვევებში, არამედ ზოგჯერ დებულების სახით მთელ გამოცემაშიც დაედება იგი საფუძვლად. მაგალითად, ა. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულში შეტანილ ორთოგრაფიულ ცვლილებათა შესახებ ნათქვამია: „ტექსტი იბეჭდება აკაკის ორთოგრაფიას დაცვით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე გვაქვს არასწორ ფორმასთან. ასეთი ფორმების რამდენიმე გამონაკლისიც დატოვებულია იმის გამო, რომ ლექსში სიტყვა დამაგრებული იყო რითმით. ვი-

²⁴ ც. კალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

²⁵ აღ. ჭინკარაული, ვაჟა-ფშაველას ტექსტის დადგენისათვის, „მნათობი“, 1962, № 2,3.

თარებითი ბრუნვის ნიშნად აკაკისთან გვხვდება: -დ, ად ან -ით, ათ. ამათგან დავტოვეთ ნიშნები: დ, ად, ბრუნვის ნიშნების ეს სხვაობა ვარჩიანტებში არ აღგვინიშნავს²⁶. პოეტის თხზულებათა მესამე ტომის შენიშვნებში ასევე არის დასაბუთებული ტექსტში შეტანილი ორთოგრაფიული ცვლილებები: „ზმნის მრავლობით რიცხვში დ ე ნ და დ ნ ე ნ პარალელური ფორმებიდან დავტოვეთ დენ,—წერია შენიშვნებში,—რამდენადაც აკაკის ლექსებში კარბობს ეს ფორმა“²⁷.

ასეთ ჩარევას შეიძლება სერიოზული შეცდომები მოჰყვეს. მწერლის ნაწარმოებში, მით უმეტეს ლექსში, თ, ათ ან დ, ად, აგრეთვე დნენ, დენ ფორმანტების გამოყენებას შეიძლება აწლდეს ავტორის სტილთან დაკავშირებული ნიუანსები. როგორც ა. ხინთიბიძემ გამოარკვია, მართლაც, ა. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის რედაქციის მიერ მწერლის ნაწარმოებებში აღნიშნული ორთოგრაფიული სწორებით ერთიანი წესის დაცვამ ზოგ შემთხვევაში ლექსის რითმისა და შინაგანი მუსიკის დარღვევა გამოიწვია²⁸. სწორება, რომელსაც ასეთი შედეგი მოსდევს, ცხადია, დაუშვებელია არამც თუ აკადემიურ, არამედ მაჰიურ გამოცემაშიც, იგი აუცილებლად გამოიწვევს ტექსტის სუბიექტიური თვალსაზრისით ჩასწორებას.

საქართველოში თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური სახის ჩამოყალიბებას, გარდა აღნიშნულისა, ხელი შეუწყო მრავალმა სხვა გამოცემამ, რომელშიც დაცულია სწორი ტექსტოლოგიური პრინციპები.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის შესახებ როგორც რუსული, ისე ქართული ტექსტოლოგიური აზრის განვითარების ამ მოკლე მიმოხილვიდანაც, ვფიქრობთ, ჩანს, რომ აღნიშნული სახის გამოცემაზე შეხედულების ჩამოყალიბება ავტორის ნების დაცვის ნიშნით ვითარდებოდა. „სუბიექტური“ და „ობიექტური“ თვალსაზრისების ბრძოლით ბოლოსდაბოლოს შემუშავდა ტექსტოლოგიური პრინციპები, რომელთა დაცვა გამოცემაში, ავტორის ნების განხორციელებასთან ერთად, მთელი მისი მემკვიდრეობის საზოგადოებისათვის გაცნობის პირობას წარმოადგენს.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის დანიშნულებაა სპეციალისტთა მეცნიერული ინტერესის დაკმაყოფილება.

ასეთი გამოცემა უნდა განხორციელდეს ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპების დაცვით, რათა ყველა მეცნიერმა მწერლის არქივთან მის-

²⁶ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 399.

²⁷ იქვე, ტ. III, გვ. 491.

²⁸ იხ. ა. ხინთიბიძე, ა. წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა (შენიშვნები ლექსწყობის თვალსაზრისით), „ლიტერატურული გაზეთი“, 1965, № 10.

ვლის გარეშე შესძლოს თხზულებათა ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა-ძიება.

აკადემიურ გამოცემას მიზნად არ შეიძლება ჰქონდეს კლასიკური მემკვიდრეობის ფართო პოპულარიზაცია, ასეთი დანიშნულება მასობრივი გამოცემის კუთვნილებაა. ისინი ერთმანეთისაგან განმსაზღვრელი ნიშნებით არიან გამოიჩნულნი.

მასობრივ გამოცემას არ შეიძლება ჰქონდეს აკადემიური გამოცემისათვის აუცილებლად საჭირო რთული სამეცნიერო აპარატი, რომელიც გამოცემის ამ სახის მომზადებისათვის ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს.

ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები

თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის მთავარია ძირითადი კანონიკური ტექსტის შერჩევა და დადგენა, მაგრამ მანამდე ტექსტოლოგს მთელი რიგი სამუშაოები აქვს ჩასატარებელი. თავდაპირველად ძირითადი ტექსტის შერჩევა-დადგენისათვის აუცილებელსა და საჭიროს წარმოადგენს მისი ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების სრულყოფილად შესწავლა-გაანალიზება. ორი ეტაპი: 1. ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების შესწავლა, 2. კანონიკური ტექსტის შერჩევა და დადგენა—ის ძირითადი საფუძვლებია, რომლებიც აკადემიური გამოცემისათვის ფუნდამენტს ქმნიან. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა პირველი.

ტექსტოლოგიაში წყაროდ მიიჩნევა ხელნაწერები, ავტორისეული გეგმები, ჩანაწერები, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, ასლი, გადაწერილი, ავტორის მიერ ჩასწორებული კორექტურა, ავტორისეული გამოცემა, დღიურები, პირადი მიმოწერა კერძო პირებთან და მრავალი სხვა დოკუმენტური მასალა. ზოგ შემთხვევაში წყაროდ შეიძლება გამოდგეს ავტორის სიკვდილის შემდეგდროინდელი გამოცემა, თუ მისი დედანი ავტორიზებულია ან ტექსტი ერთადერთია. ასევე, მწერლის თანამედროვეთა მოგონებები და სხვა.

I

ხელნაწერ წყაროებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის აკადემიურად მომზადებაში. მათი საფუძვლიანი შესწავლით ტექსტოლოგი ეცნობა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიას, მწერლის შემოქმედებით ზრდას და წერის მანერას. წყაროების გაანალიზებით, როგორც უკვე აღინიშნა, დგინდება ძირითადი ტექსტი. მასთან ერთად ნათელი ხდება ტექსტის დაწერის ისტორია, მისი თავგადასავალი და, თუ უთარილოა, ხშირად თარიღდება კიდევ.

ხელნაწერი წყაროებიდან პირველყოვლისა აღსანიშნავია ავტოგრაფები. ავტოგრაფი ეწოდება იმ ხელნაწერს, რომლის ავტორიც და დამწერიც ერთი და იგივე პირია. სწორედ ამ ავტოგრაფებს აქვს დიდი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექსტის სწორად შერჩევისათვის. პირველყოვლისა ავტოგრაფს შეჰყავს ტექსტოლოგი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში; მისი შემწეობათ შეისწავლება მწერლის შემოქმედება, ისე როგორც იგი ზინამდვილეშია ამიტომ, როცა ხელნაწერებზეა ლაპარაკი, ტექსტოლოგს ძირითადად მხედველობაში აქვს ავტოგრაფი.

ავტოგრაფებიდან ტექსტის შესწავლისათვის განსაკუთრებულნი მნიშვნელობა ეძლევა შავ და თეთრ ხელნაწერებს, ჩანაწერებს და გეგმებს, მათგან გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. შავსა და თეთრ ხელნაწერებს, რადგანაც მხოლოდ ისინი იძლევიან ნაწარმოებზე სრულ წარმოდგენას. მათი საშუალებით ვგებულობთ ტექსტის სიუჟეტურ მსვლელობას, თავსა და ბოლოს.

შავია ისეთი ხელნაწერი, რომელზედაც ნათლად ჩანს ავტორის მუშაობის პროცესი, თუ როგორ ავითარებდა მწერალი თავის აზრს ნაწარმოებზე, როგორ ცვლიდა და ამუშავებდა ტექსტს და როგორ ყალიბდებოდა თვით ავტორის მსოფლმხედველობა, ამის გამო ტექსტი აკრელებულია: მასზე ბევრია გადახაზული და ზედდაწერილი, ჩამატებული, ამოღებული, მიწერილი სიტყვები. საკვებით სწორია ე. ი. პროზოროვი, რომლის აზრითაც, შავი—ეს არის შემოქმედებითი ხელნაწერი. მას ავტორი ნაწარმოების შექმნის პროცესში წერს მხოლოდ თავისთვის.¹

ერთი და იმავე შავად შესრულებულ ტექსტზე მწერალმა შეიძლება რამდენჯერმე ჩაატაროს მუშაობა. კერძოდ, ერთხელ ჩასწორებული ტექსტი კვლავ წაიკითხოს და ჩაასწოროს, შემდეგ კიდევ გადაიკითხოს და კიდევ ჩაასწოროს. ტექსტში ამგვარ ცვლილებებს ავტორი ხშირად მელნის ან ფანქრის განსხვავებული ფერებით აწარმოებს, რათა ისინი ერთმანეთისაგან გამოჰყოს. ასეც ხდება ხოლმე: როდესაც ავტორი ნაწარმოებს წაიკითხავს, შავს დიდხანს აღარ მოჰკიდებს ხელს. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ უბრუნდება ტექსტს, გადაიკითხავს და ხელახლა ასწორებს.

ასეთ შემთხვევაში შეინიშნება ჩასწორებათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსწავლდება მელნის ან ფანქრის ფერით, ან მათი სიძველით. რუსულ ტექსტოლოგიაში ამგვარ

¹ Е. И. Прохоров, Проблема подготовки текстов к изданию, — «Основы текстологии», 1962, стр. 228.

ჩასწორებებს ფენებს (საონი) უწოდებენ, რომელსაც ქართველი ტექსტოლოგებიც იყენებენ, თუმცა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული ტერმინის ნაცვლად გვეხმარა ჩასწორება (პირველი ჩასწორება, მეორე ჩასწორება და ა. შ.).

თეთრი შავის საპირისპიროდ წარმოადგენს ტექსტის საბოლოო სახეს მუშაობის პროცესის ამა თუ იმ საფეხურზე. უფრო მეტიც, ე. პროზოროვის აზრით, თეთრი არის შედეგი არა შექმნისა, არამედ სუფთად გადაწერისა. რასაკვირველია, ე. პროზოროვის ეს დებულება თეთრად გადაწერილ ყველა ტექსტს არ მიუღდება. არ არის სწორი, აგრეთვე, თითქოს თეთრი მხოლოდ და მხოლოდ მექანიკურად სუფთად გადაწერილი ტექსტია, როგორც ეს ს. მ. ბონდის ჰგონია². ხშირად მწერალი შავიდან გადათეთრების დროს გონებაში კვლავ ცვლის ტექსტს, რის გამოც თეთრმა შეიძლება ნაწარმოების აბსოლუტურად განსხვავებული სახე მიიღოს. მაგალითად, ვ. ბარნოვისათვის შავიდან თეთრად გადაწერისას დამახასიათებელია ტექსტის შეცვლა. მისი არქივის გაცნობის დროს ზოგჯერ ისეთ მკვეთრ სხვაობას ვაწყდებით შავსა და თეთრ ხელნაწერებს შორის, რომ შეიძლება ვიგულისხმოთ კიდევ შუამავალი ტექსტი, საიდანაც ავტორს თეთრი უნდა მიეღო. ფაქტურად კი ეს თეთრი შედეგია ავტორის მუშაობის თავისებურების, მისი წერის მანერისა. ვ. ბარნოვი ტექსტს მექანიკურად არ ათეთრებდა. გადათეთრების პროცესში იგი ბევრს ფიქრობდა, ხოლო შემდეგ გონებაში გადამუშავებულ ცვლილებებს პირდაპირ თეთრად წერდა. ასე იქცეოდა იგი ნაწარმოების დაწერის დროსაც. ჯერ გონებაში ქმნიდა სახეებს, შემდეგ ქალაქზე გადმოჰქონდა ისინი. თვითონ ვ. ბარნოვი მოგვითხრობს: „როცა უნდა დავჯდე წერად, სულერთია ჩემთვის. დაწყებულ ნაწერს განვაგრძობ დაუბრკოლებლივ, იმიტომ რომ მასალა მზაა, სურათები თვალწინ მიდგას, პერსონაჟებს ისე შევეყურებ, თითქოს სცენაზე დადიან და ვხედავ, ვინ რა მოიმოქმედოს, ვინ რა ხასიათისაა და ბუნებისა“³.

თეთრის შავისაგან მკვეთრი გამიჯვნა ვერ ხერხდება. როდესაც ტექსტი მეტისმეტად ნამუშევარია და გადატვირთულია ჩასწორებებით, ავტორმა შეიძლება იგი გადაათეთროს ტექსტზე შემდგომი მუშაობის გაადვილების მიზნით. ამის გამო ეს თეთრი ტექსტზე მუშაობის ბოლო ეტაპად არ ჩაითვლება. იგი შავის მექანიკური სუფთა სახე იქნება, რომელზედაც ავტორმა კვლავ უნდა განაგრძოს მუშაობა. მუშაობის შემდეგ ეს თეთრი ხელნაწერი ისევ შავის სახეს მიიღებს. ამრიგად, შავი

² С. М. Бонди, О чтении рукописей Пушкина, 1937, стр. 574.

³ გ. ყ. ფ. შ. ი. ძე, ვ. ბარნოვის თხზულებანი, ტ. I, 1920, შესავალი, გვ. XV

შეიძლება თეთრად გადაიქცეს და პირიქით, ისე რომ ტექსტი ჯერ საბოლოოდ დამთავრებულად არ იყოს მიჩნეული. ბოლოსდაბოლოს უკანასკნელი სუფთად გადაწერილი ტექსტიც კი, რომელიც ავტორს დამთავრებულად მიაჩნია და სტამბაში მიაქვს უკვე დასაბეჭდად, შეიძლება კვლავ ავტორისავე მიერ ჩასწორდეს და მოგვცეს ტექსტის სრულიად ახალი ვარიანტი.

ბ. ტომაშვესკიცა და ს. ბონდიც შავიდან საბოლოო თეთრზე გადაქცეულ შუამავალ ხელნაწერს ან ხელნაწერებს СБІДКА-ს (კრებსს. კრებულს) უწოდებენ, რადგანაც, მათი აზრით, ამ შუამავალ ხელნაწერებში თავს იყრის ყოველგვარი შესწორებებიო. ჩვენ კი ქართულ ტექსტოლოგიაში ამგვარ ხელნაწერებს პირობითად შეიძლება გარდამავალი ტექსტები ვუწოდოთ (რუსული „სვოდა“-ს სანაცვლოდ). მართლაც, როდესაც შავიდან თეთრს ვწერთ, ამ ეტაპზე იგი თეთრად ჩაითვლება; მაგრამ, როდესაც ამ თეთრს კვლავ ჩავასწორებთ და მას შემდეგ ისევ გადავათეთრებთ, ეს ჩასწორებული ტექსტი გარდამავალი იქნება შავიდან თეთრისაკენ. გარდამავალ ტექსტად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, ყველა ის სტამბურად ნაბეჭდიც, რომლებიც ავტორის მიერაა ჩასწორებული და რომლებსაც ისევ გამოქვეყნება ელით. ამის მაგალითებს ხშირად ვხვდებით ილიას, გალაკტიონის, მიხ. ჯავახიშვილის, ვ. ბარნოვის და სხვათა პირად არქივებში.

რადგანაც მეტ შემთხვევაში ტექსტს აქვს რამდენიმე შავი და რამდენიმე თეთრი ხელნაწერი, ამიტომ ეტაპების მიხედვით შავისა და თეთრის განსაზღვრისათვის ძირითადი მნიშვნელობა ეძლევა მათ წარმომავლობასა და დანიშნულებას.

წარმომავლობის მიხედვით შეიძლება გაირკვეს—მოცემულ ეტაპზე თეთრი ან შავი ხელნაწერი მერამდენეა თანმიმდევრობის მიხედვით.

დანიშნულების მხრივ კი ირკვევა—ერთ-ერთ ამ ეტაპზე რა დანიშნულება აქვს ტექსტს, შავის როლს ასრულებს იგი თუ თეთრის.

მწერლის თავისებური წერის მანერაზე მეტყველებს, როცა ნაწარმოები შავის გარეშე იწერება. მწერალი ამ დროს გონებაში ქმნის ნაწარმოებს და პირდაპირ თეთრად წერს. ამ მხრივ ცნობილია ვლ. მაიაკოვსკი. იგი ხშირად შავის გარეშე წერდა თავის ლექსებს. ამით ცნობილია, აგრეთვე, ალ. ყაზბეგიც, რომელმაც, გადმოცემით, „ელგუჯა“ პირდაპირ თეთრად დაწერა რედაქციაში. იგი თეთრად წერდა სხვა რომანებსაც.

ზოგიერთი ამგვარი გამონაკლისის გარდა მწერალს ყველაზე დიდი მუშაობა მაინც ავტოგრაფებზე უხდება. ერთი და იგივე ტექსტი ავტოგრაფებში რამდენჯერმე სწორდება, იხვეწება იღუპურად თუ სტი-

ლისტურად ან ენობრივად და შემდეგ სტამბას გადაეცემა გამოსაქვე-
ყნებლად. ამის გამო კლასიკოსთა ნაწარმოებს თავისი შექმნის პროცეს-
ში ხშირად ბევრი ცვლილება განუცდია. ცნობილია, რომ ლ. ტოლს-
ტომი „ომი და მშვიდობა“ რვაჯერ გადაწერა, „ანა კარენინა“ 12-ჯერ
შესწორდა, „აღდგომა“—შვიდჯერ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ იგივე
ლ. ტოლსტოი უკვე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს ხელახალ გამოცემაჲ-
დე აღარ აქცევდა ყურადღებას და მათ დასტამბეაში მონაწილეობას არ
იღებდა. ვ. ბარნოვი ბევრს მუშაობდა თავისი ნაწარმოებების ხელნაწე-
რებზე. „რაინდის სული“, „დედოფალი ბიზანტიისა“ და „ცოდვა სი-
ქაბუქისა“ ოთხ-ოთხჯერ ჩასწორა. ასევე „გიორგი სააკაძე“ და „შე-
რისგება“ სამ-სამჯერ გადაწერა.

ილია ჭავჭავაძე არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ტექსტზე მუშა-
ობის შედეგით. იგი ხშირად ცვლიდა მას და ხელახლა წერდა. „ოთა-
რანთ ქვრივი“ მან სამჯერ თუ ოთხჯერ გადაწერა. ბევრი იმუშავა „კა-
ცია-ადამიანზე“, „აჩრდილზე“ და ა. შ. დიდი მწერალი ამ საქმეს ისე-
თი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, რომ თითოეული მისი პირადი წე-
რილიც კი ამ რამდენჯერმე ჩასწორების შედეგს წარმოადგენს.

გასაოცრად ბევრს მუშაობდა თავის ნაწერებზე გალაკტიონ ტაბი-
ძეც. მისი პატარა ლექსებიც კი იმდენჯერ არის გადაკეთებული და
ჩასწორებული, რომ პოეტის მდიდარი არქივის გაცნობისას ძალაუნე-
ბურად ასეთი კითხვა გვებადება: ჰქონდა თუ არა ოდესმე პოეტს ისე-
თი წუთი, რომ თავის ლექსებზე არ ეფიქრა და არ ემუშავა? ვფიქ-
რობთ — არა.

გ. ტაბიძის არქივის შესწავლით გამოვლინდა პოეტისათვის დამა-
ხასიათებელი თვისებაც: მის არქივში აღმოჩნდა რამდენიმე ლექსის ავ-
ტოგრაფი, რომელიც შემდეგ ავტორს გაუერთიანებია და ერთი ლექსის
სახით გამოუქვეყნებია. არის პირიქითი შემთხვევებიც: ერთი ლექსი
დაუშლია და სხვადასხვა, დამოუკიდებელ ლექსებად გამოუცია.⁴ ლექს-
თა ამ გაერთიანებისა თუ დაშლის შემთხვევებში გალაკტიონ ბევრს
მუშაობდა. იგი ტექსტებს ცვლიდა, ასწორებდა და თითქმის ხელახლა
ამუშავებდა.

მსგავსი მაგალითები ბევრია და მათი ჩამოთვლაც შორს წაგ-
ვიყვანდა. აქ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ავტოგრაფების რა-
ობა განისაზღვრება მწერლის მუშაობის თავისებურებით, მისი წერის
მანერით; და რომ ავტოგრაფი უაღრესად მეტყველი, მართალი მასა-
ლაა მწერლის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. ამდენად იგი.

⁴ პოეტის მუშაობის თავისებურების შესახებ იხ. ი. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი.
ძის გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, 1965, გვ.
65—71.

როგორც ხელნაწერი წყარო, მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია კლასიკოსების თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის.

ჩანაწერი შავისგან იმით განსხვავდება, რომ იგი წინასწარ ჩანიშნულ ნაწყვეტს, ნაწილს წარმოადგენს მთლიანი ტექსტისა და არა ერთ მთლიანად შეკრულ ტექსტს. ჩანაწერი შეიძლება გამიზნული იყოს როპელიმე კონკრეტული ნაწარმოებიათვის ან შეიძლება მწერალმა იგი მხოლოდ თავისთვის გააქეთოს უბის წიგნაკში იმ განზრახვით, რომ ეს ჩანაწერი ოდესმე დასჭირდება რაიმე ნაწარმოების შექმნის დროს. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ალ. პუშკინი, მ. გორკი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, მინ. ჯავახიშვილი და სხვა. ისინი დადიოდნენ ხალხში, იწერდნენ თვალთ ნახულსა და გაგონილს, ცხოვრებისეულ ეპიზოდებს ხალხის ცხოვრებიდან და შემდეგ ლიტერატურულად დამუშავებულს ისევ ხალხს უბრუნებდნენ.

„წესად დავიდე და დღემდე ვასრულებ — მოგვიტხრობს თავის მუშაობის შესახებ მინ. ჯავახიშვილი — თითქმის ყოველდღე რაღაც უნდა ჩაეწერო — სიტყვა, სახე, თქმა, ამბავი, წერილმანიც და მსხვილმანიც. ზოგი ყურმოკრულია, ზოგი თვალმოკრული და ზოგიც მოგონილი. ეს მასალა — გამოგონილი და მოგონილი — შემოქმედების ლაბორატორიაში იხარშება და ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს“⁵.

ჩანაწერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი გვესმარება ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლაში. აგრეთვე მის დადგენაში, თუ სხვა მასალები არ მოგვეპოება.

გეგმას მწერალი ხშირად წინასწარ შეიმუშავებს ხოლმე და შემდეგ მის მიხედვით ქმნის ნაწარმოებს. ზოგჯერ კი ნაწარმოების გეგმა წინასწარ იწერება, მაგრამ შემდეგ ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებასთან ერთად იცვლება გეგმაც. თავისი გეგმების შესახებ მინ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „...რამდენჯერმე მიცდია გეგმის შედგენა, მაგრამ მალე მილატნია, დამვიწყებია, დამიხევია, გეგმა წერის დროს მუშავდება... გეგმა იმიტომ ინგრავა, რომ იგი მხოლოდ გონების ნახელავია... გონება და გუმანი ყვეარივით მუშაობენ ხელიხელჩაკიდებულნი და ორგანიულად შედუღებულნი. მათ თავის გზით მიჰყავთ მოთხრობა და წინანდელ გეგმისაგან მხოლოდ მცირე ნაწილსღა სესხულობენ“⁶.

გეგმა ხშირად დიდ დახმარებას უწევს ტექსტოლოგს დაუშთავრებელი ან დაზიანებული ტექსტის შეცნობაში. ტექსტოლოგი ამ შე-

⁵ მინ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 386—387.

⁶ იქვე, გვ. 389.

მთხვევაში (თუ სხვა მასალა არა აქვს) გეგმის მიხედვით არკვევს—როგორი სიუჟეტი ჰქონდა ავტორს ტექსტისათვის. გამიზნული. ეს კი ძლიერ უწყობს ხელს ტექსტის გამართვა-დადგენაში (რასაკვირველია, მხედველობაშია ისეთი გეგმები, რომელთა მიხედვითაც იწერება ნაწარმოები).

ავტოგრაფებს გარდა, ხელნაწერი წყაროებიდან აღსანიშნავია სხვინა მიერ გადაწერილი ტექსტები. გადაწერა ხდება გადაწერის ნება-სურვილით: თუ სურს, ზუსტად გადაწერს ორიგინალიდან (მაშინ ეს უკვე ასლი იქნება), ან გადაწერს ტექსტში თვითნებური ცვლილებების შეტანით. ასეთი ტექსტები არაა იმედოვნად. ცნობილია, რომ ლერმონტოვის „დემონი“ 1842 წ. დედნიდან დიდი სხვაობით გადაწერა ბელანსკი. ასევე „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერებიც საუკუნეთა განმავლობაში იწერდნენ პოემას მასში სხვადასხვა ცვლილების შეტანით: ზოგს ამოიღებდნენ, ზოგს თავისას ჩაუმატებდნენ, ზოგჯერ კი თვით ტექსტს ცვლიდნენ. ამან გამოიწვია სწორედ ის, რომ დღემდე მიმდინარეობს დავა—რა არის რუსთველისეული და რა არა. თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული უცხო პირთა მიერ გადაწერილი ტექსტების გამოცემა, მოვიყვანთ კიდევ მაგალითს.

ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილის მსგავსად, ვერ მოესწრო თავისი ლექსების სტამბურად გამოცემას. ლექსები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ხალხში. მაგრამ, როცა დადგა დრო მათ დაბეჭდვისა, გამომცემლები დიდი სიძნელის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ ხელთ არ ჰქონდათ პოეტის ავტოგრაფები. გადაწერილები კი უამრავი იყო. გამომცემელნი იძულებულნი გახდნენ ამ უკანასკნელთ დაყრდნობოდნენ, თუმცა მათ თან სდევდათ უკმარობის დიდი გრძნობა. ეს გულისტკივილი გამოთქვეს ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა პირველი კრებულის (1881 წ.) შესავალში: „სამწუხაროდ ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ვერ ვიშოვეთ და იძულებული შევიქენით დავეყრებოდით დავით რექტორის და სხვათა გადაწერილსა ან ნაბეჭდს. იმედს არ ვჰკარგავთ, რომ სადმე არ აღმოჩნდეს და ვერ მოგვეპოვებოდეს ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა“...

მხოლოდ 1940 წლისათვის მიაკვლია ი. გრიშაშვილმა ავტოგრაფების ნაწილი, რომლებიც, რასაკვირველია, ძირითად ტექსტად აიღო გამომცემელმა.⁷ მაგრამ ლექსების დიდი ნაწილი ხომ მაინც უავტოგრაფო დარჩა? ასეთ შემთხვევაში ი. გრიშაშვილი ხან ერთ წყაროს ეყრდნობოდა, ხან მეორეს. მისთვის ძნელი დასადგენი გახდა — რომელი წყარო იყო დედანთან უფრო ახლო და რომელი არა. მაგალითად, ლექსს

⁷ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ. ი. გრიშაშვილის რედაქტორობით.

„მუხამბაზი ლათაიური“ ბევრი ხელნაწერი და ნაბეჭდი გააჩნია, მაგრამ არცერთი ავტორისეული არ არის. ეს არის მიზეზი, რომ გამომცემელს სათაურის ავტორისეულობაც კი საექვოდ მიაჩნია და მართებულად ამბობს: სანამ ამ ლექსის ავტოგრაფი არ აღმოჩნდება, ზუსტად ვერ გაირკვევა ვერც ნამდვილი სათაური და ვერც თვითონ ტექსტიო. თუმცა გამომცემელი ეყრდნობა რა თავის ცოდნას, გამოცდილებას და ინტუიციას, ცდილობს ტექსტი უფრო ალ. ჭავჭავაძისეული გახადოს. იგი ლექსის ყოველ სტრიქონზე მსჯელობს, ზოგს იღებს ტექსტიდან, ზოგს სხვა ხელნაწერებიდან ცვლის და ა. შ. მოვეუსმინოთ თვითონ ი. გრიშაშვილს: „ჩვენს გამომცემაში დასტალული „ჰარიალაღე“ და „თარიარაღე“—არ მიდის, ვინაიდან ეს სიტყვები შემდეგში მომღერლების მიერ უნდა იყოს ჩამატებული... გარდა ამისა ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ერთი სასიმღერო რვეული, რომელიც გორის მცხოვრებ ვასილ შვაბიჩს ეკუთვნის... ეს რვეული გადაწერილია თვით შვაბიჩის ხელით... აქ არის „ლოთებო ნეტავი ჩვენას“ ვარიანტი—ამ ლექსიდან ერთი ადგილი დღემდე ასე იკითხებოდა:

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,

ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა“.

შვაბიჩის ხელნაწერით კი: „დავეხსნათ ცოდვილთ ქებასა,

ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა“.

ჩვენი გამომცემისათვის ეს უკანასკნელი ვარიანტი მივიღეთ⁸.

აქ თითქოს მართებულად იქცევა გამომცემელი: „ცოდვილთ ქება“ უფრო შეეფერება ლექსის შინაარსს, მაგრამ ავტორისეული კია „ცოდვილთ ქება“? იქნებ ის უფრო უახლოვდება დედანს, რაც მანამდე ხელთ ჰქონდა გამომცემელს?

უფრო მეტიც, ისეთი პოპულარული ლექსი, როგორცაა „სიყვარულო ძალსა შენსა“ ერთხანს სადავოც კი გამხდარა—ალ. ჭავჭავაძისეულია იგი თუ არაო. მაგ., მ. ბროსე („ვეფხისტყაოსანი“, 1841 წ., გვ. XIII) და ალ. ხახანაშვილი (ქართული სიტყვიერების ისტორია, I ნაწ., 1913 წ., გვ. 527) ამ ლექსს აკუთვნებდნენ მდივანბეგ ჯიმშერ ჩოლოყაშვილს. ლექსს რომ ავტოგრაფი ჰქონოდა, დავაც არ ატყდებოდა მის ირგვლივ ამ თვალსაზრისით.

ყოველივე ამაზე ვრცლად შევჩერდით იმიტომ, რომ უფრო ნათელი გახდეს, რამდენად საექვოდ და არასანდოა სხვის მიერ გადაწერილი ტექსტი, ხოლო გამომცემელს რამდენად დიდი სიფრთხილე და ცოდნა მართებს ძირითადი ტექსტის შერჩევისას.

ზოგჯერ გადაწერილი (იგივე ითქმის ასლზეც) ავტორიზებულია, ე. ი. ავტორის მიერაა შემოწმებული ან ჩასწორებული. ქართულ აქა-

⁸ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 266.

დემიურ გამოცემებში ამ ავტორიზებულ ხელნაწერებს ავტოგრაფებთან ვაიგივებთ. ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მათთვის ავტორიზებული ტექსტი გვეწოდებინა. გ. ტაბიძის არქივში საკმაოდ არის დაცული პოეტის ისეთი ლექსები, რომლებიც სხვისი ხელითაა შესრულებული და ავტორის მიერ ჩასწორებული. ლექსების უმრავლესობა განეკუთვნება 1946 წელს. ისინი ავტოგრაფები კი არ არის, არამედ ავტორიზებული ტექსტებია, თუმცა მაინც ავტოგრაფის უფლებებით სარგებლობენ.

ასლი ისეთი ხელნაწერი ან მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია, რომელიც სპეციალურად კეთდება ორიგინალის ზუსტად გადმოცემისათვის. ეს ორიგინალი შეიძლება იყოს ავტოგრაფი, გადაწერილი, ასლი (ასლის ასლი), ნაბეჭდი და სხვ.

მაგალითად, გ. ტაბიძის არქივში აღმოჩნდა უსათაურო ლექსი (...„არა ზეცა, არა ლანდი“...), რომელიც პოეტის ხელითაა დაწერილი. ერთი შეხედვით იგი შეიძლება გალაკტიონისეულად მიგვეჩნია, ნამდვილად კი მირზა გელოვანის ლექსია „ირანული მოტივებიდან“, რომელიც გალაკტიონს ალბათ მოსწონებია, გადაუწერია და თავის არქივში შეუნახავს. რასაკვირველია, გ. ტაბიძის არქივში დაცული ტაბიძისეული ხელნაწერი, რომლის ტექსტიც სხვა პოეტს ეკუთვნის, ასლია და არა ავტოგრაფი. ასლს განაკუთვნებენ ავტორის მიერ კარნახით დაწერილ ტექსტსაც. ასლებად ჩაითვლება, მაგალითად, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით დაბადებულნი“, რომლებიც ავტორის კარნახით იწერებოდა. კარნახით დაიწერა ვ. ბარნოვის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „მწუხრის დიმი“, ხოლო მისი ისტორიული რომანი „პირიმზე“ კარნახით ჩასწორდა. კარნახით დაიწერა, აგრეთვე, ნეკრასოვის ზოგიერთი ლექსი. იგივე ითქმის ს. ჩიქოვანის ბოლოდროინდელი ლექსების შესახებაც და ა. შ.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ასლი უფრო დამაჯერებელი და სანდოა, ვიდრე გადაწერთა ნასწორები ტექსტები. თუმცა ასლშიც შეიძლება უნებლიე შეცდომის დაშვება. შეცდომებისაგან უფრო დაზღვეულია ტექსტის ფოტოპირი, მაგრამ მასაც ახლავს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომლებზედაც აქ არ შევჩერდებით. ასლსა და გადაწერილს განსაკუთრებით მაშინ ეძლევა დიდი მნიშვნელობა, როცა ტექსტის ავტოგრაფი დაკარგულია.

ტექსტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის მიერ გაკეთებულ კორექტურას. როდესაც სხვა პირი ან კორექტორი აკეთებს ტექსტის კორექტურას, იგი ტექსტს არ ცვლის. მისი მოვალეობაა მხოლოდ კორექტურული შეცდომების გამოვლენა და გასწორება.

ადგენენ. მათ გარეშე ძლიერ გაჭირდებოდა ტექსტის დადგენა და მისი აკადემიურად მომზადება.

ხელნაწერი წყაროების შესწავლის გზით ხშირად ვლინდება ხელმოუწერელი ნაწარმოებების ავტორის ვინაობაც. ტექსტის სიუჟეტური განვითარებისა და ტექნიკური მხარის ანალიზით აღვილდება, აგრეთვე, ქრონოლოგიის დადგენაც, რაც, რასაკვირველია, თავის მხრივ ხელს უწყობს ნაწარმოების ისტორიის შესწავლას.

II

ნ ა ბ ე კ დ წყაროდ ითვლება ყველა ის ტექსტი, რომელიც მწერლის სიცოცხლეში გამოიცემა და რომლის დროსაც თვით ავტორი იღებს უ შ უ ა ლ ო მონაწილეობას¹⁰.

როდესაც მწერალი თავის ნაწარმოებს დამთავრებულად თვლის და საბოლოოდ ათეთრებს, მეტწილად ამ ეტაპს მოსდევს შემდგომი ეტაპი — ტექსტის გამოქვეყნება.

ტექსტის გამოცემის საქმეშიც ავტორი დიდ მონაწილეობას იღებს: იგი უშუალოდ უკავშირდება გამოცემლებს, რედაქტორებს, მონაწილეობს კორექტურულ სწორებაში და ტექსტის გაფორმებაშიც კი; ნაწარმოებში გამოცემიდან გამოცემაჰდე შეაქვს შესწორებები და ტექსტი კვლავ განაგრძობს დახვეწა-ჩამოყალიბებას. მხოლოდ მწერლის სიცოცხლის ყველაზე ბოლო გამოცემა ნაწარმოების საბოლოო, დასრულებული სახე. იშვიათია მწერალი, რომ თავის ნაწარმოებს მორიგი გამოცემის დროს არ ცვლიდეს. ვ. ბარნოვი გამოქვეყნებულ თხზულებებს იქვე მელნით ასწორებდა და შემდგომი გამოცემისათვის ახლად ჩასწორებული, შეცვლილი ტექსტი ჰქონდა გამზადებული. მის არქივში ახლაც დაცულია მწერლის კრებულები „ვარდფანჯები“ (1929), „ფერად-ფერადი“ (1934), „გიორგი სააკაძის“ პირველი 12 თავი (ეურ. „მომავალი“, 1923) და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც შენიშვნებითა და ჩასწორებებითაა აჭრელებული. გ. ტაბიძის არქივში დაცულია პოეტის თხზულებათა რვატომეული, რომლებიც ავტორიზებულია და მომზადებულია შემდგომი გამოცემისათვის.

დიდ მუშაობას ატარებდა ამ მხრივ მიხ. ჯავახიშვილი. „ვცვლი თუ არა პირვანდელ ტექსტს ახალი გამოცემის დროს?—წერს იგი.— უეჭველად აუცილებლად ვცვლი, ე. ი. ხელახლა ვასწორებ. ჭერ არცერთი ჩემი ნაწარმოები შეუსწორებელი არ გამიგზავნია სტამბაში“¹¹. ეს

¹⁰ ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ასეთი ტექსტები და საუბარიც ძირითადად მათ შესახებ გვექნება.

¹¹ მ. ი. ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 391.

ნათქვამი თითოეულ მის ნაწარმოებს ეხება. არ არის მისი არცერთი რომანი და მოთხრობა, რომლებსაც გამოცემიდან გამოცემამდე საკმაო ცვლილებები არ განეცადოთ.

ზოგჯერ მწერალი სურვილის მიხედვით კი არ ცვლიდა ტექსტს, არამედ იძულებული იყო შეეცვალა იგი. ამ იძულებას ცენზურა ქმნიდა. არაფერი ისე ცუდად არ მოქმედებდა შემოქმედზე, როგორც მეფის ცენზურა. მის გამო მწერალს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ უნდა დაებეჭდა ან ადგილები უნდა ამოეღო, როგორც ცენზურა უბრძანებდა. თუ არა და ნაწარმოები სამუდამოდ გამოუქვეყნებელი დარჩებოდა. „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე“¹², — წერს აკაკი წერეთელი. ცენზურის მიერ ძლიერ დამახინჯდა ილიას „შინაური მიმოხილვა“, პოემა „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, „ქართვლის დედა“ და სხვა. აი რას წერს იგი თავის ერთ-ერთ წერილში კირილე ლორთქიფანიძეს: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს მაგრამ არ გიგზავნი, რადგან ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს ამიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“¹³.

ქართველი მწერლები ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხს, ოღონდ მათი ნაწარმოებები გამოქვეყნებულიყო. „ბევრს ჩემს ნაწერებს, — წერს ვაჟა, — ცენზურის თვალის ასახვევად განგებ ვუწერდი: „ძველისძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“, „თქმულებანიო“ იმ მოსაზრებით, რომ დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო“¹⁴.

როდესაც აკ. წერეთელმა გადაწყვიტა „თორნიკე ერისთავის“ დაბეჭდვა, იგი, როგორც წესი, ცენზურას წარუდგინა. ცენზურამ შესავლის 12 სტრიქონი („შვიდ სამთავროს მოგვაგონებს“... აქედან ბოლომდე) ამოიღო და ასე უსრულად დაბეჭდა 1884 წელს; 1898 წელს პოეტმა ცენზურისაგან ფარულად ამ აკრძალული 12 სტრიქონიდან მარტო პირველი ოთხი სტრიქონის დაბეჭდვა მოახერხა. მხოლოდ 1956 წელს პირველად გამოქვეყნდა ამ დიდებული პოემის შესავლის სრული სახე¹⁵.

მეფის ცენზურა დაუნდობელი და მკაცრი იყო. იგი სასტიკად დევნიდა მას, ვინც მის ჩარჩოებს გარეთ დაიწყებდა ბეჭდვას. ამიტომ არ-

¹² აკაკი წერეთელი, დრამატული ნაწერები ლექსად, 1956, გვ. 381.

¹³ ი. კავჭავაძის წერილები, I, 1949, გვ. 29.

¹⁴ სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 403.

¹⁵ აკ. წერეთელი, პოემები, 1956, გვ. 367—368.

ის, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ბევრი კლასიკური ნაწარმოები გაუბედავად და შეზღუდულად იბეჭდებოდა. ამჟამად ასეთი ნაწარმოებები დიდ სირთულეს ქმნიან ტექსტოლოგიურ მუშაობაში. მათში არ ჩანს შემოქმედის ნამდვილი სახე, რაც აკადემიური გამოცემისათვის აუცილებელია. ამ შემთხვევაში ტექსტოლოგს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს ავტოგრაფი, რომელიც ნაბეჭდ ტექსტს აბსოლუტურად სხვა სახესა და მიმართულებას აძლევს. ავტოგრაფების უქონლობის გამო, მიემართავენ ისე ნაბეჭდ წყაროებს. ამ დროს ყველა ნაბეჭდი წყარო საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი, ერთმანეთთან შედარებული და ქრონოლოგიურად დალაგებული, რის შედეგადაც შეძლებისდაგვარად შეირჩევა ძირითადი ტექსტი და შეივსება სხვა წყაროებიდან. აქ უკვე დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩანაწერების, გეგმების, დღიურებისა და პირადი მიმოწერების გაცნობას.

საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ ნაბეჭდ წყაროზე, როგორც ითქვა, ავტორის მონაწილეობით გამოცემული ტექსტი გვაქვს მხედველობაში. მაგრამ შეიძლება მწერალი არავითარ მონაწილეობას არ იღებდეს ტექსტის გამოქვეყნებაში (იხ. ლევ ტოლსტოის მაგალითი), მაშინ ასეთი გამოცემები წყაროდ არ ჩაითვლება, რადგანაც, მაგალითად, ლ. ტოლსტოი მხოლოდ პირველი გამოცემების მონაწილე იყო, ნაბეჭდ წყაროებად მხოლოდ პირველი გამოცემები ჩაითვლება, დანარჩენი — არა.

თუ მხოლოდ ერთადერთი ნაბეჭდი გვაქვს და სხვა არაფერი, მხედველობაში უკვე აღარ მიიღება, ავტორის მონაწილეობით გამოვიდა იგი თუ არა. ჩვენ იძულებული ვართ ეს ერთადერთი ნაბეჭდი წყაროდ ვაღიაროთ და ძირითად ტექსტადაც გამოვიყენოთ.

როდესაც არ არის ცნობილი ავტორის მონაწილეობა გამოცემაში, შეიძლება ეს გამოცემაც წყაროდ იქნეს მიღებული, თუ რასაკვირველია, სხვა გამოსავალი არ არის. აქ საჭიროა ტექსტის მიმართ ძლიერი კრიტიკული მიდგომა და გარკვევა—რა არის ავტორისეული და რა არა. ამაში ხშირად თვით მწერლების დოკუმენტური და საარქივო მასალები გვეხმარება. იშვიათია ავტორი, რომელსაც თავისი აღმფოთება და გულისწყრომა არ გამოეთქვა, როცა მისი ნაწარმოებები რედაქტორების თვითნებური ჩარევით გამოცემულა. მაგალითად, ბარნოვი ავადმყოფურად განიცდიდა, როცა ტექსტს მის დაუკითხავად ასწორებდნენ. იგი დიდ გულისტკივილს გამოსთქვამდა ამის გამო და სთხოვდა გამოემცემლებს, დაებეჭდათ ტექსტი ისე, როგორსაც თვითონ აწვდიდა მათ. ს. და თ. ბარნაველების გადმოცემით, როდესაც რომან „წოდებულენის“ „მნათობში“ (1929 წ. № 7) დაბეჭდილი ტექსტი გადასცეს ავტორს, მას ვეღარ უცვნია თავისი ნაწარმოები, ისე იყო დამახინჯებუ-

ლი. მეტი ნერვიულობისაგან მწერალი ავად გამხდარა და ერთი კვირის განმავლობაში ფეხზე ვეღარ წამოძდგარა. ვ. ბარნოვის ბინაზე დაკრულ არქივში ვნახეთ ეს გადაგვარებული ტექსტი, რომელზედაც ავტორს მიუწერია: „ნაწარმოები ხელახლად გადაკითხვასა და გაწორებას მოითხოვს“. რასაკვირველია, ასეთი ტექსტი ნაბეჭდ წყაროდ ვერ ჩაითვლებოდა მანამ, სანამ ავტორის მიერ ხელახლა არ ჩასწორდებოდა.

1894 წელს ვაჟა-ფშაველა „ჩეჩილის“ რედაქციას სწერდა: „გიკ-ზავნით მასალას ზოგ „კვალში“ დასაბეჭდათ და სხვასაც „ჩეჩილში“, ერთსა გთხოვთ, კორექტურას გაუფრთხილდით. უკანასკნელს „ჩეჩილი“-ს ნომერში ხუთი თუ ექვსი შეცდომაა კორექტურული სადაც უნდა იყოს—„ნუ დააღუბებ“ (გამპლევებ), სწერია—„დააღუბებ“, უნდა იყოს „ამირანს“, სწერია—„ამირან“-და სხვ. ლექსს ამისთანა შეცდომები ძალიან ამახინჯებს. ამასთან გთხოვთ უმორჩილესად ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწარმოებში ისე, როგორც მე ვხმარობ“¹⁶.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე მართებს ტექსტოლოგს ტექსტის გამოცემის დროს.

ნაბეჭდი წყაროდ ჩაითვლება, თუ ტექსტის ბეჭდვა ავტორის გარეშე მიმდინარეობს, მაგრამ ზუსტად იცავს ავტორის ნება-სურვილს; აგრეთვე თუ უკვე გამოცემულ ტექსტს თვით ავტორიც სავესებით დამაკმაყოფილებლად თვლის.

არის შემთხვევა, როცა გვაქვს ერთადერთი, სიკვდილის შემდეგდროინდელი ავტორის მიერ წინასწარ მომზადებული გამოცემა. ეს გამოცემა შეიძლება მივიღოთ ძირითად ტექსტად.

ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების სრულყოფილი შესწავლისათვის პირველ რიგში საჭირო და აუცილებელია სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა. როდესაც ტექსტოლოგს ხელთ აქვს ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო (ეს ყველაზე საუკეთესო შემთხვევაა), იგი მათ ალაგებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამის შემდეგ გამოცემელს შეუძლია შეარჩიოს ძირითადი ტექსტიც, თუ იცის უკვე ტექსტის დაწერისა და დაბეჭდვის ისტორია.

ტექსტი ბეჭდვის დროს ბევრის ხელში გაივლის: მთავარი რედაქტორის, პაუხისმგებელი რედაქტორის, გამომცემელი რედაქტორის, კორექტორების (სტამბის, გამომცემლობის) და ა. შ. ამათგან თითქმის ყველა თავისებურად ცდილობს მის დახვეწა-შესწორებას ლექსიკური, გრამატიკული თუ სტილისტური თვალსაზრისით. სწორედ ამ პროცესში იცვლება ტექსტი, აქ უხვევს იგი გვერდს ავტორის ნებას და ჩამრევთა სურვილისამებრ სწორდება. ეს არის მიზეზი ნაბეჭდი ტექსტის დამახინჯებისა.

¹⁶ ს. ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 305.

შეუგნებელი, თავისდაუნებურად დაშვებული შეცდომა შეიძლება მოუვიდეს კორექტორს, სტამბის მუშაკს. ის აშკარა ხდება ტექსტის ერთი გადაკითხვის დროსაც კი. მაგალითად, ბევრი ასეთი შეცდომა გასწორდა ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დროს. მანამდე, კერძოდ, „ფერად-ფერადში“ იბეჭდებოდა თ ი ვ ა, იგი მართებულად გასწორდა სიტყვად თ ა ე ი. ანევე:

იბეჭდებოდა	გასწორდა
კალათებით	კალთებით
ღვიძლი	ღვიძილი
ჰმადლობა	ჰმადლობდა და მრ. სხვა.

ზოგჯერ ტექსტში გამოქვეყნებულია მთელი რიგი სიტყვებისა, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის. ეს უკვე სტამბისმიერი შეცდომაა. მაგალითად, ვ. ბარნოვის მოთხრობის „აჩრდილი სიკვდილისა“ გამოცემაში („სახალხო გაზეთი“, 1913 წ.) ვკითხულობთ: „... მხოლოდ იმისათვის, რომ დაემცირობინა მათი ყოფა-ცხოვრება“, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის. ავტოგრაფთან შედარებისას გაიჩვენა, რომ აქ გამოტოვებულია მთელი წინადადება, რის გამოც ტექსტი მახინჯდებოდა... კერძოდ: „მხოლოდ იმისთვისა სთქვა, რომ ეთქვა რამე, ხმა ამოელო და არა იმისთვის, რომ დაემცირობინა მათი ყოფა-ცხოვრება“.

იმავე მოთხრობაში ვკითხულობთ: „სისხლის გემო ჰქონდა საზარელი“. გასწორდა ასე: „იგი იყო სამყოფი, უყვედური, იველიანი. იქ სხვისი ოფლის სუნი არ ასდიოდა სანოვავეს, სისხლის გემო არ ჰქონდა საზარელი“. ბეჭდვის დროს არ გამოუტოვებიათ, რის გამოც აზრი მთლიანად დამახინჯდა.

„ტკბილ ღუღუქში“ („ტფილისის აჩრდილები“, 1929, გვ. 109) ვკითხულობთ: „—მართალსა ბრძანებთ!—მიუვუგ მე—ეხლა სიმდიდრეს უფრო მეტი ძალა აქვს და პატივი, ვიდრე კეთილშობილებას; ფული ძალაშია და იმოწმებს ყველას და ყოველსავე“. მკითხველისთვის გაუგებარი იყო ეს წინადადება, რადგანაც მას წინა არ უძღვის არაფერი ისეთი, რომელსაც ასეთი პასუხი გაეცემოდა. თურმე ბეჭდვის პროცესში ამ წინადადების ზემოთ მთელი წინადადება გამოუტოვებიათ. ეს დადასტურდა მისი ავტოგრაფთან შედარებით, სადაც ვკითხულობთ: „თავი მაღლა აიღო.—თქვენ, ყმაწვილო, კარგ ხელობას დასდგომიხართ: დახელოვნდებით ვაჭრობაში და შეიქმნებით სოვდაგარი მდიდარი—შეაქო ახალგაზრდა“. ამას კანონზომიერად მოაღწევს ზემოთ მოყვანილი პასუხი, რაც რასაკვირველია ტექსტს გასაგებს ხდის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და მსგავსი შესწორება შევიდა ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში.

ამგვარი შეცდომების დაშვება, აგრეთვე გამომცემლების თვითნებური ჩარევა დღესაც არც თუ ისე იშვიათია ტექსტის გამოცემა-ს დროს, რაც დიდ უსიამოვნებას იწვევს მწერალსა და გამომცემლებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომების დასაძლევად საჭიროა ტექსტოლოგის დიდი პასუხისმგებლობა გამოსაცემი ტექსტის მიმართ. მით უფრო ნაკლებად გაეპარება მას შეცდომები, რამდენადაც ზედმიწევნით კარგად ეცოდინება მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია, მწერლის წერის მანერა. ამასთან ერთად, ტექსტოლოგი ვალდებულია კარგად იცნობდეს ყველა იმ საფეხურს, რასაც ესა თუ ის ნაწარმოები გავლის ბეჭდვის პროცესში.

და ბოლოს, ნაბეჭდი წყაროებიდან უნდა გამოირჩეს ე. წ. ავტორიზებული წყაროები. ეს პირველყოვლისა ეხება რჩეულებსა და კრებულებს, რადგანაც მათში შედის არა ერთი, მთლიანი ნაწარმოები, არამედ რამდენიმე. როდესაც კრებული გამოდის, ავტორმა შეიძლება მას გადახედოს, ჩაასწოროს და კორექტურა გაუკეთოს შიგ მთავსებულ ყველა ნაწარმოებს—ეს ავტორიზებული გამოცემაა. მაგრამ არის გამოცემა, სადაც მხოლოდ ერთი ტექსტია ავტორიზებული ე. ი. ავტორის მიერ უშუალოდ მხოლოდ ერთი ტექსტია შემოწმებული, დანარჩენი კი არა. ასეთ გამოცემას რასაკვირველია მთლიანად ავტორიზებულს ვერ ვუწოდებთ, ამიტომ აუცილებელია ტექსტოლოგმა განასხვაოს მთლიანი ავტორიზებული გამოცემა ნაწილობრივი ავტორიზებული გამოცემისაგან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ნაბეჭდ წყაროდ ითვლება ისეთი ტექსტი, რომლის გამოქვეყნებაშიც ავტორი უშუალოდ მონაწილეობს.

აკადემიური გამოცემისათვის, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, აუცილებელია ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების მაქსიმალურად შესწავლა. ეს წყაროები ერთადერთი საფუძველია ტექსტის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემისათვის.

ატრიბუციის საკითხები

1861 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სწერდა თავის მეგობარს:

„საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიო!

აი ამ სტატიასა¹ გიგზავნი, ჩვენი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშქარაო არავისთან, ხელალებით არავისთან, იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს² ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორს არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჭერე ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბერიძე³ მართალი გვარია და არა გაზოგონილი...“⁴—ეს ამონაწერი ჩვენს მიერ განსახილველი საკითხისათვის მრავლისმთქმელია. ისტორიამ ილიას ამ წერილთან ერთად მრავალი სხვა დამადასტურებელი ცნობა შემოგვინახა იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო. მაგრამ დავუშვათ ჩვენამდე არ მოელწია არავითარ ცნობას, დამადასტურებელ საბუთს ამ სტატიის დამწერზე? მაშინ, აუცილებელია, მკვლევართა წინაშე წამოიჭრებოდა თავსატეხი ამოცანა: განსაზღვრულიყო, დადგენილიყო მისი ავტორის ვინაობა.

¹ იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის სტატია — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“, იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 7—27.

² კერესელიძე ივანე (1829—1893) ეურნ. „ცისკრის“ რედაქტორი.

³ ზუმბერიძე — ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყო.

⁴ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961, გვ. 23, წერილი ილ. წინამძღვრიშვილისადმი.

ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორობის დადგენა ფილოსოფიური მეცნიერების ურთულესი დარგია და მისი გადაწყვეტა მრავალი საჭოკმანო საკითხის სკრუპულოზურ შესწავლას მოითხოვს. იყო დრო, როდესაც ავტორები თავიანთ ნაწერებს პერიოდულ პრესაში უმთავრესად ფსევდონიმებით ან ხელმოუწერლად აქვეყნებდნენ. ფსევდონიმების საილუმოების დაცვას კანონმდებლობა ითვალისწინებდა. ფსევდონიმის გახსნა, მისი გაშიფრვა ხშირად დიდი უსიამოვნების მიზეზი ხდებოდა, არაერთი სასამართლო პროცესი აღძრულა ამის თაობაზე. ასეთი შემთხვევა არაერთი იყო ჩვენს ცხოვრებაშიც⁵ მაგ. ექვთიმე თაყაიშვილი თავის „მოგონებებში“ წერს: „...ილიამ თუ რედაქციამ, არ ვიცი, თ. ჟორდანიას აიძულა გამოსულიყო სამედიკატორო სასამართლოში... შეიყარნენ წარმომადგენლები და თავმჯდომარედ ამოირჩიეს ნაფიცი ვექელი ალექსანდრე ჭყონია. დიდად პატიოსანი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე... მეორე დღესვე შედგა სასამართლო. მე და თ. ჟორდანიას მოგვთხოვეს, რომ ჩამოგვეყალიბებია: რა ბრალდებებს ვდებთ ერთმეორეს... ჟორდანიამ... გვერდი აუხვია ჩემს მთავარ ბრალდებას... და დაუმატა... თითქო მე ის ჩემს პოლემიკურ წერილში უდიერად მოვიხსენიე და მისი ფსევდონიმი „ე გ რ ი“ გავხსენი და ამით ვითომც დიდი ზიანი და შეურაცხყოფა მივაყენე ავტორს... სასამართლო, რომელსაც ესწრებოდა თითქმის მთელი თბილისის ინტელიგენცია, ორ კვირას გაგრძელდა... განჩინებაში გ) მუხლად აღნიშნული იყო: „საყვედური ბ-ნ ჟორდანიას ბ-ნ თაყაიშვილისადმი მიმართული, რომ მან ბ-ნ ჟორდანიას ფსევდონიმი გამოაქვეყნა უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან ბ-ნ თაყაიშვილზედ აღრე ფსევდონიმი გამოქვეყნებული ყოფილა“⁵. კარგი, რომ ორკვირიანი სამართალი ასეთი იოლი განჩინებით დამთავრდა, თორემ სხვა შემთხვევაში საქმის ვითარება უფრო გართულებულა (სიცოცხლის ფასადაც დამჯდარა).

ფსევდონიმი, კრიპტონიმი, ხელმოუწერლობა იცავდა მწერალს რეაქციული წრეების ღვევისაგან, იფარავდა ნაწარმოებს მიკერძოებულ შეფასებისაგან და აძლიერებდა მისდამი ინტერესს.

როგორც ცალკეულ, ასევე პერიოდულ გამოცემებში დიდი ხანია რავი იჩინა ავტორის ნამდვილი ვინაობის გამოუმჟღავნებლობის ტენდენციამ. ამ თვისებამ დიდი გაქანება ჰპოვა რუსეთის იმპერიაშიც, სადაც მკაცრი ცენზურული პირობების გამო აუცილებელი ხდებოდა ავტორის ნამდვილი ვინაობის საილუმოებით მოცვა, განსაკუთრებით ამ

⁵ ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატანე“, წიგნი 6, ნაკ. 1, 1952, გვ. 22—30; ფსევდონიმი „ეგრი“ „ივერიაში“ გახსნა მოსე ჭანაშვილმა.

ნაწერებში, რომლებშიც გატარებული იყო მთავრობის საწინააღმდეგო, ანტიბატონყმური და რევოლუციური ტენდენციები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თვით ქურნალების და გაზეთების რედაქციების, მათი გამომცემლების მიერ დაკანონებული ტრადიციული წესები, რამდენადაც ისინი (რედაქციები, გამომცემლები) უამრავ პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილს ათავსებდნენ თავინთ გამოცემებში ან საკვებით ხელმოუწერლად, ან ხელმოწერილთ ინიციალებით, ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით.

მკვლევართა მუშაობა ხელმოუწერელი ნაწარმოებების ავტორების ამოხსნის, გაშიფვრისა და დადგენის სფეროში მრავალმხრივია, რამდენადაც კვლევა-ძიების ხასიათი მჭიდროდაა დაკავშირებული ნაწარმოების ინდივიდუალურ თვისებებთან, ეპოქასთან, შექმნის ადგილთან და იმ სფეროს სპეციფიკასთან, რომელსაც იგი განეკუთვნება (მაგალითად, ხელოვნებაში დადგენა მხატვრის, მოქანდაკის, ხუროთმოძღვრის, ჰედური ხელოვნების ოსტატის, კომპოზიტორის ვინაობისა და ა. შ.). ამის გამო არაერთად განსხვავდებიან გზები, ხერხები, რომლებითაც მიდიან და ხელმძღვანელობენ, ერთი მხრივ, ხელოვნებისმკოდნეები, მეორე მხრივ, ლიტერატურის მკვლევრები.

ტექსტის ისტორიის, ბიოგრაფიული მასალის შესწავლა, არქივებისა და პერიოდულ გამოცემათა გულდასმითი გამოკვლევა, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი—აი, ამოცანები, რომლებიც გარღვეულად წამოიჭრებიან მკვლევართა წინაშე ატრიბუციის პრობლემის გადაწყვეტის დროს.

რა საკითხებს აუცილებელ შესწავლა-დამუშავებას მოითხოვს თანამედროვე ტექსტოლოგიური მეცნიერება მკვლევარისაგან ავტორობის დასადგენად? როგორია ის ხერხები, პრინციპები და მეთოდები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ატრიბუციის (ლათ. attributio—მიკუთვნება, მიწერა) პრობლემით დაინტერესებულმა მკვლევარმა?

ტექსტის გამოცემის დროს ყოველთვის ღებბა საკითხი ავტორის შესახებ.

ავტორობის საკითხი ცალკეული ნაწარმოებების მიმართ წამოიჭრება, ვინ იყო სინამდვილეში ავტორი, როგორია მისი ბიოგრაფია და სხვა. ჩვენ ვიცით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის რუსთაველი („დავჭე, რუსთველმან გავლექსე...“, „მე, რუსთველი ხელობითა...“ და ა. შ.). მაგრამ დღემდე მეცნიერებამ არაფერი იცის, თუ ვინ არის ამოფარებული ამ ფსევდონიმს. ამ საკითხზე რუსთველოლოგიაში მრავალი ჰიპოთეზა იყო წამოყენებული, მაგრამ ყველა ჰიპოთეზა ჰიპოთეზად დარჩა სათანადო საბუთების უქონლობის გამო. რუსთაველის ვინაო-

ბისადმი მიძღვნილი მრავალი შრომიდან ერთი მონოგრაფიის ავტორი⁶ 40 წელზე მეტია ცდილობს „მათემატიკური სკრუპულოზურობით“⁷ დაგვისაბუთოს გენიალური პოემის ავტორის ვინაობა, მაგრამ ცლა უშედეგო ჩანს.

ავტორის ვინაობის დადგენა ძველ მწერლობაში გაცილებით რთულია, ვიდრე ახალ ლიტერატურაში. ძველ მწერლობაში მრავალი გაუგებრობა წარმოიშობა ხოლმე: როგორ გამოვყოთ, განვაცალკევოთ ერთი ავტორი მეორისაგან, ავტორი—კომპილატორისაგან, ეს უკანასკნელი —გადამწერისაგან, სხვადასხვა ნაწარმოები ერთიმეორისაგან. რა გზით შეიძლება დადასტურდეს ამა თუ იმ ავტორისათვის ნაწარმოების მიკუთვნება — მისი იდეურ-შინაარსობლივი ანალიზისა თუ სტილის მიხედვით.

ძველ მწერლობაში მრავალი ნაწარმოები კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამ ძეგლების შექმნაში მონაწილეობდა რამდენიმე ავტორი, რომლებიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და ნაწარმოებს თავისი პირადი შეხედულებებისა და ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად ავრცობდნენ, კვეცდნენ, ასხვაფერებდნენ (მაგ. ე. წ. მეტაფრასტული ძეგლები). ისიც ცნობილია, რომ მატრიანები წარმოადგენენ ადრეულ ნუსხათა შეკრება-გადამუშავებას, ამიტომ ცალკეულ ნაწარმოებთა ავტორობის დადგენაზე მუშაობა უკავშირდება მატრიანის ქრონოლოგიური შრეების სპეციალურ შესწავლას.

ცალკე ავტორების ვინაობის დადგენა დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ წინ უტყუარად ერთი ავტორის ნაწარმოებია და ძნელდება ავტორისეული ტექსტიდან არაავტორისეულის გამოყოფა (მაგალითად, რუსთაველი და მისი ინტერპოლატორები).

ნაწარმოების ავტორის ვინაობის განსაზღვრისას საჭიროა ჩატარდეს ყველა სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია მის ისტორიულ-ლიტერატურულ შესწავლასთან⁸.

ატრიბუცია ერთ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება (იქნება ეს ძველი თუ ახალი მწერლობა), იგი ემყარება დოკუმენტურ წყაროებს და მისი გადაწყვეტა ორი მიმართულებით წარიმართება: 1) ავტორის ვინაობის განსაზღვრა, თუ ნაწარმოები ანონიმურია და 2) დასაბუთება მიკუთვნებისა, თუ ნაწარმოები ხელმოწერილია.

⁶ პ. ი. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა, თბზულებანი, ტ. I, 1963, გვ. 59—148.

⁷ Г. Ахвледиани, Г. Маргвелашвили, Исследование биографии великого Руставели, «Вопросы литературы», 1965, № 6, стр. 66—67.

⁸ ატრიბუციის საკითხზე ძველ მწერლობაში დაწერილებით იხ. Д. С. Лихачев, Текстология. М.-Л., 1962, стр. 287—327; მისივე, Текстология, Краткий очерк, 1964, стр. 51—56.

გზები და ხერხები ავტორობის დადგენისა სხვადასხვაა. ჩვეულებრივ მათი კომპლექსური გამოყენება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოადგენს ატრიბუციის უტყუარ საწინდარს, მაგრამ ეს არ გამოირჩევა მკვლევართა არგუმენტებთან მიმართებას. ზოგჯერ ასეთი იქნება დოკუმენტურ წყაროებში დაცული ან თვით ნაწარმოების შინაარსში შემონახული ფაქტიური მონაცემები, ზოგჯერ შინაარსის იდეური ანალიზი და ტექსტის ფილოლოგიური კრიტიკა. ჩვეულებრივ ამა თუ იმ არგუმენტის ძირითადად გამოყოფა ნაქარნახევია ნაწარმოების ისტორიული ბედით, რომელშიც კანონზომიერი მოვლენების გვერდით, თითქმის ყოველთვის ვხვდებით ყოველგვარ შემთხვევითობას. სხვადასხვა მიზეზის, არაიშვიათად, შემთხვევითი მიზეზების გამო, შემონახულია ნაწარმოების ავტოგრაფი; გარკვეულმა ნაწილმა კი ჩვენამდე შეიძლება არც მოაღწიოს. ავტორის ვინაობის განსაზღვრის პროცესში შეიძლება გამოიყოს მომენტები, რომლებიც დამოკიდებულნი არ არიან არავითარ შემთხვევითობაზე. ესაა ძირითადი და დამატებითი არგუმენტების შეფარდება და აქედან გამომდინარე უეჭველი ან სავარაუდო მიკუთვნება ნაწარმოებისა ავტორისათვის. ძირითადად და გადამწყვეტად მიჩნეული უნდა იყოს ის არგუმენტი, რომელიც უცილობლად დაამტკიცებს ან უარყოფს ავტორობას. ამასთან აუცილებელი არ არის, რომ ეს გადამწყვეტი არგუმენტი წარმოადგენდეს დოკუმენტურ მოწმობას, მეორეხარისხოვანი დამხმარე მტკიცებანი უაღრესად საჭირონი არიან ავტორთა ვინაობის დადგენის დასკვნების განმტკიცებისათვის.

ატრიბუციის გადამწყვეტ არგუმენტებს წარმოადგენენ შემდეგი დოკუმენტური წყაროები: ყოველგვარი შემოქმედებითი დოკუმენტი—ავტოგრაფები, ასლები ავტორის სწორებებით, შავი მონახაზები, ჩანაწერები დღიურებში, უბის წიგნაკებში, მათ უერთდება დოკუმენტური მტკიცებანი, რომლებიც ეკუთვნის ავტორს (ავტორალიარება დღიურში, წერილში, ზეპირი გამოთქმები, თანამედროვეთა ჩანაწერები, საკუთარი ხელით აღნიშვნები წიგნებზე, ავტორთა მიერ შედგენილ საკუთარ ნაწარმოებთა სიები და ა. შ.).

ატრიბუციის დოკუმენტური წყაროების მეორე ჯგუფს შეადგენს ოფიციალური დოკუმენტები—შემონახულები საცენზურო, სარედაქციო არქივებში, გარეშე პირთა მოგონებებში.

ატრიბუციის საკითხი დგება იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც ვავრცელებულნი არიან ხელნაწერის სახით, აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებიც დაბეჭდილია ავტორის ხელმოწერადად, ნაკლებად ცნობილი ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით.

მთლიანი ხელმოწერა, აგრეთვე ხელმოწერა საყოველთაოდ ცნობილი ფსევდონიმით (ე. ნინოშვილი, ი. ევლოშვილი, უიარაღო, შ. არა-

გვისპირელი, ი. გრიშაშვილი და ა. შ.), ან კრიპტონიმით წარმოადგენს უტყუარ მოწმობას ავტორისათვის ნაწარმოების მიკუთვნების სასარგებლოდ. მაგრამ აქაც არა ჯობთ ყოველთვის დაზღვეული შეცდომისაგან, მივანეროთ სავარაუდო ავტორს სხვა ავტორის ნაშრომები ან პირუტყუ მოქმედებას ჰქონდეს ადგილი.

ხელნაწერი, თუ ის ასახავს შემოქმედებით პროცესს, გვემსახურება უცილობელ მოწმობად ავტორის ვინაობის დადგენაში (ძველი მწერლობისათვის ეს ნიშანთვისება ნაკლებადაა დამახასიათებელი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შემოქმედებითი პროცესის ამსახველი დოკუმენტი—ავტოგრაფი იშვიათადაა შემონახული). ილიასა და აკაკის არქივებში შემონახულმა ავტოგრაფებმა არაერთი საინტერესო საკითხს მოჰფინეს შუქი. მაგალითად, „თერგდალეულის“ ხელმოწერით რამდენიმე პოლემიკური წერილი დაიბეჭდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოაზრებში“. პროფ. ს. ხუნდაძემ თავის დროზე გამოარკვია, რომ ექვთიმე წერეთლის პირველი პასუხი დაწერა კირილე ლორთქიფანიძემ, მეორე წერილის ავტორად (ამ წერილს ქვევით კვლავ შევეხებით) ს. ხუნდაძემ მიიჩნია აკაკი წერეთელი, ხოლო მესამისა („ახირებული ფურცელი“) გიორგი წერეთელი⁹. კირილე ლორთქიფანიძის ავტორობა დადასტურდა უტყუარი საბუთით; გარდა იმისა, რომ არსებობს ამ წერილის ავტოგრაფი, კირილე ლორთქიფანიძე პირად წერილში ივანე კერესელაძეს სწერდა: „...ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ, ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ მაგიერათ—“თერგ-დალეული“¹⁰. ასევე უტყუარი საბუთით დადასტურდა, რომ „ახირებული ფურცლის“ ავტორი იყო აკაკი წერეთელი¹¹. ასეთი ცნობების აღმოჩენა პირველხარისხოვანი საბუთია ავტორის ვინაობის დასადგენად. ავტოგრაფის აღმოჩენა იძლევა საშუალებას ვამხილოთ, გამოვამჟღავნოთ ყოველგვარი ბეჭდური მისტიფიკაცია. ავტოგრაფი უცილობელ საბუთად შეიძლება გახდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პალეოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზით დამტკიცებული იქნება მისი ავტორისეულობა.

ატრიბუციის ერთ-ერთ წყაროს შეადგენს ნაწარმოებთა ავტორისეული სიები (მაგ. ილ. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის მიერ შედგენილი საკუთარ ნაწარმოებთა სიები¹²). ამ მხრივ საგანგებო ყურადღების ღირსია ყოველგვარი ცნობა ავტოგრაფებში, მემუარებში, დღიურებში,

⁹ ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, გვ. 211—213.

¹⁰ ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1940, გვ. 212; კ. მ. ე. ე. ლ. ა. თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 67—126.

¹¹ იხ. ეურნ. „ცისკარს“ 1862 წლის მაისის ნომერი (დაცულია თსუ კ. კეკელიძის სახელობის ქართული ლიტერატურის კაბინეტში).

¹² „კვალი“, 1900, № 3, გვ. 48—51, გიორგი წერეთლის ნაწერების სია.

ავტორისეულ აღნიშვნებში წიგნის ეგზემპლიარებზე, პერიოდულ გამოცემებზე და ა. შ. მიხ. ჭავჭავაძის ცნობით, 1907 წელს გაზ. „ნაარში“ იგი „ა-ლი“-ს ხელმოწერით იბეჭდებოდა. ამავე ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები: „ხევისჭირი შეინძრა“ (1907, № 87), „შინაური ამბები“ (№ 204). 1908 წ. № 5-ში გამოქვეყნებული „შინაური ამბები“ ვაჟა-ფშაველას ნაწერებად იყო მიჩნეული (იხ. ვაჟას თხზულებათა გამოცემები), მაგრამ 1964 წ. გივი მიქაძემ გამოარკვია, რომ დასახელებული წერილების ავტორი ყოფილა ალექსანდრე ყიფშიძე¹³. ავტორის ვინაობის დადგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორიზებულ გამოცემებს. თუ ავტორს ნაწარმოები, რომელიც პირველად ხელმოუწერლად, ფსევდონიმით ან კრიპტონიმით გამოქვეყნდა, მოგვიანებით შეაქვს თავის თხზულებათა კრებულში, ამით იგი სწყვეტს ამ თხზულების ავტორობის საკითხს.

იმ ანონიმური ნაწარმოების ავტორობის განსაზღვრის დროს, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდნენ, დიდ როლს თამაშობს ამ გამოცემათა რედაქციების არქივების შესწავლა. ქარაერთი შემთხვევაა, როდესაც სტატია ხელმოუწერლად დაბეჭდილი, ხოლო ჟურნალის სარჩევში კი აღნიშნულია ავტორის გვარი ან ინიციალები. მაგალითად, 1870 წლის ივნისში ჟურნალმა „ცისკარმა“ დაბეჭდა წერილი „ვეფხისტყაოსანი“ (რუსთაველის პოემა), რომელიც ხელმოუწერელია, მაგრამ სარჩევის მიხედვით წერილის ავტორად ივ. კერესელიძეა დასახელებული¹⁴. ასევე ირკვევა, რომ კორესპონდენციის „ჭიათურის ახალგაზრდობის შეგებება აკაკისთან“, რომელიც ჟურნალში ხელმოწერილია ფსევდონიმით „დამსწრე“, ეკუთვნის ს. ჩაჩანიძეს¹⁵.

საგაზეთო და საჟურნალო წერილებში მრავლად ვხვდებით საინტერესო ცნობებს ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორების ვინაობის ამოსახსნელად. ნეკროლოგები, მიმოხილვითი წერილები უხვად იძლევიან ასეთ მასალას. ხშირია შემთხვევა, როდესაც გაზეთი ან მისი დამატება ხსნის ანონიმ ავტორს, მის ფსევდონიმს. მაგალითად, ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში უცნობი იყო ვინ წერდა წერილებს „სატურნის“ ფსევდონიმით. „სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატებას 1912 წლის 91 №-ში მოთავსებულია სატურნის ფოტოსურათი, რომლის წარწერაში იხსნება მისი ნამდვილი ვინაობა: სატურნი (ალ. აბაშელი). ამიტომ პერიოდიკის გულდასმით შესწავლა-შემოწმება აუცილებელი პირობაა ატრიბუციის გარკვევის დროს.

ავტორობის დასადგენად უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს საპო-

¹³ გ. მიქაძე, „ა-ლი“-ის ვინაობისათვის, „მაცნე“, 1966, წ. 1, გვ. 156—165.

¹⁴ ჟურნ. „ცისკარი“, 1870, ივნისი.

¹⁵ „კვალი“, 1895, № 2, გვ. 1.

ნორარო უწყისები და პერიოდიკის ნომრების მასალებზე ვილაციის მიერ (ასეთად ყოველთვის საქმის მცოდნე გვევლინება) მინაწერი ხელმოუწერელი წერილების ავტორების ვინაობის აღნიშვნით (გვარი, ფსევდონიმი, ინიციალი). ატრიბუციისათვის ასეთ შემთხვევებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „ივერიაში“ 1877-1898 წლებში ავტორის ხელმოუწერლად იბეჭდებოდა სტატიების სერია—„წერილები უცხოეთზე“. მათი ილია ჭავჭავაძისეულობა დადასტურდა „ივერიის“ სათანადო ნომრებზე მიწერილი ინიციალებით: „ი.“, „ი. ჭ.“, „იჭ-ძე“¹⁶.

კ. მარქსის სახელობის საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში დაცული¹⁷ 1913 წლის გაზეთ „ახალი აზრის“ კომპლექტში მის ყოფილ რედაქტორ-გამომცემელს თ. კეკელიძეს ფსევდონიმების, კრიტიკონიმების და ხელმოუწერელი წერილების გასწვრივ ფანქრით მიუწერია ავტორების ვინაობა. მაგალითად: პ. ოდიშელი — პეტრე ჭილაძე (№ 1), დამსწრე—თ. კეკელიძე (№ 3), იქაური—რევაზ ბერუქაშვილი (№ 4), ახალი—თ. კეკელიძე; ნ. ჭ.—კოლია ჭანკვეტაძე (№ 5), თ. მინაღორიძე—თ. კეკელიძე, ხელმოუწერელი მეთაური წერილის ავტორად მიწერილია—თ. კეკელიძე (№ 9), СОННЕСЬ—თ. კეკელიძე (№ 14), ხანი—მიხ. ხერხეულიძე (№ 16), საბაშოელი—სამსონ ღონღაძე (№ 17), აჩრდილი—კოლია ჭანკვეტაძე (№ 20), ვანო მწუხრიშვილი—ვანო ჯულელი (№ 21), შენი კაი ბიჭუქელა—ვასო ურუშაძე (№ 22, 28), შეთე—არჩილ შათირიშვილი (№ 24), სევა—სევერიან თალაქვაძე (№ 29), დ. მიწიშვილი—დ. დოლიძე (№ 35) და სხვა.

1862 წელს ჟურნ. „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიანზე“, თერგდალეულის ხელმოწერით. სიმონ ხუნდაძემ ამ სტატიის ავტორად მიიჩნა აკაკი წერეთელი¹⁸. 1953 წელს პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია „ცისკრის“ 1862 წლის კომპლექტს (დაცულია საჯარო ბიბლიოთეკაში), რომელსაც ფსევდონიმების გასწვრივ მოეპოვება მინაწერები წითელი ფანქრით. ეს მინაწერები საქმის მცოდნეს ეკუთვნის, რომელსაც ზემოთ დასახელებული ავტორი ასე აქვს გახსნილი: „სამ. აბაშიძე“¹⁹. შემდეგმა კვლევამ დაადასტურა, რომ წერილის ავტორი არის სამსონ აბაშიძე (1853—1894)²⁰.

¹⁶ ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IX, 1957, გვ. 319—320.

¹⁷ მხარეთმცოდნეობის კაბინეტი.

¹⁸ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები, 1941, გვ. 213.

¹⁹ ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VII, 1956, გვ. 511—512.

²⁰ სამსონ აბაშიძე, ნაწერები, სოლ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, 1958; ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, 1, 1955, გვ. 431; ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მეოთხე თერგდალეულის ნაწერები, „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 9.

ავტორობის დადგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვეთა ცნობებს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა წყაროში, ბიბლიოგრაფიულ სიებში, ბეჭდურ გამოცემებში, ხელნაწერ კრებულებში, მიმოწერაში. ილია ჭავჭავაძის ავტორობა მრავალი წერილის მიმართ დასტურდება ხელნაწერი კრებულებით, რომელიც შედგენილი იყო გამოსაცემად წარსული საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა საგამოცემლო ამხანაგობის მიერ (კრებული დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში S № 5168—9). ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის ნაწერების სია შეადგინა გრიგოლ ყიფშიძემ. ამ სიას, რომელიც ილიას სიცოცხლეში იყო შედგენილი, ატრიბუციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ილია ჭავჭავაძის ჩვიდმეტი წერილის (1890—1900), რომელთა დედნები არ შენახულა და ამასთან არც „ივერიის“ კომპლექტებს სათანადო აღნიშვნებით მოუღწევიათ ჩვენამდე) ავტორობა დაადასტურეს „ივერიის“ ძველმა თანამშრომლებმა: არტემ ახნაზაროვმა, გიორგი ლაპხიშვილმა, თედო სახოკიამ და ილია ზურაბიშვილმა²¹.

ვაჟა-ფშაველას ახლო მეგობრის გრიგოლ ფშინაშვილის ჩანაწერებზე დაყრდნობით სოლომონ ლეკიშვილმა გააკრვია (თუმცა, როგორც სოლ. ლეკიშვილი აღნიშნავს, გ. ფშინაშვილზე აღრე, 1890 წლის 12 აგვისტოს, ალ. ფრონელს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს—„მამუკა—ვაჟა-ფშაველა—ლუკა რაზიკაშვილი), რომ ფსევდონიმები: „მაშუკა“, „შენი მარადის პატივცემელი მამუკა“, „შენი ერთგული მამუკა“ და „შენი კეთილის მოსურნე ექვთიმე“ ერთი და იგივე ავტორია, ვაჟა-ფშაველას, ლიტერატურული ფსევდონიმებია²².

ავტოალიარება თავისთავად ხსნის ყოველგვარ ძიებას. ვაზ. „დროების“ რედაქციისადმი მიწერილ წერილში²³ აკაკი წერეთელი მოითხოვდა: „გაზეთში გამოცხადდეს, რომ „ნოვოე ობოზრენიაში“ გამოქვეყნებული ჩემად გამოცხადებული სიტყვა მე არ მეკუთვნის“²⁴—ო. იაკობ გოგებაშვილმა არჩილ ჭორჩაძის საპასუხოდ აღნიშნა²⁵, რომ მას ეკუთვნის „ივერიის“ 1882 წლის მიმოხილვა, რომ იგი ავტორია მეორე მიმოხილვისაც, რაც მან სპეციალურად აღნიშნა 1910 წელს.²⁶

²¹ ი. ჭავჭავაძე, თბულებანი. ტ. VII, 1956, გვ. 511—512.

²² სოლ. ლეკიშვილი, ვაჟა-ფშაველას უცნობი პუბლიცისტური წერილები, „მნათობი“, 1969, № 1, გვ. 174—177.

²³ „დროება“, 1885, № 117.

²⁴ ლაპარაკია „ნოვოე ობოზრენიეში“ 1885 წლის 3 ივნისის ნომერში დაბეჭდულ კორესპონდენციამ.

²⁵ ა. ჭორჩაძის „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი ირი წერილის ავტორად ილია ჭავჭავაძე მიაჩნია.

²⁶ ი. გოგებაშვილი, ნაწერები, 1910, გვ. 20.

განუზომელია მემუარული ლიტერატურის წვლილი ანონიმურა ნაწარმოებების ავტორების დადგენაში. ი. მანსვეტაშვილის, ს. მაგალოზ-ლოშვილის, ე. თაყაიშვილის, მ. ხელთუბნელის, გ. ლასხიშვილის, ილ. ზურაბიშვილის, ი. გრიშაშვილის და სხვათა მემუარულ ნაწერებში არა ერთი ავტორის ვინაობაა გარკვეული (განსაკუთრებით ფსევდონიმების გახსნით). მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი ავტორებიც აღამიანები არიან და შეცდომათა დაშვება მათაც ძალუძთ, ამიტომ ცნობათა შემოწმება და მათი სისწორის დადასტურება აუცილებელია.

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ თვით ხელმოუწერილი ნაწარმოების ტექსტში ამოვიკითხოთ მეტად საგულისხმო მონაცემები ავტორის ვინაობის შესახებ. ავტორი არაიშვიათად გვაცნობს ფაქტებს თავის ბიოგრაფიიდან რომელიმე საკუთარ ნაწარმოებში. ეს კი იძლევა საშუალებას, ზოგჯერ ამოვკრიბოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ ეპოქასა და სოციალურ წრეს ეკუთვნოდა ავტორი, სად და როდის დაიბეჭდა, სად იყო, ვის ხვდებოდა, რა ლიტერატურას იცნობდა და ა. შ. განა ძეგლში არსებული რეალიებიდან არ დასტურდება, რომ „წამებაჲ შუშანიკისაჲ“—ს ავტორი არის იაკობ ზუცესი და მასთან დაკავშირებული სხვა საინტერესო საკითხებიც²⁷. ასევე ძეგლში არსებული ცნობებით დადგინდა, რომ „აბოს წამების“ ავტორი არის იოანე საბანისძე, რომელიც დაახლოებული მეგობარი ყოფილა აბოსი და სამოელ კათალიკოსის თხოვნა-დავლებით დაუწერია მას ეს მარტილობა²⁸. ბოლო დრომდე გაურკვეველი იყო გაზ. „დროების“ 1866 წლის პირველი ნომრის მეთაური წერილის ავტორის ვინაობა. 1958 წ. გ. აბზიანიძემ აღნიშნა, რომ დასახელებული მეთაური წერილის ავტორი არის სტეფანე მელიქიშვილი²⁹.

ატრიბუციის დროს ცნობილი ფსევდონიმების პარალელურად უნდა დაიძებნოს და გაიშიფროს მწერლის სხვა ფსევდონიმებიც³⁰.

ქართველ მეცნიერთა მიერ დიდი საკვლევადიებო სამუშაოებია ჩატარებული ანონიმ ავტორთა ვინაობის დადგენისა და ფსევდონიმების

²⁷ დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 101—109; ილია აბულაძე, იაკობ ტურტაველი, 1938, გვ. 20—27.

²⁸ კ. კეკელიძე, ტ. I, 1951, გვ. 113—116.

²⁹ იხ. ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. 7, 1958, გვ. 367.

³⁰ ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების გახსნის ერთ-ერთი პიონერთაგანი ჩვენში ალ. ხახანაშვილი იყო. იხ. მისი ქართული სიტყვიერების ისტორია. 1917, გვ. 339—335.

ამოხსნის საქმეში³¹. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით დღესაც ბევრია გასარკვევი და დასადგენი. დღემდე ქართულ ენაზე არ მოიპოვება მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც დაინტერესებულ პირთ საგარძნობლად გაუადვილებდა მისთვის საძიებელი ავტორის ვინაობის დაძებნას³². მართალია, ა. ჯორჯაძის, გრ. ყიფშიძის, გ. თუმანიშვილის, ს. ხუნდაძის, ვ. კოტეტიშვილის, მ. ზანდუკელის, პ. ინგოროყვას, ს. გორგაძის, ალ. აბაშელის, ი. გრიშაშვილის დ. გამეზარდაშვილის, გ. აბზიანიძის, ლ. ასათიანის, ს. ხუციშვილის, ჯ. ჭუმბურიძის, ი. ბოცვაძის და სხვათა შრომებში გახსნილი და გაშიფრულია XIX და XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მრავალი ფსევდონიმი და ანონიმი, მაგრამ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა ამომწურავი არ არის. მაგალითად, დღემდე მიჩნეული იყო, რომ გიორგი წერეთლის ფსევდონიმები სისრულით იყო გამოვლენილი, მაგრამ როგორც ც. ყიფშიძემ გამოარკვია, მისი ფსევდონიმი ყოფილა აგრეთვე „ერთი კომისიის წევრთაგანი“. ამ ფსევდონიმის ხელმოწერით დაიბეჭდა გ. წერეთლის წერილის „რა დანიშნულება უნდა მიეცეს იმერეთის თავადაზნაურობის კაპიტალს“ პირველი ნაწილი „კვალში“ (1898, № 17, გვ. 265), წერილის გაგრძელება კი დაიბეჭდილია იქვე (№ 19, გვ. 297) გ. წერეთლის ხელმოწერით. დიდი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური თხზუთმეტრომეულის გამოცემით. მისმა გამოცემელებმა შესაძლებელი სისრულით გამოავლინეს აკაკის მიერ ხმარებული ფსევდონიმები ქართულ და რუსულ პერიოდიკაში, მაგრამ ჩანს მუშაობა ამ მხრივ დასრულებული არ არის. უკანასკნელ ხანებში დადგინდა აკაკი წერეთლის უცნობი ფსევდონიმი — «Гурджи огли»³³. ამ ფსევდონიმით გაზეთ «Тифлисский Вестник»-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის წერილები: «Из Лазистана»³⁴ და «Неколько слов по поводу

³¹ იხ. „წიგნების მატანე“, I, „ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია)“, I, II, „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, I, II, III, IV; გ. ბაქრაძე, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“; ვლ. ჯოჯუა, „მნათობის ბიბლიოგრაფია“; ტ. კასრაძე, „პირველი ქართული გაზეთის ბიბლიოგრაფია“ და სხვა, რომლებშიც ამოხსნილია მრავალი ავტორის ვინაობა.

³² ამ აქტუალური საკითხის მიმართ ყურადღება გაამახვილა ა. აბრამიშვილმა წერილი — „ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების შესახებ“ (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 11), ცალკეული პირები (ლენინგრადში — ა. აბრამიშვილი; თბილისში — გ. მიქაძე) მუშაობენ ფსევდონიმების ლექსიკონების შედგენაზე. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სსრ ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია გ. ბაქრაძის გამოუქვეყნებელი „ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ლექსიკონი“.

³³ Л. Ч и к о в а н и, Неизвестный псевдоним Акакия Церетели, «Литературная Грузия», 1966, № 6, стр. 60—69.

³⁴ «Тифлисский Вестник», 1874, № 128 (22—12).

якобы религиозной реформы у Магометан»³⁵ და ა. შ., რომლებიც შეტანილი არ არის მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში.

ამჟამად დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობს მუშაობა ილია ჭავჭავაძის უცნობი ფსევდონიმების დადგენაზე და ზოგი ადრე ცნობილი ფსევდონიმის დაზუსტებაზე, მაგალითად: „ივერიელი“, „თქვენი თანა-შრომელი“³⁶. უმართებულოა მტკიცება თითქოს „ჩიტორელიძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყოს.³⁷ სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონი-მით მიხვილ ზაალის ძე ყიფიანი წერდა ილიას სიცოცხლეში. ილიას რედაქტორობით გამოსულ „ივერიაში“ მოთავსებულ მ. ყიფიანის ნეკროლოგში ვარკვევით იკითხება: „1863 წელს ეურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაჯბეჭდა წერილები ჩიტორელიძის სახელით ხელმოწერილი... 1886 წლიდან იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში მისი წერილები თადეოზთან მიწერილი... ზემოხსენებული ფსევდონიმი იმითვე (ჩიტორელიძე—ი. ლ) ხელმოწერილი“³⁸.

მიმდინარეობს მუშაობა უახლესი მწერლობის წარმომადგენლე-ზის (მთ შორის საბჭოთა მწერლების) ფსევდონიმების, კრიპტონიმების, ხელმოუწერიელი წერილების ავტორების გახსნა გაშიფვრაზე³⁹. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ შემთხვევაში თვალში საცემია საკითხის მარტივი გადაწყვეტა ანონიმური ნაწარმოების სავარაუდო ავტორისათვის მიკუთვნების დროს. მაგალითად, თამარ მაჭავარიანი წერს: — „ამ

³⁵ „Тифлисский вестник“, 1874, № 98 (10, X).

³⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951, გვ. 400; ტ. III, 1953, გვ. 503.

³⁷ ა. ლ. კალანდაძე, საქართველოს მოამბე, 1963, გვ. 40—50. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრის ფილოლოგიური ძიებანი მის მონოგრაფიებში, ფსევდონიმებისა და ანონიმების გარკვევისას, მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას.

³⁸ „ივერია“, 1891, № 4მ (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.). ცხადია, ცოცხალი ილია თავის თავზე ნეკროლოგს ვერ დაწერდა.

³⁹ იხ. იოსებ ლორთქიფანიძე, ვალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, „მეცნიერება“, 1965, გვ. 51—62; გ. მიქაძე, — ფსევდონიმების ლექსიკონი“ (რუსთველოლოგიური ლიტერატურისათვის), თბილისი, 1966; ა. აბრამიშვილი, გიორგი ქუჩიშვილის ფსევდონიმებისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 29; მისივე, ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1965, № 57; მისივე, ფსევდონიმების კვლადკვალ (ქოლა ლომთათიძის ფსევდონიმები), „ცისკარი“, 1966, № 6; მისივე, ი. იმედაშვილის ფსევდონიმები, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 8; გ. მიქაძე, იოსებ იმედაშვილის ფსევდონიმების შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 42.

ტომში ისევე, როგორც წინა ტომებში, იმ ხელმოუწერელ სტატიებს, რომლებიც ჩვენ ი დაკვირვებით ი. ჰავეჰაჰის კალამს ეკუთვნის, მარტივად მივაწერეთ ავტორის ვინაობა⁴⁰, ცოტა ქვევით ვკითხულობთ: „პლატონ კეშელავამ გააკვია, რომ „ივერიაში“ დაბეჭდილი 7 ხელმოუწერელი წერილის ავტორი არის ილ. ჰავეჰაჰი...“⁴¹. თ. მაჭავარიანი მიზანშეწონილად არ თვლის მკითხველი დააჯეროს, დაარწმუნოს, აჩვენოს რა არის „დაკვირვების“ საფუძველი, რომელიც იძლევა საბაბს მივაწეროთ ანონიმურ წერილს ავტორი (მათ უმეტეს „მარტივად მიწერა ავტორის ვინაობისა“). ატრიბუციის ქეშე-მარტივების კრიტერიუმად წარმოგვიდგება ხელმოუწერელი ნაწარმოების ისტორიული და ფილოლოგიური ანალიზი, რომელიც დაკვირვებებს მოპოვებული დოკუმენტების ავტორიტეტულობას, მისი შინაარსის მართებულ ინტერპრეტაციას. ამიტომ დოკუმენტური მოწმობის ძიებამ არ უნდა მიგვიყვანოს დოკუმენტის ფეტიშირებამდე⁴².

ატრიბუციის საერთო კომპლექსში დამოუკიდებელ საკითხებად (პირობით) შეიძლება გამოვყოთ: ა) ატრიბუცია ნაწარმოებში შინაარსის იდეური ანალიზის მეშვეობით და 2) ენისა და სტილის ანალიზი, როგორც ატრიბუციის საშუალება.

ატრიბუციის გარკვევის დროს ტექსტოლოგის წინაშე ხშირად დგება კითხვა: შეეფერება თუ არა ხელმოუწერელი ნაწარმოების იდეური სისტემა სავარაუდო ავტორის მსოფლმხედველობასა და შეხედულებებს? საკითხის ასეთი დაყენების დროს მკვლევარი უნებურად, აუცილებლად აღმოჩნდება იმის წინაშე, რომ მან ღრმად გააანალიზოს მისთვის საინტერესო ნაწარმოების იდეური და თემატური მიმართულება, გეგმაზომიერად შეუპოვდეს ანალიზის შედეგები სავარაუდო ავტორის პოზიციას. ასეთ შემთხვევაში კვლევა-ძიების ცენტრშია თვით ნაწარმოები და დასკვნები ავტორის შესახებ კეთდება მისი ტექსტის ანალიზის საფუძველზე. ანალიზს ჩვეულებრივ რამდენიმე ასპექტი გააჩნია. ნაწარმოები შეიძლება გაანალიზდეს მისი თემატიური და იდეური მიმართულების გახსნის თვალსაზრისით, ფაქტიური ხასიათის ცნობათა გამოვლენით, ავტობიოგრაფიული მონაცემებით და ბო-

⁴⁰ ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. IV, 1965, შესავალი წერილი (დაყოფა ჩვენა ი: ლ.).

⁴¹ იქვე, გვ. 18.

⁴² ლიტერატურული ნაწარმოების ატრიბუციის დოკუმენტური წყაროები საკმაოდ დამაჯერებლად აქვს დამუშავებული ლ. დ. ოპულსკაიას (იხ. «Вопросы текстологии», выпуск II, 1960, стр. 9—51), რომლის დებულებები გაზიარებულია საბჭოთა ტექსტოლოგიაში (იხ. Д. С. Лихачев, Текстология, 1962, стр. 292—295; კრებული «Основы текстологии», М., 1962, стр. 189—200).

ლოს ენისა და სტილის, როგორც ფორმის, რომელიც განასახიერებს შინაარსს, შესწავლით; პრაქტიკულად ანალიზის სამივე მიმართულება ერთნაირად უნდა იყოს შერწყმული. 1956 წელს იოსებ ბოცვაძემ წერილში „ალექსანდრე ჭავჭავაძის უცნობი ლექსი“ თემატურ-იდეური, ფაქტიური ხასიათის ცნობათა ანალიზით დაადასტურა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ლექსის „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ ავტორია ალ. ჭავჭავაძე და დაასკვნა, რომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძნელად მოიძებნება მეორე ნაწარმოები, რომელშიაც ესოდენ მკვეთრად იყოს გამოვლენილი ავტორის მოქალაქეობრივი მოტივი. მართლაც, აღმოჩენილი ლექსი ბევრს მეტყველებს ალ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ასახსნელად.⁴³ 1895 წელს „ივერიაში“ (№ 194) დაიბეჭდა წერილი—„ტფილისი, 11 სექტემბერი“, რომელიც კრწანისის ომის 100 წლისთავს მიეძღვნა. იდეურმა და ენობრივმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ წერილის ავტორია ილია ჭავჭავაძე⁴⁴. ასევე დადასტურდა წერილის — „ნიკოლოზ ვასილის ძე შეღვჳნოვის“ („ივერია“, 1891, № 88) ილია-სეულობა⁴⁵ და ა. შ.

მეცნიერები, რომლებიც იყენებენ ასეთ ანალიზს ატრიბუციას დროს მას სხვადასხვა სახელწოდებას აძლევენ: მაგალითად, „შინაგან ნიშნებს“ (ბ. ბელინსკი)⁴⁶, „შინაგან ანალიზს ან არსებით ანალიზს“ (თ. ვიტიაზევი)⁴⁷, „ტექსტობრივი პარალელობის ხერხებს“ (ს. ბორ-შევსკი)⁴⁸, „სტილისტური ანალიზის მეთოდს და თემატურ დაახლოებას“ (ს. მიშკინი)⁴⁹, პოლონელმა ტექსტოლოგმა კ. გურსკიმ მას „შინაგანი კრიტიკის მეთოდი“ უწოდა⁵⁰.

ატრიბუციის საკითხში იდეურ შედარებათა შესახებ არსებულ შრომებში საბჭოთა მეცნიერებს (ვ. სპირიდონოვი, ს. ვენგეროვი, ვ. ვი-

⁴³ ი. ბოცვაძე, წერილები, 1956, გვ. 3—11; აგრეთვე, ი. ლორთქიფანიძე, ნარკვევები ჩვენი ლიტერატურის წარსულიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, № 37.

⁴⁴ სოლ. ხუციშვილი, ტფილისი 11 სექტემბერი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1965, № 114.

⁴⁵ შ. გოზალიშვილი, ილ. ჭავჭავაძე და რუსი პუბლიცისტი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957, 22/IX.

⁴⁶ В. Белинский, ПСС, т. XII, 1926, стр. XIII.

⁴⁷ Ф. Витязев, Сб. «Звенья», VI, М.-Л., 1936, стр. 756.

⁴⁸ С. Борщевский, М. Салтыков-Щедрин, Неизвестные страницы. М.-Л., 1931, стр. 5.

⁴⁹ С. А. Мишкин, Литературное наследство, т. 3, 1932, стр. 292.

⁵⁰ Konrad Gorski, Szluka edytorcka (Искусство издания), Warszawa, 1956.

ნოგრადოვი⁵¹, ნ. ბროდსკი, პ. ბერკოვი, ს. ბორშევსკი, თ. ვიტაზევი, ბ. კოზმინი, მ. ნეჩინა და სხვ.) ეყუთენით რიგი მნიშვნელოვანი აღმოჩენები, მათმა შრომებმა ხელი შეუწყვეს ატრიბუტიის პრობლემის თეორიული საფუძვლების კვლევას საერთოდ, იდეური ანალიზის საშუალებით კი კერძოდ⁵².

უკანასკნელ წლებში როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში დიდი ყურადღება ექცევა ენისა და სტილის ანალიზს როგორც ატრიბუტიის ერთ-ერთ საშუალებას. ვ. ვ. ვინოგრადოვი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: «Самое основное сложное и трудное в этом методе атрибуции — исторически оправданное, стилистически направленное и филологически целесообразное применение принципа избирательности характеристических речевых примет, индивидуального стиля»... და შემდეგ «Метод узнавания автора текста по характерным приметам его стиля требует точного ограничения индивидуально-типических примет от того, что имеет более широкое употребление в литературном обиходе того времени»⁵³.

ატრიბუტია ენისა და სტილის საფუძველზე ახალი მოვლენაა და მას უფრო ხშირად იყენებენ სპეციალურ შრომებში.⁵⁴ ქართულ ენაზე ენისა და სტილის საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური ნარკვევები არ არსებობს⁵⁵. მისაძალმებელია ცალკეული მწერლის ენის სპეციალური შესწავლა (მაგალითად, „გიორგი ერისთავის ენა“, „ვასილ ბარნოვის ენა“, „დავით გურამიშვილის ენა“⁵⁶ და სხვ.), რაც საშუალებას

⁵¹ მაგ. ვ. ვ. ვინოგრადოვს ეყუთენს ფუნდამენტური გამოკვლევები: «Проблема авторства и теории стилей», М., 1961, «Стилистика, теория поэтической речи, поэтика», М., 1963.

⁵² დაწერილებით იხ. Э. Л. Ефременко, Раскрытие авторства на основе анализа идейного содержания произведения, «Вопросы текстологии», М., 1962, стр. 201—207.

⁵³ В. В. Виноградов, Лингвистические основы научной критики текста, «Вопросы языкознания», 1958, № 2, стр. 21, 24.

⁵⁴ დაწერილებით იხ. М. П. Штокмар, Анализ языка и стиля как средство атрибуции, «Вопросы текстологии», в. II, 1960, стр. 100—145; Основы Текстологии, М., 1962, стр. 207—215.

⁵⁵ ამ მხრივ გამოჩენილი წარმადგენს გრიგოლ კიკნაძის მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია ზოგიერთი მწერლის ინდივიდუალური მანერისა და სტილის საკითხები (გვ. 205—328).

⁵⁶ იხ. ო. ურიდია, გიორგი ერისთავის ენა, იხ. გიორგი ერისთავი, თხზულებანი, 1966, გვ. 450—510; რ. კუსრაშვილი, დ. გურამიშვილის ენა და ლექსიკა, საღისერტაო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 1956 (დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), ელ. კოშოკიძე, ვასილ ბარნოვის ენა, თსუ გამომცემლობა, 1966; გიორგი შალაშვილი, ილ. ჭავჭავაძის ენა, თსუ გამომცემლობა, 1966.

იძლევა მწერლის კომპლექსური შესწავლისათვის. სიძნელე აქ იმაშია, რომ ენის განვითარების თავისებურება ეპოქის დაღს ასვამს მწერალს. ამიტომ ერთ გარკვეულ პერიოდში მყოფი მწერლები (ვთქვათ XX საუკუნის 20-იანი წლებისა) ენობრივ-გრამატიკული მონაცემების თვალსაზრისით ძნელი განსასხვავებელია, ამ შემთხვევაში აუცილებელია მწერლის ენის ინდივიდუალური თავისებურებების ამოცნობა და შესწავლა, რათა შესაძლებლობა გვქონდეს დავასკვნათ, სახელდობრ რა არის ის ინდივიდუალური, სპეციფიკური, რაც განასხვავებს გალაკტიონ ტაბიძეს იოსებ გრიშაშვილისაგან, გიორგი ლეონიძისაგან, ვალერიან გაფრინდაშვილისაგან, ტიციან ტაბიძისაგან; კონსტანტინე გამსახურდიას—ალექსანდრე ქუთათელისაგან, ლეო ქიაჩელისაგან და ა. შ. ამიტომაცაა, რომ ატრიბუციის პრობლემის გადაწყვეტისთვის, ენობრივი მონაცემების საფუძველზე, ინდივიდუალურობის გამოვლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (სტილი ამ თვალსაზრისით უფრო ფართოა)⁵⁷.

ენობრივი მონაცემებიდან ატრიბუციის მიზნებისათვის ყურადღებას იქცევს ე. წ. ენობრივი დუბლეტების გამოყენების ცდები. როგორც აღნიშნული იყო, ატრიბუციისათვის ენობრივ-სტილისტური ანალიზის გამოყენებისას მთავარია საატრიბუციო ნაწარმოების ენისა და სტილის კონკრეტული სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა და მათი შეპირისპირება ყველა სავარაუდო ავტორის ენისა და სტილის სპეციფიკურ ნიშნებთან. ამ კონკრეტულის გამოვლენის გარეშე ენობრივ-სტილისტური ანალიზის წარმოება შეუძლებელია ატრიბუციის პრობლემის გადაწყვეტა ენობრივ-სტილისტური მონაცემების საშუალებებით მეცნიერებაში დარჩება თეთრ ლაქად მანამდე, სანამ ამ მიზნით არ იქნება წამოყენებული ფართო კვლევა-ძიება სხვადასხვა ავტორების სტილის, სიტყვაზმარების, სინტაქსის, ფრაზეოლოგიის და ენის სხვა თავისებურებების კონკრეტულ-სპეციფიკური ნიშანთვისებების გამოსავლინებლად. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ავტორების მიერ სინონიმური, უფრო ზუსტად ენის დუბლეტური საშუალებების გამოყენება. პირველად ეს მეთოდი გამოყენებული იყო გერმანე-

⁵⁷ სტილი მეთოდოლოგიური ხასიათის ცნებაა. ხოლო ეს მეთოდოლოგიური ურთიერთობა ცალკეული მწერლის შემოქმედებაში გამოვლინდება თავისებურად, მისი პირადი ადამიანური თავისებურებების, ტალანტის, კულტურული დიაპაზონის, გონებრივი თვალთახედვის, ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით. იგი მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის კონკრეტული გამოვლენაა. ამიტომ სტილის ანალიზის გარეშე მხატვრული მეთოდის შესწავლა ყოველთვის არასრული იქნება, ხოლო მეთოდი ვლინდება კონკრეტულ მხატვრულ შემოქმედებაში. მეთოდში უპირველესად ყოვლისა გამოვლინდება ის, რაც აკავშირებს მწერალს სხვა მის. მონათესავე მწერალთან, სტილში არის ის ინდივიდუალური, რაც განაცალკევებს მას სხვისაგან.

ლი მკვლევარის ვ. დიტენბერგის მიერ პლატონის დიალოგების ატრიბუციის დროს. დიტენბერგის გზა განაგრძო კ. რიტერმა. რუსულ სინამდვილეში ეს მეთოდი პირველად ნ. ა. მოროზოვმა გამოიყენა (თუმცა უშედეგოდ). ჩვენს დროში ასეთი ექსპერიმენტები ჩატარებული აქვს ა. გრიშუნინს ბ. ბელინსკის, ნ. დობროლიუბოვის და სხვა გამოჩენილი ჟურნალისტების ხელმოუწერელი ნაწარმოებების მიმართ. მკვლევარის აზრით დუბლეტური შედარებითი კავშირის (Неужели и чем—в значении нежелли; надо, надобно; в, вши. или лучше сказаты, или лучше) სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულია (ა. გრიშუნინს საილუსტრაციოდ მოტანილი აქვს დიდი ცხრილები ა. გერცენის, ფ. კონის, ნ. ნადეჟდინის, ბ. ბელინსკის, ნ. ნეკრასოვის და სხვათა მიერ ენობრივი დუბლეტების ხმარებისა და ამ გზით თითოეულის კონკრეტულსპეციფიკურის დადგენა), რაც იძლევა საშუალებას იგი გამოყენებული იქნეს ატრიბუციის მიზნებისათვის⁵⁸. იმავე მკვლევარის აზრით, დასაშვებია ატრიბუციის მიზნებისათვის ორთოგრაფიული მონაცემების გამოყენებაც⁵⁹.

სტილისტური ანალიზი ყოველთვის არ იძლევა უდავო დასკვნებს ნაწარმოების ავტორის ვინაობაზე, ამის შესახებ სწორად შენიშნავს ბ. ვ. ტომაშევსკი: «доказать путем стилистических сопоставлений принадлежность произведения определенному автору гораздо труднее, чем эту принадлежность опровергнуть. Элементы сходства можно найти между любыми произведениями, особенно если они принадлежат одной эпохе или если какое-нибудь подделывалось под другое. На этих незначительных сходствах и строятся обычно заявления о принадлежности, в то время как аргументация противоположного исходит из общего анализа произведения, что всегда производит впечатление большей убедительности»⁶⁰.

ატრიბუციის საკითხის კვლევისას ყოველთვისაა დასაშვები ე. წ. *mutatis mutandis* (სათანადო შესწორებათა შეტანა).

⁵⁸ А. Л. Гришунин, Опыт исследования употребительности языковых дуплетов в целях атрибуции, «Вопросы текстол.», 1960, стр. 146—195.

⁵⁹ იქვე, გვ. 176—178.

⁶⁰ Б. В. Томашевский, Писатель и книга, 1959, стр. 195.

ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოსაცემად
მომზადება

ამა თუ იმ მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. პირადი წერილები გვეხმარება არა მხოლოდ ავტორის ბიოგრაფიის დეტალების დაზუსტებაში, არამედ მათი საშუალებით შეიძლება გაიკვეთს ბევრი ისეთი ფაქტიც, რომელიც სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება. იგი საშუალებას გვაძლევს ნათლად, თანამედროვის თვალით, დავინახოთ ის, რაც ან სრულიად უცნობია მეცნიერებისათვის, ან ნაწილობრივ და სხვაგვარად არის ცნობილი ოფიციალურ საბუთებში თუ მოგონებებში. ეპისტოლარული მემკვიდრეობა ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი მთხრობელია ავტორის დროინდელი ამბების უმრავლესობისა — ვამბობთ უმრავლესობისა, რადგან ზოგჯერ პირად წერილებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა ერთი ფაქტის შეგნებულ თუ შეუგნებელ დამახინჯებას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც ეპისტოლარული მემკვიდრეობა არის მისი ავტორის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. შესანიშნავად თქვა პ. ვიაზემსკიმ თავისი წერილების შესახებ: «Тут я весь налицо и наизнанку»¹.

პირად წერილებში შეიძლება გამოთქმული იყოს ავტორის თვალსაზრისი ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, საზოგადო მოღვაწეებზე, ნაწარმოების შექმნის ისტორიაზე, ამა თუ იმ წერილის ანონიმურ ავტორზე და მრავალ საინტერესო სხვა საკითხზე. ამიტომ აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემას. მაგრამ საკითხი, — აქვს თუ არა გამომცემელს უფლება მზის სინათლეზე გამოიტანოს და საზოგადოების განსჯისა და

¹ П. А. Вяземский, Записные книжки, 1963, стр. 174.

შეთასების საგანი გახადოს ის, რაც ავტორს არ შეუქმნია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, რაშიც მოცემულია მთელი მისი სულაერი სამყარო და ხშირად ყველაზე უნაზესი გრძნობები, — წლების მანძილზე დავასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა.

თუ ერთი მხრივ ზოგიერთებს (პუშკინს, ალ. ბლოკსა და სხვ.) ესმოდათ პირად წერილებში გამოთქმულ შეხედულებათა მნიშვნელობა და საჭიროდ მიიჩნევდნენ მის ბეჭდვას, მეორე მხრივ საზოგადოების დიდი ნაწილი სასტიკად ილაშქრებდა პირადი წერილების გამოქვეყნების წინააღმდეგ. მაგ. 1858 წელს დიდი აღშფოთება გამოიწვია პუშკინის წერილების გამოქვეყნებამ, რომლებიც სობოლევსკიმ დაბეჭდა ჟურ. „ბიბლიოგრაფიჩესკიე ზაპისკიში“. ეს წერილები მიწერილი იყო იმეამად უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი პუშკინის ძმის ლევ სერგეის-ძე პუშკინისადმი. ამ წერილების გამოქვეყნებამ სასტიკად აღაშფოთა პოეტის უმცროსი ვაჟი (გ. ა. პუშკინი) და სხვა მისი ახლობლები და ნაცნობები. ვიაზემსკიმ ამ ფაქტს პოეტის ხსოვნის შეურაცხყოფა უწოდა. იგი ამის შესახებ ერთ თავის წერილში წერდა: «Мало ли брат мог говорить наедине с братом; но из того не следует, чтобы он то же сказал на площади, а печать — та же площадь. Жена его, дочери, сыновья его еще живы: к чему раздевать его при них на-голо?»² ასეთივე აზრი გაიმეორა შემდეგ მან ოფიციალურ მოხსენებაშიც, რის გამოც საკმაო უსიამოვნება შეხვდათ ჟურნალის რედაქტორსა და ცენზორებს.

ცნობილია აგრეთვე, რომ 1863 წელს დიდად უსაყვედურებდა გაბრიელ სულხანიშვილი ანტონ ფურცელაძეს იმას, რომ მან ავტორისა და ადრესატის ნებართვის გარეშე „ცისკარში“ დაბეჭდა ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პირადი წერილიდან. ამის შესახებ გ. სულხანიშვილი „საქართველოს მოამბეში“ წერდა: „უფ. „ცისკრის“ რედაქტორო! ეგ წიგნი ჩემთან იყო მოწერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისგან და სხვასთან მიწერილ წიგნსა და უკითხავათა ბეჭდავთ“³ (ხაზი ჩვენია—ლ. ს.).

ანალოგიური მიზეზის გამო 1897 წლის 27 ნოემბერს რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო იძულებული გახდა სპეციალური ცირკულარი გამოეცა, რომლითაც იგი კრძალავდა ტურგენევის პოლინა ვიარდოსადმი მიწერილი წერილების ბეჭდვას, რადგან ამ უკანასკნელმა ფაქტმა ადრესატის მთელი ოჯახის საშინელი გულსწყრომა გამოიწვია. პოლინა ვიარდომ ამ საკითხზე საჩივარი აღძრა რუსეთის

² А. С. Пушкин, Письма, т. I, 1926, стр. XIII.

³ ილია ჭავჭავაძე, ტ. X. 1961, გვ. 475.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, რასაც ზემოხსენებული ცირკულარს გამოსვლა მოჰყვა.

კიდევ უფრო ადრე გამოჩენილმა რუსმა მწერალმა გონჩაროვმა ამ საკითხს უძღვნა სპეციალური სტატია — «Нарушение воли». ამ სტატიის დაწერის მიზეზი გახდა პუშკინის, ტურგენევის, კაველინის და კრამსკოის პირადი წერილების გამოცემა. გონჩაროვი განსაკუთრებით აღაშფოთა ცოლისადმი მიწერილი პუშკინის წერილების გამოქვეყნებამ, რომელშიაც, რა თქმა უნდა, ბევრი ისეთი რამ იყო ნათქვამი, რაც გარეშე მსმენელს არ ვარაუდობდა. ამის გამო გონჩაროვმა პირადი წერილების გამომცემლები მეპორეებსაც კი შეაძარა. ავტორის ნებართვის გარეშე წერილების გამოქვეყნებაში გონჩაროვი ხედავდა არა მხოლოდ ავტორის ნების უგულვებლყოფას, არამედ მისი ახლობლებისა და თანამედროვეთა შეურაცხყოფას, ამიტომ სტატიის დასასრულს იგი წერდა: «Пусть же добрые, порядочные люди, джентльмены пера, исполнят последнюю волю писателя, служившего пером честно, — и не печатают, как я сказал выше, ничего, что я сам не напечатал при жизни и чего не назначал напечатать по смерти. У меня и нет в запасе никоких бумаг для печати.

Это исполнение моей воли и будет моею наградою за труды и лучшим венком на мою могилу»⁴.

ასეთი იყო გონჩაროვის თხოვნა მომავალი თაობების, კერძოდ კი, მისი გამომცემლებისადმი.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თვით გონჩაროვის სიცოცხლეშიც დაიბეჭდა მისი პირადი წერილები ავტორის ნებართვის გარეშე. ზოლო დღეისათვის არსებობს გონჩაროვის თხზულებათა ისეთი გამოცემები, სადაც ზემოხსენებული სტატიის გვერდით დაბეჭდილია მისი პირადი წერილები. რამდენჯერმე გამოიცა აგრეთვე პუშკინის, ტურგენევისა და ილია ჭავჭავაძის წერილებიც, ზოლო ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ტურგენევის პირადი წერილების აკადემიურ გამოცემაზე. ყოველივე ეს კი ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი მკითხველი საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესი ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი. ამ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეს პირადი წერილები არამცთუ მწერლის თხზულებათა სრული კრებულების, არამედ რჩეულების განუყრელ შემადგენელ ნაწილადაც კი იქცნენ. არაიშვიათად იცემა მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის წერილების სრული კრებულები და რჩეულები. არსებობს პუშკინის, დოსტოვესკის, ჩაიკოვსკის, ბელინსკის, ტურგენევის, ილია ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ს. მესხისა და სხვათა პირადი წერი-

⁴ И. А. Гончаров, Собр. соч., т. VIII, 1955, стр. 135.

ლების ცალკე გამოცემები. ხოლო ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე საუკუნეზე მეტია დაიწყო და დღესაც გრძელდება ეპისტოლარული მემკვიდრეობის ბეჭდვა.

ახლა უკვე სადაოდ არ ითვლება საკითხი გამოჩენილ ადამიანთა პირადი წერილების გამოცემის შესახებ. ეპისტოლარული მემკვიდრეობის ბეჭდვაში უკვე აღარაინ ხედავს იურიდიული და ეთიკური ნორმების დარღვევას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პირადი წერილი უკლებლივ, ყოველგვარი შერჩევის გარეშე, მივაწოდოთ მასიურ მკითხველს და გამოვაქვეყნოთ ისინი რომელიმე მრავალტირაჟიანი ეურნალის ან გაზეთის ფურცლებზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემომოტანილ შემთხვევებში. მასიურ გამოცემაში მკაცრად უნდა მოხდეს მასალის შერჩევა. რაც შეეხება გამოცემის უმაღლეს ტიპს—აკადემიურს (რომლის შესახებაც ლაპარაკია წინამდებარე წერილში), უდავოა, მასში უნდა შევიდეს მწერლის კალმოდან გამოსული ყოველი სიტყვა;—ამიტომ არის, რომ აკადემიური გამოცემის ტირაჟი, როგორც წესი, მკაცრად იზღუდება.

* * *

ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემას წინ უსწრებს მასალის შეგროვებისა და ძიების რთული პროცესი, რომელიც კიდევ უფრო მეტ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მხატვრული ნაწარმოების ტექსტების მოპოვება. ეპისტოლარული მემკვიდრეობა მეტწილად გაფანტულია სხვადასხვა პირთა არქივებში და ოჯახებში. ერთიდაიგივე პირის წერილი შესაძლოა დაცული იყოს არამცთუ სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა ქვეყანაშიც კი. ამის მაგალითად საკმარისია დავაახლოთ მხოლოდ ი. ტურგენევის პირადი წერილები, რომლებიც დღეისათვის 8000-მდეა ცნობილი. ისინი დაწერილია ოთხ სხვადასხვა ენაზე და აღმოჩენილია არა მხოლოდ პარიზსა და ლონდონში, არამედ ამერიკასა და იაპონიაშიც კი. ამიტომ არის, რომ პირადი წერილების მთლიანად შეგროვება და გამოცემა თითქმის შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომაც, რომ ხშირად აღრესატები ან არ უფროსილდებიან ან, რაიმე მიზეზით შეგნებულად სობუნ ამა თუ იმ პირის წერილებს. მაგალითად, ტატიანა პესსეკს (კუჩინას) გერცენის დაპატიმრების გამო მისი ორასამდე წერილი დაუწვავს. ასევე თითქმის მთლიანად დაკარგულია ნინო ჰავჭავაძისა და გრ. ორბელიანის, ეკვს გარეშე, მეტად საინტერესო მიმოწერა და სხვა მრავალი.

ეპისტოლარული მასალის შეგროვების პროცესში სირთულეს ქმნიან აგრეთვე ხელმოუწერელი და ბოლონაკლული წერილები, რომელთა ავტორის დადგენა სპეციალურ კვლევით მუშაობას მოითხოვს.

გამომცემელმა უკრიტიკოდ არ უნდა მიიღოს წერილის მფლობელან განცხადება მათი ავტორის ენაობის შესახებ. საჭიროა ხელმოუწერელი და ბოლონაკლული წერილების შესწავლა პალეოგრაფიულად, სტილიატიურად და ორთოგრაფიულად. ხოლო რომ დავადგინოთ წერილის შინაარსის მიხედვით მათი ავტორი, უნდა ვიცნობდეთ მწერლის პირად ცხოვრებას, მის წერის მანერას, დამოკიდებულებას ადრესატთან, უნდა შევისწავლოთ წერილში მოცემული ფაქტები და მოვლენები სხვა წერილებთან, მწერლის მთელ შემოქმედებასთან და მსოფლმხედველობასთან მიმართებაში. და თუ ყველა ვარაუდი ერთმანეთს თანხვდება, მხოლოდ მაშინ გვაქვს უფლება შევიტანოთ ხელმოუწერელი წერილი მწერლის თხზულებათა ტომში, ხოლო მისი ავტორის შესახებ ჩვენი მოსაზრების დასაბუთება დაწვრილებით უნდა გადმოვცეთ შენიშვნებში.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რა სიძნელეები დგება გამომცემლის წინაშე ეპისტოლარული მემკვიდრეობის შეგროვების დროს. ამ სიძნელეებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პუშკინის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის დამამთავრების შემდეგ კიდევ აღმოჩნდა მისი მანამდე უცნობი ხუთი პირადი წერილი. ხოლო აკაკი წერეთლის აკადემიურ გამოცემაში არ შესულა არა მხოლოდ ის რამდენიმე პირადი წერილი, რომლებიც ჩვენი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა ზღვნიებული გამოცემის გამოსვლის შემდეგ, არამედ ცოლ-შვილთან მიწერილი 90-მდე წერილი, რომელიც პარიზიდან ჩამოიტანა და გამოსცა ცნობილმა მკვლევარმა და კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა.

ამრიგად, პირადი წერილების შეგროვების პროცესი პირველი და ურთულესი საფეხურია ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემის საქმეში.

* * *

ეპისტოლარული მემკვიდრეობის შეგროვების შემდეგ გამომცემელი ვალდებულია გაარკვიოს წერილების ადრესატთა ენაობა.

როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში წერილი იწყება ადრესატისადმი მიმართვით, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა წერილს აკლია ან არა აქვს არავითარი მიმართვა, ან იგი მეტად ზოგადი ხასიათისაა. მაგ. „ჩემო კარგო“, „ჩემო ანგელოზო“, „მოწყალეო ხელმწიფე“, „ჩემო მეგობარო“, „პატარა ქალბატონო“, „ძვირფასო სერ“ და ა. შ. ყოველგვარი მიმართვის გარეშე იწყება ილიას რამდენიმე წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, დავით ერისთავისადმი, პეტრე უმიკაშვილისადმი; აკაკი წერეთლისა — იოსებ მერკვილაძისადმი, სერგეი მესხისა — კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილისადმი და სხვ. ზო-

გიერთ წერილში კი ავტორი ადრესატს მოფერებითი ან რაიმე შერკმეული სახელით მიმართავს. მაგ.: „პეტრუსბეგ“, წერს ერთ წერილში ილია პეტრე უმიკაშვილს; ხოლო აკაკი ნიკო მაჩაბელს ხან „ნიკუტას“ ეძახის, ხან „ნიკუჩას“ და „ნიკუშას“ ხოლო მარიამ ხელთუფლიშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილს იგი ასე იწყებს: „თქვენო ჩაყრასივებულობავ“; გალაკტიონ ტაბიძის წერილებში ოლია ოკუჯავასადმი ვხვდებით ასეთ მიმართვებს: ოლოლი, ოლკინ, ოლოლ, მლკინ, ოლი და სხვა და პირიქით — ოლია გალაკტიონს ასე მიმართავს: გალკინ, გალა, Fall და სხვა.

ასეთ შემთხვევებში გამომცემელს წერილის ადრესატის დადგენაში ყველაზე მეტად თვით წერილის შინაარსი ეხმარება. მაგრამ ამისათვის საჭიროა არა მხოლოდ მოცემული წერილის ზედმიწევნითი შესწავლა, არამედ მწერლის დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების და მისი პირადული და შემოქმედებითი ამბების ღრმა ცოდნა; შესწავლილ უნდა იქნეს არა მხოლოდ სავარაუდო ადრესატის სხვა წერილები, არამედ წერილები ყველა დანარჩენი პირისადმი და სხვა წასიათის მასალა. მხოლოდ ასეთი ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ შეიძლება მიეკუთვნოს წერილი ამა თუ იმ ადრესატს, ხოლო ამ საკითხის კვლევის ისტორია და მასთან დაკავშირებული გამომცემლის მოსაზრება გადმოცემულ უნდა იქნეს შენიშვნებში.

* * *

მასალის შეგროვებისა და ადრესატის დაზუსტების შემდეგ გამომცემლის წინაშე დგება ახალი საკითხი — წერილების დათარიღება.

გამომცემლის ხელთ არსებულ ეპისტოლარულ მასალაში შესაძლოა აღმოჩნდეს არა ერთი და ორი ნაკლები წერილი, რომელსაც არ ახლავს ავტორისეული თარიღი. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც წერილი ავტორის მიერ არ არის დათარიღებული, ხოლო კიდევ უფრო ხშირად ავტორი წერილს ე. წ. ნაკლებ თარიღს უსვამს, მიუთითებს დაწერის მხოლოდ დღეს, ან რიცხვსა და თვეს, ან მხოლოდ წელს. ყველა ასეთი შემთხვევა ტექსტოლოგის მხრივ სპეციალურ კვლევასა და ყურადღებას მოითხოვს.

თარიღის კვლევა ზოგჯერ საჭიროა არა მხოლოდ უთარიღო და ნაკლებთარიღიანი წერილების მიმართ, არამედ თვით ავტორის მიერ სრულად დათარიღებული წერილისაც კი, რადგანაც არის შემთხვევები, როდესაც თარიღის ჩვენებაში ავტორი ცდება. მაგ. ი. ტურგენევის ერთ-ერთი წერილი პოლინა ვიარდოსადმი პირველად პარიზში დაიბეჭდა 1847 წლის 19 ოქტომბრის თარიღით. მაგრამ, წერილში ლაპარაკია ცნობილი გერმანელი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღ-

ვაწის მენდელსონის გარდაცვალებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1847 წლის ნოემბერში, შემდგომ გამომცემლებს საშუალება მიეცათ გაესწორებინათ პირველნაბეჭდის თუ თვით ავტორის შეცდომა და წერილი 1847 წლის 19 ნოემბრით დაეთარილებინათ⁵.

ტექსტოლოგი ვალდებულია აგრეთვე შესაძლებლობის ფარგლებში დააზუსტოს და შეავსოს ავტორისეული ნაკლული თარიღი. ამისათვის კი მას სხვადასხვა ხასიათის მასალის ცოდნა და გათვალისწინება სჭირდება. მაგალითად: ერთგან ილია წერს: „ვისრამიანს“ ვასწორებთ და მალე გამოვაო, — ამის მიხედვით წერილი თარიღდება 1884 წლით; ხოლო აკაკის ერთ უთარილო წერილში გამოთქმულია დიდი მწუხარება დედის გარდაცვალების გამო, მეორეში კი იგი უჩივის ცხვირიდან სისხლის დენას, გამომცემლებს აკაკის ბიოგრაფიის ზედმიწევნითმა შესწავლამ საშუალება მისცა დაედგინათ ამ წერილების დაწერის თარიღი; ნ. ბარათაშვილის პირველი წერილი გრ. ორბელიანისადმი თარიღდება მისი მამის — მელიტონ ბარათაშვილის პირადი წერილის მიხედვით; ხოლო აკაკისა—ივ. მაჩაბლის საპასუხო წერილით და სხვ.

ერთ-ერთ საიმედო და იოლ საშუალებას წერილების დათარიღებისას წარმოადგენს საფოსტო ბეჭედი, რომელიც თუმცა წერილის გაგზავნის თარიღზე მიუთითებს და არა დაწერისაზე, მაგრამ მაინც ყველაზე მიახლოებულ ცნობას გვაწვდის წერილის დაწერის თარიღის შესახებ. ზოგჯერ წერილის შინაარსისა თუ სხვა მონაცემების მიხედვით შესაძლოა გამომცემელმა მოახერხოს წერილის საფოსტო ბეჭდის თარიღის კიდევ უფრო დაზუსტებაც.

ამრიგად, წერილების დათარიღება გამომცემლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს. წერილის ზუსტი დათარიღებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ თვით ამ წერილში გადმოცემული ფაქტების საფუძვლიანი ანალიზი, არამედ საჭიროა მწერლის შემოქმედების და მთელი მისი არქივის, მის ირგვლივ არსებული მოვლენების, იმდროინდელი პერიოდული გამოცემების და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული ვითარების შესწავლა. ხოლო გამომცემლის მიერ წერილის დათარიღებისათვის ჩატარებული მთელი ეს მუშაობა დაწერილებით უნდა გადმოიცეს წერილის შენიშვნებში, მაგრამ ამავე დროს თვით წერილის ტექსტშიც უნდა გაიმიჯნოს ავტორისა და გამომცემლის თარიღი. მეცნიერთა შორის დღესაც აზრთა სხვადასხვაობა არაებობს იმ საკითხის ირგვლივ, თუ როგორ უნდა

⁵ პირველი გამოქვეყნების შემდეგ ამ წერილის დედანი დაიკარგა, ასე რომ ამჟამად მდნელია იმის თქმა, თუ ვის ეკუთვნის წერილის თავდაპირველი მცდარი დათარიღება.

იქნას წარმოდგენილი პირადი წერილების ძირითად ტექსტში ავტორისა და გამომცემლის თარიღი.

ტექსტოლოგების ერთი ნაწილი მოითხოვს ავტორისეული თარიღის სრულ ხელშეუხებლობას. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ ავტორისეული თარიღის არამც თუ შევსება, არამედ მისი ადგილის შეცვლაც კი. მაგ. ა. გრიშუნიჩი საგანგებოდ მიუთითებს: «Распространенное в практике изданий перемещение авторской даты, где бы она ни стояла в подлиннике, в верхний правый угол... в научном издании писем не должно допускаться»⁶ (ხაზი ჩვენია ლ. ს.). მაგრამ, როგორც თვითონ გრიშუნიჩი აღნიშნავს, ავტორისეული თარიღის ერთ გარკვეულ ადგილზე გადანაცვლება პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია. თუმცა უდაოდ უმჯობესია მეცნიერულ გამოცემაში მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული ყოველგვარი ავტორისეული ფორმა, მათ შორის თარიღის ადგილიც, მაგრამ ჩვენ მაინც ზედმეტად მკაცრი გვეჩვენება ა. გრიშუნიჩის მიერ თარიღების გადანაცვლების კატეგორიული აკრძალვა. მით უფრო, რომ გადანაცვლება კარგად მოქმედებს წერილების საერთო ფორმაზე, უადვილებს მის მოხმარებას მკითხველს და, რაც მთავარია, ხელს არ უშლის არცერთ მკვლევარს ამა თუ იმ საკითხის შესწავლაში.

ჩვენი აზრით, უფრო მეტ დავას იწვევს საკითხი ავტორისეული თარიღის შევსების უარყოფის შესახებ. ამ თვალსაზრისს ავითარებენ ა. გრიშუნიჩი და ე. პროხოროვი თავიანთ წერილებში, რომლებიც ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემის საკითხებს ეხება. ზემო-ქსენებული ავტორები მოითხოვენ, რომ ყველა პირად წერილს რიგითი ნომრისა და აღრესატის ქვემოთ დაერთოს რედაქტორის თარიღი, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება წერილის დაწერის დროსთან და ადგილთან დაკავშირებული ყოველგვარი ცნობა. აი რას წერს ამის შესახებ ე. პროხოროვი: «Редакторская дата должна даваться независимо от того, дал или нет сам автор полную и точную дату...»⁷. ამავე აზრს იმეორებს ა. გრიშუნიჩი ზემო-დასახელებულ წერილში. ამრიგად, თანახმად ამ მოთხოვნისა, აკადემიურ გამოცემაში წერილების ნაწილი დასაწყისში გაიბეორებს ორ ერთნაირ თარიღს — რადგან იმავე ადგილს, სადაც ზემონსენებული ავტორები მოითხოვენ რედაქტორის თარიღის დასმას, ხშირად მოთავსებულია თვით ავტორის თარიღი, რომელსაც, იმავე ავტორების აზრით, არამც და არამც ადგილი არ უნდა შეეცვალოს. გამოდის, — რომ ავ-

⁶ А. Л. Гришунин, Принципы передачи эпистолярных текстов в печати, «Принципы издания эпистолярных текстов», 1964, стр. 134.

⁷ Е. И. Прохоров, Издание эпистолярного наследия, «Принципы издания эпистолярных текстов», 1964, стр. 72.

ტორის მიერ ზუსტად და სრულად დათარიღებული პირადი წერილის დასაწყისში გამეორდება ორი აბსოლუტურად ერთიდაიგივე თარიღი. აი როგორ დათარიღდებოდა ამ მოთხოვნის გათვალისწინების შემთხვევაში ილიას ორი პირადი წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი:

1864 წ., 24 აგვისტო, ქუთაისი (გამომცემლის თარიღი)

1864 წ., 24 აგვისტო, ქუთაისი (ავტორის თარიღი)

1868 წ., 19 დეკემბერი, დუშეთი (გამომცემლის თარიღი)

1868 წ., 19 დეკემბერი, დუშეთი (ავტორის თარიღი).

ხოლო გრ. ორბელიანისა და ს. მესხის წერილები ამ მეთოდით რომ გამოგვეცა, თითქმის ყველა წერილს დაერთვოდა ორი ერთნაირი თარიღი, რადგან, როგორც ცნობილია, ისინი დიდი სიზუსტით ათარიღდებდნენ თავიანთ წერილებს და მეტწილად მიუთითებდნენ მათი დაწერის რიცხვს, თვეს, წელსა და ადგილს. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში სრულიად ზედმეტია ავტორის თარიღის გამეორება. ალბათ ეს უხერხულობა იგრძნეს ე. პროხოროვის მიერ სანიმუშოდ დასახელებული გერცენის თხზულებათა გამომცემლებმა და მათ ავტორის მიერ სრულად და ზუსტად დათარიღებულ წერილებს აღარ დაურთეს თავიანთი თარიღი. მაგრამ ეს გამოცემა მაინც ძლიერ გადატვირთულია თარიღებით იმის გამო, რომ აქ რედაქტორ-გამომცემლის თარიღი ავტორის თარიღს მთლიანად იმეორებს მაშინ, როდესაც მას მხოლოდ რომელიმე ნაწილს უმატებს, მაგალითად: ერთ-ერთი წერილის დასაწყისში წერია გამომცემლის თარიღი:

26 июня 1833 г. Москва.

ამის ქვემოთ კი არის ავტორის თარიღი:

Июня 26. 1833 года*

როგორც ვხედავთ, აქ გამომცემელი იმეორებს ავტორის თარიღს. მაგრამ ამავე დროს ავსებთ მას — მიუთითებს წერილის დაწერის ადგილს. მსგავს შემთხვევაში, თუმცა გამეორება არასასურველია, მაგრამ გამომცემლის თარიღის დასმა მაინც გამართლებულია. უარესი მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა გამომცემელი თავის თარიღს უსვამს იმ წერილებს, რომლებიც თვით ავტორის მიერ ამომწურავი სიზუსტით არიან დათარიღებულნი. მოვიტანთ ერთ მაგალითს რამდენიმე ასეული შემთხვევიდან: გერცენის XXI ტომის 88 წერილს დასაწყისში ავტორი სვამს თარიღს: 12 декабря 1836 г., Вятка, რასაც მოსდევს 12 დეკემბერს დაწერილი ტექსტი. შემდეგ ავტორი კვლავ სვამს თარიღს: „13 декабря“ და აგრძელებს ტექსტს. წერილის შემდეგი ნაწილის დასაწყისში გვხვდება თარიღი: „15 декабря“ და შესაბამისი ტექსტი, ბოლოს თარიღი — „16 декабря“ და სათანადო

* А. И. Герцен, т. XXI, 1961, стр. 15.

ტექსტი. ამრიგად, მკითხველისათვის სრულიად ნათელია, რომ ავტორს ეს წერილი უწერია ვიატკაში, 1836 წლ^ა, 12, 13, 15 და 16 დეკემბერს და ისიც კარგადა ჩანს, თუ წერილის რომელი ნაწილი რომელ დღეს არის დაწერილი. მიუხედავად ამისა, გამომცემლებს მაინც სჯი-როდ მიუჩნევიათ წერილისათვის ასეთი თარიღის დართვა: 12—16 декабря, 1836 г. Вятка.

ამ თარიღიდან, რა თქმა უნდა, იმაზე მეტს ვერაფერს ვგებულობთ. რასაც ავტორის თარიღიდან, პირიქით — ავტორის თარიღი უფრო ზუსტია; იქ ყოველი დღის ჩანაწერი ცალ-ცალკეა გამოყოფილი და ამავე დროს ისიც აშკარაა, რომ ავტორს წერილი 14 დეკემბერს არ უწერია, გამომცემლის თარიღიდან (12—16 декабря 1836 г.) კი ეს არ ჩანს.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „გამართლება“ აქვს გამომცემლის თარიღის დასმას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ახლახან გამოცემულ ა. პუშკინის თხზულებათა ანთომეულში. აქ ავტორისეული თარიღისაგან განსხვავებით რედაქტორ-გამომცემლის თარიღში მითითებულია ადგილი, სადაც წერილი გაიგზავნა. მაგრამ აქაც ავტორისეული თარიღის სისრულის შემთხვევაში გამომცემელი მთლიანად იმეორებს ავტორის თარიღს. ასე მაგ:

3 января 1827 г. Из Москвы в Петербург
(გამომცემლის თარიღი)

3 января 1827 г. Москва (ავტორის თარიღი)

ამრიგად, ამ გამოცემაშიც თარიღის შემადგენელი — ძირითადი ნაწილი ორჯერ მეორდება, რაც ტვირთავს წერილის ტექსტს.

ყველა ეს უხერხულობა, რომელიც თან ახლავს დათარიღების ზემოხსენებულ პრინციპს, თავიდან იქნება აცილებული იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი შეაჯნებს ავტორის თარიღს დამატებითი ცნობით, ხოლო შენიშვნებში ამის შესახებ მოცემული იქნება დასაბუთება. ძირითად ტექსტში კი გამომცემლის მიერ მიმატებული თარიღის ნაწილი ჩაიწერება ოთხკუთხა ფრჩხილში.

დათარიღების ეს პრინციპი გატარებულია ქართულ მეცნიერულ გამოცემებში. იგი არ იწვევს ძირითადი ტექსტის ზედმეტად გადატვირთვას თარიღებით და ამავე დროს თვალნათლივ უჩვენებს გამომცემლის ღვაწლსაც. მაგ. ავტორის მიერ დაუთარიღებელ წერილში გამომცემლის თარიღი ასე წარმოგვიდგება: [3 სექტემბერი, 1831 წ.!: ხოლო თუ აქ ავტორს მხოლოდ თვე და რიცხვი ექნებოდა აღნიშნული და გამომცემელი მას მხოლოდ წელს დაუმატებდა, მაშინ ეს თარიღი ასეთ სახეს მიიღებდა: 3 септември [1831 წ.] და ა. შ.

რომ უფრო ნათელი იყოს დათარიღების ამ პრინციპის უპირატესობა, მოვიყვანო ჩვენს მიერ უკვე მოტანილ მაგალითს გერცენის წერილიდან, სადაც გამომცემლის თარიღი იყო: 26 июня 1833 г. Москва, ხოლო ავტორისა: Июня 26 1833 года. ავტორისეული თარიღების შევსების პრინციპის გამოყენების შემთხვევაში ეს თარიღი ასე დაიწერებოდა: Июня 26 1833 года, [Москва].

წერილების ამ პრინციპით დათარიღება უფრო ეკონომიური და მოხერხებულია და, ამავე დროს, არავეითარ გაუგებრობას არ იწვევს.

• • •

ეპისტოლარულ მასალაზე მუშაობის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს წერილების განლაგება.

არავეითარ ექვს არ ბადებს ის გარემოება, რომ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ისევე როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, აისახება მწერლის იდეური ზრდა, მისი თვალსაზრისის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი. ამიტომ მართებულია ეპისტოლარული მასალის განლაგება ქრონოლოგიურად. ეპისტოლარული მასალის ქრონოლოგიურად განლაგების პრინციპი საშუალებას აძლევს მკითხველს თანმიმდევრულად წარმოადგინოს ავტორის შეზღუდვებთან ცვალებადობა, გაეცნოს მის ინტერესთა სფეროს სხვადასხვა პერიოდში, მის აზრს ამა თუ იმ ეპოქალური მოვლენისა თუ აონკრეტული ფაქტის მიმართ. ვთქვათ, მკითხველს აინტერესებს, როგორ შეხვდა ავტორი რომელიმე გახმაურებული სტატიის, ან ლიტერატურული ძეგლის გამოქვეყნებას, მხატვრული ტილოს, მუსიკალური ნაწარმოების თუ შემსრულებლის გამოჩენას, როგორ აფასებდა იგი ზოგიერთ მეცნიერულ აღმოჩენას, 1905 წლის რევოლუციას, მამათა და შვილთა ბრძოლას და სხვა და სხვა, მაშინ იგი გაეცნობა ამ მოვლენის მომცველ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შემავალ ეპისტოლარულ მასალას, განსურჩევლად მისი აღრესატისა — რადგან, შესაძლოა, ამ საკითხის ირგვლივ ავტორს მიმოწერა ჰქონოდა რამდენიმე ნაცნობთან და მეგობართან ერთდროულად. მაგ. ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრ. ორბელიანის და მრავალი სხვა მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა რამდენიმე ასეულ და ათასეულ ერთეულს შეიცავს, ხოლო მათ ავტორებს წლების მანძილზე მიმოწერა ჰქონდათ მრავალ თვალსაჩინო მოღვაწესთან ლიტერატურისა და ხელოვნების, ისტორიისა და ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და რელიგიის საკითხებზე. ამ საკითხების ირგვლივ ავტორის თვალსაზრისის გაცნობის საშუალება კი მკითხველს

ყველაზე უკეთ მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ქრონოლოგიური განლაგების შემთხვევაში ეძლევა.

ეპისტოლარული მასალის განლაგების ქრონოლოგიური პრინციპი აღიარებული პრინციპია თანამედროვე ტექსტოლოგიაში. მაგრამ ეს პრინციპი ჯერ კიდევ არაერთხელ ირღვევა მეცნიერულ გამოცემებშიც კი.

ტექსტოლოგები, რომლებიც უარყოფენ ეპისტოლარული მემკვიდრეობის განლაგებას საერთო ქრონოლოგიით, წერილებს ადრესატების მიხედვით აჯგუფებენ. ისინი ცალ-ცალკე ათავსებენ ამა თუ იმ პირისადმი მიწერილ წერილებს, ხოლო თითოეულ განყოფილებაში ცავენ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

ეპისტოლარული მემკვიდრეობის ამგვარად განლაგებას აქვს თავისი უპირატესობა. იგი უადვილებს მკითხველს თვალნათლივ დაინახოს ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ პირთან, გაარკვიოს მათი ურთიერთობის ხასიათი, შეისწავლოს რა აკავშირებდა მათ, — მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობა, ოჯახური ამბები თუ დიდი სულიერი სიახლოვე. მაგრამ ეპისტოლარული მემკვიდრეობის განლაგება ადრესატების მიხედვით ხელს უშლის მკვლევარს თვალი მიადევნოს ავტორის იდეურ-პოლიტიკური მრწამსისა და მხატვრული თვალსაზრისის განვითარებას. მასალის ასეთი განლაგების შემთხვევაში ძნელდება იმის წარპოღგენა, თუ როგორ იზრდებოდა წერილების ავტორი როგორც შემოქმედი და მოქალაქე. განლაგების ასეთი პრინციპი უხერხულობას ქმნის ჩვეულებრივი მკითხველის თვალშიც, — როდესაც იგი ერთ გვერდზე კითხულობს ახალგაზრდა ავტორის ხალისიანი, დაუდევარი ცხოვრების ფურცლებს, ხოლო მეორეზე — დასნეულებული მოხუცის წუწუნს ჯანმრთელობის გაუარესებაზე და ასე შემდეგ კვლავ რამდენჯერმე ერთმანეთს ცვლიან ათეული წლებით დაშორებული ამბები, რაც აძნელებს ავტორის თუნდაც მხოლოდ ბიოგრაფიის თანმიმდევრული სურათის ჩვენებას.

ამიტომ საბჭოთა ტექსტოლოგიაში ეპისტოლარული მემკვიდრეობის ქრონოლოგიური პრინციპით განლაგება საყოველთაოდ აღიარებულია და ამ საკითხს სადაოდ არავენ არ მიიჩნევს. ხოლო სმირნოვა ამ პრინციპიდან გადახვევას ანომალიასაც კი უწოდება⁹.

თუმცა ჩვენც მეცნიერულ გამოცემაში ეპისტოლარული მემკვიდრეობის განლაგების ერთ-ერთ სწორ გზად ქრონოლოგიური პრინციპი მიგვაჩნია, მაინც უმართებულოდ გვეჩვენება სმირნოვას კატეგორი-

⁹ Л. Н. Смирнова, Типы и виды изданий эпистолярного наследия, «Принципы издания эпистолярных текстов», 1964, стр. 237.

ული განცხადება, რადგან შესაძლოა შეგვხვდეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამომცემლის ხელთ არსებული მასალა თავისი ხასიათით იძლევა წერილების ადრესატების მიხედვით განლაგების საშუალებას. ეს მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როცა ადრესატთა რაოდენობა რამდენიმე კაცით განისაზღვრება და მათ შორის გამოირჩევა ისეთები, რომლებთანაც ავტორს მიმოწერა ჰქონდა მხოლოდ ვიწრო ოჯახურ ამბებზე. სხვა ადრესატებთან კი შეინიშნება ინტერესთა უფრო ფართო სფერო. ხოლო ამ ადრესატთა შორის მიმოწერის ქრონოლოგიური ჩაჩხო ნაწილობრივ მაინც გამიჯნულია, ასეთ და სხვა გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოხერხდეს ეპისტოლარული მასალის განლაგება ადრესატების მიხედვით.

მაგრამ მეტწილად ისევე როგორც მხატვრული ნაწარმოებების ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ მათი ერთმანეთთან ქრონოლოგიური მიმართების შემთხვევაში შეიძლება იყოს ავტორის შემოქმედების სწორად გაგების საფუძველი, ეპისტოლარული მასალაც ავტორის მსოფლმხედველობას თანმიმდევრულად გადმოგვცემს და ამიტომ მისი შესწავლა და გამოცემაში განლაგება ქრონოლოგიურად უნდა მოხდეს.

* * *

ეპისტოლარული მასალის გამოსაცემად მოწმადების დროს, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა მასალის გამოცემისას, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ძირითადი წყაროს შერჩევა და ტექსტის დადგენა წარმოადგენს.

ეპისტოლარულ მასალაზე მუშაობის დროს, რედაქტორ-გამომცემლის ხელთ შესაძლოა აღმოჩნდეს მრავალი სხვადასხვა სახის წყარო: წერილების შავი და თეთრი ავტოგრაფები, სხვისი ხელით გადაწერილი ასლი და მანქანაზე ნაბეჭდი ცალი, ავტორის მიერ ჩასწორებული და ხელმოწერილი ავტორიზებული ტექსტები, ავტორისდროინდელი ერთი ან რამდენიმე გამოცემა, მოგვიანებით ავტორის მიერ ჩასწორებული ტექსტი და მრავალი სხვა.

პირადი წერილების ტექსტის ძირითადი წყაროს შერჩევა არსებითად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოების ძირითადი წყაროს შერჩევისაგან. თუ მხატვრული ნაწარმოების გამოცემის დროს გამომცემელი ტექსტის ძირითად წყაროდ უმეტესად იღებს ბოლო ავტორისეულ ტექსტს, პირადი წერილების ძირითადი წყარო პირველ რიგში უნდა იყოს მისი დედანი, ე. ი. ის ცალი, რომელიც ადრესატს გაეგზავნა. განურჩევლად იმისა, ავტოგრაფია იგი, თუ არა.

წერილის დედნის შემდეგ ავტორის არქივში დაცული ასლი ყველაზე მეტად სანდო წყაროა ძირითადი ტექსტისათვის. ხშირია შემთ-

ხვევები, როდესაც მწერალი თავისი წერილის პირს სპეციალურად იღებს და ინახავს. მაგ. ლ. ტოლსტოიმ 1901 წელს იასნაია პოლიანაში დაადგმევინა სპეციალური ასლის გადამღები საწნეხი მანქანა, რომლითაც იგი იღებდა მის მიერ გაგზავნილი თითქმის ყველა წერილის ასლს და ინახავდა. როგორც აღვნიშნეთ, ავტორისეული ასლი ცელს წერილის დედანს, ხოლო თუ ეს უკანასკნელიც არ აღმოჩნდა, ნაშინ გამომცემელი იძულებულია ისარგებლოს შავი ავტოგრაფის ზედა ფენით, ე. ი. საბოლოო ვარიანტით. მაგრამ თუ არც შავი ცალი შემოუნახავს მწერლის არქივს, ამ შემთხვევაში ტექსტოლოგი სარგებლობს ავტორისდროინდელი ნაბეჭდი ტექსტით ან სხვების მიერ გადაწერილი ასლებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამომცემელს განსაკუთრებული დაკვირვება სჭირდება ძირითადი ტექსტის შერჩევას: საჭიროა ყველა არსებული მასალის საფუძვლიანი შესწავლა. რათა არსებულ წყაროთა შორის დასაბეჭდად შეირჩეს ავტორის ტექსტთან ყველაზე უფრო მეტად ახლო მდგომი და სანდო წყარო.

პირადი წერილების ტექსტი დიდად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოების ტექსტისაგან. იგი მეტწილად დაწერილია ნაჩქარევად, სახელდახელოდ, ხშირად თვით საფოსტო სადგურებზე. ერთი ხელის მოსმით. ისინი თავიდანვე გამიზნულნი არ არიან დასაბეჭდად, ამიტომ მათ აკლიათ ის ლიტერატურული დამუშავება, რაც მხატვრულ ნაწარმოებებს გააჩნიათ. ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის ყველას მიმართ. ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთი და ორი ეპისტოლარული ჟანრის ბრწყინვალე ოსტატი. ეს პირველ რიგში ითქმის ფლობერის, ტურგენევის, პუშკინის, ალ. ბლოკის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა მიმართ, რომელთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა თავისი მხატვრული ღირებებითა და ინტერესთა მრავალფეროვნებით არ ჩამოუვარდება მათ მხატვრულ ნაწარმოებებს. ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ავტორი რამდენიმე დღის განმავლობაში წერს და ამუშავებს პირად წერილს. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ პუშკინის წერილების პირველი ტომის წინასიტყვაობაში: «К письмам своим относился он очень серьезно: иногда совершенно частные, даже любовные и шуточные письма свои набрасывал предварительно на-черно и подвергал их строгой стилистической обработке и отделке»¹⁰. მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც ერთეულებია. ძირითადად კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, პირადი წერილების ტექსტს აკლია ლიტერატურული დამუშავება. აქ ხშირია გაუგებარი და ბუნდოვანი ადგილები, რომელიც შესაძლოა თავის დროზე კორექსპონდენტათვის გა-

¹⁰ А. С. Пушкин, Письма, т. I. 1926, стр. VI.

საგები იყო, მაგრამ ამჟამად მისი ახსნა დიდ კვლევადიებას მოითხოვს. მხატვრული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, პირად წერილებში შეიძლება შეგხვდეს შემოკლებული და გამორჩენილი სიტყვები, სტილისტურად გაუმართავი და დაუმუშავებელი ადგილები. ამიტომ ტექსტოლოგი ეპისტოლარული მასალის გამოცემისას უფრო მეტი სიძნელის წინაშე დგება, ვიდრე მხატვრული ნაწარმოების ტექსტის დამუშავების დროს. მაგრამ თვით პრინციპი ძირითადი ტექსტის დადგენისა ორივე შემთხვევაში არსებითად ერთნაირია. ამიტომ ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეხებით ძირითადი ტექსტის დადგენის საკითხს და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, რომელიც უფრო ხშირი ან სპეციფიკურია ეპისტოლარული ტექსტისათვის.

ეპისტოლარული ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას ტექსტოლოგს შესაძლოა ხელთ ჰქონდეს წერილის მხოლოდ დაზიანებული დედანი. ჩვეულებრივ წერილი იწერება ცალკე ფურცელზე და ინახება დაკეცილად ათეული წლების მანძილზე, რაც იწვევს ნაკეც ადგილებში მის დაზიანებას. ისიც აშკარაა, რომ ხშირად სხვისი წერილი უფრო მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული აღრესატის მიერ, ვიდრე საკუთარი ავტოგრაფები. ამიტომ იშვიათი არაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ტექსტოლოგის ხელში საკმაოდ დაზიანებული წერილის დედანი აღმოჩნდება ხოლმე.

ასეთ შემთხვევაში, პირველყოვლისა, ტექსტოლოგი ცდილობს როგორმე ამოიკითხოს ან შეავსოს ძირითადი ტექსტი სხვა წყაროების დახმარებით. თუ ასეთი აღდგენა შეუძლებელია, მაშინ იგი წერილის ძირითად ტექსტში სვამს წერტილებს ოთხკუთხ ფრჩხილებში. ხოლო თუ გამომცემელი ვარაუდობს რაიმე სიტყვას შესაბამის ადგილზე, მაგრამ მთლად დარწმუნებული ამ წაკითხვაში არ არის, მაშინ იგი სავარაუდო სიტყვას აგრეთვე ათავსებს ასეთივე ფრჩხილებში და ურთავს შენიშვნას: „სავარაუდო“... ზოგი ტექსტოლოგი ასეთ შენიშვნებს აკეთებს არა სქოლიოში, არამედ შენიშვნებსა და ვარიანტებში, რაც ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ის რაც ემსახურება უშუალოდ ტექსტის წაკითხვას, აუცილებლად უნდა ითქვას იქვე, თვით ტექსტთან, სქოლიოში, და არა რამდენიმე ათეული და ასეული გვერდის იქით კომენტარებში.

ხშირად გვხვდება წერილის ტექსტში მინაწერებიც. თუ მინაწერი გაკეთებულია ავტორის ხელით წერილის გაგზავნამდე, მაშინ იგი აუცილებლად უნდა მოთავსდეს წერილის ტექსტის ბოლოს, სათანადო ნიშნებით — „მინაწერი“. უფრო დაწვრილებით მინაწერის ადგილზე მითითება მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ამის აღნიშვნა ტექსტის გაგებას ემსახურება. მაგ. გერცენი ერთ წერილში წერს: «Копе пере-

дайте боковой привет»¹¹. აქ იმის მითითება, რომ ეს ტექსტი მიწერილია წერილის გვერდით არშიაზე, ადვილად გასაგებს ხდის მის შინაარსს, ამიტომ მსგავს შემთხვევებში დამატებით აღინიშნება ისიც. თუ სად არის მოთავსებული მინაწერი.

ის მინაწერები კი, რომლებიც ავტორს გაუკეთებია წერილის გაგზავნის შემდეგ (ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია), ისევე, როგორც ყველა სხვა პირის მინაწერები, იბეჭდება შენიშვნებში.

ჩვენთვის საინტერესო ავტორის მინაწერი შესაძლოა შეგვხვდეს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის წერილში ან რომელიმე წიგნზე, ან სხვა რაიმე ნივთზე. ასეთი მინაწერები აკადემიურ გამოცემაში იბეჭდება სხვისი ტექსტის იმ ნაწილთან ერთად, რომელთანაც მას კავშირი აქვს და თავსდება ცალკე განყოფილებაში, სადაც შედის ყოველგვარი მიძღვნები და წარწერები წიგნებზე, სურათებზე, ბანდეროლებზე, მემორიალურ ნივთებზე და სხვა. მინაწერები და მიძღვნები გამოიყოფა ცალ-ცალკე და დაერთვის ქრონოლოგიის მიხედვით შესაბამის პირადი წერილების ტომს (იხ. გერცენის თხზულებათა აკადემიური გამოცემა).

ტექსტოლოგთა უმრავლესობა ადრესატის მისამართს ათავსებს ტექსტის ბოლოს, სპეციალური მინიშნებით: „კონვერტზე“ ან „ბარათის მეორე მხარეს“ და ა. შ. ეს თვალსაზრისი მოწონებულია ა. გრიშუნინის შემოხსენებულ წერილშიც. მაგრამ, რადგან მისამართით ვიგებთ მხოლოდ იმას, თუ სად იმყოფებოდა წერილის გაგზავნის დროს ადრესატი, ხოლო მსგავსი ცნობები კი, ჩვეულებრივ, შენიშვნებში გადმოიცემა, ამიტომ ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისამართების გადატანა შენიშვნებში (იხ. ლერმონტოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემა). მისამართების მოთავსება წერილის არა ძირითად ტექსტში, არამედ მის შენიშვნებში გამართლებულია იმიტაც, რომ ზოგჯერ იგი დაწერილია არა ავტორის, არამედ სრულიად სხვა პირის მიერ.

პირადი წერილების აკადემიური გამოცემისას ისევე, როგორც მხატვრულ ნაწერებში, სასურველი არ არის კუპიურების გაკეთება. კუპიურები შეიძლება გაკეთდეს რჩეულებსა და მასიურ გამოცემებში. ის რაც უხეჩრხული და არასასურველი ცნობაა მასიური მკითხველისათვის მეტწილად რჩება მეცნიერულ გამოცემებში. მაგ. ბელინსკის წერილების სამტომეულის 3000 ეგზემპლარი კუპიურებით გამო-

¹¹ А. И. Герцен, т. XXI, 1961, стр. 108.

იცა, ხოლო 25 საგანგებო ცალში ყველა კუპიური აღდგენილი იყო. ჯერ კიდევ 1858 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა კირილე ლორთქიფანიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების გამო: „ძმავ კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგია-ნობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს“¹².

ფატოვი კი თავის ერთ რეცენზიაში აღნიშნავდა, რომ მეცნიერულ გამოცემაში „სირცხვილი“ და მასალის დაყოფა „უხერხულად“ და „არა უხერხულად“ ისევე უადგილოა, როგორც ანატომიისა და ბიოლოგიის წიგნებში. მაგრამ ზოგჯერ, როცა მასალა შეიცავს ბექდვისათვის შეუფერებელ ზედმეტად უწმაწურ გამოთქმებს და რომელიმე პიროვნების შეურაცხყოფელ ფაქტებს, კუპიურებისადმი უაღრესად მტრულად განწყობილი ტექსტოლოგებიც კი იძულებულნი არიან მიმართონ მას. კუპიურების შეტანა დამოკიდებულია გამომცემლის ნებასურვილზე. იგი შეგნებულად უნდა მიუდგეს ამ საკითხს — ერთის მხრივ არ გამოიჩინოს ზედმეტი „მეშჩანური სიმორცხვე“, მეორეს მხრივ კი არ დატოვოს ტექსტში ის უაღრესად უხერხული და დამამციკრებელი გამოთქმები, რომლებიც შეურაცხყოფენ ან აუგად იხსენიებენ ვინმეს, ხოლო არაფერს არ მატებენ არც ერთი საკითხის შესწავლას.

ერთ პერიოდში საბჭოთა ტექსტოლოგიაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გამოცემებიდან იღებდნენ ავტორის ისეთ შეხედულებებს, რაც არ შეესაბამებოდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას. მაგ. მ. გორკის თხზულებათა 30 ტომეულიდან ამოიღეს ერთი ადგილი 1910 წელს დაწერილი პირადი წერილიდან, რომელშიაც იგი არასწორად აფასებდა ლ. ტოლსტოის ასეთსავე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბელინსკის, სტანისლავსკის, ჩაიკოვსკის წერილების გამოცემის დროსაც. იმ ფაქტის ნათელსაყოფად, თუ როგორი შეფასება მიიღეს ამ გამოცემებმა, საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ სათაურები იმ რეცენზიებისა, რომლებიც მათ მიეძღვნათ: მ. გორკის თხზულებათა 30 ტომულზე — Недостатки большого труда (Зильберштейн); სტანისლავსკის წერილებზე — Сенсация или наука? (Сурков); ჩაიკოვსკის წერილებზე — Классик с многоточием (Сokolovский) და სხვ. ანალოგიურ ფაქტს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ქართულ აკადემიურ გამოცემაშიც. ასეთი ოპერაციების შემდეგ ფასი ეკარგება თხზულებათა აკადემიურ გამოცემას, რომლის მიზანი პირველ

¹² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 27.

რიგში ის არის, რომ მისცეს მკვლევარს ავტორის იდეოლოგიის, მისი მსოფლმხედველობის სწორი და მართებული შეფასების საშუალება.

შესაძლოა, ამა თუ იმ წერილში რომელიმე ისტორიული ფაქტი ან უბრალო, ყოველდღიური ამბავი ისე არ იყოს გაშუქებული, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის გასწორება ავტორის ტექსტში ან მისი ამოღება გამოცემიდან შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ტექსტი რჩება უცვლელი, მხოლოდ შენიშვნებში სათანადო არგუმენტების მოტანით მიეთითება აღნიშნული ფაქტის მცდარობაზე.

პირადი წერილების ტექსტში შესაძლოა შეგვხვდეს სტილისტური შეუსაბამობანი და გრამატიკული შეცდომები. მეცნიერულ გამოცემაში არ უნდა შესწორდეს ამ ტიპის შეცდომები, რადგან იმასაც მნიშვნელობა აქვს მკვლევარისათვის, თუ როგორ ფლობდა ესა თუ ის საზოგადო მოღვაწე ან თუნდაც მწერალი ენას. მაგ. ამ მიზნით პუშკინის თხზულებათა აკადემიური გამოცემის უცხოურ ტექსტებში დატოვებულია ორთოგრაფიულ-სტილისტური შეუსაბამობანი. ასევე უნდა დარჩეს ეს შეუსაბამობანი ორიგინალის ენაშიც, თუკი იგი სისტემატურ ხასიათს ატარებს.

მეცნიერულ გამოცემაში უნდა გასწორდეს მხოლოდ ავტორის უნებლიე შეცდომები, რაც გამოწვეულია უყურადღებობით ან სიჩქარით. მაგ. გამორჩენილია სიტყვა ან ასო, ან ერთი ასო წერია მეორის მაგიერ და სხვა. ჩვეულებრივ ასეთი შესწორების შესახებ მიუთითებენ ხოლმე სათანადო აპარატში, მაგრამ, თუ შეცდომა არ იწვევს არავითარ დაეკვებას და მეტად აშკარაა, იგი ყოველგვარი მითითების გარეშე შეიძლება შესწორდეს. მაგ. თუ ორიგინალის „გარბოდნენ გაეშვების“ ნაცვლად გამოცემაში ვებქდავთ: „გარბოდნენ ბაეშვები“ — ამის შესახებ საჭირო არ არის მიეთითოს შენიშვნებში, მაგრამ თუ ვებქდავთ „იმ დღეს ცივი ქარი იყო“, ხოლო ორიგინალში შესაბამის ადგილზე კი წერია: „იმ დღეს ცივი იყო“, ასეთი შესწორების შესახებ აუცილებლად უნდა მიეთითოს, რადგან ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გამომცემლის ვარაუდი არ თანხვდებოდეს ავტორისეულს.

პირადი წერილების ტექსტში გამომცემელმა უნდა შეავსოს ავტორის მიერ შემოკლებული სიტყვები. ხოლო თუ რომელიმე სიტყვას ავტორი ამოკლებს არა ადგილის უქონლობის გამო, არამედ საერთოდ ჩვეულებრივ წერს ასე და მკითხველისათვის ძნელი არ იქნება მისი გაგება, იგი შეიძლება დარჩეს ტექსტში შემოკლებული სახით. მაგ. საქ-ლო, თხზ-ნი, წ. კ. გ. ს. და სხვა. თუ ასეთ სიტყვებს მთლიანად

დავწერთ, მაშინ შენიშვნებში საკმარისია მხოლოდ ერთხელ მიეთითოს, რომ ყველგან ეს სიტყვა ავტორთან ნახმარია ასეთი შემოკლებით.

ეს იმ რიგის შესწორებებია, რომლებიც არაფერს არ ვნებენ ტექსტს, პირიქით, უადვილებენ მკითხველს მის გაგებას და ზედმეტად არ ტვირთავენ მის გონებას. ამიტომ უმართებულოდ მოიქცა ლემკა (მარკინი), როცა ავტორისეული არცერთი შეცდომა გერცენის თხზულებათა გამოცემაში არ ჩაასწორა და არც მიუთითა ამის შესახებ შენიშვნებში. საერთოდ ლემკა უარყოფდა ყოველგვარი შეცდომის შესწორებას ავტორის ტექსტში, რაც არ უნდა უნებლიე და აშკარა ყოფილიყო იგი. რა თქმა უნდა, სავსებით გაუმართლებელია პოპულარულ, მეცნიერულ ან აკადემიურ გამოცემაში ავტორისეული ტექსტის ასეთი ყოველგვარ გააზრებას მოკლებული ფოტოგრაფიული გამოცემა, რადგან ამ გამოცემების მიზანია არა მხოლოდ მექანიკური გადმოცემა, პირის გადმოლება ავტორის ნაწერისა, არამედ მისი შეგნებული დამუშავება ისე, რომ ერთი მხრივ ადვილად გასაგები და მისაწვდომი გახადოს მკითხველისათვის, ხოლო მეორე მხრივ დედნის უტყუარი სურათი წარმოგვიდგინოს.

ორიოდე სიტყვა პირად წერილებში ავტორის მიერ გადახაზული სიტყვებისა და წინადადებების შესახებ.

მხატვრული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით როგორც რევოლუციამდელ, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელ თითქმის ყველა რუსულ გამოცემაში, პირად წერილებში გადახაზული ადგილები, როგორც წესი, იბეჭდება წერილის ძირითად ტექსტში განსხვავებული შრიფტით. ეს თვალსაზრისი მიღებულია თეორიულ ტექსტოლოგიაშიც.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორის მიერ უარყოფილი და გადახაზული ტექსტის ჩაბეჭდვა ძირითად ნაწილში გამართლებული არ არის: რადგან იგი გვიჩვენებს ავტორის ნააზრევის ცვლისა და განვითარების პროცესს, რაც სრულიად ზედმეტი და ინტერესმოკლებულია ზოგიერთი მკითხველისათვის. ეს აინტერესებს მხოლოდ მკვლევარს და ისიც არა ყველას. და ამიტომ უმჯობესია ავტორის გადახაზული ადგილები გადატანილ იქნას ვარიანტებში, როგორც ეს ჩვეულებრივ კეთდება მხატვრულ ნაწარმოებებში. თუ მხატვრული ნაწარმოების კვლევისას მიმართავს მეცნიერი დამხმარე აპარატს, რატომ ვერ გამოიყენებს იგი ამ აპარატს პირად წერილებზე მუშაობის დროს? ეს მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ მეტწილად გადახაზულია დაუსრულებელი წინადადებები, რომლებიც ზოგჯერ ჩართულია შუა წინადადებაში, რაც ტექსტის კითხვის დროს ძლიერ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს

და ხელს უშლის მკითხველს წერილის ძირითადი ნაწილის სწრაფ ათვისებაში.

ამრიგად, ამა თუ იმ ავტორის მხატვრული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის სრულყოფილი მეცნიერული გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ დიდი წინდახედულებისა და საქმის ცოდნის, ყველა არსებული მასალის ღრმა და დაკვირვებული შეაწავლის, საბჭოთა ტექსტოლოგიის მიღწევების გათვალისწინების და პრაქტიკული გამოყენების საშუალებით.

თხზულების დათარიღების პრობლემა

1. დათარიღების მნიშვნელობის საკითხისათვის

†თხზულების დათარიღებას გააჩნია, ერთი მხრივ, ზოგადთეორიული მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკული დანიშნულება.

ზოგადთეორიული თვალსაზრისით თარიღის დადგენა მეცნიერული კვლევა-ძიების დასაყრდენს წარმოადგენს. ზუსტი, საბოლოოდ დადგენილი თარიღის გარეშე შეუძლებელია რომელიმე ლიტერატურული მოვლენის საფუძვლიანი შესწავლა, მწერლის ცალკეული თხზულების თუ მთელი მისი შემოქმედების იდეურ-მხატვრული ანალიზი.¹

დათარიღების ზოგადთეორიული მნიშვნელობა არ ყოფილა განხილული რუს ავტორთა ისეთ ნაშრომში, როგორცაა „ტექსტოლოგიის საფუძვლები“ (მოსკოვი, 1962). ლ. დ. ოპულსკაიას, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნულ წიგნში თავი „თხზულების დათარიღების პრობლემა“, დაყენებულიც არა აქვს საკითხი დათარიღების ზოგადთეორიული მნიშვნელობის შესახებ²; იგი დათარიღებას იხილავს, როგორც მხოლოდ ტექსტოლოგიურ-საგამომცემლო მუშაობის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რომლის გარეშე «не может обойтись и современная издательская практика...»³. ჩანს, მკვლევის ამ შეხედულებას იზიარებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ლორთქიფანიძე, რომელიც საკითხის აღნიშნულ მხარეს ასევე არ ეხება მონოგრაფიაში „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები“, თუმცა ავტორის მიზანი არც ყოფილა, მთლიანი სახით განეხილა თხზულების დათარიღების პრობლემა.

ლიტერატურათმცოდნეობაში დათარიღების თეორიულ მხარეს, კერძოდ, მის მნიშვნელობას ბოლო დროს შეეხო ე. ი. პროხოროვი⁴.

¹ Основы текстологии, М., 1962, гл. 171—189.

² იქვე, გვ. 172.

³ Е. И. Прохоров, Текстология, М., 1966, стр. 124—125.

იგი დათარიღების საკითხს დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგანაც «ошибка в датировке может привести к далеко идущим выводам о творческой жизни писателя, к неверному пониманию связи писателя с окружающей действительностью, к искажению его идейно-художественного облика»⁴.

თავისი აზრის დასამტკიცებლად ე. პროხოროვს მოჰყავს ერთი მაგალითი ლერმონტოვის შემოქმედებიდან. როგორც ცნობილია, ი. ლერმონტოვის რომანი „ვადიმი“ ადრე თარიღდებოდა 1832 წლით⁵. ამ თარიღზე დაყრდნობით, ვ. კირპოტინმა მცდარი დასკვნები გააკეთა მ. ლერმონტოვის შემოქმედებაზე.

«... Учитывая, — წერს ე. პროხოროვი — что роман тогда же был брошен поэтом, В. Кирпотин сделал в свое время вывод о творческом кризисе Лермонтова, начавшемся в 1832 г., в результате чего, якобы в произведениях поэта за 1832—34 годы мы не находим революционных нот». ასე რომ, ვ. კირპოტინი „ვადიმის“ მცდარი დათარიღების შედეგად ფიქრობდა, თითქოს «Политический интерес у Лермонтова в это время, по-видимому, ослабел»⁶.

ნამდვილად კი ვ. კირპოტინი ცდებოდა, „ვადიმი“, როგორც შემდეგში გამოიჩვენა, იწერებოდა არა 1832 წ., არამედ 1833—1834 წლებში⁷. ამიტომ ე. პროხოროვი ასკვნის: არავითარ იდეურ კრიზისზე ლერმონტოვის ამ წლების შემოქმედებაში ლაპარაკიც არ შეიძლება, ყველაფერი ეს თხზულების მცდარი დათარიღებიდან გამომდინარეობდა⁸.

დათარიღებაში დაშვებული შეცდომის შედეგად ბოლო დრომდე ქართულ მწერლობაში ყალბად იყო გაგებული ვ. ორბელიანის ლექსის „ბუღბუღის“ იდეური შინაარსი.

ცნობილია, რომ ვ. ორბელიანის ლექსებიდან პირველად „ბუღბუღი“ დაიბეჭდა 1857 წ⁹. ამის გამო, სპეციალურ ლიტერატურაში შეცდომით ლექსი 1857 წლით იქნა დათარიღებული¹⁰. დაშვებულმა შეცდომამ შემდგომი დროის სალიტერატურო კრიტიკა მიიყვანა უფრო დიდ შეცდომამდე.

⁴ Е. И. Прохоров, Текстология, М., 1966. გვ. 124.

⁵ В. Я. Кирпотин, Политические мотивы в творчестве Лермонтова, М., 1938, стр. 99.

⁶ Е. И. Прохоров, там же, стр. 124—125.

⁷ И. Андроников, Исследования и находки, М., 1964, стр. 97.

⁸ Е. И. Прохоров, там же, стр. 125.

⁹ „ცისკარი“, 1857, № 1, გვ. 1.

¹⁰ ვ. უმიკაშვილი, ქრონოლოგიური მაჩვენებელი..., ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1895, გვ. 175.

ჯერ ერთი, დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ვ. ორბელიანს მწერლობა დაეწყო 1857 წელს, როცა პოეტი უკვე 45 წლისა იყო¹¹. შემდეგ ვ. ორბელიანის „ბულბული“ გაგებულ იქნა, როგორც „უზრუნველი ანაკრეონტული ნაწარმოები“¹². საბოლოოდ კი, ვ. ორბელიანი, ვითომდა ეს დაგვიანებული რომანტიკოსი, რომელმაც მწერლობა 1857 წელს დაიწყო, ლიტერატურის ისტორიამ მცდარად შეაფასა, როგორც ქართული რომანტიზმის თითქოს მხოლოდ „დაცემის გამოხატველი“¹³. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ბოლო ხანებში შეიქმნა შეხედულება, თითქოს ლიტერატურის ისტორიაში ვ. ორბელიანი უნდა მოთავსდეს „არა უშუალოდ ნიკ. ბარათაშვილის შემდეგ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერსპექტივაში, როდესაც... ქართულ ლიტერატურაში განვითარდა რომანტიზმი... არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში“¹⁴.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გამოვლენილ იქნა ვ. ორბელიანის „ბულბულის“ უცნობი ხელნაწერი, რომლის მიხედვით გამოირკვა, რომ იგი პოეტის ძმას, ალ. ორბელიანს გადაუწერია თავისი ლექსების საკუთარ ხელნაწერ კრებულში „1834-სა წელსა“¹⁵.

ამრიგად, დადგინდა, რომ „ბულბული“ ხელნაწერად არსებულა ჯერ კიდევ 1834 წლამდე და, მაშასადამე, ვ. ორბელიანს მწერლობა დაუწყია არა 1857 წელს, არამედ თუ ადრე არა, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მაინც, ესე იგი მთელი 25 წლით ადრე, ვიდრე დღემდე ფიქრობდნენ.

ახლა უკვე არ არის სადავო, რომ „ბულბულში“ გამოხატულია ;832 წ. შეთქმულების იდეოლოგია¹⁶ და მასში ანაკრეონტულ შეხედულებათა ელემენტებიც კი არაა მოცემული; ლექსი ალეგორიულად ნებრძოლ პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავს და მცდარია ყველა მოსაზრება, რომელიც „ბულბულის“ ადრინდელი, ყალბი დათარიღებიდან გამომდინარეობს¹⁷.

¹¹ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1917, გვ. 119.

¹² იქვე, გვ. 120.

¹³ კ. ა ბ ა შ ი ძ ე. ეტიუდები..., 1962, გვ. 46.

¹⁴ შ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი. ლიტერატურული ნარკვევები, I, თბ., 1957, გვ. 159—160.

¹⁵ ალ. ორბელიანი, ხელნაწერთა კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 1640, ფ. 9.

¹⁶ ნ. კ ი ლ ა ნ ა ვ ა, ვახტანგ ორბელიანის „ბულბულის“ დათარიღებისათვის, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის „თეზისები“, თბ., 1966, გვ. 20—21,

¹⁷ იქვე.

ამრიგად, თარიღის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა პრობლემატურ თუ ცალკე საკითხის კვლევისათვის, დადგენის, ცალკეულ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და მწერლის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ტექსტოლოგიაში თითქმის ყველა კარდინალური თუ პატარა საკითხი ერთნაირად დამოკიდებულია მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელი პერიოდის დადგენასთან¹⁸. ეს კი შეუძლებელია, თუ დადგენილი არ გვექნება თხზულებათა თარიღები.

არ შეიძლება სანდო დათარიღების გარეშე შეიჩჩეს თვით ძირითადი ტექსტი. რადგან უმისოდ მკვლევარი ვერ გაერკვევა, რომ ტექსტი გამოხატავს ავტორის უკანასკნელ ნებას; შესწორებათა შეტანა არ შეიძლება ძირითად ტექსტში, თუ არ გვეცოდინება ქრონოლოგია სელნაწერებისა, ან ბეჭდური წყაროებისა.

დაბოლოს, დათარიღებას იმდენად გადმაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტოლოგიაში, რომ თვით ისეთ შემთხვევაში, როცა ავტორი ცნობილი არ არის, «Датировка может служить одним из средств атрибуции»¹⁹.

2. კვლევის პრინციპი და მეთოდები

მეცნიერების ყველა დარგს კვლევის თავისი პრინციპი აქვს. ესაა ძირითადი ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა, რწმენა და თვალსაზრისი, რომელსაც ემყარება მთელი შემდგომი კვლევა მეცნიერების რომელიმე დარგის, რომელიმე მიმდინარეობის თუ ცალკე აღებული პრობლემის გარშემო.

კვლევის თავისი პრინციპი გააჩნია ფილოლოგიური მეცნიერების ყველა დარგსაც: ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, ტექსტოლოგიას და სხვ.

კვლევის პრინციპი გააჩნია თხზულების მეცნიერულ დათარიღებასაც. მოეპოვება მას თავისი მეთოდებიც.

მაგრამ მეთოდი საერთოდ, არსებითად განსხვავდება კვლევაძიების პრინციპისაგან. მეთოდი ეს ხერხია, გზაა, ამ შემთხვევაში იმისა, თუ როგორ და რანაირად უნდა წარიმართოს ძიება აღებული საკითხის თუ პრობლემის გარშემო. პრინციპი ერთია, ხოლო კვლევის მეთოდი შეიცვლება სხვადასხვა იყოს

¹⁸ Основы текстологии, М., 1962, стр. 171.

¹⁹ Там же.

თხზულების დათარიღებისათვის უნდა გამოვიყენოთ მწერლის პირადი არქივი, აგრეთვე სიძველეთსაცავებში დაცული საჭირო მასალები; შესწავლილ უნდა იქნეს ტექსტის იდეურ-შინაარსობრივი მონაცემები. თხზულების ენა, სტილი; მომარჯვებულ იქნეს ყველა შეაბამისი ხერხი და წყაროების შესწავლის საფუძველზე გადაიჭრას პრობლემა — დათარიღდეს ნაწარმოები. ¹

ეს ერთი პრინციპი უდევს საფუძვლად ძველი და ახალი დროის ქართველ კლასიკოსთა თხზულებების დათარიღებას, სხვა პრინციპი მათ არ გააჩნიათ.

სპეციალურ ლიტერატურაში არც აყენებენ, როგორც სადავო პრობლემას. ერთია თუ არა თხზულების დათარიღების კვლევის მეცნიერული პრინციპი ძველსა და ახალ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის მიმართ საკითხი ამ თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე არც დასმულა. ბოლო დროს გამოითქვა გარკვეული მოსაზრება, რომელიც აქ აუცილებლად უნდა განვიხილოთ.

„აუცილებელია ვიცოდეთ, — წერს ი. ლორთქიფანიძე, — რომ დათარიღების ხერხები და პრინციპები ძველი და ახალი ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის სხვადასხვაა“²⁰.

ეს კი ნიშნავს: ა) ერთი პრინციპითა და თვალსაზრისით, ერთი ხერხით ნაწარმოებდეს ძველი მწერლობის ძეგლთა დათარიღება და ბ) მისგან განსხვავებული, თითქოს სხვა, მეორე პრინციპით, სხვა წესით ხდებოდეს ახალი დროის კლასიკოსთა თხზულებების დათარიღება. მაშასადამე, თითქოს „სხვადასხვა ხერხები და პრინციპები“ არსებობდეს ქართული ძველი და ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების დათარიღებისათვის.

საკითხის ასე დაყენება არასწორად და საკამათოდ მიგვაჩნია.

ძეგლთა დათარიღების პრინციპი ერთია, როგორც ძველი, ასევე ახალი დროის ქართული კლასიკური ლიტერატურისათვის.

რაც შეეხება დათარიღების ხერხებს, ისინი არც შეიძლება იყოს ერთიანი და უცვლელი. ხერხები, მეთოდები თხზულების მეცნიერული დათარიღებისათვის ძიებაში გამოიყენება იმის მიხედვით, თუ დათარიღების რომელ წყაროსთან გვაქვს საქმე. ამდენად, არც შეიძლება არსებობდეს ცალკე ხერხი ძველი ძეგლების დასათარიღებლად და ცალკე ხერხი ახალი დროის ლიტერატურულ თხზულებათა დასათარიღებლად. არსებობს დათარიღების წყაროებისა და საშუალებათა კატეგორიები. შესაბამისად ამ კატეგორიებისა არსებობს არა ერთი ხერხიც.

²⁰ ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, 1965, გვ. 116.

ი. ლორთქიფანიძის შეხედულება კი, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, სამწუხაროდ, არ უნდა იყოს საკითხის გარშემო სათანადო ძიების შედეგი. შესაძლებელია, მონოგრაფიის გეგმამაც გარკვეული როლი ითამაშა ამ მხრივ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი მინცის არის, რომ შეხედულება არ არის დასაბუთებული. მას სრულებით არ ასაბუთებს სქოლიოში მოშველიებული წყაროებიც კი. კერძოდ, აკად. კ. კეკელიძის ამ მხრივ დასახელებული გამოკვლევა — „ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის“ არა თუ არ ამტკიცებს იმას, რომ „დათარიღების ხერხები და პრინციპები ძველი და ახალი ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის სხვადასხვა“, როგორც ეს მონოგრაფიის ავტორს მიაჩნია. არამედ აკად. კ. კეკელიძის ეს ნაშრომი, საერთოდ, არ ეხება აღებულ პრობლემას და მასში დათარიღების თუნდაც რომელიმე ცალკე საკითხიც კი არ არის განხილული²¹. იგივე შეიძლება ითქვას მითითებულ სხვა წყაროებზედაც.

დავუშვათ, რომ თუნდაც დასახელებულ ნაშრომში კ. კეკელიძე შეხებოდა დათარიღების პრობლემის რომელიმე საკითხს, თავიდანვე უნდა გამოგვერიცხა აზრი იმის შესახებ, რომ ის ეცდებოდა დამტკიცებინა „დათარიღების ხერხებისა და პრინციპის სხვადასხვაობა“ ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა დათარიღებაში. მსგავსი რამ კ. კეკელიძის არცერთ ნაშრომში არ შეიძლება აღმოჩნდეს.

პირიქით, აკად. ივ. ჯავახიშვილთან ერთად აკად. კ. კეკელიძე იყო პირველთაგანი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, სათავე დაუდო ჩვენში თხზულების მეცნიერულ დათარიღებას. აკად. ივ. ჯავახიშვილი და შემდეგ აკად. კ. კეკელიძე არსებითად ავითარებდნენ თარიღების მეცნიერული კვლევის იმ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი აკად. ნ. მარბა ჩაუყარა პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლაში²².

ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მიმართ თხზულების მეცნიერული დათარიღების ამ ტრადიციის შემდგომი განვითარებისა და თხზულებათა ქრონოლოგიისადმი მეცნიერული მიდგომის უტყუარი ცდები გამოვლინდა ი. ჭავჭავაძის ნაწერების გედევანიშვილისეულ, 1914 წლის გამოცემაში, რომლის რედაქციის მრჩეველი და თვალსაჩინო წევრი პეტერბურგის ამ სკოლის მოწაფე აკად. ივ. ჯავახიშვილი იყო²³. ამიტომაც ეს გამოცემა, როგორც საერთოდ აღიარებულია,

²¹ კ. კეკელიძე, ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 309.

²² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 23.

²³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1914, გვ. 665.

დღემდე „წარმოადგენს ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულების მეცნიერული გამოცემის პირველ ცდას“²⁴. აკად. კ. კეკელიძემ ჭერ კიდევ 1923 წელს საბოლოოდ დაადგინა ადიშის ოთხთავის ზუსტი, მეცნიერული თარიღი 897 წელი²⁵. აკად. ივ. ჯავახიშვილს ადრევე ჰქონდა გარკვეული არა ერთი საცილობელი თარიღი ძველი ქართული მწერლობიდან²⁶.

ამრიგად, აკად. ნ. მარის ცნობილმა გამოკვლევებმა²⁷, აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის ისტორიულ-ფილოლოგიურმა ძიებამ, აკად. კ. კეკელიძის აქ დასახელებულმა და სხვა რიგმა შრომებმა, შექმნეს უტყუარი საფუძველი იმისა, რომ თხზულების დათარიღების მეცნიერული კვლევა-ძიება დამკვიდრებულიყო ქართულ ფილოლოგიაში. მართლაც, მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დამდეგისათვის ს. გორგაძემ გაიზიარა ა. წერეთლის ოთხტომეულის გამოცემაში მეცნიერული დათარიღების აუცილებლობა. პ. ინგოროყვა და ალ. აბაშელი თხზულებათა მეცნიერული დათარიღების პრინციპს ახორციელებენ ი. ჭაჭავაძის თხზულებათა ანტომეულის მომზადებასა და გამოცემაში; ვ. კოტეტიშვილმა მეცნიერულად დაათარია მისივე გამოცემული ვ. ორბელიანის პოეტური თხზულებანი და გრ. ორბელიანის ნაწერები; თხზულების მეცნიერული დათარიღების აღნიშნულ პრინციპს ემყარებოდა ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის და სხ. თხზულებათა პროფ. ბ. ხუნდაძისეული გამოცემანი, სადაც სანდოდაა დადგენილი ამ მწერლების თხზულებათა თარიღები. ასე რომ, დათარიღების საერთო პრინციპსა და თხზულების მეცნიერული დათარიღების თავიდანვე შემუშავებულ, აღნიშნულ ტრადიციას დღემდე მიჰყვება, როგორც ძველი, ასევე ახალი დროის ქართული მწერლობის თხზულებათა გამოცემები და ცალკეულ ნაწარმოებთა დათარიღებანი. სანიმუშოდ საკმარისია დავასახელოთ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა დათარიღებისა და ქრონოლოგიის საკითხები.

პოეტის ნაწერების 1945 წ. გამოცემის რედაქტორი აკად. კ. კეკელიძე წიგნის ბოლოს, წერილში — „გამოცემისათვის“, იძლევა იმ პრინციპების ანალიზს, რომელთა მიხედვით მომზადდა აღნიშნული გამოცემა. აქ, პირველ რიგში, განხილულია გამოცემის „ქრონოლოგიური თანმიმდევრობის“ პრინციპი; შემდეგ აღნიშნულია, რომ რედაქციამ, განსხვავებით ადრინდელ გამოცემებთან, ამ გამოცემაში, „ნა...

²⁴ ი. ლორთქიფანიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 34.

²⁵ კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება?, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1923, გვ. 392.

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა (I და II გამოც.)

²⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 23.

ფორტეპიანოზედ მომღერალი“ და „დამქროლა ქარმან“, გადაიტანა თარიღიან ლექსებში. წერილში მკვლევარი ცალ-ცალკე იძლევა ამ ლექსების მეცნიერულ დათარიღებას, რათა მკითხველს უჩვენოს საფუძველი, თუ რატომ გადაიტანა რედაქციამ ეს თხზულებანი ამ გამოცემის თარიღიან ლექსებში.

მტკიცება და საბუთიანობა, რომელიც ამის გამო აკად. კ. კეკელიძეს აქ აქვს მოტანილი, სავსებით და მთლიანად ადასტურებენ. რომ დღემდე ახალი დროის ქართული ლიტერატურული ძეგლების მეცნიერული დათარიღებაც მხოლოდ ერთ, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული დათარიღების ერთიან პრინციპს, აღრიდანვე ქართულ ფილოლოგიაში დამტკიცებულ ტრადიციას ემყარება.

აქ ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა კიდევ მეტი სისრულით გავაანალიზოთ განხილული შეხედულებების გარშემო აღძრული საკითხები, მაგრამ ვფიქრობთ, ნათქვამიდანაც ცხადია, რომ პრინციპი, სახელმძღვანელო იდეა, ამოსავალი თვალსაზრისი ერთი და იგივეა, კერძოდ, ძველი თუ უძველესი ქართული ძეგლებისა და ასევე ახალი დროის კლასიკური ლიტერატურის თხზულებათა მეცნიერული დათარიღებისათვის, ხოლო მეთოდები, ხერხები კვლევისა, გაპირობებულია წყაროთა თავისებურებებით და იგი არასოდეს არ შეიძლება იყოს ერთი ძველ მწერლობაში და სხვა ახალი მწერლობის ძეგლთა დათარიღებისათვის.

არსებითად მხოლოდ ამნაირად შეიძლება გავიგოთ თხზულების მეცნიერული დათარიღების კვლევის პრინციპი და მეთოდები სხვა ერთა მწერლობაშიც.

8. თხზულების თარიღები და დათარიღების სახეები

ნაწარმოების საბოლოო ჩამოყალიბებამდე ყოველთვის დამახასიათებელია მასზე მუშაობის სამი მთავარი ეტაპი, სხვანაირად, „ავტორის მუშაობის პირველი, შუალედური და ბოლოდროინდელი სტადია“²⁸. აქედან ცხადია, ყველა თხზულება ხასიათდება სამი ძირითადი თარიღით. ესენია: თხზულების დაწყების თარიღი, თხზულების დამთავრების თარიღი და თხზულების პირველი პუბლიკაციის თარიღი²⁹. უკანასკნელს ცვლის, თუ ტექსტი გამოქვეყნებული არ არის, თხზულების გადათეთრებული, ბოლო რედაქციის შექმნის თარიღი.

²⁸ ი. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგნი, გვ. 116.

²⁹ Е. И. Прохоров, Текстология. М., 1966, стр. 125.

რაც შეეხება საკითხს, თუ რომელი ხელნაწერი ასახავს ავტორის მუშაობის დაწყების, შუალედურს თუ უკანასკნელ პერიოდს, უნდა ვაირკვეს წინასწარ, ვიდრე მოვამზადებდეთ გამოუქვეყნებელ თხზულებათა გამოცემას. საერთოდ ხელნაწერისა და, კერძოდ, უთარილო გამოცემად გამზადებული ტექსტის დათარიღება უთუოდ საჭიროც და გადაუდებელიცაა. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, თუ დადგენილი იქნება ხელნაწერთა თარიღები, რომლებიც ცალ-ცალკე ასახავენ ავტორის მუშაობის დაწყების, შუალედურ და თხზულების პუბლიკაციის თუ საბოლოო, გადათეთრებული ავტოგრაფის შექმნის თარიღს³⁰.

დაუფრუდდეთ თხზულების მთავარ თარიღებს, თუმცა წინასწარ უნდა აღინიშნოს შემდეგიც:

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვევით არის აღნიშნული ორ პირველ მთავარ ეტაპს შორის არსებული დროის დიდი მანძილის შესახებ და რომ მათ შორის უნდა ვივარაუდოთ ცალკე ქვეპერიოდები და ეტაპები. ეს კი გასაგებს ხდის, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა აგრეთვე საკმარისად მნიშვნელოვანი თარიღები, როგორცაა: «Дата наибольшего творческого подъема, дата нахождения решающего поворота в сюжете, дата полного отказа от первоначального замысла и возвращения к работе уже с иных позиций и т. д.»³¹.

მეორე მხრივ, მიუთითებენ აგრეთვე, რომ გარკვეული შუალედური დრო ძვეს თხზულების დამთავრების თარიღსა და ნაწარმოების პირველი პუბლიკაციის თარიღებს შორის. მიაჩნიათ, რომ სასურველია შევისწავლოთ თარიღები. მაგალითად, ავტორის ცდისა, გამოაქვეყნოს თხზულება; ასევე დავადგინოთ თარიღი ცენზურის მიერ თხზულების დაკავებისა და ა. შ. მართალია, ყველა ამ თარიღის ცოდნა ბევრნაირად შეავსებდა თხზულების მეცნიერული დათარიღებისათვის საჭირო მასალებს, მაგრამ, როგორც ითქვა, თხზულების შექმნის დროის დადგენაში მანც ზემო აღნიშნული სამი ეტაპი და მისი აღმნიშვნელი თარიღებია მთავარი. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

რომელია თხზულებაზე მუშაობის დაწყების თარიღი? ამ კითხვას უკავშირდება თარიღი ჩანაფიქრის დასაწყისისა, მუშაობის გეგმის შედგენისა და თხზულების პირველი მონახაზის შექმნის დროისა. მაგრამ მათგან თხზულებაზე მუშაობის დაწყების თარიღად მიღებულია თარიღი, როცა ავტორმა ტექსტზე დაიწყო მუშაობა.

³⁰ ცალკე ხელნაწერის დათარიღებისა და, საერთოდ, მასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო. იხ. Основы текстологии, М., 1962, თავი მეორე, გვ. 223 (Рукописные и печатные источники текста).

³¹ Е. И. Прохоров, Текстология, М., 1966, стр. 125.

როგორც ცნობილია, 1834 — 1835 წლებში გოგოლმა მოისმინა ამბავი ვილაც ნადირობის უზომოდ მოტრფიალე ღარიბ ჩინოვნიკზე, რომელმაც გაქირვებით შეაგროვა თოფის საფასური, იყიდა საუცხოო სანადირო თოფი, მაგრამ სანადიროდ პირველივე გასვლისას დაკარგა იგი.

პ. ვ. ანენკოვის მოწმობით, გადმოგვცემს ე. პროხოროვი, ეს ამბავი უძევს საფუძვლად მოთხრობა „შინელის“ ჩანაფიქრს. ამ ჩანაფიქრის დამუშავება გოგოლმა მხოლოდ 1839 წ. დაიწყო. 1841 წლისათვის ავტორს ჰქონდა მოთხრობის სამი შავი რედაქცია და 1842 წელს კიდევაც გამოაქვეყნა³².

რომელი თარიღი უნდა მივიღოთ „შინელზე“ მუშაობის დასაწყისად, 1834—1835 თუ 1839? უდავოა ის თარიღი, საიდანაც მწერალმა მუშაობა დაიწყო მოთხრობაზე, ე. ი. 1839 წელი.

„...ერთხელ ზესტაფონში... განათლების უფროსმა ძალიან მთხოვა. — წერს კ. გამსახურდია, „ვაზის ყვავილობის“ გარშემო, — წავსულიყავი მის რაიონში საპურმარალოდ... ეს კაცი ბლუ იყო, ისე ძალიან მთხოვა, რომ დავთანხმდი და გავყევი... ლაპარაკში მე უმტკივნეულოდ შევეკითხე, თუ რა დამართა მის ენას. მან მითხრა: ფრონტზე ვიყავი და იქ დავმუნჯდიო. სოფელში ჩამოვედი ვაზის ყვავილობის დღესო, დედაჩემმა მაჩვენა ვაზის ყვავილობა და მითხრა: ნახე რა ლამაზიაო, შვილო, ვაზის ყვავილობა და, მაშინ ავიდგო ენა პირველად. ეს შემთხვევა ავიღე მე ჩემი რომანის ტემადო“, — ასკვნის მწერალი³³.

აქ მოცემულია რომანის პირველი ჩანაფიქრის საფუძველი, მაგრამ დრო მწერლის რაიონში ყოფნისა, თუნდაც დღე და რიცხვიც ზუსტად ყოფილიყო ნაჩვენები, მაინც არ შეიძლებოდა მიგვედო რომანის დაწყების თარიღად. კ. გამსახურდიამ აქ მხოლოდ პირველად ჩაიფიქრა, დაეწერა რომანი „ვაზის ყვავილობა“, სადაც ერთ-ერთი მთავარი გმირი ფრონტელი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მწერალმა მუშაობა რომანზე იმ დღეს კი არ დაიწყო, არამედ შემდეგ. აი, სწორედ ის დღე, რიცხვი, თვე და წელი ავტორს რომ მოცემული ჰქონდეს აქ, როცა მან წერა დაიწყო. ის იქნებოდა თხზულებაზე მუშაობის დაწყების თარიღი.

ამრიგად, თხზულებაზე ავტორის მუშაობის დაწყების თარიღად ითვლება ის თარიღი, როდესაც მწერალი უშუალოდ შეუდგება მუშაობას ტექსტზე.

ამის შემდეგ ბუნებრივად ისმის საკითხი, რომელ თარიღს ეწოდება თხზულების დამთავრების თარიღი?

³² Е. И. Прохорова, там же, стр. 126.

³³ კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, VIII, 1965, გვ. 535.

ვიდრე კითხვას ვუპასუხებდეთ, ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაწარმოებზე ავტორი თითქოს ყოველთვის ფიქრობს და მუშაობს. ნაწარმოების შექმნა ხანგრძლივ დროს გულისხმობს, მით უფრო, როცა თხზულება დიდტანიანია. სამაგიეროდ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან შეგვიძლია დავასახელოთ კონსტ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“.

ცნობილია, რომ რომანი ადრე დაიწერა სათაურით „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“. თხრობა აქ გაშლილი იყო რამის კულტურის აპოლოგიით. დიდი ხნის შემდეგ იგი ავტორმა გადაამუშავა და სათაურიც ახალი მისცა — „იმერეთის ცისკარი“. ბოლოს, თხზულება გამოვიდა „კოლხეთის ცისკარის“ სახელწოდებით და უკვე დღეისათვის ცნობილი რედაქციით.

საინტერესოა ამ მხრივ კ. გამსახურდიას „დიონისეს ღიმილის“ შექმნის ისტორიაც.

„ამ რომანის პირველი ნაწილი, — წერს ავტორი, — 1915 წელს მიუნხენში დავწერე. 1916—17 წლ. ბერლინში განვაგრძე... 1919 წელს ხელმეორედ დავწერე გერმანიაში“. მაგრამ გამომცემლობაში, მისი თქმით, ხელნაწერის დაკარგვის გამო, მწერალი იძულებული გამხდარა 1925 წ. კვლავ თავიდან დაეწყო საქმე³⁴. „გადავწყვიტე... თუ ამაღამ სუნთქვა არ წამერათო, — გადმოგვცემს კ. გამსახურდია, — მას მესამეჯერ გადავწერთქო. და ის იყო... ცხრა თვე — დღისით და ღამით ასე ვებრძოდი ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.. მაისის 15-ს, ჩემი დაბადების დღეს დავასრულე მესამეჯერ გადაწერა. ტფილისი — 1925 ვარდობისთვე“³⁵.

რომელი თარიღი, 1916, 1919 თუ 1925 წელი უნდა იქნეს მიჩნეული თხზულების დამთავრების თარიღად? რა თქმა უნდა, 1919 წელი, როცა კ. გამსახურდიამ მეორედ, ახლა უკვე მთლიანად დაწერა ბერლინში რომანი და წარუდგინა რედაქციას, რომელმაც იგი დაკარგა.

რუსი მწერლის კორთლენკოს ცნობილი მოთხრობა „ბრმა მუსიკოსი“ პირველად 1888 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ კი, ავტორის სიცოცხლეში, იგი გამოვიდა არანაკლებ 15-ჯერ. ე. პროხოროვის გადმოცემით, ავტორს თითოეულ მათგანში ყოველთვის შეჰქონდა შესწორებები. მოთხრობის უკანასკნელი ავტორიზებული გამოცემა გამოვიდა 1914 წ. შეიძლება თუ არა მივიღოთ 1914 წელი თხზულების დამთავრების თარიღად? სვამს რა ამ კითხვას ე. პროხოროვი, პირდაპირ პასუხობს „რა თქმა უნდა, არაო“. მკვლევარის პასუხი სწორია. საქმე

³⁴ კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, V, 1961, გვ. 950.

³⁵ Е. И. Прохоров, там же, стр. 126.

ის არის, რომ თუ ავტორმა უკვე გადაწყვიტა გამოაქვეყნოს თხზულება, სულ ერთია, გამოაქვეყნებს იგი მას თუ არა, ნაწარმოები ავტორს დამთავრებულად მიაჩნია. მაშასადამე, კოროლენკომ მოთხრობა არა თუ გაამზადა გამოსაქვეყნებლად. არამედ 1886 წ. გამოაქვეყნა კიდევ-ამიტომ კოროლენკოს „ბრმა მუსიკოსის“ დამთავრების თარიღად 1886 წელი უნდა მივიღოთ.

ამრიგად, თხზულების დამთავრების თარიღად მიჩნეული უნდა იქნეს თარიღი, როდესაც ავტორმა საბოლოოდ მოამზადა გამოსაქვეყნებლად გამზადებული ტექსტი.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც იუქვა, ნაწარმოები იქმნება ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის შედეგად. ეს პროცესი, ერთი მხრივ, გულისხმობს ხელნაწერზე დიდი ხნის დაძაბულ მუშაობას, მის მრავალ შავ რედაქციას, მეორე მხრივ, სტამბისათვის ჩაბარების დროიდან, მასზე მუშაობა გრძელდება შემდეგაც, თხზულების გამოქვეყნებიდან ბოლო ავტორიზებულ გამოცემამდე. ასეთი შემთხვევისას არ შეიძლება დიდტანიან თხზულებაზე მუშაობის პერიოდი განისაზღვროს, მაგალითად, ერთი თვით ან უფრო მოკლე დროით. შუალედური პერიოდი აქ გაცილებით დიდია აღნიშნული შემთხვევის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ ლ. ტოლსტოის რომანები; მაგალითად, „ომი და მშვიდობა“, რომელიც მთელი შვიდი წელი (1863—1869) იწერებოდა, „ანა კარენინა“, რომელსაც ხუთი (1873—1877) წელი მოანდომა ავტორმა და სხ.

ეს რომანები, პირველი უთუოდ მთელი შვიდი წლით—1863—1869 წლებით — უნდა დათარიღდეს, ხოლო მეორე — ხუთი წლით (1863—1867)³⁶.

სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია საკითხი, თუ რომელია ამ თარიღებიდან მეტი, გადამწყვეტი მნიშვნელობისა. ესე იგი დაწყების თარიღს უნდა მიენიჭოს უპირატესობა თუ თხზულების დამთავრების თარიღს? დასახელებულ ნაშრომში ლ. ოპულსკაიას უდავოდ მიაჩნია, რომ თხზულების დათარიღებაში ორივე თარიღი ერთნაირი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა³⁷. მკვლევარის აღნიშნული აზრი მისაღებია. მას, როგორც ჩანს. იზიარებს ი. ლორთქიფანიძეც, როცა წერს: „ასეთ შემთხვევაში ორივე თარიღს... გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და პაექრობა იმის თაობაზე თუ რომელი წელია უფრო გადამწყვეტი—ჩასახვის თუ (თხზულების) დასასრულისა — მოკლებულია ყოველგვარ აზრს“³⁸.

³⁶ Оси́ вы тексты. М., 1962, стр. 182.

³⁷ იქვე.

³⁸ ი. ლორთქიფანიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 121.

გასარკვევი დაგვრჩა თხზულების პირველი პუბლიკაციის თარიღი.

უწინარეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურული შემოქმედება საზოგადოებრივი მოვლენაა. მაშასადამე, ერთი მხრივ არის ავტორი, რომელმაც შექმნა ნაწარმოები, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოება, არსებითად ის, ვისთვისაც შეიქმნა იგი. ხელნაწერად დარჩენილ თხზულებას თუ ვივარაუდებდით, იგი მხოლოდ მწერლის არქივის კუთვნილება იქნებოდა. მაგრამ მწერალი არა თავისთვის, არამედ საზოგადოებისათვის წერს. ამიტომ ორივე თარიღი, როგორც დაწერისა, ასევე ნაწარმოების პირველი პუბლიკაციისა, როცა თხზულება საზოგადოებრივი აზრის კუთვნილება გახდა, ერთნაირად არის საჭირო ტექსტოლოგიაში. სხვა რომ არა, თუ დავუშვებდით, რომ თხზულების შექმნის სხვა, ზემოაღნიშნული თარიღებიდან არაფერი გვეცოდინებოდა, პირველი პუბლიკაციის თარიღის დადგენით ერთი უტყუარი თარიღი მაინც გვექნებოდა თხზულების შესახებ. პირველი პუბლიკაციის თარიღი ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა³⁹, მაგრამ მისი გაიგივება არასოდეს არ შეიძლება თხზულების შექმნის, დამთავრების თარიღთან.

თხზულების პირველი პუბლიკაციის თარიღის დადგენა, შედარებით ხელნაწერის დათარიღებასთან, ადვილია, მით უფრო, თუ ის პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა. რადგან ნაწარმოებთა კრებულის გამოსვლის თარიღის გარდა არსებობს ცენზორის ნებართვის თარიღიც.

ამას გარდა ძიებისათვის მკვლევარის განკარგულებაში შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ოფიციალური მონაცემებიც, რომლებიც ზედმიწევნითი სიზუსტით არკვევენ პირველი პუბლიკაციის თარიღს. უმთავრესად ესაა საცენზურო კომიტეტის ნებართვის სარეგისტრაციო წიგნები, რამაც ბევრი რამ გაარკვია ა. პუშკინის თხზულებათა დათარიღების საკითხში⁴⁰. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია აღნიშნული მნიშვნელობის დიდძალი მასალა, რომელიც სხვადასხვა საქმეში შენახულია ერთი და იგივე სათაურით: «О билетах, выданных кавказским цензурным комитетом на выпуск в свет книг, брошюр и других изданий»⁴¹.

სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია მნიშვნელობა საცენზურო წყაროებისა; მითითებულია, რომ ისინი იცემოდნენ მას

³⁹ Е. И. Прохоров, там же, стр. 127.

⁴⁰ Основы текстологии, М., 1962, стр. 182.

⁴¹ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, საქმე № 449, 474, 885 და სხ.

შემდეგ, როცა სტამბა აცნობებდა ცენზურას დაშვებული ტექსტის დაბეჭდვას და მისი გავრცელების მზადყოფნას.

პუბლიკაციის თარიღის დადგენაში მკვლევარს ხელს უწყობს აგრეთვე საგაზეთო განცხადებები; მაგალითად, ასეთი ცნობა: „ნ. ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვაზე“⁴²; ავტორის თანამედროვეთა მიმოწერა; თვით ავტორის წერილები სხვებთან; მემუარები, დღიურები და სხ. ეს და სხვა მასალები უთუოდ დეტალებში უნდა განვიხილოთ, მით უფრო, რომ არის შემთხვევები, როცა წიგნზე გამოცემის თარიღი შეცდომით არის დაბეჭდილი. ამ მხრივ დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს ერთი ფაქტი ვ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემის ისტორიიდან.

1881 წ. გამოვიდა „ლექსნი თ. ვახტ. ორბელიანისა“ გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1881, გრ. ჩარკვიანის სტამბა, ბარონის ქ. № 17“. ამავე ფურცლის მეორე გვერდზე მოცემულია ვიზა: „Дозволено цензурою. Тифлис, 27-го февраля 1881 года“.

მაგრამ ამ გამოცემის ერთი ნაწილი, რამდენიმე ეკზემპლარი, ალბათ, ტექნიკური მიზეზების გამო დაუბეჭდავთ აგრეთვე არ. კალანდაძის და ამხანაგობის სტამბაში. ამათგან შენახულა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში რამდენიმე ცალი, რომელთაც აქვთ ასეთი წარწერა: „ლექსნი თ. ვახტ. ორბელიანისა გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან ტფილისი, არ. კალანდაძის და ამხ. სტამბა, ლ. მელიქ. ქ. მესხიევის შენობა“. წიგნის ამ ცალებს დაბეჭდვის თარიღად 1884 წელი აწერიათ და არა 1881“⁴³.

გამოირკვა, რომ პირველი თარიღი, 1884 წ., აქ „არ. კალანდაძისა და ამხ. სტამბაში“ დაბეჭდილ ცალებს შეცდომით აქვს დასმული. საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ საქმე გვაქვს ვ. ორბელიანის თხზულებათა მხოლოდ 1881 წლის გამოცემასთან. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ პერიოდისათვის სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ დახასიათებულ საცენზურო „ბილეთებში“, ვ. ორბელიანის ლექსების მხოლოდ 1881 წ. გამოცემაა დადასტურებული⁴⁴; ამასთან მათ, ორივეს ცენზურის ნებართვის მხოლოდ ერთი ვიზა აქვთ ნაჩვენები.

⁴² „დროება“, 1875, № 249.

⁴³ იხ. დასახელებული წიგნები დაუღლია საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკაში K11238, K11238 (ი. ქავაქავაძისეული ცალი).

⁴⁴ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, საქმე № 477, ფ. 65.

როგორც ვხედავთ, თხზულების პირველი პუბლიკაციის თარიღის დასადგენად ტექსტოლოგს დასჭირდება ყველა მონაცემის ზედმიწევნითი სიზუსტით შეაწავლა და შეჯერება.

გალავიდეთ დათარიღების სახეების განხილვაზე.

დათარიღება მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ბევრგან ეს სიძნელეები დაუძლეველია და ამის გამო თხზულება დაუთარიღებელი რჩება, ანდა მიახლოებითად თარიღდება. რიგ შემთხვევაში კი, მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად თხზულება სიზუსტით თარიღდება. ამიტომ ტექსტოლოგიაში არჩევენ დათარიღების ორ ძირითად სახეს: აბსოლუტურსა და პირობითს.

დათარიღების აბსოლუტური სახე გულისხმობს ისეთ შესაძლებლობას, როცა თხზულების შექმნის თარიღის დადგენა ზუსტად არის მოსაზნერებელი.

როგორც აღვნიშნეთ, არის დათარიღების მეორე სახეც: ესაა თხზულების პირობითი დათარიღება, რომელიც უჩვენებს თხზულების არაუადრეს და არაუგვიანეს თარიღებს. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ თარიღი ი. ჭავჭავაძის ცნობილი გამოკვლევისა „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ი. ჭავჭავაძე ამ გამოკვლევას იწყებს იმ საკითხის გარჩევიდან, რომელიც დ. ხ.-ს (დიმიტრი ხოშტარისა) წერილში „ხმა შორიდან“ არის დაყენებული. ეს წერილი კი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1892 წ. 28 იანვარს. ცხადია, ილიას „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ დაუწერია 1892 წ. იანვრის შემდეგ⁴⁵. მეორე მხრივ, ავტოგრაფების შესწავლამ ცხადყო, რომ ილიამ ამ გამოკვლევიდან „ივერიის“ 1892 წ. 15 აპრილის ნომერში ცალკე გამოაქვეყნა წერილი ნ. ბარათაშვილზე⁴⁶. ამრიგად, ი. ჭავჭავაძის „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ დაწერილია 1892 წ. არაუადრეს იანვრისა და არაუგვიანეს აპრილისა.

4. დათარიღების წყაროები და საშუალებანი

ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ თხზულებას, ვიდრე მისი საბოლოო, დასაბეჭდად გამზადებული რედაქცია შეიქმნებოდეს, შეიძლება მიეცეს არაერთი თარიღი: მაგალითად, ჩანაფიქრის, წერის დაწყებისა და დამთავრების, ტექსტის ბოლო წაკითხვისა და ა. შ. ამიტომ საჭიროა ძიე-

⁴⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, პ. ინოვოროჟკის რედაქტორობით, 1953, გვ. 495.

⁴⁶ იქვე.

ბა თავიდანვე იმ გზით წარიმართოს, რომ მკვლევარმა დაადგინოს ავტორისეული თარიღი. საამისო მასალები უნდა მოიძებნოს მწერლის არქივში, მის ხელნაწერებში. მნიშვნელობა აქვს ბექდურ გამოცემებს, თუ მათში მოიპოვება თხზულების ავტორისეული თარიღი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგან არის დადასტურებული ავტორისეული თარიღის მცდარობაც.

ლ. ტოლსტოიმ თავის თხზულებას, „ალბერტ“, რომელიც მან 1857 წ. ნოემბერში ნეკრასოვს „სოვრემენიკში“ გაუგზავნა დასაბუქდად, თარიღად დაუსვა: „დღეონი 28 თებერვალი, 1857 წ“. მაგრამ მწერლის დღიურების მიხედვით გამორკვეულია, რომ მოთხრობა დაწყებულია 1857 წ. იანვარს, პეტერბურგში, ხოლო დამთავრებულია იმავე წლის 25 ნოემბერს მოსკოვში.

ავტორისეული თარიღის შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს არა ერთი და ორი. მათგან დამახასიათებელია ის შემთხვევა, როცა გარკვეული მიზეზით, მაგალითად, პოლიტიკური მოსაზრებით ან საგანგებოდ არ ათარიღებდნენ თხზულებას ან ცენზურის თვალის ჰსახვევად ყალბ თარიღს აწერდნენ. ჩვენს მწერლობაში ამ მხრივ ერთ-ერთ ტიპურ მაგალიტს წარმოადგენს ცნობილი პოეტის ვ. ორბელიანის დამოკიდებულება საკუთარ თხზულებათა დათარიღების საკითხისადმი.

პოეტს ეშინოდა, რომ მის ნაწერებს არ გაემჟღავნებინა 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგია, ამიტომ მან მოსპო თავისი ადრინდელი თხზულებათა ავტოგრაფები და შემდეგაც საგანგებოდ ფარავდა ახალგაზრდობის ხანის თხზულებათა დაწერის თარიღებს. თავიდანვე პატიმრობითა და შიშით ჩანერგილი ეს სიფხიზლე მას ბოლომდე ჩვეულებად შერჩა. არქივში ჩვენამდე ხელნაწერად (ავტოგრაფები, ნუსხები) მოღწეულ მის 58 თხზულებიდან, რომლებიც გაცილებით გვიანაა გადაწერილი, ვ. ორბელიანს არცერთი დათარიღებული არა აქვს⁴⁷. მის სიცოცხლეში პრესაში გამოქვეყნებულ 39 თხზულებიდან მხოლოდ სამს, ისიც მოგვიანო პერიოდის ნაწერებს, უზის ავტორისეული თარიღი⁴⁸, ხოლო კრებულებში, რომლებიც პოეტის სიცოცხლეშია დაბეჭდილი,

⁴⁷ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტა, ფონდი S, საქმე № 4906; გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი № 16282, № 19608 და ა. შ.

⁴⁸ ვ. ორბელიანი, „ძველი დმანისი“, დათარიღებულია 1866 წ. („კრებული“ 1872, № 10—12), „არის ადგილი“ — 1879 წ. („მწყემსი“, 1885, № 8, გვ. 11), „აპერნი იმერთ“ — 1882 წ. („დროება“, 1883, № 1).

კლდე სამი სხვა ნაწარმოებია დათარიღებული⁴⁹. თუმცა ამ უკანასკნელთა შესახებ არ არსებობს რაიმე პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს სამი თარიღიც უცილოდ ვ. ორბელიანს ეკუთვნოდეს.

არის შემთხვევა, როცა მწერალს დაშვებული აქვს უნებლიე შეცდომა და ამიტომ არასწორი გამოდის თხზულების ავტორისეული თარიღი. ზოგჯერ თხზულების ავტორისეული თარიღი განგებ არის არასწორად დასახელებული. ამ შემთხვევაში აქ გარკვეულ როლს თამაშობს ნაწარმოებში ჩაქსოვილი მწერლის ინტიმური მომენტები; მათ დასაფარავად ავტორი წინასწარი განზრახვით აყალბებს ნაწარმოების თარიღს. რუსული კლასიკური ლიტერატურიდან ამ მხრივ დამახასიათებლად ნეკრასოვის მაგალითია სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული⁵⁰.

სინამდვილეს მოკლებულია თხზულების ავტორისეული თარიღი იმ შემთხვევაშიც, როცა დათარიღებაში გარკვეულ როლს თამაშობს მწერლის ინდივიდუალური „თვისება“: უყურადღებოდ დატოვოს თარიღი ან თხზულება დაათარიღოს ზერელედ, თავისი სურვილისამებრ.

როგორც ცნობილია, ვ. ტაბიძის თხზულებათა პირველ (1914 წ.) და მეორე (1919 წ.) წიგნებში მოთავსებული არც ერთი ლექსი დათარიღებული არ არის, ი. ლორთქიფანიძეს დასახელებულ მონოგრაფიაში დადგენილი აქვს, რომ მხოლოდ „1937 წლის თხზულებათა 1 ტომის გამოცემიდან იწყება ავტორის მიერ ლექსების დათარიღება“... რომ ვ. ტაბიძის შემოქმედებით ისტორიაში „არის შემთხვევები, როდესაც ადრე დაბეჭდილი ლექსებისათვის შემდეგ მოგვიანო თარიღი აქვს მოცემული“ და ა. შ.⁵¹

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მწერალი ზოგჯერ, ნებით თუ უნებლიეთ, შეცდომით ათარიღებს თხზულებას.

მაგრამ ყველაფერი ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მკვლევარი თვითნებურად მოეკიდოს თხზულების ავტორისეულ თარიღს. უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორისეული თარიღი ტექსტის ერთი შემადგენელი ნაწილია და მკვლევარს არა აქვს უფლება მოსპოს, ამოიღოს იგი, შესცვალოს სხვა, თუნდაც მის მიერ დადგენილი, მეცნიერული თარიღით და და ა. შ. ვიმეორებთ, ავტორისეული თარიღი ხელუხლებელია, როგორც ნაწილი ტექსტისა, იგი ხელუხლებლად რჩება თავის ადგილას. მეცნიერული თარიღი კი მკვლევარმა უნდა უჩვენოს, მტკიცებასთან ერთად, თხზულების გამოცემის შენიშვნებსა და კომენტარებში.

⁴⁹ ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ოთხი ლექსი“, III, 1879, ლექსნი თ. ვახტ. ორბელიანისა, 1881.

⁵⁰ Основы текстологии, 1962, стр. 274.

⁵¹ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

ამა თუ იმ მწერლის თხზულებათა ზოგი ნაწილი უთარიღოა, ასეთ შემთხვევაში დათარიღების რეალური საშუალებანი და წყაროები იყოფა სამ მთავარ კატეგორიად. მათგან ერთი მოიცავს დოკუმენტურ მასალებს, მეორე თხზულების შინაარსობრივ მონაცემებს, მის ისტორიულ-ლიტერატურულ რეალიებს და მესამე — ესაა. ნაწარმოების ენა და სტილი. ჩვენი საკითხისათვის შეუძლებელია აღნიშნული კატეგორიების ცალკეულ წყაროებზე და საშუალებებზე წარმოებული კვლევა-ძიება წარმოვიდგინოთ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, განყენებული და დამოუკიდებელი. პირიქით, ძიება უნდა წარინართოს აქ დასახელებულ კატეგორიათა წყაროებისა და საშუალებების მთლიანობაში. დოკუმენტური მასალების, თხზულების იდეურ-შინაარსობრივი და მისი ენობრივ-სტილისტური წყაროებისა და საშუალებათა შესწავლისაგან მიღებული დასკვნები ერთმანეთს უნდა ავსებდეს. ასეთი მონაცემებიდან დადგენილი თარიღი იქნება სანდო და ურყევი; ხელთ გვექნება თხზულების მეცნიერულად დადგენილი თარიღი.

მეცნიერული პრობლემის კვლევა-ძიების მეთოდის მთელი სირთულე ნათელი გახდება, თუ ცალ-ცალკე გვექნება შესწავლილი თხზულების დათარიღების წყაროებისა და საშუალებათა სამივე კატეგორია. დავიწყოთ პირველით.

დოკუმენტური მასალების წყაროები და საშუალებანი მრავალმხრივია და მრავალნაირი. მას, თავის მხრივ, ორ ჯგუფად ყოფენ. პირველი ჯგუფის ეს მასალები, უწინარეს ყოვლისა. მწერლის არქივში უნდა იქნეს მიკვლეული. ამ კატეგორიის პირველი ჯგუფის მასალები მოიცავს არა ერთი სახის ხელნაწერს; მაგალითად, ავტოგრაფებს, ასლებს, ზოგ შემთხვევაში ავტორისეული ჩანაწერებით. დღეების ან დროის სხვა ერთეულთა მინიშნებებით; მწერლის დღიურებს, სადაც თარიღი ხშირად ზუსტად, სახითაცაა მოცემული; უბის წიგნაკებს, რომელშიაც შეიძლება აღმოჩნდეს დათარიღებული ჩანაწერი ავტორის რომელიმე თხზულების. რომელიმე ადგილით ან სათაურით; ავტორის მიერ წიგნის აშეიბზე საკუთარი ხელით გაკეთებული თარიღიანი მინაწერები; მწერლის ნაწერების სიაში არსებული ცალკეული თუ საერთო მითითებანი; ხელნაწერად დარჩენილი თუ გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიები, რომლებშიაც რაიმე კუთხით, რომელიმე თხზულების დაწერის დრო შეიძლება იყოს მინიშნებული; ეპისტოლარული შემკვიდრობა; ავტორის თუ მის თანამედროვეთა მოგონებანი, ეპოქის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა, დებამები თხზულების დამთავრების, რედაქციისათვის გადაცემის თუ მსგავს საკითხებთან დაკავშირებული და სხ.

დოკუმენტურ მასალათა მეორე ჯგუფში შეიძლება მოთავსდეს ბაქენზურო კომიტეტის ოფიციალური ცნობები; პოლიციის სათანადო განყოფილების ოფიციალური რეგისტრირებანი და წყაროები; რედექციებისა და გამომცემლობათა ცნობები და სხვ.

ყველა ზემოხსენებულ წყაროთა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ხელნაწერს, უპირატესად ავტოგრაფს, რომელიც თუნდაც უთარილოდ იყოს მოღწეული. ხელნაწერი საგანგებოდ უნდა შევისწავლოთ. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის მკვლევარს შეეცლოს ხელნაწერის ღრმა, პალეოგრაფიული ანალიზი. გასათვალისწინებელია ქალაქის ხარისხი, კვირნიშანი, ხელი და სხვა. მართლია, განსაკუთრებულ როლს ყველაფერი ეს უფრო ძველი მწერლობის ძეგლების მიმართ ასრულებს, მაგრამ ისინი არც ახალი მწერლობის თხზულებათა დათარიღებაშიც არამც და არამც არ იმსახურებენ მეორეხარისხოვან როლსა და ადგილს. „ვინც კარგად იცნობს გ. ტაბიძის არქივს, — წერს ი. ლორთქიფანიძე, — დარწმუნდება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ (პალეოგრაფიულ ნ. კ.) მონაცემებს თარიღის დასადგენად. ადრინდელი ქალაქი, ქალაქი ოციანი წლებისა და ომის დროინდელი. მელანი, მისი ხარისხი, ბურთულიანი ავტოკალამი, კალიგრაფიული მონაცემები“ — აი ყოველივე ის, რაც ასე საზრიანად გამოიყენა მკვლევარმა გ. ტაბიძის უამრავი უთარილო თხზულების დაწერის დროის დასადგენად და დასაზუსტებლად⁵².

ასე რომ, ავტორისეული ხელნაწერი და მიწი პალეოგრაფიული შესწავლა ბევრნაირად ავლენს თხზულების დაწერის დროს. ამიტომ პალეოგრაფია მკვლევარის ხელში ყოველთვის უნდა დარჩეს „ტექსტოლოგიის დამხმარე დისციპლინად“⁵³.

დათარიღების პრობლემის გადაწყვეტაში, როგორც ითქვა, ავტორისეულ ხელნაწერთან ერთად, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ წყაროსა და საშუალებას, რომლებიც ჩვენ ზემოთ დოკუმენტური კატეგორიის მასალათა პირველ თუ მეორე ჯგუფში დავასახელებთ. მოვიყვანოთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მას ამა თუ იმ დოკუმენტური წყაროს მეცნიერული თარიღის დადგენაში.

უკანასკნელ დრომდე არ იყო გარკვეული, თუ როდის დაწერა ი. ჯავახიშვილი „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია“. მკვლევარისათვის, აღებულ შემთხვევაში, თხზულების არც იდეურ-შინაარსობრივი ანალიზი და არც მით უფრო მისი ენა და სტილი იძლეოდა რაიმე ხელშეა-

⁵² ი. ლორთქიფანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

⁵³ С. Лихачев, Текстология, М.—Л., 1962, стр. 271.

ხებს: თარიღის დასადგენად რჩებოდა მხოლოდ დოკუმენტური კატეგორიის წყაროები და საშუალებანი.

აღმოჩნდა მარ. ორბელიანის 1891 წლის 22 დეკემბრის წერილი მიწერილი პ. უმიკაშვილისადმი, რომლითაც ავტორი ადრეააღსაბუთებდა ი. ჭავჭავაძის გადაწყვეტილებას, რომ ილია დაწერდა ვ. ორბელიანის თხზულებათა კრებულისათვის შესავალს პოეტის „ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ“.⁵⁴

გამოუცემელ „მოგონებაში“, რომელიც ისევ მარ. ორბელიანს ეკუთვნის, აღმოჩნდა, რომ ი. ჭავჭავაძეს გამოცემის ინიციატორებისათვის (მარიამ ორბელიანი) პირობა მიუცია, რომ ის დააჩქარებდა წინასიტყვაობას, ე. ი. დაწერდა „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიას“.⁵⁵ მოგონება დათარიღებულია 1894 წლით. მაშასადამე, „ბიოგრაფია“ ილიას დაწერილი არ ჰქონია 1894 წლის იმ დროისათვის, როცა მას მარ. ორბელიანი პოულაპარაკა. მაგრამ „მოგონებაში“ არ ჩანს სახელდობრ აღნიშნული წლის რომელ თვეს შეხვდა მარ. ორბელიანი ი. ჭავჭავაძეს. ამ საკითხს აზუსტებს მწერალი ქალის, ეკ. გაბაშვილის ერთი პირადი წერილი, რომელიც მას პ. უმიკაშვილისათვის მიუწერია 1894 წლის 12 თებერვალს. წერილში აღნიშნულია, რომ ეკ. გაბაშვილი, პ. უმიკაშვილის დავალებით, შეხვედრია მარ. ორბელიანს. ამ უკანასკნელს ეკ. გაბაშვილისათვის გადმოუცია, რომ ი. ჭავჭავაძე „გუშინწინ“ (მაშასადამე, 10 თებერვალს. ნ. კ.) დაპირებია მარიამს, „უთუოდ ამ ცოტა ხანში მოვამზადებ (ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიას. ნ. კ.⁵⁶), ხოლო პ. უმიკაშვილის იმავე წლის 13 თებერვალს ეკ. გაბაშვილისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ი. ჭავჭავაძეს 1894 წლის 10-12 თებერვლისათვისაც არ ჰქონია წერილის წერა დაწყებული და პ. უმიკაშვილს „ეკვი აქვს, მეტადრე ახლა“, 1894 წ. 13 თებერვალს, დაწერს თუ არა ი. ჭავჭავაძე „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიას“.⁵⁷

მაგრამ ი. ჭავჭავაძეს, ჩვეულებისამებრ, თავისი სიტყვა ამჭერდაც შეუსრულებია. ირკვევა, პირობისამებრ „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის“ წერა მას დაუწყია 1894 წლის თებერვლის მეორე ნა-

⁵⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ. ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი, 9.

⁵⁵ მარ. ორბელიანი, ცალკეული მოგონება (ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან), გ. ლონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, მოგონებათა ფონდი, ხელნაწ. 13404.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ შ. ზანდუკელი, პეტრე უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 60.

ხევრიდან და იმავე წლის მარტის ბოლოსათვის დაუმთავრებია. ამას ადასტურებს ვ. ორბელიანის თხზულებათა კრებულისათვის დაწერილი. პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობის შავი, რომელიც დათარიღებულია 1894 წ. 29 მარტით. აღნიშნული წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ 1894 წ. 29 მარტისათვის პ. უმიკაშვილს ხელთ ჰქონია ი. ჭავჭავაძის „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია“,⁵⁸ ხოლო იმავე მარტის 30-ს, როგორც პ. უმიკაშვილის მიერ ი. ჭავჭავაძესთან აღნიშნული წლის 1 აპრილის თარიღით დაწერილი წერილიდან ჩანს, „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია“ და დამატებით სხვა მასალები პ. უმიკაშვილს უკვე გაუგზავნია დასაბეჭდად⁵⁹. ასე რომ, ი. ჭავჭავაძეს „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია“ დაუწერია 1894 წლის არა უადრეს თებერვლის მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს მარტისა⁶⁰.

კრებული „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ პ. უმიკაშვილის დამატებითი სარედაქციო მასალებითა და ი. ჭავჭავაძის „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიით“ მთლიანად დაიბეჭდა და გამოვიდა 1894 წლის 5 ივნისს.⁶¹

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ი. ჭავჭავაძის თანამედროვეთა მიწერ-მოწერითა და ერთი მათგანის მოგონებით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო მწერლის უადრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოების დაწერის თარიღი; ამგვარად მხოლოდ დოკუმენტური მასალების საფუძველზე მოხერხდა გადაჭრილიყო აღნიშნული თხზულების მეცნიერული დათარიღების პრობლემა.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „მირბის, მიმაფრენს“ თარიღდება მხოლოდ პოეტის მიერ გრ. ორბელიანისადმი 1842 წ. გაგზავნილი პირადი წერილის თარიღის მიხედვით; ნ. ბარათაშვილის პირადი წერილებით თარიღდება აგრეთვე მისი ლექსები „ვპოვე ტაძარი“ და „სულო ბოროტო“.

დათარიღებისათვის ზოგჯერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელნაწერის ადგილს ალბომსა, რვეულსა და კრებულში. ადრე თვით ნეკრასოვის მითითების თანახმად, მისი ცნობილი ლექსი „ИЗБОЗ-УИК“ თარიღდებოდა 1848 წლით. მაგრამ პოეტის რვეულში, რომელიც

⁵⁸ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი S, საქმე № 4996.

⁵⁹ იქვე, ი. ჭავჭავაძის ფონდი, 202.

⁶⁰ ნ. კ ი ლ ა ნ ა ვ ა, ილია ჭავჭავაძის „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის დათარიღებისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის „მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“, 1964, გვ. 20—21.

⁶¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის ფონდი, № 228.

1855 წ. თარიღდება, აღმოჩნდა ლექსის პირველი ჩანაწერები. ამის შედეგად ნეკრასოვის თხზულებათა ყველა თანამედროვე გამოცემაში აღნიშნული ლექსი 1855 წლით არის დათარიღებული.

მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებისადმი ერთგვარი დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო, რადგან შესაძლებელია ხელნაწერის კრებული ან ალბომის თარიღი ყოველთვის არ ეკუთვნოდეს მასში შემავალ ყველა ნაწარმოებს. მაგალითად. გამოირკვა, რომ თარიღი 1830 წელი, რომელიც ლერმონტოვის IV რვეულზე იყო დასმული, ეხებოდა მხოლოდ მის „დემონს“ და არა რვეულში მოთავსებულ ყველა თხზულებას⁶².

აღნიშნული მაგალითები საფუძველს იძლევიან დავასკვნათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტურ წყაროებს თხზულების თარიღის დასადგენად.

იდეურ-მხატვრული ანალიზის მიხედვით ნაწარმოების დასათარიღებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ისტორიული ფაქტები და მოვლენებია ასახული თხზულებაში. რა ბექტდური წყაროებია ნაწარმოებში გამოყენებული: გასათვალისწინებელია ვითარება, როცა თხზულებაში მოცემულია ცნობილ პიროვნებათა სახეები, ან როცა ლაპარაკი პირდაპირ ისტორიულ პიროვნებას შეეხება და ა. შ.

არ არის დათარიღებული ვ. ორბელიანის „ნანჭრევთა შუა ლამპარი“, რომელიც პოეტს ი. მეუწარგიასათვის აქვს მიძღვნილი. ლექსის შინაარსი და რეალიები კი, კერძოდ, მიმართვა მეუწარგიასადმი — „და, აწ, მადლი შენ. გსურს გააცნო იგი ევროპას“ — აშკარას ხდის, რომ ლაპარაკი შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს, რომელიც ი. მეუწარგიამ 1884 წლის ბოლოსათვის შეასრულა.⁶³ გამოთქმა „და, აწ, მადლი შენ“.. ამტკიცებს, რომ ლექსი სწორედ ახლა, ესე იგი 1884 წელს არის დაწერილი.

ჩვენი თანამედროვე პოეტების რიგი უთარიღო ლექსებისა. რომლებიც დიდი სამამულო ომის უმძაფრეს დღეებში ხშირად სახელდახელოდაც იწერებოდნენ, ხელშესახებლად მიუთითებდნენ დაწერის თარიღებს, იმის მიხედვითაც, თუ საბჭოთა მიწა-წყლის რომელი ქალაქის. რომელი სოფლის განთავისუფლებისადმია ესა თუ ის ლექსი მიძღვნილი, რადგან საბჭოთა პრესა ზუსტად აღწესდებდა, როდის რა ადგილი, თვით რა პუნქტი გაათავისუფლა ჩვენმა ჯარებმა. ასე თარიღდება, კერძოდ, გ. ტაბიძის ამ დროის მრავალი ლექსი და მათ შორის „ბასეინო დონის“.

⁶² Основы текстологии, М., 1962, стр. 177.

⁶³ „დროება“, 1884, № 250.

თხზულებაში განსახიერებელი ისტორიული მოვლენის მიხედვით ძეგლის დათარიღების მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ღმიტ. ვ.“ აღნიშნავს რა ლექსში ფაქტობრივ მონაცემებს, პროფ. დ. გამეზარდაშვილი წერს: „რუსეთში იძულებით ყოფნა, გადასახლება, ალ. ჭავჭავაძეს 1805 წლის შემდეგ 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენამდე არ შეხვედრია, აქ (ლექსში) კი ჩანს, რომ იგი მეორედაა გადასახლებული და შორიდან შესცქერის „კავკასიას“. ასე რომ, — ასკენის მკვლევარი, — ლექსი მეორე გადასახლების პერიოდში, 1832 წლის შემდეგ არის დაწერილი“⁶⁴.

გონჩაროვის მოთხრობა „უნივერსიტეტი“, ... გამოქვეყნებული პირველად 1887 წელს („ვესტნიკ ევროპი“), ადრე თარიღდებოდა 70-იანი წლებით, მაგრამ შემდეგში ეს თარიღი შეიცვალა 60-იანი წლებით, რადგან მოთხრობაში ნაჩვენებია აზრი უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ, გადმოცემულია როგორც თანამედროვე ამბავი და შეეხება ამ პერიოდს, 60-იან წლებს⁶⁵.

არის შემთხვევები, როცა ახალი ხანის კლასიკური ლიტერატურის ძეგლების დათარიღებას ამყარებენ მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიაზე, მაგრამ მხოლოდ ბიოგრაფიაზე დაყრდნობა სანდო არ არის.

მ. ლერმონტოვის ლექსი «Ты помнишь ли, как мы с тобою...» ბ. ეიხენბაუმმა დაათარიღა 1841 წლით. ამ თარიღის საფუძველად მკვლევარმა აიღო პეიზაჟური დეტალები, რომლებიც, მისი აზრით, პოეტს მხოლოდ სამსახურში, უწინარეს გელენჯიკში უნდა აეღო. ბ. ეიხენბაუმის თქმით, პოეტის ბიოგრაფიის მიხედვით, ლერმონტოვი გელენჯიკში იყო 1841 წელს, მაგრამ თანამშრომელთა (ვ. მევეციჩის) მოგონებიდან გამოირკვა, რომ აღნიშნული ლექსი ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ 1830 წელს და რომ იგი წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს თომას მურის ლექსისას — „საღამოს გასროლა“⁶⁶.

ამ მაგალითიდანაც ცხადია, რომ ბიოგრაფიული მასლებით თხზულების დათარიღების გზა უთუოდ სასიფათოა და დიდ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული.

არა ნაკლებ სასიფათოა; როდესაც თხზულებაში ხედავენ სხვა თხზულების აზრებისა და იდეების გამეორებას და ამის მიხედვით არკვევენ დათარიღების პრობლემას. ასეთ შემთხვევაში მივიღებო მხოლოდ მიახლოებით თარიღს.

⁶⁴ დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 131.

⁶⁵ Основы текстологии, 1962, стр. 179.

⁶⁶ Там же, стр. 180.

ერთი სიტყვით, თხზულების დათარიღების საშუალება, რომელიც ემყარება შინაარსს და საერთოდ, თხზულების რეალიებს, მის იდეურ-მხატვრულ ანალიზს, შედარებით დოკუმენტური კატეგორიის წყაროებსა და მასალებთან, უფრო ნაკლებ სანდოა მეცნიერული დასკვნების გამოსატანად.

დაბოლოს, თხზულების დათარიღების პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთი საშუალების შესახებ: ესაა ნაწარმოების ენა და სტილი. მაგრამ კვლევა ამ გზით უფრო მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული. ეს სირთულე შექმნილია იმით, რომ ენისა და სტილის ისტორია, არა მარტო ქართულ ფილოლოგიაში, არამედ საერთოდაც, კერძოდ, რუსულ ფილოლოგიაშიც, დღემდე არ არის შესწავლილი. მიუხედავად ამისა, როგორც ძველი, ისე ახალი დროის კლასიკური ლიტერატურის ძეგლებისთვისაც არის შემთხვევები, როცა დათარიღების ეს საშუალებაც არის გამოყენებული. მაგალითად, ე. პროხოროვის სიტყვით, ბელინსკის 1833 წლამდე, „ფრაზაში მეტი სიცოცხლისათვის“, აუცილებლად მიაჩნდა, ეხმარა სიტყვები «Сей», «Онѣ». მაგრამ 1835 წლის შუა ხანებრიდან ეს სიტყვები მას არასოდეს არ უხმარია.⁶⁷

მაშასადამე, ენისა და სტილის ეს დამახასიათებელი მონაცემები შეიძლებოდა გამოეყენებინა მკვლევარს ბელინსკის აღნიშნული პერიოდის რომელიმე უთარიღო ნაწარმოების დასათარიღებლად და არა საერთოდ.

რამდენიმე რუსი მწერლის თხზულებებისათვის სტილური დამახასიათებელი მაგალითები აღნიშნული აქვს ა. გრიშუნინს თავის ნაშრომში⁶⁸, რომელშიაც წარმოდგენილი მასალები ჩვენი საკითხისათვის არ არის ინტერესს მოკლებული. მის მიერ მოყვანილ მაგალითებიდან ნათელი ზდება, თუ რა სახით უნდა ვიგულისხმოთ ენისა და სტილის ანალიზის შედეგად დათარიღებისათვის გამოსაყენებელი მასალები. საერთოდ კი უნდა ვიცოდეთ, რომ ვიდრე არსებითად არ იქნება დამუშავებული მწერლის სტილისტური თავისებურებანი, მანამდე ენისა და სტილის ანალიზის მიხედვით თხზულების დათარიღების ყველა ცდა ამაო იქნება.

ასეთია გზები, ხერხები, წყაროები და საშუალებანი თხზულების მეცნიერული დათარიღების პრობლემის გადასაჭრელად.

⁶⁷ Е. Прохоров, там же, стр. 131—132.

⁶⁸ Гришунин, Опыт обследования употребительности языковых дублетов в целях атрибуции, «Вопросы текстологии», выпуск 2, М., 1860. стр. 145.

5. დათარიღების ტიპები და გამოსახვის ფორმები

დათარიღების ტიპები იქმნება მათი შინაარსობრივი სიზუსტის გამოსახვის თვალსაზრისით. არის ტიპები დათარიღებისა, რომლებიც გვიჩვენებენ თხზულების შექმნის დროს ექვიმუტანელ ფორმებში. მაგრამ არის ტიპები დათარიღებისა, რომელთა ფორმებიც აშკარად მიუთითებენ დაახლოებითობას, დაშვებას, შესაძლებლობას (პირობითობას) და ა. შ. დათარიღების პირველი ჯგუფის ფორმები ძირითადად ზუსტ თარიღებს მოიცავს, მეორისა კი უფრო მეტად მიახლოებას გამოხატავს⁶⁹. განვიხილოთ ჯერ დათარიღების პირველი ჯგუფის ტიპები და მათი გამოსახვის ფორმები.

ზუსტი თარიღი. საერთოდ იგი გულისხმობს სიზუსტეს არა აუცილებლად ერთ დღემდე. მაგრამ ზუსტი უნდა იყოს თვისა და წლის ან ცალკე წლის თვალსაზრისით. უბსეთია, მაგალითად, თარიღები: სიმონ ჩიქოვანის ლექსისა „ბარათი მთიდან“, 1929 წელი, სექტემბერი; ირ. ევდოშვილის „გედის სიმღერა“, 1878 წ., ნ. ბარათაშვილის „საყურე“, 1939 წ., გ. ტაბიძის ლექსისა „აკაკის გარდაცვალების გამო“, 1915, 26 იანვარი.

მსგავსი მაგალითებია, ჯერ. ორბელიანის ლექსის „იარალის“ თარიღი „მარტის 8-სა, 1832 წელსა“ მისივე: „სალამო გამოსალმებისა“ თარიღი, „პეტერბურლი, ივლისის 15-სა, 1832 წელს“ და სხ.

ზუსტ თარიღთა შორის გამოირჩევა პირდაპირი თარიღი. უკანასკნელი გამოსახავს თვით დღესაც; ეს უმთავრესად მცირე ფორმის ნაწარმოებშია სავარაუდო, პატარა მოთხრობის, კორესპონდენციის. ლირიკული ლექსისა და ნოველის თარიღები შეიძლება მოცემულა იქნეს თუნდაც ერთი დღის, თვით საათის სიზუსტითაც.)

პირდაპირი თარიღის მაგალითს წარმოადგენს გ. ლეონიძის ლექსის „* * *“ (ძმებო, მწყემსებო...) თარიღი: „10 აპრილი, 1956, თბილისი—ბაქოს მატარებელი, სადგური ქურდამირი. დამის ორი საათი“⁷⁰. აქ ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, მთავარია არა ლექსის დაწერის ადგილი, არამედ მისი თარიღი: 10 აპრილი, 1956... დამის ორი საათი“.

ორმაგი თარიღი დათარიღების ამ ფორმას განსაზღვრავს ნაწარმებებზე მუშაობის ქრონოლოგია. ორმაგი თარიღი მიეცემა ნაწარმოებს, თუ იგი იწერებოდა შესამჩნევი შესვენებით. მაგალითად, ავტორმა ნაწარმოები დაიწყო 1821 წ., დაწერა ერთი ნაწილი, ხოლო დროის ინტერვალის, დავუშვათ, 7 წლის შემდეგ, კვლავ განაგრძო და დაასრულა იგი. ასეთ შემთხვევაში გვექნება ნაწარმოების თარიღი: 1821, 1828 წწ. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მძიმეს (,) იგი ერთმანე-

⁶⁹ Основы текстологии, 1962, стр. 184.

⁷⁰ „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 32 (1565).

თისაგან ყოფს ამ ორ თარიღს, მაშასადამე, ეს ნიშნავს, ნაწარმოები შეიქმნა ავტორის მიერ მისდამი ორჯერ მიბრუნების შემდეგ. ესე იგი თხზულების დასამთავრებლად ავტორი სხვადასხვა დროს მუშაობდა: პირველად 1821 წ., ხოლო მეორედ 1828 წელს.

ფართო თარიღი. ორმაგი თარიღისაგან განსხვავებით, აქ ორი თარიღი ტირეთი (-) არის გაერთიანებული. ეს ტირე მიუთითებს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობაზე, დროდან დრომდე, ნაწარმოებზე ავტორის მუშაობის მთელ პერიოდზე. არ არის გამორიცხული, რომ ნაწარმოებზე მუშაობა ამ შემთხვევაშიც ცოტა ხნით (დღე, კვირა, თვე) შეწყვეტილიყო, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ასეთ შემთხვევაში უთითებენ თხზულებაზე მუშაობის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს. ეს ორი თარიღი ერთმანეთისაგან ტირეთი არის გამოყოფილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოებზე მუშაობა მთელ ამ პერიოდში მიმდინარეობდა. მაგალითად, ლ. ტოლსტოიმ „ანა კარენინაზე“ მუშაობა დაიწყო 1873 წელს და დაამთავრა 1877 წ. მაშასადამე, თხზულებას უნდა დაესვას ფართო თარიღი [1873—1877]. გ. ტაბიძის პოემა „აფეთქება“ 1941 — 1949 წლებში იწერებოდა, მისი თარიღი ასე უნდა გამოიხატოს [1941—1949].

შუალედური თარიღი. ესაა დათარიღების ფორმა, რომელიც გამოსახავს თხზულებაზე ავტორის მუშაობას წყვეტილ-წყვეტილად, რამდენიმე წლის მანძილზე. ასე ლ. ტოლსტოი, როგორც ცნობილია, მოთხრობას „მამა სერგი“ წერდა 1890, 1891, 1895 და 1898 წლებში. დათარიღების ჩვენება ამ სახით უნდა აღინიშნოს [1890, 1891, 1895, 1898].

მიახლოებითი დათარიღება. მისი შინაარსობრივი მხარე გულისხმობს მხოლოდ პირობითობას; უჩვენებს ნაწარმოების მხოლოდ საერაულდო თარიღს; გამოაახვის ფორმისათვის დამახასიათებელია კითხვის ნიშანი (?) ასე, მაგალითად, „1956 — ?“, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობილია თხზულების დაწყების თარიღი და დამთავრების კი არა. არის შემთხვევები, როცა მიახლოებითი დათარიღება აღნიშნავს მხოლოდ პერიოდს ზოგადად, „1927 წლის ბოლო — 1929 წლის დამდეგი, ან ზანთარი 1871 წლისა“ ან კიდევ: „დაახლოებით 1851 წელი“ და სხ.

ზოგჯერ მიახლოებითი დათარიღება გამოსახულია ასეთი ფორმით: „194...“, ეს ნიშნავს — ნაწარმოები დაიწერა 1940-დან 1949 წლამდე, მაგრამ არ ვიცით თუ როდის, აქ მიახლოების პერიოდი მთელი 9 წელიწადია (1940-დან 1949 წლამდე). მაგალითად, გ. წერეთელს თავის ნაწერებში არაერთგან აქვს თარიღის მისანიშნებლად: „188...“. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, მოთხრობილი ამბავი განეკუთნება დროს, 1880 წლიდან 1889 წლამდე ჩათვლით.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა დათარიღებების მიხედვით კრებულებში თხზულებათა განლაგების შესახებ. მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში ნაწერები უანობრივად ლაგდება (ლექსები, პოემები, მოთხრობები და სხვ.). თითოეულ უანრში თხზულებანი ქრონოლოგიის მიხედვით უნდა დალაგდეს. როდესაც ნაწარმოებს ორმაგი, ფართო ან შუალედი თარიღი მოეპოვება, გამოცემაში ისინი უკანასკნელი თარიღის მიხედვით დალაგდებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს პოეტურ თხზულებათა ციკლის დათარიღებისა და გამოცემებში მისი ადგილის შესახებაც.

ციკლის თარიღი დგება, ერთი მხრივ, ცალკეულ ნაწარმოებთა თარიღებისა და მეორე მხრივ მთელი ციკლის ჩამოყალიბების თარიღის მიხედვით.

მკვლევარს არა აქვს უფლება გამოცემაში ზუსტი ქრონოლოგიის დაცვის მიზნით შეცვალოს ავტორის შექმნილი კომპოზიცია და მის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ციკლები.

კომენტარი აკადემიურ ბაროცემაში

დღეს არასრულყოფილად გამოიყურება გამოცემა, რომელსაც არ ახლავს ე. წ. სამეცნიერო-საცნობარო აპარატი — სისტემაში მოყვანილი ცნობათა და განმარტებათა კომპლექსი, რომელიც ეხმარება მკითხველს ტექსტის მართებულ და ღრმა გაგებაში.!

თანამედროვე მკითხველის უტილიტარული მიზნებითაა განპირობებული სამეცნიერო-საცნობარო აპარატის როგორც შინაარსი, ისე ფორმა.

მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი ნაწარმოების თანამედროვეობასა და დღევანდელ მკითხველს შორის ხელს უშლის ტექსტის ე. წ. „იდეალურ“ გაგებას, ე. ი. მის გაგებას ისეთი სრულყოფით, როგორც ამას გულისხმობდა მწერალი, როცა მას მხედველობაში ჰყავდა თავისი თანამედროვე მკითხველი.

ამ სამეცნიერო-საცნობარო აპარატის უპირველესი დანიშნულებაა ჩააყენოს დღევანდელი მკითხველი იმ იდეალური მკითხველის როლში, რომელსაც გულისხმობდა და მიმართავდა მწერალი. ეს ფაქტი განსაზღვრავს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შინაარსს, მის მიერ განსახილველი საკითხების სფეროს. ხოლო საცნობარო ელემენტების დახვეწილი, კომპაქტური სისტემა უიოლებს მკითხველს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის მარჯვედ მოხმარებას, ტექსტთან და, საერთოდ, ნაწარმოებთან დაკავშირებულ ყველა საგულისხმო საკითხზე კონკრეტული პასუხის ადვილად მიგნებას.

რა საკითხებს მოიცავს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი? სამეცნიერო-საცნობარო აპარატი წარმოადგენს იმ ტექსტოლოგიური ხასიათის სამუშაოს ფიქსირებას, რასაც რედაქტორი (გამომცემელი) ეწევა ტექსტზე მუშაობის დროს — ტექსტის შეჯერება წყაროების მიხედვით, კანონიკური ტექსტის დადგენა და მისი მეცნიერული დასაბუთება, ვარიანტული სხვაობების ფიქსირება, დათარიღებისა და ატრიბუციისათვის ჩატარებული კვლევა, ტექსტის განმარტება როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ტექსტში არსებული ყველა საჭირო ფაქტობრივი მასალის ზუსტი კომენტი-

რება — ყველაფერი ეს თავის ასახვას პოულობს სამეცნიერო საცნობარო აპარატში. მაღალ მეცნიერულ დონეზე მომზადებული სამეცნიერო-საცნობარო აპარატი წიგნს სძენს დიდ მეცნიერულ ღირებულებას, ხოლო მასში მოთავსებული ცნობების კომპაქტური და მოხდენილი განლაგება მკითხველს აძლევს დროის ეკონომიის მაქსიმუმს.

თანამედროვე გამოცემებში სამეცნიერო აპარატის და, კერძოდ, კომენტარის შინაარსისა და ხასიათის საკითხს აპირობებს, უპირველეს ყოვლისა გამოცემის ტიპი. ძირითადად, როგორც ცნობილია, განხილავენ გამოცემის სამ ტიპს: აკადემიურს, მეცნიერულს და პოპულარულს. გამოცემათა ტიპები ცალკე განხილვის საგანს შეადგენს და ამიტომ აქ მასზე არ შევჩერდებით.

გამოცემის ტიპს გარდა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შინაარსისა და ფორმის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით გამოსაცემი თხზულების სპეციფიკას: ენას, მხატვრულ მანერას, მასალის თავისებურებას და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოცემათა ტიპების მიხედვით სამეცნიერო-საცნობარო აპარატის თავისებურება ყველაზე ნაკლებ კომენტართან დაკავშირებით ვლინდება. ამ განსხვავებას ჰქმნის ტექსტოლოგიური სამუშაოს ფიქსირების სივრცელე.

↓ ძირითადად სამეცნიერო აპარატში შემავალი ცნობები სამ განყოფილებად კლასიფიცირდება:

1. შესავალი სტატია
2. კომენტარი
3. საძიებლები

შესავალი სტატია ახასიათებს გამოცემას, მისი შედგენისა და მომზადების პრინციპებს, ახდენს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-კრიტიკულ ანალიზს, გადმოგვცემს ბიოგრაფიულ ცნობებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ნიშნველოვანი მომენტების ამსახველი ქრონოლოგიური ქარჯის სახით.

საძიებლები სხვადასხვა ხასიათისა და უაღრესად მრავალფეროვანია — სახელთა საძიებელი (ანოტირებული და უბრალო), ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, ნაწარმოებში დასახელებულ ლიტერატურულ წყაროთა და პერსონაჟთა საძიებელი, სიუჟეტების საძიებელი, წერილების ადრესატთა საძიებელი და სხვ.

კომენტარი — სამეცნიერო-საცნობარო აპარატის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

როგორც წესი, კომენტარს უწოდებენ გამომცემლის მიერ მოცემულ განმარტებას ტექსტთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხზე, რაც

მკითხველისათვის შეიძლება ბუნდოვანი, ან გაუგებარი აღმოჩნდეს. ყველა იმ განმარტებას, რასაც ჩვეულებრივ კომენტარის მნიშვნელობას აძლევენ, ტექსტოლოგიაში რეალური კომენტარი ეწოდება.¹ ეს კი მხოლოდ ერთი სახეა იმ მრავალი, სხვადასხვანაირი, ტექსტთან დაკავშირებული განმარტებებისა, რომელიც ცნება კომენტარში ერთიანდება.

⟨ტექსტოლოგიაში კომენტარს უფრო ფართო შინაარსი გააჩნია: ცნობილი საბჭოთა ტექსტოლოგის, ბ. ტომაშევსკის აზრით, კომენტარი თავისი შინაარსით შეიძლება შვიდ, ერთმანეთისაგან გამოკვეთილ ჯგუფად დაიყოს!.

1. ამ ჯგუფს განეკუთვნება ე. წ. ისტორიულ-ტექსტოლოგიური და ბიბლიოგრაფიული კომენტარი, რომლის მიზანია ნაწარმოების ტექსტის შექმნის სრული ისტორიის მოცემა, ამ სახით კომენტარი, ბ. ტომაშევსკის აზრით, შეიძლება ფართოდ გაიშალოს მხოლოდ აკადემიურ გამოცემაში.

2. სარედაქციო საგამომცემლო კომენტარი ახდენს ძირითადი ტექსტის შერჩევისა და ვარიანტული წაკითხვების მოტივირებას, აღწესნავს პრინციპებს, რომელიც საფუძვლად დაედო ძირითადი ტექსტის მოზადებას.

3. კომენტარის მესამე ჯგუფი—ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარია, იგი იძლევა ნაწარმოების ისტორიას. ესეთი სახის კომენტარი უნდა მოიცავდეს ავტორის ბიოგრაფიის ისეთ მომენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ნაწარმოებთან. უნდა მიმოიხილავდეს ნაწარმოების მნიშვნელობასა და ადგილს მწერლის შემოქმედებაში და, საერთოდ, იმ პერიოდის ლიტერატურაში. ხოლო რადგან კომენტარი უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ დოკუმენტურ მასალას, ამ კომენტარში უნდა მოთავსდეს კრიტიკული და მემუარული ცნობები, რომლებიც დაახასიათებს მწერლისა თუ მის თანამედროვეთა დამოკიდებულებას გამოსაცემი თხზულებისადმი.

4. კომენტარის მეოთხე სახედ ბ. ტომაშევსკი მიიჩნევს კრიტიკულ კომენტარს, რომელიც, როგორც თვითონ შენიშნავს, შესავალი კრიტიკული წერილის სახით ტრადიციად იქცა გამოცემაში. ხოლო რადგან ასეთი წერილი ეწინააღმდეგება კომენტარის მკაფიო საცნობარო-დოკუმენტურ ხასიათს (ტომაშევსკის აზრით, ასეთი კომენტარი არა თუ ეხმარება მკითხველს, არამედ თავს ახვევს მას ნაწარმოების გარკვეულ გაგებას), გამოცემებში ხშირად მას ცვლიან ნაწარმოებთან დაკავშირებული კრიტიკული სტატიების მიმოხილვით. ამის მაგალითად ტომაშევსკი ასახელებს ვენგეროვის მიერ მოზადებულ პუშკინის

¹ Б. Томашевский, Писатель и книга, стр. 207.

თხზულებათა გამოცემას (1907—1915 წწ.) და პუშკინისავე თხზულებების პოლივანოვისეულ გამოცემას (1887 წ.).

5. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბ. ტომაშევსკი ლინგვისტურ კომენტარს, რომელიც უნდა მოიცავდეს მწერლის ენის გრამატიკულ თავისებურებებსა და ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონს. წმინდალურ გამოცემად ამ მხრივ ტომაშევსკი თვლის 90-იანი წლების ფრანგულ გამოცემას „Les Grands écrivains de la France“, რომელშიც ლინგვისტურ კომენტარს უკავია გაცილებით მეტი ადგილი, ვიდრე სხვა დანარჩენს.

6. ლინგვისტურ კომენტართან ახლოს აყენებს ბ. ტომაშევსკი ლიტერატურულ კომენტარს, რომელიც გულისხმობს ნაწარმოების პოეტიკის ანალიზს, კერძოდ, მაგალითად, ლექსთწყობის ანალიზს, რომელიც იშვიათად ფიგურირებს ჩვენს გამოცემაში.

7. რაც შეეხება რეალურ კომენტარს, ბ. ტომაშევსკის მიაჩნია, რომ იგი ყველაზე მეტად საჭიროებს კრიტიციზმს. მისი ამოცანაა დაიყვანოს მკითხველამდე ტექსტის ზუსტი აზრი. ცალმხრივ და ზერელე დამოკიდებულებად მიიჩნევს ტომაშევსკი, როცა ასეთი კომენტარი ისაზღვრება ტექსტში არსებული ფაქტობრივი მასალის განმარტებით. კომენტარი არ უნდა დაემსგავსოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, აღნიშნავს იგი, კომენტარი უნდა განმარტავდეს მხოლოდ ისეთ ფაქტს პიროვნებისა თუ მოვლენის შესახებ, რომელიც შეიძლება არ იცოდეს საერთოდ განათლებულმა მკითხველმა.

საბჭოთა ტექსტოლოგები თვლიან, რომ ბ. ტომაშევსკის მიერ მოცემული კომენტარის კლასიფიკაცია, მიუხედავად მისი მეცნიერული სიზუსტისა, ზედმეტადაა გადატვირთული. მეტნაკლები სახესხვაობით განიხილავენ კომენტარის ოთხ სახეს.

1. ტექსტოლოგიური კომენტარი,
2. ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი,
3. ლინგვისტური, ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ ლექსიკურ კომენტარი,
4. რეალური კომენტარი.

კომენტარის ამ სისტემას წინ უნდა უძღვოდეს ე. წ. პრეამბულა, რომლის მიმოხილვითი სფერო სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვანაირ ხასიათს ატარებს. კერძოდ, მასში მოცემულია ის არსებითი და საერთო, რომელიც გააჩნია განსახილველ ტომში მოცემულ ნაწარმოებებს კომენტარის თვალსაზრისით; ამიტომ ზოგ გამოცემაში პრეამბულა ძირითადად ტექსტოლოგიური კომენტარის საერთო ნიშნებს აერთიანებს, ზოგან — ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ცნობებს, ზოგან ლინგვისტურ თავისებურებათა დახასიათებას ეძღვნება.

პრეამბულის შინაარსს განსაზღვრავს ტომის გამომცემელი, რომელიც მასში ათავსებს იმ ცნობებს, რაც მას არსებითად და საერთოდ მიაჩნია აღნიშნული ტომისათვის.

„იდეალური“ გამოცემისათვის პრეამბულა ერთი გამოცემის ფარგლებში შეძლებისამებრ იდენტურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ისევე როგორც საერთოდ სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, კერძოდ კი კომენტარების მთელი ელემენტები, სასურველია ემორჩილებოდეს ერთ კომპოზიციურ თუ შინაარსობრივ პრინციპს, რაც განაპირობებს მის სრულფასოვან მოხმარებას მკითხველის მიერ. ამიტომ პრეამბულა ძირითადად უნდა იძლეოდეს მოკლე რედაქციულ-ტექსტოლოგიური ხასიათის ცნობებს, უნდა გამოიყოს ყველა ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ერთიანი ტექსტოლოგიური თუ ლინგვისტური მონაცემები, ზოგადი დასკვნები ტომის მომზადების პრინციპების შესახებ, შემოკლებათა სია და სხვა.

1. ტექსტოლოგიური კომენტარის ხასიათი (უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე კომენტარისა), მისი სტრუქტურა, ცნობების სივრცე, განპირობებულია უპირველეს ყოვლისა გამოცემის ხასიათით, ტიპით. /

აკადემიურ გამოცემაში, როგორც წესი, არის ცდა მოცემულ იქნეს მწერლის შეძლებისამებრ ყველა ნაწარმოები, მეცნიერულად მომზადდეს კანონიკური ტექსტი ყველა თხზულებისა, დაზუსტდეს დათარიღებისა და ატრიბუციის საკითხი, მოტანილი იქნეს ყველა ვარიანტი და რედაქცია. ყოველივე ამან ტექსტოლოგიურ კომენტარში უნდა ჰპოვოს ასახვა. ამას გარდა, მოცემულ უნდა იქნეს დასაბუთება ტექსტოლოგის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნებისა და გადაწყვეტილებების როგორც ძირითადი ტექსტის არჩევას, ისე მასში შეტანილი სწორებების, ატრიბუციისა და დათარიღების საკითხზე. ხოლო როცა გამოცემას ახლავს განყოფილება „ვარიანტები“ და „სხვა რედაქციები“, სადაც ქვეყნდება ხელნაწერი შავები, ნაწყვეტები, ვარიანტული სხვაობები, კომენტარში მოცემული უნდა იქნეს მოკლე ისტორია თითოეული წყაროსი, რაც მკვლევარს საშუალებას მისცემს თვალი გადადევნოს ტექსტის შემოქმედებითი სრულყოფის პროცესს. ამის გარეშე გამოცემაში უზრო იქნება „ვარიანტებისა“ და „სხვა რედაქციების“ განყოფილების არსებობა. ტექსტის წყაროებს ისტორიული დოკუმენტირება და ტექსტზე ჩატარებული მუშაობის მეცნიერული დასაბუთება აპირობებს ტექსტოლოგიურ კომენტარს, როგორც სამეცნიერო აპარატის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

ერთგვარად სხვანაირად გამოიყურება ტექსტოლოგიური კომენტარი სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემაში, სადაც უმრავლეს შემთხვევაში არ განიხილება დათარიღებისა და ატრიბუციის საკითხი, არ დაე-

რთვის ვარიანტები და სხვა რედაქციები, არ არის მოცემული ძირითადი ტექსტის არჩევისა და მასში სწორებების შეტანის დასაბუთება, მითითებულია მხოლოდ დრო და ადგილი პირველი პუბლიკაციისა. ბოლო დროს სამეცნიერო-მასობრივ გამოცემებში მიღებულია სხვა ტექსტოლოგიური ცნობების მოცემა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ტექსტოლოგები, რომლებიც ამზადებენ აკადემიურისაგან დამოუკიდებლად მეცნიერულ-მასობრივ გამოცემას, სულ ერთია ეს თხზულებათა კრებულია, თუ რჩეული, მეცხიერული კვლევის. შედეგად კრიტიკულად ადგენენ ძირითად ტექსტს, რაც ავალდებულებს მათ მოახდინონ ჩატარებული სამუშაოს ზუსტი ფიქსირება, რათა მკითხველს ჰქონდეს შესაძლებლობა დარწმუნდეს ტექსტოლოგის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეში. ხშირად ხდება, რომ მკითხველისათვის ძალიან კარგად ცნობილ ტექსტში, მისი მეცნიერული მომზადების დროს მკვლევარს შეაქვს შინაარსობრივი ან კომპოზიციური ხასიათის სწორებები, რომელიც მას ტექსტოლოგიური თვალსაზრისით უფრო მართებულად მიაჩნია. ეს სწორებები კომენტარში აუცილებლად უნდა იყოს არგუმენტირებული, რათა მკითხველმა არ მიიჩნიოს შეცდომად და თან გაერკვეს შეტანილი სწორებების საფუძვლიანობაში. ასეა, მაგალითად, მაიაკოვსკის თხზულებათა გამოცემაში, რომელიც მოამზადა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა. ამ გამოცემაში ფიქსირებულია ყველა ის წყარო, რომელთა მიხედვითაც ნიხდა ეს სწორება.

ასეთი სწორების საინტერესო მაგალითი გვაქვს ვაჟა-ფშაველას აკადემიურ გამოცემაში, რომელიც მოამზადა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებამ. ამ გამოცემის მეხუთე ტომში (ტომი გამოცემად მოამზადა უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. სანაძემ) დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „სოფლის სურათები“. ეს მოთხრობა, უფრო სწორად პატარ-პატარა ამბავთა ციკლი, დღემდე ყველა გამომცემელს ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი მოთხრობების სახით შეჰქონდა ვაჟა-ფშაველას სხვადასხვა გამოცემაში. ლეილა სანაძემ ნაბეჭდი, ხელნაწერი წყაროებისა და საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე დაადასტურა ამ მოთხრობათა სიუჟეტურ-კომპოზიციური და თემატური კავშირი, საბოლოოდ დააზუსტა ტექსტი და ერთ მოთხრობად დაბეჭდა „სოფლის სურათები“ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა 1962 წ. აკადემიურ გამოცემაში.

2. ისტორიულ-ლიტერატურული, სანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, კრიტიკულ-ლიტერატურული კომენტარი ერთ-ერთი ძნიშვნელოვანი ნაწილია კომენტირების სისტემისა, მას ორი, ერთმანეთის თითქმის სრულიად საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია გააჩნია

ტექსტოლოგიაში და ამის გამო სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვა ხასიათს ატარებს:

ტექსტოლოგია ერთი ნაწილი (პროზოროვი, მაშინსკი, კრუტიკოვა, აშუკინა და სხვანი) მიიჩნევს, რომ გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც გადმოგვცემს თანამედროვეთა გამომხატურებასა და შეფასებას მოცემულ ნაწარმოებთან დაკავშირებით, იმ პერიოდის მემუარული ლიტერატურის. მწერლისა და მის თანამედროვეთა მიმოწერის აღწერას, — ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი აგრეთვე უნდა იძლეოდეს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზსაც და სწორედ ეს უკანასკნელი მათ შიგნით ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარის არსებით მხარედ. ე. პროზოროვი, მაგალითად, ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარს თითქმის იმავე ამოცანას უსახავს, რასაც მწერლის შემოქმედების მიმოხილველ ისტორიულ-კრიტიკულ სტატიას: «Историко-литературный комментарий имеет целью поставить данное произведение в связь с эпохой, объяснить читателю его идейное содержание и художественное мастерство писателя..., раскрыть значение его для современного читателя»². მისი აზრით, განსხვავება ისტორიულ-ლიტერატურულ სტატიასა და ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარს შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სტატია განიხილავს მწერლის შემოქმედებას მთლიანად, ხოლო კომენტარი. — კერძოდ ნაწარმოებს. ამიტომ, ე. პროზოროვის აზრით, ტექსტოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს მასალის ოსტატური განაწილება სტატიასა და კომენტარს შორის, რათა თავიდან ავიცილოთ განმეორება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ დაუშვათ აზრთა სხვადასხვაობა სტატიასა და კომენტარში, რადგან ხშირად ეს ორი რამ სხვადასხვა მკვლევარის მიერ იწერება ხოლმე.

ე. პროზოროვი ხაზს უსვამს კომენტარის თავისებურებას, რომ «комментарий представляет собой сравнительно небольшую заметку, помогающую читателю понять особенности данного конкретного произведения». მაგრამ მისი აზრით, ამ მოკლე ცნობაში კომენტატორმა აუცილებლად უნდა გადმოსცეს უმნიშვნელოვანესი საკვანძო მომენტები იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელშიც წარმოიშვა ეს ნაწარმოები და დაუკავშიროს ეს მომენტები ნაწარმოების ანალიზს, ავტორის ჩანაფიქრის ახსნას. «Текстолог должен так подать материал, чтобы он помог современному читателю лучше представить себе расстановку сил в социальной борьбе прошлого и значение данного произведения в этой борьбе... наконец, говоря о значении комментируемого произведения

² Е. И. Прохоров, Текстология, 1966, стр. 152—153.

для советского читателя, надо шире использовать высказывания марксистской критики, труды современных литературоведов, отзывы советских писателей, мнения читателей»³.

ისმის კითხვა — როგორღა უნდა დააღწიოს ტექსტოლოგმა თავი განმეორებებს? განსახილველი საკითხების სფეროს სრული დამთხვევა და მასალის იგივეობა განა თავისთავად არ აპირობებს განმეორებას თუ ყველა ნაწარმოების კომენტართან არა, ზოგ მათგანთან მაინც? რას უნდა დაეყრდნოს ისტორიულ-ლიტერატურული სტატია თავისი დებულების საილუსტრაციოდ? — ცალკეულ ნაწარმოებებს.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარის ფუნქციის მსგავსი ვაგების საწინააღმდეგოდ მდგომარეობს შემდეგში:

უპირველეს მიზნად ტექსტოლოგს გამოცემის მომზადების პროცესში ესახება ის, რომ მისი სამეცნიერო-საცნობარო აპარატი აგებული იყოს ისეთ პრინციპებზე და შეიცავდეს ისეთ განმარტებებსა და ცნობებს, რომელთა შინაარსი ძირითადად ფაქტობრივ მასალაზე იქნება დაყრდნობილი და ამის გამო დროის ხანგრძლივ მონაკვეთში წარმატებით მოემსახურება მკითხველს.

ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, განუწყვეტლივ ვითარდება. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მას პრობლემათა და, ხშირად ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტების სხვადასხვანაირი გაგება ახასიათებს, ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის შეფასება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან მეტნაკლებად, ზოგჯერ კი აბსოლუტურად განსხვავდება იმ შეფასებისაგან, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეობა იძლეოდა ნახევარი საუკუნის წინ, ზოგჯერ კი უფრო ხანმოკლე პერიოდშიც, ეხება ეს ნაწარმოების იდეურ ან შინაარსობრივ მხარეს, თუ რომელიმე ლიტერატურული მოვლენის ფაქტობრივ სიზუსტეს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უახლესი მიღწევები ლიტერატურათმცოდნეობასა, ისტორიასა თუ სოციოლოგიაში ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენენ, აგრეთვე იმას, რომ ჩვეულებრივ მრავალტომეული მზადდება სხვადასხვა გამომცემლის მიერ, ძნელი წარმოსადგენია, რომ კომენტარში მოცემული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი დაყრდნობილი უახლეს აღმოჩენებსა და მიღწევებზე, დაზღვეული იყოს მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციისა და სუბიექტური შეფასებისაგან. ამიტომ, უფრო მართებულია ბ. ტომაშევსკის მოსაზრება, რომელიც ზემოთ გვქონდა მოტანილი და რომელიც გაზიარებულია ე. ეფრემენკოს მიერ. ეფრემენკო შენიშნავს, რომ

³ Е. И. Прохоров, Текстология, 1966, стр. 152—153.

ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარში, ნაწარმოების (განსაკუთრებით კი რთული, ხშირად წინააღმდეგობით სავსე ნაწარმოების) ობიექტურ-ისტორიული აზრის ნათელყოფა განსაკუთრებით ძნელია. რადგან იქმნება საშიშროება «Проникновения в комментарий субъективных оценок и концепции, в то время как условие любого вида коммента — это сохранение строго документального характера сведений»⁴.

ავტორის იდეური ჩანაფიქრის გახსნა ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარში უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს საკომენტარო მასალის სპეციფიკა და ეს უნდა მოხდეს შეძლებისამებრ მაქსიმალურად კრიტიკული და კვლევითი ლიტერატურის ილუსტრირების ხარჯზე. ხოლო რაც უფრო მეტად ატარებს გამოცემა მეცნიერულ ხასიათს, მით უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი ეს კრიტიკული და მეცნიერული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიის სახით, რათა მკითხველს ჰქონდეს საშუალება დამატებით გაეცნოს მისთვის საინტერესო ყველა კრიტიკულ ნაშრომს ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით და თანაც თვალი გაადევნოს ამ ნაწარმოების კრიტიკული შეფასების ისტორიას.

აშკარა უცილურესობაში ვარდება ტექსტოლოგი აშუკინა, როცა ლერმონტოვის აკადემიურა გამოცემის განხილვისას მოითხოვს ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარში ნაწარმოების სწორედ იდეურ-მხატვრული ანალიზის მოცემას. ასე მაგ. ლერმონტოვის ლირიკასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: «Крайне бедны примечания к лирике Лермонтова. За небольшими исключениями в них нет даже попытки вскрыть генезис стихотворения, показать его место в творчестве поэта, хотя бы кратко указать его идейную значительность»⁵.

აშუკინა აკრიტიკებს მიხაილოვას მიერ მოზადებულ კომენტარს „დემონთან“ დაკავშირებით იმის განო, რომ მან, მართალია, კარგად გააშუქა პოემის შემოქმედებითი ისტორია, მაგრამ დემონის სახის დასავლეთევროპულ ტრადიციებზე ლაპარაკობს გაკვირით, ხოლო რუსული ტრადიციები ნახსენებიც არა აქვსო. ვფიქრობთ, ცხადია ამ საყვედურის უმართებულობა, რადგან კომენტარში დემონის მხატვრული სახის სხვადასხვა ტრადიციებზე ლაპარაკი დაუკარგავს კომენტარს მის უპირველეს ღირსებას — იყოს მკაცრად დოკუმენტური და მაქსიმალურად კონკრეტული. დემონის მხატვრული სახის შესახებ დაინტერესებულნი მკითხველი მრავალ ლიტერატურას მოიძიებს, უფრო ამომწურავსა და

⁴ Е. Ефременко, Комментарий. Основы текстологии, 1962, стр. 428.

⁵ Вопросы литературы, 1957, № 8, стр. 227.

მრავლისმთქმელს, ვიდრე ეს კომენტარშია შესაძლებელი. თანაც ასეთი საკითხი ყოველ ნაწარმოებთან დაკავშირებით არაერთი გაჩნდება და ყველა მათი განხილვა გამომცემელს ააცდენს კომენტარების 'წორ გზას. ამის მაგალითად გამოდგება პუშკინის თხზულებათა ვენგეროვსეული გამოცემა (1907—1915 წწ.), სადაც ასეთი საკითხების ფართოდ კომენტარების გამო ტექსტს გამოცემაში დაეთმო გაცილებით ნაკლები ყურადღება, რის გამოც პუშკინის თხზულებათა შვიდტომეულის ნაცვლად, გამოვიდა პუშკინის შესახებ სტატიათა ექვსტომეული. ტომაშევსკი ამ გამოცემასთან დაკავშირებით 1956 წ. თავის სტატიაში «Основные этапы изучения Пушкина»⁶ წერდა: «В ней внимание было обращено не столько на текст Пушкина, сколько на статьи и примечания», რის გამოც ეს გამოცემა უნდა განვიხილოთ, როგორც «Пушкиноведческие сборники»⁷.

3. რეალური კომენტარის წინააღმდეგ და ფუნქციები აკადემიურ გამოცემებში არასოდეს ისაზღვრებოდა მხოლოდ ნაწარმოებში მოცემული ისტორიული, თუ ფაქტობრივი მასალის განსაზღვრით. ისტორიული და ფაქტობრივი მასალის ახსნა არის ერთი დამხმარე საშუალება რეალური კომენტარის ძირითადი და არსებითი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის — თანამედროვე მკითხველს მისცეს ნაწარმოების ტექსტის ღრმა და მართებული გაგების საშუალება, ე. ი. ნათელი გახადოს მისთვის ყველაფერი, რის თქმაც სურდა მწერალს. /

ყოველი მხატვრული ნაწარმოები მჭიდროდაა დაკავშირებული იმ საზოგადოებრივ გარემოსთან, რომელშიც იგი იქმნებოდა, ეხმაურება მთელ რიგ თანდაროთულ ფაქტებს, რომლებიც გარკვეული დროის გავლის შემდეგ ისტორიად იქცევა და გვიანდელი მკითხველისათვის ხშირად კარგავს იმ სურნელსა და შინაგან აზრს, რაც თანამედროვე მკითხველისათვის გააჩნდა. აი, სწორედ ამ შინაგანი აზრის გახსნა უნდა დაისახოს მიზნად ტექსტოლოგმა რეალურ კომენტარზე მუშაობის დროს, ხოლო ყველა სხვა ცნობაც, პიროვნებას ეხება იგი, თუ საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენას. უნდა დაუმორჩილდეს ამ მიზანს, ე. ი. ეს პიროვნება თუ მოვლენა განიმარტოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას საჭიროებს ტექსტის ზუსტი აზრის, ზუსტი მნიშვნელობის უკეთ გაგება.

ბ. ტომაშევსკი აღნიშნავდა: «Он (реальный комментарий) должен помочь современному читателю понять текст, когда у читателя возникает вопрос, но еще в большей степени, когда у него

⁶ Б. Томашевский, Писатель и книга, 1959, стр. 210.

⁷ იქვე, გვ. 276.

не возникает вопроса, а текст имеет смысл воспринимаемый неверно. Комментарий чаще всего дается по именам (хотя они иной раз широко известны). Контекст исчезает. За словом не видят текста»⁸.

კონტექსტის დაკარგვის კარგი მაგალითი აქვს მოტანილი ნარკოვიჩის სტატიაში «Лесков и его комментаторы»⁹. წერილი ეხება ლესკოვის თხზულებათა თერთმეტტომეულის მესამე ტომს, სადაც კომენტარის გარეშეა დატოვებული ფრიად მნიშვნელოვანი ფრაზა მოთხრობიდან «Островитияне» — «Картинки как-то на дрезденский мост потребовались, так и тех пожалели» (ტ. 3, გვ. 84). რას ნიშნავს ეს ფრაზა? გერცენის გადმოცემით, ბაკუნინს 1848 წელს ურჩევია დრეზდენის მთავრობისათვის გამოეტანათ რაფაელისა და მურილიოს სურათები და ამით დაეცვათ თავი პრუსიელებისაგან. ბაკუნინი თვლიდა, რომ პრუსიელებს ერთობ კლასიკური განათლება ჰქონდათ მიღებული იმისათვის, რომ გაეხედათ და ესროლათ რაფაელისათვის.

ცხადი ხდება, რომ ლესკოვის ზემოაღნიშნული ფრაზა ჰაერში გამოკიდებული რჩება სათანადო განმარტების გარეშე და ნაწარმოები კარგავს თავის ნამდვილ სურნელს.

ავტორისეული ტექსტის გულდასმით წაკითხვა და ღრმა ანალიზი უნდა ერწყმოდეს ტექსტოლოგიის მიერ ნაწარმოების თანამედროვე ისტორიული და ლიტერატურული გარემოს ზედმიწევნით ცოდნას, რაც საშუალებას მისცემს მას, გახსნას ნაწარმოების დაფარული კონტექსტი. ამის მაგალითად შეიძლება დავსახელოთ ა. პუშკინის ლექსი «Редает облаков летучая гряда». როგორც ე. პროხოროვი აღნიშნავს თავის წიგნში „ტექსტოლოგია“ (გვ. 160), ქალწული, რომელზეც შეფარვით ლაპარაკობს ამ ლექსში პუშკინი, არის უმცროსი ქალი გენერალ რაევსკისა — პუშკინის მეგობრის ნიკოლოზის დაი, შემდგომში ცნობილი მარია ვოლკონსკაია. მწერლის ბიოგრაფიის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს ტექსტოლოგს გაშიფროს ლექსის შეფარვითი კონტექსტი.

აკადემიურ და მეცნიერულ გამოცემაში თანამედროვე ტექსტოლოგიის თვალსაზრისით ზედმეტადაა მიჩნეული ისეთი ცნობების მიცემა, რაც შეიძლება ენციკლოპედიებსა და სხვა ლექსიკონებში თუ ცნობებში მოიხაზოს. შედარებით უცნობი მოვლენა ან პიროვნება უნდა განიმარტოს, მაგრამ აუცილებლად ტექსტთან კავშირში. ბ. ტომაშევსკი პიროვნებისა და მოვლენის კომენტარს „მეორედ კომენტარს“ უწოდებს (გვ. 211). მას მიაჩნია, რომ ეს არის კომენტარი კომენტარში, რადგან

⁸ Б. Томашевский, Писатель и книга, стр. 276.

⁹ Вопросы литературы, 1959, № 12, стр. 104.

არსებითა ტექსტის განმარტება, ხოლო პიროვნებისა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ტექსტს სჭირდება. ტექსტის დაფიქრებული და ღრმა ანალიზის უგულვებელყოფა და სწრაფვა ენციკლოპედიებიდან მზა ცნობების ამოკრებისაკენ მეცნიერულ, სერიოზულ სახეს უკარგავს გამოცემას. კომენტარი არ უნდა ეშვებოდეს ნაწარმოების დონეზე დაბლა. იგი უნდა ითვალისწინებდეს მკითხველის დონეს, რომელიც აუცილებელია მოცემული ნაწარმოების გაგებისათვის.

კომენტარის დაბალი მეცნიერული დონის წინააღმდეგ ილაშქრებს მოროზოვი სტატიაში „Комментарий, которые ничего не объясняют», განიხილავს რა მაიაკოვსკის თხზულებათა კრებულის გამოცემას, იგი აღშფოთებას გამოთქვამს არაფრისმთქმელი კომენტარების გამო, რომელიც მოსახვეი კალენდარიდან ამოღებული ცნობების სახეს ატარებს. აუხსნელი რჩება სწორედ ის, რისი ახსნაც აუცილებელია მაიაკოვსკის ტექსტის გაგებისათვის და რისი გაგებაც მკითხველს უფრო გაუჭირდება განმარტების გარეშე, ვიდრე იმის დაზუსტება, რომ ანკარა — თურქეთის დედაქალაქიაო. «Эта мнимая забота о пополнении общего образования воображаемого читателя, которого комментатор представляет себе по образу и подобию новорожденного младенца, создает формальную видимость комментария и по сути дела помогает отвлечь от дельных объяснений трудных мест текста»¹⁰.

გარდა მოვლენებისა და პიროვნებებისა კომენტატორმა უნდა გახსნას ლიტერატურული ციტატები, რომელიც ნაწარმოებებშია მოტანილი, მაგრამ აქაც დიდი გულისხმიერება და ზომიერება არის საჭირო, რომ კომენტარი გაუკეთდეს სწორედ იმ ციტატას და იმ სახით, როგორც ეს უკეთესი იქნება ტექსტის განმარტებისათვის. კომენტარის გადატვირთვად მიიჩნევა საყოველთაოდ, ყველა კულტურული ადამიანისათვის ცნობილი ციტატის კომენტირება, როგორც მაგალითად, «и скучно, и грустно, и некому руки подать», ან «Товарищ верь, взойдет она», ან „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“... დიდი სიფრთხილეა საჭირო, თხზულებაში სხვისი ნაშრომიდან მოტანილი ციტატის მიმართ, რომელიც მწერალს, გარკვეული მოსაზრებით, გადასხვაფერებულად, შეცვლილად აქვს მოტანილი. აქ უნდა მიეთითოს არა მარტო სწორი სახე ციტატისა, არამედ შეძლებისამებრ აიხსნას კიდევ, თუ რითაა გამოწვეული, რით აიხსნება მწერლის მიერ ციტატის ასეთი სახეცვლილება.

განსაკუთრებით საგულისხმოა რეალურ კომენტარში მწერლის მიერ ნებისით თუ უნებლიედ დაშვებული ფაქტობრივი შეცდომების

¹⁰ «Звезда», 1958, № 4, стр. 218.

გასწორების საკითხი. ეს შეცდომები ზოგჯერ ეხება ლიტერატურულ ან ისტორიულ მოვლენის თარიღს, ან არსს ამ მოვლენისას, ან პიროვნებასთან დაკავშირებულ რაიმე ფაქტს. ეს იმ ხასიათის შეცდომებია, რომელთა გასწორება ტექსტში დაუშვებელია. ისინი უნდა შესწორდეს კომენტარში, რათა არ გახდეს მკითხველისათვის მცდარი ცნობის წყაროდ. ყველა ტექსტოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორი ასეთი შეცდომების ჩასწორებას თვლის რეალური კომენტარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, ოღონდ დასადგენია, თუ სად უნდა მოხდეს ეს ჩასწორება, ჩვეულებრივ მას რეალურ კომენტარში ათავსებენ, რაც არ უნდა იყოს მართებული და აი რატომ:

საქმე იმაშია, რომ მკითხველი, და რაც მთავარია, უფრო ხშირად, რიგითი მკითხველი, არასპეციალისტი კითხულობს ნაწარმოებს ხოლო მისი საკომენტარო აპარატით იშვიათად ინტერესდება. რა გამოდის? თუ ტექსტში მწერლის მიერ დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა გასწორდა, კომენტარში ხშირ შემთხვევაში ეს სწორება მკითხველისათვის შეუძინეველი დარჩება, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამოცემის ტექნიკური სირთულის გათვალისწინების გამო ტექსტთან დაკავშირებული ყველა ცნობა და განმარტება დღევანდელ გამოცემებში გადადის წიგნის ბოლოში და ტექსტი მაქსიმალურად თავისუფლდება შენიშვნებისაგან, გამონაკლისის სახით უნდა მივიღოთ, რომ ასეთი სწორება ტექსტში მოხდეს იმავე გვერდის სქოლიოში, სადაც ეს შეცდომა დაშვებული, რაც უზრუნველყოფს მკითხველის ყურადღების განახვილებას ამ შეცდომაზე.

რეალურ კომენტართან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ტექსტოლოგიაში არსებული ორი ტერმინის „კომენტარი“ და „შენიშვნა“ რაობის საკითხი, მათი არსი. მათი ფუნქციები და ურთიერთმიმართება.

ცნობილი ტექსტოლოგი ლიხტენშტეინი, მაგალითად, არ იზიარებს კომენტარისა და შენიშვნის გაიგივების პრინციპს. მისი აზრით, შენიშვნის ამოცანაა მოკლე ცნობის მიცემა ტექსტთან დაკავშირებით, წყაროს მითითება, უცხო ენაზე მოტანილი ტექსტის თარგმანი, რაიმე დამატებითი ფაქტის აღნიშვნა და სხვა. «Если комментарий выражает мнение редактора или составителя о тексте, то примечания, как правило, носят объективно-справочный характер»¹¹.

მ. შტოკმარი ცოტა სხვანაირად განმარტავს შენიშვნას. მისი აზრით, ტერმინი „შენიშვნა“ არავეითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავაიგივოთ კომენტართან, შენიშვნა გულისხმობს ფაქტობრივ ხასიათის მოკლე ცნო-

¹¹ Лихтенштейн. Теория и практика редактирования, 1964 г. стр. 141.

ბას და თავისი ფუნქციით უფრო კერძო ხასიათს ატარებს. «По типу пояснений к примечаниям наиболее близок реальный комментарий, однако он, в отличие от примечаний не может замыкаться в сфере чисто фактических сведений и должен быть подчинен задаче разъяснения читателю смысла произведения»¹². მ. შტოკმარის აზრით, ცნება შენიშვნა უნდა დამკვიდრდეს ავტორისეული შენიშვნების მიმართ. რომელიც ტექსტის ორგანულ ნაწილად ითვლება და ტექსტთანვე არის განუყოფელად. გარდა ამისა ცნება შენიშვნას უნდა მიეკუთვნოს უცხო ტექსტის თარგმანი, რომელიც აგრეთვე შესაბამის გვერდს ახლავს თან სქოლიოს სახით.

შტოკმარი მართალია, როცა აღნიშნავს, რომ ცნებას „შენიშვნა“ ყველაზე მეტად რეალური კომენტარი შეესაბამება. ჩვენ დავძენთ, განსაკუთრებით კი რეალური კომენტარის ის ნაწილი, რომელიც მწერლის მიერ დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას ასწორებს, ეს კომენტარი თავისი სახით სწორედ «Замыкается в сфере чисто фактических сведений» და ამ ნიშნით იგი შეეფერება „შენიშვნის“ გაგებას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თითქმის აუცილებელია ასეთი განმარტების ტექსტთან მოცემა, რომ იგი ნამდვილად ნოხვდეს მკითხველის უკრადლების სფეროში, ისმის კითხვა — ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ ცნება „შენიშვნა“ დამკვიდრებულიყო აგრეთვე იმ განმარტების მიმართაც, რომელიც უშუალოდ ტექსტში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის სწორებას წარმოადგენს, უაღრესად ლაკონური და ფორმით და ისევე სასურველია თან ახლდეს ტექსტს, როგორც უცხო ტექსტის თარგმანი, რომელიც „შენიშვნის“ ერთ-ერთი სახეა.

4. ლინგვისტური კომენტარი/თეორიულად ყველაზე ნაკლებად დადამუშავებული ტექსტოლოგიაში და შესაბამისად, პრაქტიკულადაც, გამოცემებშიც იგი ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს, ხოლო მისი უდიდესი მნიშვნელობა ტექსტის მეცნიერული გამოცემის საქმეში დღეს უკვე აღარაა სადაო.

ისევე, როგორც კომენტარის სხვა სახეები, ლინგვისტური კომენტარი, მისი ამოცანები მეტნაკლებად განსხვავებულია გამოცემის სხვადასხვა ტიპებისათვის. დუ აკადემიურ გამოცემაში ლინგვისტური კომენტარი მწერლის ენისა და გრამატიკული ფორმების თავისებურებების მეცნიერული ანალიზის მწყობრ ღისტემას წარმოადგენს, მასობრივ გამოცემებში მისი ფუნქციები ძირითადად ლექსიკური კომენტარით შემოისაზღვრება — უცხო წარმომავლობის სიტყვები, ნეოლოგიზმები,

¹² М. П. Штокмар, Другие редакции и варианты, «Основы текстологии», 1962, стр. 408.

არქაიზმები, ბარბარიზმები, დიალექტიზმები, ხალხური ეტიმოლოგიები, მაგრამ ორივე შემთხვევაში ლინგვისტური, თუ ლექსიკური კომენტარი არ წარმოადგენს თვითმზანს, იგი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის გაგებინებით, ის უნდა დაეხმაროს მკითხველს მწერლის ლიტერატურული სტილის აღქმაში მთელი მისი გამომსახველობით, რაც ნაწარმოების კონტექსტის სრულყოფილი გაგების კიდევ ერთი საშუალებაა. ამიტომ, თუ მხოლოდ სიტყვის განმარტება ტექსტის გასაგებად არაა საკმარისი, მაშინ კომენტატორი იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიასაც. განმარტავს მოცემულ კონტექსტში მის მნიშვნელობას და სიტყვის ასეთი ფორმით ხმარების დაფარული აზრის ახსნასაც იძლევა.

ლინგვისტური კომენტარის დიდ მნიშვნელობას კარგად გრძნობდნენ XIX საუკუნის გამოჩენილი მწერლები. პუშკინმა თვითონ დაურთო განმარტებანი „კავკასიის ტყვეში“ კავკასიისათვის დამახასიათებელ ეთნიურ ტერმინებს; გოგოლმა თავის თხზულებას „Вечера на хуторе близ Диканки“ უკრაინული სიტყვების მთელი ლექსიკონი დაურთო.

ლინგვისტური კომენტარი რუსულ გამოცემებში ყველაზე ფართოდ განხორციელდა ლესკოვის თერთმეტტომეულში. თავის შემოკმედებაში ლესკოვი ფართოდ იყენებს ხალხურ დიალექტს, რომელიც იმდენად შორსაა ანა თუ იმ სიტყვის ლიტერატურული ფორმისაგან, რომ ისინი სპეციალური განმარტების გარეშე სრულიად გაუგებარია, თვით რუსი მკითხველისათვის კონტექსტშიც კი.

როგორც ს. კატკოვის რეცენზიიდან ჩანს, ლესკოვის თერთმეტტომეულშიც გასამარტავი, ასახსნელი სიტყვების, თუ ფრაზების შერჩევის პრინციპი ხშირად შემთხვევით და არასისტემატურ ხასიათს ატარებს, ხოლო განმარტება ხშირად ყურადღების გარეშე ტოვებს სიტყვის კონტექსტისათვის საჭირო ნიუანსს. ხშირად სხვადასხვა ტომში ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირი განმარტება ახლავს¹³.

ქართულ კლასიკოსთა გამოცემებში, ლინგვისტური კომენტარი მეცნიერული სახით არსად არ არის წარმოდგენილი. ასეთი კომენტარი ყველაზე საჭირო და საინტერესო იქნებოდა ბარნოვისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემებში.

ვაჟა-ფშაველას აკადემიურ გამოცემაში ლინგვისტური კომენტარის უქონლობა მოტივირებულია იმით, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ალ. აბაშელისეულ გამოცემას ახლავს აკად. აკაკი შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი. ვასილ ბარნოვის თხზულებებში ლინგვისტური

¹³ Известия АН СССР, отд. Лит-ры и языка, 1958, т. XVII, вып. 3, стр. 291.

კომენტარი გაუგებარი სიტყვების ახსნით შემოისაზღვრება და ამ სიტყვების გამოტანაც ლექსიკონში არასისტემატურ ხასიათს ატარებს.

დასასრულ, შევეხებით კომენტარის კიდევ ერთ სახეს, რომელიც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა აკადემიურ და მეცნიერულ გამოცემებში. ესაა საკუთარ სახელთა ანოტირებული საძიებელი.

როგორც ზევით შევნიშნეთ, საძიებელი სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ნაწილია და მნიშვნელოვნად განაპირობებს წიგნის მეცნიერულ სახეს; კარგად შედგენილი საძიებელი საშუალებას იძლევა წიგნში მოცემული ყველა პრობლემის, ისტორიული, ან ლიტერატურული მოვლენისა, თუ პიროვნების შესახებ მკითხველისათვის საინტერესო ყოველგვარი ცნობის დაუბრკოლებელი მოძებნისას. ანოტირებულ სახელთა საძიებელს სხვა ფუნქციაც აკისრია. იგი იძლევა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობას ამა თუ იმ პიროვნების შესახებ. რაც უფრო ნაკლებ ცნობილია ეს პიროვნება და, თუ ტექსტი მოითხოვს ამას, ცნობები მის შესახებ შედარებით ვრცლადაა მოცემული, ხაზგასმულია მისი ურთიერთობა მწერალთან. მოკლე ცნობას მოსდევს გვერდების ჩამოთვლა, სადაც ეს პიროვნებაა ნახსენები, ხოლო კომენტარის ის გვერდი, რომელზედაც ამ პიროვნების შესახებ ტექსტიდან გამომდინარე, მოცემულია ვრცელი ცნობები მის ცხოვრებასა თუ საქმიანობაზე, საძიებელში აღნიშნულია ვარსკვლავით. მარჯვედ შედგენილი ანოტირებული საძიებელი წარმატებით ცვლის უმრავლეს შემთხვევაში კომენტარს პიროვნების შესახებ და თან იძლევა საშუალებას განტვირთოს გამოცემა განმეორებითი მითითებისაგან. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ეპისტოლარული მემკვიდრეობის კომენტარში, სადაც პიროვნების არაერთგზისი კომენტირება განსაკუთრებით ხშირია.

ეპისტოლარული მემკვიდრეობის კომენტირება საერთოდ ხასიათდება თავისი სპეციფიურობით. ის ფაქტი, რომ ეპისტოლარია არ გულისხმობს მკითხველთა ფართო აუდიტორიას, საჭიროს ხდის მისი კომენტარის განსხვავებულ პრინციპებზე აგებას. პირადი წერილების პრეამბულაში საჭიროა მოცემული იქნეს დროის იმ მონაკვეთის მიმოხილვა, რომელსაც განეკუთვნება წერილი, უნდა დახასიათდეს მწერლის ურთიერთობა ადრესატთან, განხილულ იქნეს ყველა კერძო საკითხი, რომელიც დასმულია მოცემულ წერილში. რაც უფრო მრავლისმთქმელია პრეამბულა, მით უფრო ვონკრეტულია კომენტარი. მაგრამ ამ ვონკრეტულობის მიუხედავად ეპისტოლარიის სპეციფიკა განაპირობებს კომენტარის მუდმივ დუბლირებას, მისი დაშვება კი არ არის სასურველი კარგად შედგენილ სამეცნიერო აპარატში. ეპისტოლარული ტექსტის კომენტირების დროს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება განმარტებათა ყველა სახეობის ორგანულ ერთიანობას, საკომენტარო მასალის მიზ-

ანდასახულ განაწილებას საცნობარო აპარატის სისტემაში და მის მინიმალურ დუბლირებას. ანოტირებულ სახელთა საძიებელს კომენტირების ასეთი სისტემის განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე რუსულ გამოცემებში ანოტირებულ სახელთა საძიებელს ძალიან ფართოდ იყენებენ. მეცნიერულ და აკადემიურ გამოცემაში იგი სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად ითვლება. ასეთია ზოგადად კომენტირების საკითხი ტექსტოლოგიის თანამედროვე თვალსაზრისის მიხედვით. რა თქმა უნდა, ყოველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემაც ამის მიხედვით უნდა დამუშავდეს.

მხრითადი ტექსტის წყაროს შერჩევისა და დადგენის საკითხი

მწერლის თხზულებათა მეცნიერული ან აკადემიური გამოცემის დროს ტექსტოლოგის ძირითადი ამოცანაა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეარჩიოს ამა თუ იმ ნაწარმოების ძირითადი ტექსტის წყარო, რომელიც ზუსტად და სრულად გამოხატავს მწერლის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს და ამის საფუძველზე დაადგინოს ავტორისეული ძირითადი ტექსტი.

ამისთვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელი პირობაა „ავტორის ნების“ გათვალისწინება, ხოლო „ავტორის ნების“ სწორად გაგებისათვის კი საჭიროა თხზულების შექმნის ისტორიის შესწავლა.

შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელების დროს ავტორი ზოგჯერ ცვლის ტექსტს ან მისი აზრის გამოხატვის: ფორმას, თვით აზრს და არც თუ იშვიათად — ჩანაფიქრსაც კი! ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ ავტორი უგულებელყოფს ცალკეულ სურათებს, სიტუაციებს, ცვლის ნაწარმოების გმირის ხასიათს, ასწორებს ენას, სტილს, კომპოზიციას და ა. შ.

[ნაწარმოებზე მუშაობა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ავტორი მას აქვეყნებს.] მაგალითად, მიხეილ ჭავჭავაძის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ თავდაპირველად ავტორს ასე მთლიანი სახით არ ჰქონდა ჩაფიქრებული. მას განზრახული ჰქონდა დაეწერა მოთხრობათა სერია. 1924 წ. დაიწყო კიდეც მათი გამოქვეყნება: ჟურნ. „მნათობში“ 1924 წ. ცალკე მოთხრობებად დაბეჭდა „დაზღვევა“ (№ 2), „რასპუტინის კუღზე“ (№ 3), „ევროპის ედემში“ (№ 4), „მსოფლიო ომის გრიგალი“ (№ 5). ასევე ცალკე ნაწილები გამოაქვეყნა 1924 წ. ჟურნ. „დროშაში“, იმავე წლის ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“, 1925 წ. ჟურნ. „საბჭოთა კავკასიონში“.

აი რას წერს თვით ავტორი 1925 წლის გამოცემის („კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი“) წინასიტყვაობაში: „ამ რომანის ზო-

გი ნაწილი წლებულს და შარშან სხვადასხვა სათაურით. სხვადასხვა ჟურნალში დაიბეჭდა („დროშა“, „მნათობი“, და „ქართული სიტყვა“). პირველად განზრახული მქონდა მოთხრობათა სერიის დაბეჭდვა საერთო სათაურით, მაგრამ წერის დროს აზრი შევიცვალე და მათი ერთ რომანში შეკვრა გადავწყვიტე. ამის გამო დაბეჭდილს ახალი მასალა დავუმატე. შევასწორე და შინაგანი მთლიანობაც გავაძლიერე“.

მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დამთავრებულ და უკვე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს ავტორი დროთა განმავლობაში კვლავ უბრუნდება, შეაქვს მასში ახალი ჩასწორებები შინაარსის გაღრმავებისა და ფორმის გაუმჯობესების მიზნით. ამის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება ქართული თუ რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

მის. ჭავჭავიძე ილია წერია „როგორ ვმუშაობ“ აი, რას უპასუხებს ერთ-ერთ შეკითხვას: „...ვცვლი თუ არა პირვანდელ ტექსტს ახალი გამოცემის დროს? უპასუხებ, აუცილებლად ვცვლი, ე. ი. ხელახლა ვასწორებ. ჯერ არცერთი ჩემი ნაწარმოები შეუსწორებელი არ გამიგზავნია სტამბაში“¹.

ვასილ ბარნოვის ოჯახში დაცული არქივის შესწავლით გამოირკვა, რომ მწერალი საბოლოოდ დამთავრებულად დაბეჭდილ ტექსტებსაც არ თვლიდა. შემონახულია ავტორის ხელით ნასწორები პერიოდულ პრესაში თუ კრებულებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ნაბეჭდა ცალები, რასაც დიდი ანგარიში გაეწია ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადების დროს. მაგალითად: „სურათები ხევსურების ცხოვრებიდან“ („დროშა“, 1878, № 220—227), „სეიმონ ხელი“ („კვალი“ 1895, №№ 10—24), „ნუშო“ („კვალი“, 1896, №№ 12—28), „ნადილა და ფეთება“ („ჯეილი“, 1898, № 11), „ბედის ვარსკვლავი“ („დროშა“, სურათ. დამატ., 1910, №№ 71—79), „ვაშლები“ („სახალხო გაზეთი“, 1911, № 207), „ტრფობა წამებული“, („სამი რომანი“ 1930 წ.), „ლეგას ჩოხა“ („ვარდფანჯები“, 1929 წ.), „ლიმი დამლუპი“ („ფერად-ფერადი“, 1934 წ.) და სხვ. მრავალი ავტორს საკუთარი ხელით ჩაუსწორებია გამოქვეყნების შემდეგ.

არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც მწერალი საფუძვლიანად გადაამუშავებს მკითხველისათვის ცნობილ ადრინდელ გამოქვეყნებულ ნაწარმოებს, შექმნის ახალ რედაქციას და შემდეგ ბეჭდავს მხოლოდ მას.

მაგალითად, ვ. ბარნოვის მოთხრობა „ხარატი“ 1926 წ. დაიბეჭდა ჟურნ. „დროშაში“ (№ 5). გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში ვ. ბარნოვის არქივში დაცუ-

¹ მ. ბ. ჭავჭავიძე ილია, თხზულებათა VI ტ., 1964, გვ. 391.

ლია ამ ურნალის ავტორისეული ეგზემპლარი მისივე ხელით ჩასწორებული. ეს მოთხრობა ახალი რედაქციით დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლეში „ტფილისის აჩრდილებში“ (1929 წ.), რომელსაც იმეორებს შემდეგი გამოცემებიც.

გოგოლის მოთხრობა „პორტრეტი“ პირველად 1835 წ. გამოქვეყნდა. მეორედ იგი დაიბეჭდა „სოვრემენიკში“ 1842 წ. ავტორის მიერ საგრძნობლად გადამუშავებული და შემდეგაც ამ მეორე რედაქციით იბეჭდებოდა².

წაწარმოების შემოქმედებითად სრულყოფის პროცესი ზოგჯერ ავტორის მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს, რის კვალიც ემჩნევა ტექსტის ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ წყაროებს. მათი შესწავლისას ტექსტოლოგი ადგენს დამთავრებული ნაწარმოების მიღებამდე მწერლის მუშაობის თანმიმდევრობით ეტაპებს³

ნაწარმოების დაწერიტა და გამოქვეყნებით ავტორმა გარკვევით გამოხატა თავისი ნება, — მიიტანოს ნაწარმოები მკითხველამდე სწორედ ამ სახით: ამიტომაც, ტექსტოლოგის მიერ ავტორის ნების უგულვებელყოფა — ტექსტის დამახინჯებაა. მაგალითისათვის დავასახელებთ გ. ტაბიძის უსათაურო ლექსს („როცა ბულბული განთიადისას“), რომელიც ავტორმა სხვა ლექსთან ერთად 1908 წ. ურნ. „საქართველოს“ რედაქციას გამოუგზავნა ქუთაისიდან. ლექსი ხსენებულ ურნალში დაიბეჭდა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს გალაკტიონს ჰქონდა დაწერილი, არამედ რედაქციის ჩასწორებითა და შემოკლებით.

აი, რას წერს ამ ლექსის შესახებ პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი:

„...1908 წელს ურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავ. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოდიოდა. მათ შორის უშუალო განცდით და კარგი ხელის მოსმით გამოირჩეოდა გ. ტაბიძის ლექსები... როცა გ. ტაბიძის ლექსები მივიღე, მაშინვე გადავწყვიტე მისი დასტამბვა, მაგრამ ორივე ლექსი გაქიანურებულად მომეჩვენა, განსაკუთრებით მეორე, რომლის ყოველი ხანა ერთფეროვან „როცა“-თი იწყებოდა. რედაქტორებს ერთი სენი სჭირთ: უეჭველად უნდა შეამოკლონ დასაბეჭდი მასალა. ავდექი და მეც ამ ათ კუბლეტიან ლექსიდან 10 სტრიქონი დავტოვე, ფინალისათვის ვითომდა ჩემი შემოქმედებაც გამოვიყენე: ბოლოში ორი პქკარი ჩაუმატე და ამ სახით დავბეჭდე...“³

² Е. И. Прохоров, Л. Д. Опульская — Выбрав источник основного текста, «Основы текстологии», 1962, стр. 250.

³ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“. „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15.

სამწუხაროდ გალაკტიონის არქივში პირველი ვარიანტი შემონახული არ არის და ლექსი ძალაუნებურად შემდეგშია გრიშაშვილისეული სწორებით იბეჭდება.

ვ. ბრიუსოვმა ა. ს. პუშკინის ლექსი „19 ოქტომბერს“ დაბეჭდვის დროს (1920 წ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1) არ გაითვალისწინა ავტორის ნება და თვითნებურად შავი ავტოგრაფის მიხედვით შეავსო და ჩაასწორა სტროფები⁴.

სკიოთხველს აინტერესებს ავტორისეული ტექსტი და არა გამოცემლის მიერ ჩასწორებული, როგორც გამოცდილი და ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს გამოცემელი. სწორედ ამიტომ ტექსტოლოგიის ძირითად პრინციპად აღიარებულია ავტორის ნების დაურღვევლობის პრინციპი. მაგრამ როდესაც ტექსტოლოგი იცავს ავტორის ნებას, უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეს: ავტორის ნება ხელშეუხებელია მხოლოდ ტექსტის მიმართ, რომელიც არ უნდა გასწორდეს. გარეშე პირთა სურვილისა და გემოვნების მიხედვით, მაგრამ გამოცემის შემადგენლობისა და მასალის განლაგების დროს ტექსტოლოგი ანგარიშს არ უწევს ავტორის ნებას.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ვ. ბარნოვის არქივში შემონახულია მწერლის გეგმა—მონახაზი, რომლის მიხედვითაც მთელი მისი შემოქმედება 20 ტომს უნდა მოიცავდეს. მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს ეს სურვილი არ იქნა გათვალისწინებული, მაგრამ ამით პრინციპში ავტორის ნება ტექსტის მიმართ არ დარღვეულა: ყველა ნაწარმოები დაიბეჭდა იმ სახით, როგორც ეს ავტორს სურდა.

კლასიკოს-მწერალთა ნაწარმოებების გამოსაცემად მომზადების დროს წამოიჭრება რთული საკითხი, თუ როგორ გამოვარკვიოთ ავტორის უკანასკნელი ნება. თხზულების თითოეული ტექსტის ისტორია ასახავს ავტორის უკანასკნელ ნებას სხვადასხვა ეტაპზე

ცნობილია, რომ ვ. ბარნოვი ბევრს მუშაობდა ამა თუ იმ ნაწარმოებზე, პირველი ავტოგრაფიდან ბოლო გამოცემამდე მრავალი შესწორება შეჰქონდა ტექსტში, ხვეწდა სტილსა და ენას, გულიანყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა რა ამ ნაწარმოებთა პუბლიკაციას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათ გამოცემაში, კითხულობდა და ასწორებდა კორექტურებს.

როგორც მწერლის ოჯახში, ისე გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაცულ არქივში

⁴ Е. И. Прохоров, Л. Д. Опальская — Выбр истчника основного текста, «Основы текстологии», 1962, стр. 251.

მრავლად მოიპოვება ავტორის ჩასწორებული ამა თუ იმ ნაწარმოების ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები, რომელთა თანმიმდევრობითი შესწავლა ნათელს ჰფენს მეტად საყურადღებო და საინტერესო საკითხს—, თუ როგორ იქმნებოდა და იხვეწებოდა ტექსტი, რა ცვლილებას განიცდიდა იგი ენობრივად თუ სტილისტურად და ნაწარმოების შექმნის სხვადასხვა ეტაპზე როგორ აისახებოდა ავტორის ნება.

მაგ. მოთხრობას „რკინის დევი“ სამი ხელნაწერი და ერთი ნაბეჭდი წყარო აქვს. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაცული ორი ავტოგრაფიდან (№№ 13021 და 13022), აღრეული (№ 13021) ხელნაწერი საგრძნობლად განსხვავდება მის საფუძველზე შექმნილ (№ 13022) ავტოგრაფისაგან, ხოლო ამ უკანასკნელისაგან შექმნილი საკმაოდ განსხვავებული ავტოგრაფი, რომელიც დაცულია მწერლის ოჯახში, საფუძველად დაედო 1934 წელს გამოცემულ კრებულში („ფერად-ფერადი“) დაბეჭდილ ტექსტს.

რომელი ტექსტი შევარჩიოთ პუბლიკაციისათვის, თუ ჩვენამდე მოღწეულია ერთი ნაწარმოების ტექსტის რამდენიმე წყარო, რომელი „ნება“ გავითვალისწინოთ, თუ თითოეული წყარო გამოხატავს ავტორის ახალ ნებას? — ეს ერთ-ერთი ურთულესი საკითხია ტექსტოლოგიაში.)

ზოგი უარყოფს გამოსაცემად მომზადების დროს ტექსტის შერჩევის რაიმე ერთიანი პრინციპის ჩამოყალიბებას. ზოგი კი მხარს უჭერს მას; ერთი მოითხოვს ავტორის ნების ხელშეუხებლობას ყოველი მწერლის მეცნიერული გამოცემის დროს, მეორე — სრულიად უარყოფს ავტორის ნებას.

მაგალითად, 1907 წ. გამოცემულ ა. ს. პუშკინის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორს ს. ა. ვენგეროვს „პედანტიზმად“ მიაჩნია ერთიანი ტექსტის შერჩევის პრინციპის დადგენა⁵. ხოლო ნ. კ. პიკსანოვი ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგანის“ ტექსტზე მუშაობის დროს იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ავტორის ნება ერთადერთი „უღაო საზომია“ ყველა რედაქტორისათვის ნებისმიერი მწერლის თხზულებათა მეცნიერული გამოცემის დროს. ეს შეხედულება მან კიდევ უფრო გააღრმავა, 1922 წ. ნაშრომში «Рецидив редакторской безграмотности»⁶.

მოდესტ გოფმანმა 1922 წ. შემოიტანა ცნება „ავტორის ნება“⁷, რომელსაც იგი თვლიდა შეუზღუდავად, რედაქტორისათვის გარდაუ-

⁵ А. С. Пушкин, Полное собрание сочинений под ред. С. А. Венгера, т. I, СПб., 1907.

⁶ «Научные известия Наркомпроса», сб. 2. М., 1922, стр. 244—247.

⁷ «Первая глава науки о Пушкине», Пб., 1922.

ვალ კანონად. გოფმანის აზრით, „ავტორის ნება“, რომელიც გამოხატულია ნაწარმოების ძირითად (კანონიკურ) ანუ ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელ ტექსტში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, თვით კორექტურული შეცდომების გაუსწორებლადაც კი, უნდა გამოქვეყნდეს თანხლების გამოცემის დროს.

მ. გოფმანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ ბორის ტომაშევსკი საეკვოდ თვლის მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელი ან რომელიმე ტექსტის უპირატესობას⁸. მისი აზრით, ავტორის ერთიანი კანონიკური ნება არ არსებობს; ყოველი რედაქცია გამოხატავს ავტორის ნების ცვალებადობას.

უფრო გვიან, 1928 წ. ბ. ტომაშევსკი კვლავ უარყოფს „ავტორის ნებას“: თუმცა დასაშვებად და ზოგჯერ აუცილებლადაც კი მიაჩნია „ტექსტის შერჩევა იმისდა მიხედვით, თუ რომელი უკეთ გამოხატავს ნაწარმოების მხატვრულ შენობას“⁹ (ასევე უარყო მან „ავტორის ნება“ ტექსტოლოგიურ თათბირზე 1954 წ. მოსკოვში).

გიორგი ვინოკურს არასწორად მიაჩნია „ავტორის ნების“ საკითხის დასმა¹⁰, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნება“... „იმდენადვე ცვალებადია, როგორც ის ტექსტი, რომელშიც ის თავისთავს ამჟღავნებს“. ვინოკური უგულვებელყოფს „ავტორის ნების“ მონურ თაყვანისცემას. იგი ერთ რომელიმე რედაქციაზე დაყრდნობის კატეგორიული წინააღმდეგია.

ბ. ეიხენბაუმი ნაწარმოების ძირითადი ტექსტის შერჩევის დროს უპირატესობას ანიჭებს ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად დაბეჭდილ ტექსტს, მაგრამ „ავტორის ნებას“ მიიჩნევს რა მხოლოდ იურიდიულ ცნებად, თვლის ზედმეტად და უადგილოდ¹¹.

დაბოლოს აღსანიშნავია 1965 წელს ტექსტოლოგიის საკითხებზე ჩატარებული დისკუსია, სადაც ტექსტოლოგთა ერთმა ჯგუფმა ცნობილ და ავტორიტეტულ საბჭოთა ტექსტოლოგს დიმიტრი ლიხაჩოვს უსაყვედურა „ავტორის ნების“ უგულვებელყოფა. ლიხაჩოვის პასუხში¹² გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ავტორის ნების“ პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ დღესდღეობით ნაკლებ შესწავლილია და ვიდრე საფუძვლიანად არ გაიკვლევა მისი ბუნება და ევოლუცია. ფეტიშად ქცევა და იურიდიულ პრინციპამდე აყვანა სწორად არ მიმაჩნიაო.

⁸ «Новые о Пушкине», журн. «Литературная мысль», 1921, № 1.

⁹ «Писатель и книга», 1928.

¹⁰ «Критика поэтического текста», М., 1927.

¹¹ Б. Эйхенбаум, Основы текстологии в сб. «Редактор и книга», вып. III, М., 1962.

¹² «Русская литература», 1965, № 1.

ძირითადი ტექსტის შერჩევა აუცილებელია. ამ შერჩევის დროს ტექსტოლოგს მხედველობაში აქვს არა უბრალოდ ავტორის შემოქმედებითი ნება, რომლის გამოხატულებაა ტექსტის ყველა წყარო, — გეგმები, მონახაზები, შავად ჩანაწერები, გადათეთრებული ხელნაწერები, სხვადასხვა დროის გამოცემები და ა. შ. — არამედ კონკრეტულად მოცემული ნაწარმოების ტექსტის მიმართ მწერლის უკანასკნელი შემოქმედებითი ნება)

ავტორის მიერ ტექსტში შეტანილი სწორებით იხვეწება და იქმნება ნაწარმოების ახალი, უკეთესი რედაქცია, რომელიც მის წინამორბედთან შედარებით უფრო აკმაყოფილებს მწერლის სურვილსა და მოთხოვნილებას.

შწორალი ტექსტზე მუშაობას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაწარმოები მას სავსებით აკმაყოფილებს)

მაგალითად, გალაკტიონის ლექსები „ქარი ამწევი ფარდის“, „ეს გრიგალია სიახლის“, „ბრმა ცალი თვალით“, „მივდიოდით ალაზნის ველად“ და სხვ. ავტორის სიცოცხლეში რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა პერიოდულ თუ ცალკე გამოცემებში, შემორჩენილია ზოგიერთი მათგანის ავტოგრაფიც. არცერთ ზემოჩამოთვლილსა და ზოგიერთ სხვა ლექსს გამოცემებში ცვლილება არ განუტედათ, ჩანს, ავტორს ისინი აკმაყოფილებდა იმ სახით, როგორც პირველად გამოქვეყნდა და მასში არ შეუტანია არავითარი სწორება.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „მელია სერეფენია“, რომელიც 1909 წ. ჟურ. „ერის“ № 1, 2-ში დაიბეჭდა, აქვს მინაწერი „გაგრძელება იქნება“, მაგრამ ამ „გაგრძელებას“ ვეღარ ვხედავთ, დაბეჭდილი ტექსტი კი დამთავრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამბავი შეკრული და დასრულებულია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ვაჟა-ფშაველას ფონდში (№37) დაცულია მოთხრობის დიდად განსხვავებული ვარიანტი სათაურით „მელია სერეფენიას სკოლა“, რომელიც დაბეჭდილის გაგრძელებად ვერ ჩაითვლება. ჩანს, ავტორი დაკმაყოფილებულა გამოქვეყნებული ნაწილით.

ნაწარმოებთა ტექსტების მიმართ ავტორის უკანასკნელი ნება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა წყაროებში, მაგრამ ყოველგვარ შემთხვევაში ეს უნდა იყოს ტექსტზე მუშაობის უკანასკნელი ეტაპი. ტექსტის სხვადასხვა წყაროს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ის, რომელიც გამოხატავს ავტორის მუშაობის უკანასკნელ ეტაპს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე მონახაზი პირველი რედაქციისათვის.

თითქოს უფრო ავტორიტეტული უნდა იყოს ბოლო გადათეთრებუ-
ლი ავტორისეული ხელნაწერი, მაგრამ თუ ნაწარმოები ამ ხელნაწერის
მიხედვით უკვე გამოქვეყნდა, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა შეირჩეს
ძირითადი ტექსტის წყაროდ, რადგანაც ის არის ტექსტის ბოლო რე-
დაქცია. თუმცა ყოველთვის არც ეს გამოცემა გამოხატავს ავტორის
უკანასკნელ ნებას, რადგან ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ მწე-
რალს შეეძლო ჩაესწორებინა გამოცემის საკუთარი ეგზემპლარი, ან
ჩაენიშნა დღიურში, ან კიდევ წერილობით ეცნობებინა ვინმესთვის და
ა. შ., რაც შეიძლება მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოცემაში იქნეს
გათვალისწინებული.

ჩამკვარად, ძირითადი ტექსტის შერჩევის საკითხი რთულია, ამ
დროს დაშვებული შეცდომის გამო შეიძლება ძირითადად ის ტექსტი
დაიბეჭდოს, რომლის გამოქვეყნება ავტორს არ სურდა.⁷

ძირითადი ტექსტის საკითხის ზოგადი განხილვისას ყოველი მწერ-
ლის ნაწარმოებს სამ ჯგუფად ყოფენ¹³.

ა) დამთავრებული და ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოე-
ბი.

ბ) დამთავრებული, მაგრამ ავტორის მიერ გამოუქვეყნებელი ნა-
წარმოები და

გ) დაუმთავრებელი და ავტორის მიერ გამოუქვეყნებელი ნაწარ-
მოები.

აღნიშნავენ ნაწარმოებთა ერთ ტიპსაც, როდესაც მთლიანად და-
მთავრებულია, მაგრამ ცალკეული ნაწილები ავტორის მიერ გამოქვეყ-
ნებულია. თუმცა ასეთი ნაწარმოები დამოუკიდებელ ჯგუფს არ ქმნის,
რამდენადაც გამოქვეყნებული ნაწილი განეკუთვნება პირველს, ხოლო
დაუმთავრებელი ნაწილი — მესამე ჯგუფს.

ზემოჩამოთვლილ სამ შემთხვევაში ძირითადი ტექსტის წყაროს
შერჩევის საკითხი არაერთგვაროვანია.

დამთავრებული და ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოები
ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. ყოველი შემოთქმული რომ გავითვა-
ლისწინოთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი ნაწარმოებისათვის ძი-
რითადი ტექსტის წყაროდ უნდა შეირჩეს ავტორის სიცოცხლეში გა-
მოქვეყნებული ერთ-ერთი გამოცემა. რომ გადავჭრათ საკითხი, სახელ-
დობრ რომელი უნდა ავიღოთ ძირითადად, ამისათვის საჭიროა წინას-
წარ გაირკვეს როგორ მონაწილეობას იღებდა ავტორი გამოცემის მო-
მზადებაში.)

¹³ Е. И. Прохоров, Л. Д. Опульская. Выбор источника ос-
новного текста. — «Основы текстологии», 1962, стр. 257.

სავარაუდოა სამგვარი შემთხვევა: როცა ავტორი თვითონ ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის და კორექტურებსაც თვითონ კითხულობდა, ან ავტორი არ ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის, მაგრამ კორექტურებს კითხულობდა, ან კიდევ ავტორი ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის, მაგრამ კორექტურებს არ კითხულობდა.

თუ ავტორი ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის და კითხულობდა კორექტურას, ერთადერთი სწორი გადაწყვეტა იქნება, ძირითადი ტექსტის წყაროდ შეირჩეს ეს გამოცემა

ასეთი გადაწყვეტა მისაღები იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ავტორი არ ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის, მაგრამ კორექტურას კითხულობდა და ამდენად მას საშუალება ჰქონდა შეეტანა ტექსტში შესწორება, გამოეხატა მისი უკანასკნელი ნება. პრინციპული განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის არ არის. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ძირითადი ტექსტის წყარო ზოგი ნაწარმოებისათვის შეიძლება პირველი გამოცემა იყოს, ზოგისათვის — მეორე, სხვა შემთხვევაში — ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოცემული ტექსტი.

(მაგალითად, თუ ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში ერთხელ გამოიცა, ძირითადი ტექსტის წყაროც ის იქნება.)

ასე გადაწყდა საკითხი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილების და კორესპონდენციების ძირითადი ტექსტისა შერჩევის დროს: რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია ხელნაწერები და ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში. არის ასეთი შემთხვევა: ვაჟა-ფშაველას რამდენიმე პოემა — „ჰაოს და ქართლოს“, „ქართული ქორწილი“, „თუ ვინმე მოდის“, „ერთი სიყვარულის ამბავი“ და სხვ. პირველად ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ალ. აბაშელის რედაქციით (1932 წ.), რომელსაც ხელთ ჰქონია ამ პოემების ვაჟასეული ბოლო გადამუშავებული ავტოგრაფები. ისინი ავტორის ძმას ალ. რაზიკაშვილს მიუწოდებია გამომცემლისათვის და ინახებოდა სახელგამში. სამწუხაროდ, ამჟერად მათი მიკვლევა ვერ მოხერხდა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს ზემოჩამოთვლილი პოემების ტექსტის ძირითად წყაროდ შერჩეულ იქნა აბაშელისეული რედაქცია, მისივე სათანადო აპარატითა და შენიშვნებით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში ორჯერ გამოქვეყნდა, ძირითადი ტექსტის წყაროდ პირველი პუბლიკაცია უნდა შეირჩეს, თუ მათი შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ მომდევნო გამოცემები პირველისაგან არის გადაბეჭდილი ავტორის ჩარევის გარეშე.

ვაჟა-ფშაველას ლექსი „ჩონგურს სიმები დამიწყდა“ ავტორის

სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა — პირველად გაზ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1904 წ. (№ 247) და მეორედ, ერთგვარი ცვლილებით, კრებულში „ცრემლები“ 1909 წ.

რადგან ჩვენთვის ცნობილია, რომ კრებულ „ცრემლების“ მასალის შედგენაში ავტორის უშუალო მონაწილეობა არ მიუღია და ტექსტისათვისაც არ გადაუხედავს, მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში 1962 წ. ლექსი იმ სახით დაიბეჭდა, როგორც ის პირველად გაზ. „ცნობის ფურცლის“ დამატებაში იყო გამოქვეყნებული.

ნაწარმოების გამოცემის შემდეგ ავტორი ზოგჯერ კიდევ უბრუნდება მას, ასწორებს და ხელმეორედ აქვეყნებს მის რომელიმე ნაწილს, ხოლო ტექსტის დანარჩენი ნაწილი რჩება ჩაუსწორებელი. თუ აღნიშნული სწორებით მთლიანი ნაწარმოების სიუჟეტი არ შეცვლილა და ჩასწორებული და ჩაუსწორებელი ნაწილის შერწყმა არ იწვევს შეუსაბამობას, ძირითადი ტექსტის წყაროდ უნდა შეირჩეს თითოეული ნაწილის უკანასკნელი პუბლიკაცია.

მაგრამ თუ სწორების შედეგად შეიცვალა სიუჟეტი ან ნაწარმოების ხასიათი და ჩასწორებული ნაწილის შერწყმა ჩაუსწორებელ ნაწილთან შეუძლებელია, მაშინ ძირითადი ტექსტის წყაროდ უნდა შეირჩეს ავტორიზებული გამოცემა, ხოლო ჩასწორებული ნაწილი დაიბეჭდოს იმავე ტომში „სხვა რედაქციების“ განყოფილებაში.

იგივე ითქმის ჩასწორებული გამოუქვეყნებელი ტექსტის შესახებაც.

ვ. ბარნოვის რომანი „გიორგი სააკაძე“ ავტორის სიცოცხლეში მთლიანად არ დაბეჭდილა. ჟურ. „მომავალში“ 1923 წ. (№9—10) გამოქვეყნდა ნაწარმოების მხოლოდ თორმეტი თავი, რომელიც ავტორის ჟურნალის საკუთარ ეგზემპლარში (დაცულია მწერლის ოჯახში) საგრძნობლად ჩაუსწორებია. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში ვ. ბარნოვის არქივში მოიპოვება ამ რომანის რამდენიმე სრული ავტოგრაფი.

მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს ამ ავტორგრაფებიდან შეირჩა ძირითადი ტექსტი, რომელიც A ლიტერით აღინიშნა ვარიანტებში, ხოლო პირველი თორმეტი თავის ძირითად ტექსტად მიღებულ იქნა ჟურ. „მომავალში“ გამოქვეყნებული და შემდეგ ავტორის მიერ ჩასწორებული ტექსტი.

ძირითადი ტექსტის წყაროს შერჩევის დროს ჩვეულებრივ უკანასკნელ გამოცემებზე ვამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ ტექსტის წყაროების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ზოგჯერ ეს უკანასკნელი ავტორიზებული გამოცემა არასრულფასოვანია, გაფუჭებულია გარეშეპირთა — ცენზორის, რედაქტორის და სხვ. ჩარევით. ისეთ შემთხვევა-

ში, როცა თუნდაც ავტორის მონაწილეობით, მაგრამ დიდი დამახინ-
 ჩებით გამოაცა ნაწარმოები, ძირითად ტექსტად უნდა შეირჩეს გადა-
 თეთრებული ასლი, ან კიდევ ავტორის მიერ ჩასწორებული კორექტუ-
 რა. მაგალითად, გ. ტაბიძის სიცოცხლეში გამოცემული მისი პოემა
 „მშვიდობის წიგნი“ რედაქტორებისა და გამომცემლების მიერ თვით-
 ნებურად არის ნასწორები. — შემცირებულია ტექსტი, შეცვლილია
 სტროფები და საერთოდ უგულვებელყოფილია ავტორის ნება, რასაც
 გალაკტიონი გულიანტკივილით აღნიშნავს ერთ-ერთ ჩანაწერში: „შეიძ-
 ლება იყოს პოემაში ადგილები, რომელიც უნდა შეკეთდეს ან სავსებით
 ამოღებულ იქნას (მე კი მგონია, რომ შეიძლება პოემის მთლიანად იმ
 სახით დაბეჭდვა, რა სახითაც წარმოდგენილია). მაშინ მიგვიტოთოს.
 მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: აქ ადგილი აქვს რაღაც გაუგებრობას. მო-
 ვითხოვდი გულდასმით წაკითხვას, ჩვენებას, მითითებას“¹⁴.

საერთოდ გალაკტიონი უკმაყოფილო იყო, როდესაც მას ტექს-
 ტებს უსწორებდნენ. ერთ-ერთი უსათაურო ლექსის („სუფთა სინდისი,
 სისპეტაკე“)¹⁵ ვარიანტებში იგი გულდაწყვეტით აღნიშნავს:

აიღეთ. გინდათ შვიდი ტომი,
 ჩემი ტომები,
 რა გააფთრებთ, რა უვიცად
 რა მონღოლებით
 ამახინჯებდნენ მათ (სულ კანგებ)
 თვის შეცდომებით
 რედაქტორები, რომლებიც კი
 მე შემხვედრია.

მაგრამ როდესაც სხვა წყარო არ მოიპოვება, ტექსტოლოგი იძულებ-
 ულია ასეთ „დამახინჯებულ“ ტექსტს დაეყრდნოს და მის გასამართა-
 ვად გამოიყენოს ყველა წყარო, თუ ასეთი მოიპოვება (დლიურში ჩანა-
 წერები, წერილები, ავტორისა და მის თანამედროვეთა მოგონებები).

გ. ბარნოვის მოთხრობა „მეჩვენა“ ავტორის სიცოცხლეში გამო-
 ქვეყნდა ჟურ. „მომამბეში“ 1901 წ. (№ 2) ცენზურისაგან შემოკლებუ-
 ლი და დამახინჯებული. შემდეგშიაც ეს ნაწარმოები ყველა გამოცე-
 მაში დაბეჭდილია ამ შემოკლებით. საქართველოს სახელმწიფო ლიტე-
 რატურის მუზეუმში დაცული ამ მოთხრობის სუფთა ავტოგრაფის

¹⁴ გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზე-
 უმი, გ. ტაბიძის არქივი, დღ. № 527.

¹⁵ გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ. VI, 1968, გვ. 324.

დაბეჭდილ ტექსტებთან შეჯერებით გამოიჩვენა, რომ პირველ ნაბეჭდ-
ში ცენზორის მიერ გამოტოვებულია ავტორის მსოფლმხედველობის
გარკვევისათვის მეტად საყურადღებო ადგილი — წინადადებები, აბზა-
ცები და არც თუ იშვიათად მთელი გვერდები. მწერლის თხზულე-
ბათა აკადემიური გამოცემის დროს (1961 წ. ტ. I) ეს ადგილები ხელ-
ნაწერის მიხედვით იქნა აღდგენილი.

როგორც აღვნიშნეთ, თხზულების უკანასკნელი გამოცემა ყო-
ველთვის არ არის ავტორის ბოლო ნება, ზოგჯერ გარეშე პირთა ჩა-
რევით ტექსტი დამახინჯებულია, ხოლო მის წინა გამოცემაში გარეშე
ხელი არ ურევია, ამ შემთხვევაში ძირითადი ტექსტის წყაროდ წინა
გამოცემა უნდა იქნეს აღებული. 3

მაგ. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა უმრავლესობა ავტორის სიცო-
ცხლეშივე ქვეყნდებოდა, როგორც პერიოდიკაში, ისე კრებულებსა
და ცალკე გამოცემებში. მწერლის თხზულებათა ტექსტებზე მუ-
შაობამ დაგვარწმუნა, რომ ნაბეჭდი წყაროებიდან ყველაზე სანდო ტე-
ქსტი დაცულია გაზ. „ივერიაში“, რომლის რედაქტორი ილია ჭავჭავა-
ძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საერთოდ ყველა მწერლის
და კერძოდ ვაჟას ენას, უფრთხილდებოდა მის მხატვრულ ქმნილებებ-
ში ზომიერად შემოტანილი კუთხური მეტყველების ცალკეულ ფორ-
მებს. ამიტომ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ძირითადი ტექსტის შერ-
ჩევის დროს უპირატესობა „ივერიის“ ტექსტს ეძლევა, მიუხედავად
იმისა, რომ იგი ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებულ
ნაბეჭდ წყაროს უსწრებს წინ. არჩევანი გამართლებულია იმითაც, რომ
„ივერიის“ ტექსტში გაცილებით ნაკლები კორექტურული შეცდომაა,
ვიდრე მის შემდგომ ზოგიერთ გამოცემაში, სახელდობრ 1893 წ.
„თხზულებანი“¹⁶, რასაც, როგორც ჩანს, მტკივნეულად განიცდიდა თვით
ვაჟა. 1

დოსტოვესკის მოთხრობის „უწყინარის“ პირველ ავტორიზებულ
პუბლიკაციას (1876 წ. «Дневник писателя»-ს ნომბრის ნომერი)
მოჰყვა მეორე და მესამე პუბლიკაცია 1877 წ. თებერვალსა და ივლის-
ში გაზ. «Гражданин»-ის დამატების «Русский сборник»-ის I ტ-ში.
აქ პირველი გამოცემის ბევრი შეცდომა გასწორდა, მაგრამ მას არ და-
ურთეს ავტორის „წინასიტყვაობა“, რომელიც ერთოდა წინა გამოცე-
მას. ამას გარდა, გაიპარა მძიმე კორექტურული შეცდომები, რის გა-
მოც ნაწარმოების ტექსტი დამახინჯდა. ყოველივე ამის გამო, ტექსტო-
ლოგი იძულებული გახდა ძირითადი ტექსტის წყაროდ პირველი ავტო-

¹⁶ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი ნაწერები და კორექტურა, თხზულებანი, 1964,
ტ. IX, გვ. 387.

რიზებული პუბლიკაცია აერჩია და შიგ შეეტანა ბოლო პუბლიკაცი-
იდან ავტორისეული სწორებები, რომ მკითხველისთვის თხზულება მი-
წოდებინა მთელი თავისი სისრულით და მხატვრული სიძლიერით¹⁷.

წესიდან ამგვარ გადახვევას სხვა შემთხვევაშიც მიმართავენ. განსა-
კუთრებით უკანასკნელ ავტორიზებულ თხზულებათა კრებულში ავტო-
რის მიერ ჩართულ ტექსტზე მუშაობის დროს. მთლიანი კრებულის
ავტორიზება არ იძლევა გარანტიას, რომ მასში შემავალი ყველა ნაწარ-
მოები ავტორიზებულია. აქ შეიძლება ასეც მოხდეს: ავტორი ამზადებ-
და ტექსტს გამოცემისათვის, კითხულობდა კორექტურებს, მაგრამ
უკანასკნელი რედაქცია, ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გა-
მო, არ გამოქვეყნდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ძირითადი ტექ-
სტის წყაროდ უნდა ავიღოთ სწორედ ეს კორექტურები და ამონაბეჭ-
დები.

მაგალითად, კოროლენკო 1914 წ. თავის თხზულებათა სრული კრე-
ბულის VII ტომის კორექტურებს კითხულობდა, აქ უნდა დაბეჭდილი-
ყო „ჩემ თანამედროვეთა ისტორიის“ პირველი წიგნი, მაგრამ პირველი
ნსოფლიო ომის დაწყების გამო კორექტურები ტულუზიდან დროზე
ვერ მიაწოდა ავტორმა გამომცემელს ა. ფ. მარქსს და ტომი გამოვიდა
ძისი უკანასკნელი სწორების გარეშე. ბუნებრივია, გვიანდელ გამოცე-
მებში ძირითადი ტექსტის წყაროდ უნდა ავიღოთ ეს კორექტურები.
რომელიც 1923 წ. ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოგზავნეს საფრან-
გეთიდან¹⁸.

| ისეთ შემთხვევაში, როცა ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ
ავტორს მასში შეაქვს ჩასწორებები და ამზადებს ზედახალი გამოცე-
მისათვის, მაგრამ იგი მწერლის არქივში რჩება გამოუქვეყნებელი,
ძირითადი ტექსტის წყაროდ სწორედ ეს გამოუქვეყნებელი, საბოლო-
ოდ ჩასწორებული ტექსტი უნდა ავიღოთ. >

ასე მომზადდა ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემი-
სათვის ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტი, რომელთა ნაბეჭდი წყაროე-
ბის ავტორიზებული საბოლოო რედაქციები დაცულია მწერლის
ოჯახში.

[თუ ავტორი ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის, მაგრამ კორექ-
ტურას არ კითხულობდა, ძირითადი ტექსტის წყაროდ უნდა ავიღოთ:
ავტორის მიერ დააბეჭდად გამზადებული ორიგინალი და არა მისგან.

¹⁷ Е. И. Прохоров, Л. Д. Опульска я, Выбор источника ос-
новного текста — «Основы текстологии», 1962, стр. 261.

¹⁸ Там же, стр. 263.

გამომდინარე დაბეჭდილი ტექსტი, რადგან ტექსტზე მუშაობის უკანასკნელ ეტაპზე ავტორი მონაწილეობას არ იღებდა, სამაგიეროდ შესაძლებელია გარეშე პირთ — რედაქტორს, ცენზორს, კორექტორს, ანთამწყობს შეეტანათ ტექსტში ნებისთ თუ უნებლიე შესწორებანი)

მაგრამ თუ დასაბეჭდად გამზადებული ორიგინალი არ შემონახულა, ამასთან დადგენილია, რომ ნაბეჭდი ამ ორიგინალიდან გამომდინარეობს და მასში არსებითი ცვლილება არ არის შეტანილი, ნაწარმოების ძირითადი ტექსტის წყაროდ შეიძლება შეირჩეს ეს ნაბეჭდი ტექსტი.

არის შემთხვევა, როცა ავტორი საფუძვლიანი გადამუშავების შედეგად ქმნის თავის ნაწარმოების ახალ რედაქციას. ასეთი გადამუშავება სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული და ნაწარმოების ძირითადი ტექსტის შერჩევის დროს სხვადასხვაგვარად უნდა მივუდგეთ მათ. თუ ახალი რედაქცია ავტორმა შექმნა დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა სიტუაციის გამო, ამ ნაწარმოების ძირითად ტექსტად, როგორც წესი რჩება პირველი რედაქციის უკანასკნელი წყარო, ხოლო გადამუშავებული რედაქცია მეცნიერულ გამოცემებში თავსდება „სხვა რედაქციების“ განყოფილებაში.

შეიძლება ავტორმა შექმნას ნაწარმოების პირველი რედაქციის ტოლფასოვანი მეორე რედაქციაც, ამ შემთხვევაში ძირითად ტექსტად უნდა შეირჩეს ან უკანასკნელი რედაქცია, თუ თვით ავტორი თვლიდა, რომ იმ რედაქციამ შეცვალა ადრინდელი ტექსტი, ანდა ორივე რედაქცია უნდა მოთავსდეს თხზულებათა კრებულის ძირითად ნაწილში, თუ უკანასკნელი გადამუშავების შედეგად არსებითად ახალ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც ავტორის აზრით კი არ ცვლის ადრინდელ რედაქციას, არამედ მის პარალელურად არსებობს.

ტექსტოლოგი ვალდებულია შენიშვნებში მიუთითოს, თუ როდის გადამუშავა ავტორმა ნაწარმოების ტექსტი და რა მიმართულებით წარმართა ეს გადამუშავება, რომ არ გაჩნდეს მკითხველში მცდარი შეხედულება ავტორის შემოქმედებით განვითარებაზე. უმთავრესად აქედან გამომდინარეობს მეცნიერულ გამოცემაში „სხვა რედაქციებისა და ვარიანტების“ განყოფილებისა და კომენტარების აუცილებლობა.

ავტორის უკანასკნელი ნების დაურღვევლობის პრინციპი თანაბრად ვრცელდება როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტიური ნაწარმოებების მიმართ. ძირითად ტექსტად პუბლიცისტიკაშიც, როგორც წესი, უნდა შეირჩეს ბოლო ავტორიზებული რედაქცია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გამოცემიდან გამოცემაძღე ავტორმა არსებითად გადამუშავა პუბლიცისტიური ნაწარმოებები, აუცილებელია გამოვავლინოთ და

ყურადღებით მოვეკიდოთ როგორც ამ გადამუშავებას, ასევე ნაწარმოების დათარიღებას. ახალი რედაქცია ასახავს მწერლის იდეური განვითარების გარკვეულ ეტაპს. ყველა ჟანრის თხზულებათა ძირითადი ტექსტი იმავე წესით უნდა დამუშავდეს, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

ნაწარმოების დამთავრება თუ დაუმთავრებლობა არ უნდა დაუკავშირდეს გადათეთრებული ხელნაწერის არსებობას. თუმცა ეს უკანასკნელი ფრიად არსებითი ხასიათის მაჩვენებელია. სრულიად დამთავრებული ნაწარმოები შეიძლება იყოს შავად ნაწერი. დამთავრება თუ დაუმთავრებლობა უნდა დავადგინოთ არა მარტო შინაარსით, ანდა გადათეთრებულის ან შავად ნაწერის ფორმალური ნიშნების არსებობით, არამედ იმ ფაქტების საფუძველზე, რომელსაც წარმოგვიდგენს ნაწარმოების შექმნის მთელი ისტორია, გამომდინარე ავტორისაგან ან მისი შემოქმედების უშუალო მოწმისაგან.

მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ავტორი სპეციალურად ამზადებდა ტექსტს გამოცემისათვის და ვერ მოასწრო გამოქვეყნება, მაშინ ძირითადი ტექსტის წყაროდ უნდა შეირჩეს სასტამბო ხელნაწერი, უკანასკნელის უქონლობის შემთხვევაში კი — გადათეთრებულს ან შავს ხელნაწერს ირჩევენ. 3

ახალი მასალის მიკვლევის შემდეგ შესაძლებელია ძირითადი ტექსტის წყარო შეიცვალოს.

დაუმთავრებელი ნაწარმოების ტექსტის პუბლიკაციის დროს მნიშვნელობა ეძლევა ისეთი წყაროების შესწავლას, როგორც არის ნაწარმოების გეგმები.) ხშირად ავტორი ტოვებს არა ერთს, არამედ რამდენიმე ხელნაწერს, რომელშიაც ასახულია სხვადასხვა დროს მისი იუშაობა ტექსტის სხვადასხვა ნაწილზე. ყველა ამ მასალის გულდასმით შესწავლა — ავტორის კონსპექტების, გეგმების, წერილების, დღიურების, მის თანამედროვეთა ცნობების მოშველიება, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ დაუმთავრებელი ხელნაწერების თანმიმდევრობა არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ კომპოზიციურადაც. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ თხზულების შინაარსის თანმიმდევრობას.

ტექსტოლოგის მიზანია დაადგინოს და საფუძვლად დაუდოს აკადემიურ გამოცემას ისეთი ტექსტი, რომელიც ავტორის შემოქმედებითი მუშაობის უკანასკნელ ეტაპს ასახავს; ეს კი უნდა დადგინდეს ნაწარმოების ტექსტის ყველა წყაროს შეჯერებისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად.

ლუბა მფარევილი

რედაქციები და ვარიანტები

I

(ტექსტოლოგიური მუშაობის პროცესში ყურადღების გამახვილებაა საჭირო მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლაზე. ტექსტის ისტორიის გარკვევა, მისი პირველი ჩანაფიქრებიდან დაბეჭდვამდე, დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

ტექსტოლოგიური კვლევის ცენტრში უნდა მოექცეს ტექსტის ავტორგრაფის შავი მასალა, გადამუშავებული პირი, საბოლოო ტექსტი, მისი რედაქციები, ჩანაწერები, ფრაგმენტები, ავტორიზებული გამოცემები და ა. შ. ყველა ეს არის წყარო, რომლის შესწავლა აუცილებელია ძირითადი ტექსტის დასადგენად. ტექსტოლოგმა უნდა შეაფასოს ნაწარმოების ტექსტის იდეურ-ისტორიული მნიშვნელობა, რაც აუცილებელია ტექსტის კრტიკული შესწავლისა და მისი ისტორიის გარკვევისათვის.

ტექსტოლოგის კვლევა-ძიებამ ნათელი სურათი უნდა მოგვცეს ავტორის უკანასკნელი ნების შესახებ.

მწერლის მიერ ყოველი ახალი შესწორება-ცვლილებების შეტანა ტექსტში წარმოადგენს სწრაფვას თხზულების უკეთესი რედაქციის შექმნისათვის.)

ავტორის შესწორებები გამოწვეულია იმით, რომ მას არ აკმაყოფილებს ტექსტის პირველი რედაქცია და აგრძელებს მასზე მუშაობას. როდესაც საბოლოოდ მთავრდება ტექსტის დამუშავება, ვლებულობთ ავტორის უკანასკნელ ნებას.

ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტები, რომელთაც ერთმანეთისგან თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნები მოეპოვებათ, მწერლის შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა ეტაპის მაჩვენებელია. ურთიერთსაპირისპიროდ ამ ტექსტებს რედაქციები ეწოდება.)

ტექსტის ისტორიის შესწავლისა და მისი გამოსაცემად მომზადებისათვის, სხვა წყაროთა შორის, რედაქციასაც მნიშვნელობა ენიჭება.

მწერლის შემოქმედებითი პროცესის ნათელსაყოფად საჭიროა გაირკვეს: რა ფაქტორებმა იმოქმედეს მწერალზე ერთი ჩანაფიქრი სიუჟეტის განმეორებით გადამუშავებისათვის.

ნაწარმოებზე მუშაობის პროცესს ერთბაშად არ მთავრდება, ავტორის პირველი ჩანაფიქრიდან მის საბოლოო გააზრებამდე დიდი შემოქმედებითი ვაა: — სუბიექტური და ობიექტური სამყაროს ზემოქმედება თავისებურ გავლენას ახდენს მწერლის ჩანაფიქრზე და ამ გავლენას ტექსტოლოგი ხედავს ტექსტის დადგენის დროს, სწავლობს მოქმედ ფაქტორებს და აშკარა ხდება სხვაობები ორ საპირისპირო ტექსტს შორის.

ტექსტის ისტორიის შესწავლას მიყვევართ რიგ კონკრეტულ მონაცემებამდე:

1. ერთი თემის ორ ან მეტ ტექსტზე ისეთი განსხვავება შეინიშნება, რომ ფაბულას მეტი საერთო არაფერი გააჩნიათ.

2. ერთი თემა გაშლილია არსებითად ორ სხვადასხვა პოეტურ სამოსელში.

3. ერთსა და იმავე თემას გააჩნია სხვადასხვა კომპოზიცია და ა. შ.

თემის სახეცვლილების მიზეზებად შეიძლება დასახელებულ იქნეს შემდეგი: †

1. თუ მწერალმა ჩაფიქრებული თემა დაამუშავა იმ განწყობილებით, როგორც ჩაფიქრების ეტაპზე ჰქონდა, ხოლო ხელმეორედ იგივე თემა რამდენიმე წლის შემდეგ დაამუშავა და თემის სხვაგვარი გაფორმება მოგვცა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ორ რედაქციასთან, რომელთა განმასხვავებელი ნიშანი არის მწერლის ი დ ე უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა, რაც აისახა ბოლო რედაქციაში.

2. არის მეორე, სხვაგვარი განსხვავებაც: მწერალს თემა დაუშუავებია იმ პოეტური ხერხებით, რომლებსაც ის პირველ ეტაპზე ფლობდა. მაგრამ შემდეგ კვლავ განუახლებია იმავე თემაზე მუშაობა მაღალი პოეტური ფორმით, სხვაგვარი ხერხებით, რისთვისაც გამოუყენებია მოვლენის ამხსნელად სხვა სახეები, დაუხვეწია ენობრივად, სტილისტურად. ამ ნიშნებით ერთმანეთშორის შეპირისპირებული ტექსტები ს ტ ი ლ ის ტ უ რ ა დ განსხვავებულ ი რ ე დ ა ქ ც ი ე ბ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ.

3. ზოგჯერ ერთი და იგივე სიუჟეტი გაშლილია სხვადასხვა მოცულობის ტექსტში: — ერთ შემთხვევაში შეინიშნება ეპიზოდების სიმცირე, იგი შეკვეცილად არის გადმოცემული, მეორე შემთხვევაში, — სიმრავლე, აქ საქმე გვაქვს ვ რ ც ე ლ ა ნ მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ე ბ თ ა ნ.)

როგორც ჩანს, არსებობს სხვადასხვა ტიპის რედაქციები. ტექსტოლოგმა თითოეული მათგანი უნდა შეისწავლოს, დაადგინოს, მათ შორის გამოყოს ძირითადი ტექსტი.

რედაქციის რაობაზე მკვლევარი ვ. ისტრინი წერს: «Задачей исследователя становится не только определение внешней стороны истории памятника, определение всех его переделок с приурочением каждой переделки к определенному времени, но и указание внутренней связи новой обработки с другими одновременными произведениями и указание особых причин ее появления. Это и есть то, что называется обыкновенно «редакцией памятника»¹.

აჩრის ისეთი რედაქციები, რომელთაგან ერთ-ერთი მოიცავს დამატებით თავებს ან ჩართულ ზედმეტ სტროფებს მეორისაგან განსხვავებით. ასეთი რედაქციები ძველ მწერლობაში შექმნილია გადაწერ-რედაქტორების ნებისმიერი ჩარევის გზით, რის შედეგადაც იქმნება ერთ თემაზე დაწერილი განსხვავებული ტექსტები, რომლებიც ერთმეორის რედაქციებად შეიძლება მივიჩნიოთ. მესხრე საუკუნის ძეგლის „ნინოს ცხოვრების“ შატბერდ-ქელიშური რედაქცია² თავისებურად გადაუშუშავებია XI საუკუნის სამოცდაათიანი წლების მოღვაწეს ლეონტი მროველს და მოუცია ახალი, შევსებული და გამართული რედაქცია³ რომელსაც მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვებია ჩვენში³. შემდეგ XII საუკუნის მწერალს არსენ ბერს, სხვა ლიტერატურული წყაროების მოშველიებით, ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“ გადაუმეტაფრასებია და მოუცია მისი ახალი, მესამე, რედაქცია⁴.

ძველ ლიტერატურაში გამოწვეული ცვლილებები გადაწერ-რედაქტორთა ტექსტზე მუშაობის შედეგია, მაგ⁵ ზოსიმე ორბელიანმა თავისი ძმის სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ გადაწერა საბას ლექსიკონი, რომელსაც 228 სიტყვა დაუმატა, რითაც საბას ქართული ლექსიკონი განაერთო და მოგვცა მისი ვრცელი რედაქცია⁵.

ღძველ ქართულ ლიტერატურაში მოგვეპოვება ერთი და იგივე თხზულების პროზაული და პოეტური რედაქციაც. მაგ. ბაგრატ ბატონიშვილის პროზაული პოლემიკური ხასიათის თხზულება „მოთხრობა

¹ В. М. Истрин, Очерки истории древнерусской литературы, 1922, стр. 59.

² Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распр странения грамотности среди грузинского населения», Том II, вып. 1—4, стр. 708—813.

³ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, ტომი I, გვ. 72—130.

⁴ სოლ. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I ნაწ., 1947, გვ. 216.

⁵ იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 88.

სჯულთა უღმთოთა ისმაიტელთაჲ“ დაწერილია მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, ეს ტექსტი გიორგი XI ბრძანებით გაულებქსავს რუსთველური შაირით იაკობ ღუმბაძეს „უსჯულოსა მუხამედის და ქრისტიანეთა გაბაანებას“ სათაურით. იაკობ ღუმბაძეს თხზულების უკანასკნელი თავი პატრიოტული პათოსით დაუწერია. მასში განქიქებულია მაჰმადი და გაიდვალებულია დასავლეთ საქართველო, კერძოდ შემოქმედის მონასტერი, რომელიც დაუპირისპირებია მაჰმადის დამცველთა დასამცირებლად, „მოსათხრელად“. ამგვარი პოლემიკის საჭიროება გამოწვეული იყო თურქეთის საზღვარზე გამწვავებული მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით.

პროზაული ტექსტის გალექსვა ჩვენ გვაქვს გ. ტაბიძის ნაწერებშიც. მისი პოეზიის შედევრი „საუბარი ლირიკის შესახებ“ აღმოცენებულია გალაკტიონის პროზაულ ნაშრომზე „ლირიკა“; აგრეთვე მისი „ბესო“-ს პროზაული რედაქცია საფუძვლად დაედო პოემა „ამირანს“.

გალაკტიონის პოემა „მწყემსის“ ორივე რედაქციის ტექსტი მოთავსებულია ერთ ავტოგრაფში. ქვედა ფენა არის პირველი რედაქცია, ხოლო ზედა — მეორე.

1945 წელს პოეტს უცდია „მწყემსის“ გადამუშავება, პირველ ავტოგრაფებზევე უწარმოებია ტექსტის გადაკეთება. ნასწორებ ნაწილში ავტორი ცვლის ლექსის მეტრს. პირველი რედაქციის ტაეპები 10 მარცვლიანი ზომით არის ნაწერი, მეორესი — ათი ხუთზე.

შეცვლილია შესავალი ნაწილიც, რომელიც წარმოადგენდა მიძღვნას მეგობარ პოეტისადმი⁷.

გ. ტაბიძე პოემა „აკაკი წერეთელზე“ დაბეჭდვის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას. 1940 წელს დაბეჭდილ ტექსტში პირველი თავი მთლიანად გადააკეთა მეტრის თვალსაზრისით. შეუცვალა პოემას ეპიკური სახე, ჩაურთო ახალი სტროფები, ასეთი გადამუშავება 1947 წელს შეწყვიტა, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოემის პირველი თავის რედაქციასთან.

კვლევა-ძიების შედეგად დადგენილი სხვადასხვა რედაქციებიდან რომელი უნდა დაიბეჭდოს? — ცხადია ყველა. «Максимальная полнота публикации черновых материалов, — წერს მ. შტოკმარი, —

⁶ პროზაული და გალექსილი რედაქცია დამუშავებულია გამოსაცემად ჩვენს მიერ. გამოკვლევა წაითხული იყო 1949 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე.

⁷ პირველი რედაქცია დაიბეჭდა 1911 წელს, გაზ. „თემი“, № 43, 45 და 47. მეორე რედაქცია იბეჭდება გ. ტაბიძის თხზულებათა VIII ტომში.

является в данном случае неоспоримой, важнейшей задачей научного издания и соображения экономии места и бумаги здесь менее всего должны приниматься в расчет»⁸.

გასარკვევია საკითხი: ტექსტის რედაქციები გამოცემების ძირითად ნაწილში დაიბეჭდოს, თუ შენიშვნებისა და ვარიანტების განყოფილებაში? ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია რედაქციების ტიპებზე. არის შემთხვევა, როდესაც თხზულების ორი რედაქცია თანაბარი უფლებების მქონეა. მაგ. გიორგი წერეთლის არქივში აღმოჩნდა უცნობი დრამატული თხზულება რომელიც წარმოადგენს პიესა „დარია“-ს მეორე რედაქციას. უკანასკნელში ზოგჯერ განსხვავებულია პერსონაჟთა სახელები, ზოგიერთი სცენა მოხსნილია ან შეცვლილი შემოკლებული სცენით, „დარიაში“ ფინალი ტრაგიკულია, მთავარი გმირი კვდება და გლოვის სცენით მთავრდება. მეორე რედაქციის ფინალი შეცვლილია სხვა სცენით, — მეტად ემოციური და მძიმე მონოლოგით, ფინალი ფორმით განსხვავებულია პირველი რედაქციისაგან. ეს რედაქციები ორი დასრულებული თხზულებაა ერთ თემაზე, მხოლოდ სხვადასხვა დროს, სხვაგვარ ასპექტში გადაწყვეტილი. ანდა ვ. მაიაკოვსკის პიესა „Мистерии-Буфф“, პირველად შეიქმნა 1918 წელს, ხოლო იგივე თემა მეორედ დაიწერა 1920 წელს: ვ. მაიაკოვსკის ორთავე რედაქცია ტოლფასოვნად მიაჩნდა და ამიტომ სწორად მოიქცა ავტორი, როდესაც ორივე ტექსტი ძირითად ნაწილში დაბეჭდა.

II

ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის ძირითადი ამოსავალია თხზულებათა ბიბლიოგრაფია. უკანასკნელის შედგენის შემდეგ იწყება კანონიკური ტექსტის შერჩევა და მისი გამოსაცემად მომზადება. სველაზე რთული ამოცანა ძირითადი ტექსტის დადგენის საკითხია, ამისათვის პირველ რიგში შეისწავლება ტექსტის ისტორია, ისთვისაც აუცილებელია:

✓ I — ძირითადი ტექსტის ანალიზი და მასში არსებული დამახინჯებების გამოვლენა.

✓ II — აუცილებელი შესწორებების შეტანა ძირითად ტექსტში.

✓ III — ტექსტის გამართვა თანამედროვე პუნქტუაციის წესის შესაბამისად.

⁸ Штокмар М. П., Другие редакции и варианты. «Основы текстологии», 1962, стр. 365.

ტექსტის წყაროების (ხელნაწერები, გამოცემები) შეპირისპირების დროს თავს იჩენს განსხვავებული წაკითხვები, ასეთ განსხვავებას ვარიანტები ეწოდება. მხედველობაში მისაღები არ არის შემთხვევითი სხვაობები (ლაფსუს კალამი, კორექტურა), რომლებიც არ არის დაკავშირებული მწერლის შემოქმედებასთან. ასეთი სხვაობა ვარიანტში არ აღინიშნება, უკანასკნელში აისახება ძირითად ტექსტთან შეპირისპირებით შემოქმედებითი ხასიათის ყოველგვარი სხვაობა. მათი წაკითხვისათვის მიღებული გვაქვს პირობითი ნიშნები: აკლია —, მეტია +, გადასმულია ~, ნაცვლად] და ა. შ. პირობითი ნიშნები ნებისმიერია. მას შეიძლება დავმატოს ან გამოაკლდე, ან მიღებულ ნიშანს სხვა ფუნქცია დაეკისროს.

თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას რედაქტორ გამომცემელს გ. ჯაკობიას 39 ხელნაწერი აქვს გამოყენებული. ყველა მათგანს დართული აქვს პირობითი ნიშანი, ამას გარდა თითოეული ხელნაწერი დახასიათებულია სრულად, მაგრამ 225 გვერდზე, სადაც შენიშვნებისა და ვარიანტების განყოფილება არის, იქ ნათელი სურათი არ ჩანს. მაგალითად, აღნიშნულია: „7, 1 აქა-იქ: რამეო“, აქ რედაქტორისაგან არაფრის ჩვენება არ არის მოცემული. „სარკე თქმულთას“ ძირითადი ტექსტის მე-17 სტროფის პირველ სტრიქონში გვაქვს „რაიმე“, ვარიანტშია „რამეო“, მაგრამ რომელი ხელნაწერი იძლევა ამ წაკითხვას, მითითებული არ არის.

1929 წელს გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა რედაქტორ-გამომცემლებს (პ. ინგოროყვა და ალ. აბაშელი) დიდი ტექსტოლოგიური მუშაობა ჩაუტარებიათ, მაგრამ ვარიანტების და რედაქციების საქმე აქაც ვერ არის მოწესრიგებული. შეპირისპირება ნაბეჭდ და ხელნაწერ ნუსხებთან, რომელშიც ვარიანტული სხვაობა უნდა გამოჩენილიყო, ნაჩვენები არ არის. ამ სახით გამოიცა ი. ჭავჭავაძის თხზულებანი ბოლო დროსაც.

[ვარიანტული სხვაობის სწორად ჩვენება ნათელ სურათს იძლევა მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაზე.] მისი სრულყოფილად ჩვენებისათვის უნდა გამოვიყენოთ ავტორიზებული ნუსხები, ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, მიმოწერა, გეგმა-მონახაზები და სხვ.

ავტორის გადახაზულის სანაცვლო ჩაწერილი ტექსტი ძირითად ტექსტში უნდა მოთავსდეს, ხოლო პირველი, გადახაზული აღინიშნება ვარიანტში. გადახაზული, მაგრამ აღუდგენელი, სანაცვლოს შეურჩეველი ნაწილი, თუ ის კონტექსტით აუცილებელია, გამომცემელმა უნდა აღადგინოს ძირითად ტექსტში. «Вычеркнутый текст публикуется на своем месте в произведении, — წერს მ. შტოკმარი, — но факт от-

каза автора от него должен быть отмечен в тексте условными знаками, квадратными скобками или иным путем»⁹.

ჩვენ არ ვიზიარებთ აქ გამოთქმულ მოსაზრებას: ძირითად ტექსტში შევიტანოთ რაღაც ტექნიკური ნიშნები.

ჩვენ მკითხველს ვაწვდით სუფთა ტექსტს, ხოლო მასზე მუშაობის ყოველგვარ შემთხვევას ვარიანტებში და შენიშვნებში აღვნიშნავთ.

მწერლის საარქივო მასალაში შეიძლება აღმოჩნდეს ტექსტის მთლიანი ან მისი გარკვეული მონაკვეთის ერთი ან რამდენიმე ვარიანტული ჩანაწერი, მაგ. გ. ტაბიძის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწაე“ და „ამირანს“ თითოეულს 30-ზე მეტი ვარიანტი გააჩნია.

არ არის გამორიცხული, რომ ვარიანტებს თავისი ვარიანტი აღმოაჩინდეს, ასეთ შემთხვევაში სქოლიოში ვუჩვენებთ ვარიანტის ვარიანტებსაც.

ზოგჯერ ვარიანტულ სტროფს მთლიანად ვბეჭდავთ, თუ მას ძირითად ტექსტთან შორეული შეხება მაინც აქვს.

⁹ Ш т о к м а р М. П., Устаповление авторов анонимных и псевдонимных произведений, „Основы текстологии“, 1962, стр. 327.

ილია ჭავჭავაძის ტექსტოლოგიური დაკვირვებანი

ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტოვებდა ერის კულტურული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა გამოცემაა. იგი თავის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ხაზგასმით მიუთითებს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია მწერალთა თხზულებების კრებულების სიმციროს. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ადგილას გაფანტული ნაწერები ძნელად მოსაძებნია და საქმეს ურთულებს მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ პირს, ამავე დროს იგი ხელს უშლის მკვლევარს თვალნათლივ წარმოიდგინოს და შეისწავლოს ის პრობლემები, რომლებიც დასმულია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. ამავე მიზეზით ხსნის ილია ჭავჭავაძე იმას, რომ მან ხსენებულ წერილში ვერ შესძლო ამომწურავი ანალიზი გაეკეთებინა 50—60-იანი და შემდგომი წლების მოღვაწეთა შემოქმედებისათვის და ეჩვენებინა მისი თანამედროვე მწერლების ღვაწლი და დამსახურება.

ილია აღნიშნავს, რომ ნაწარმოებთა კრებულების სიმციროს გამო იგი იძულებულია ამ მწერალთა შემოქმედება განიხილოს როგორც „დროთა მოწამემ“, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურის ცხოვრებისათვის თვალი უდევნებია იმდენად, რამდენადაც, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვალი უჭრიდა“. თხზულებათა გამოცემების უქონლობამ ხელი შეუშალა ილიას იმაშიც, რომ ციტატებით დაესაბუთებინა თავისი აზრი ამა თუ იმ მწერლის შესახებ. აქ იგი ხაზგასმით წერს: „სადა კრებული რომელისამე მწერლის ნებას მომცემს, ჩვენს თქმულს დავასაბუთებთ კიდევ“¹.

ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც კარგად ესმოდა მწერლის თხზულებათა კრებულების მნიშვნელობა, გულისყურით

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 225.

მოეკიდებოდა ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემის საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ილიას ტექსტოლოგიური მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდის მასალები იმ რაოდენობით არ არის მოღწეული, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მხრივ მის მუშაობაზე.

ქვემოთ, ჩვენს ხელთ არსებული მცირე მასალის გაანალიზებით, შევეცდებით გადმოვცეთ ილიას ტექსტოლოგიური დაკვირვებანი.

ილია ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის გამოცემაში. ბროკჰაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დაწერილ თავის ავტობიოგრაფიაში ილია წერს: „ვიღებდი მონაწილეობას ცნობილ ქართულ პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენელ კომისიაში, აგრეთვე შემდეგთა თხზულებათა რედაქტორობასა და გამოცემაში: „ლექსნი“ ალ. ჭავჭავაძისა; „ლექსნი“ ვ. ორბელიანისა, ამ ლექსებს დართული აქვს ჩემი წინასიტყვაობა; ძველებური ქართული მოთხრობა „ვისრამიანი“². გარდა ამისა, ცნობილია, რომ ილიამ თავისი დის ელისაბედ საგინაშვილის ოჯახში მიაკვლია და კირილე ლორთქიფანიძეს დასაბეჭდად გადასცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი პირადი წერილი. ამ წერილების გამოცემის შესახებ ილია კ. ლორთქიფანიძეს სწერდა:

„ძმაო კირილე! ვიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაპბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს“³. ცოტა უფრო გვიან ილია კვლავ შეახსენებს კირილეს: „ბარათაშვილის წიგნები, როგორც არის, ისე დააბეჭდინე“⁴. ამასვე იმეორებდა იგი გ. ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში არჩილ მეფის ლექსის შესახებ: „თუ რომელიმე სიტყვა ვერ გაარჩიოთ, წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ეგზემპლარიდამ შეასწორეთ. ეცადეთ შეუცდომლად დაიბეჭდოს“⁵.

როგორც ვხედავთ, ილია ცდილობდა ყოველი კლასიკური ნაწარმოები უშეცდომოდ და იმ სახით დაბეჭდილიყო, როგორადაც იგი გამოვიდა ავტორის ხელიდან.

ავტორის დედნის სიზუსტე, მისი მართლწერის თავისებურებათა აბსოლუტური დაცვა, ასეთი იყო ილიას ძირითადი ტექსტოლოგიური პრინციპი, რომელსაც იგი ყოველთვის იცავდა საგამომცემლო მუშაობის დროს.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957, გვ. 313.

³ იქვე, ტ. X, 1961, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 29.

⁵ იქვე, გვ. 118.

1880 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაადგინა, გამოეცათ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლები. მათ შორის. ბუნებრივია. პირველ ყოვლისა მიზნად იქნა დასახული ვეფხისტყაოსნის გამოცემა. 1880 წელსვე შეიქმნა ამ კომისიის საინციატივო ჯგუფი (რ. ერისთავი, ი. მეუნარგია, ი. გოგებაშვილი). ამავე წლის 15 ნოემბერს გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა მოწოდება და სამოქმედო პროგრამა, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს ვეფხისტყაოსანში, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტიბილად უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა. შევათანებთ ვეფხისტყაოსანი სხვადასხვა ვარიანტებთან. რაც აკლია შევამატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია — გამოვაკლოთ“.

ამრიგად, რედაქციას თავიდანვე მიზნად ჰქონდა განზრახული პოემის მეცნიერულად დამუშავებული ტექსტის გამოცემა, რაც მისი სხვადასხვა ვარიანტების საფუძვლიან შესწავლას გულისხმობდა.

ვარიანტების მნიშვნელობა კომისიის ყველა წევრისათვის იმდენად აშკარა იყო, რომ ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ, პოემის ტექსტს თან დართოდა ვარიანტული წაკითხვების სია ან სქოლიოში, ან ტექსტის ბოლოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ვარაუდობდნენ მის ცალკე წიგნად გამოცემასაც კი.

სამწუხაროდ, კომისიამ ვერ შესძლო ვარიანტების გამოქვეყნება. მაგრამ ტექსტი თავიდან ბოლომდე კრიტიკულად იქნა შესწავლილი და შეჭერებული 22 ხელნაწერთან და ყველა ნაბეჭდ წყაროსთან.

პოემის ტექსტის დამდგენ კომისიაში, რა თქმა უნდა, ილიაც შედიოდა. იგი დიდი ინტერესითა და მონდომებით ეკიდებოდა ვეფხისტყაოსნის გამოცემას და განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას იჩენდა ამ საქმეში. მაგალითად, როდესაც ერთ-ერთ სხდომაზე გრ. ორბელიანმა განაცხადა—უპირატესობა ვახტანგის გამოცემას უნდა მიეცეს, რადგან იგი მეფე იყო და ყველაზე საუკეთესო წყარო ექნებოდა ხელთ, ამაზე ილიას უპასუხნია: კითხვას შევეუდგეთ და ის დაგვანახებებს, თუ რომელ ხელნაწერს რა ფასი აქვსო. და, მართლაც, კომისია შეუდგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ხმამაღლა კითხვას. ამავე დროს კომისიის წევრები თვალს ადევნებდნენ პოემის სხვადასხვა ვარიანტებს და საათობით, ხოლო ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაშიც კი, მსჯელობდნენ და გამოსთქვამდნენ აზრს ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ სიტყვისა თუ სტროფის შესახებ.

პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „... კომისიამ სხვადასხვა ხელნაწერის ერთ-მანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტში იყო და აზრის მიმდევრობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო“. ხოლო უფრო ადრე გარკვეული მიზეზის გამო კომისია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რედაქცია „მხოლოდ ათანხმებს ერთმანეთთან ხელნაწერ ვარიანტებს და თავის მხრით არ ცერტასოს არასწორებს პოემას“⁶.

თავდაპირველად გაზ. „დროების“ ფურცლებზე იბეჭდებოდა კომისიის სხდომის ოქმები, რომელსაც თან ერთვოდა რედაქციის მიერ ძირითადი ტექსტისათვის შერჩეულ ფორმათა სია შესაბამისი ვარიანტული წაკითხვების ჩვენებით. მაგრამ ასე ფართოდ ოქმები მხოლოდ პირველ ხანებში ქვეყნდებოდა. სულ დაიბეჭდა 16 სხდომის ოქმი. ამათგან შედარებით ვრცლად პირველი სამი ოქმი, რომლებშიც, გარდა ზემოაღნიშნულ მასალისა, შეტანილია აგრეთვე კომისიის თითოეული წევრის მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. იმის გამო, რომ გაზეთში კომისიის სხდომის ოქმები დიდ ადგილს იკავებდა, კომისიამ შეწყვიტა ოქმების ბეჭდვა. ამან ბევრი რამ დაუკარგა თანამედროვე მეცნიერებას ჩვენი დიდი წინაპრების რუსთველოლოგიურ შეხედულებათა კვლევის სფეროში. ხსენებული მიზეზის გამო ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ წაკითხვას უჭერდა ილია მხარს ან როგორ ესმოდა მას პოემის ესა თუ ის ადგილი.

არსებული მასალების მიხედვით ირკვევა მხოლოდ, რომ 1881 წლის 13 თებერვლის სხდომაზე ილიას პირველს გამოუთქვეამს აზრი იმის შესახებ, რომ პოემის 33-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში სიტყვა „ასული“ („და ენა ბევრად ასული“) წარმოსდგებოდა სიტყვისაგან „ასი“. სხდომამ მხარი არ დაუჭირა ილიას ამ მოსაზრებას და გაიზიარა ივ. მაჩაბელის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აქ ასული ნიშნავს მალღათასულს, კარგად მოლაპარაკენას.

ჩვენ შევისწავლეთ ყველა ის წყარო. რომელიც შესაძლოა ხელთ ჰქონოდა ილიას ამ საკითხთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ იმ დროს არსებული მასალებიდან სიტყვა „ასულის“ განმარტებას 33-ე სტროფის მე-4 სტრიქონში იძლეოდა მხოლოდ ვახტანგის გამოცემა, სადაც კითხვულობთ: „ასული („და ენა ბევრად ასული“) მალ რომ ასულიყოს, ის არის“. როგორც აკად. აკ. შანიძე შენიშნავს, აქ შეცდომასთან უნდა გვეკონდეს საქმე და „მალ“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „მალა“,

⁶ გაზ. „დროება“, 1881, № 71, გვ. 3.

უ. ი. „ასული მალა რომ ასულიყოს ის არის“⁷. ამგვარად გამოდის, რომ ვახტანგი ამ სიტყვას ისე განმარტავს, როგორც გაიგეს ეს ივ. მაჩაბელმა და კომისიის დანარჩენმა წევრებმა, რომელთაც უარყვეს ილიას ზემოხსენებული თვალსაზრისი.

ორი ათეული წლის შემდეგ კარიჭაშიღიმა ამ სიტყვას ილიასებური განმარტება მისცა და, მიუხედავად იმისა, რომ „ასულის“ ასეთ გაგებას ზოგიერთები დაბეჯითებით უარყოფდნენ (ჯანაშვილი, სილ. ხუნდაძე), ეს თვალსაზრისი მაინც განმტკიცდა.

საგულისხმოა, რომ „ასულის“ ილიასებური გაგება დღეისათვის თითქმის აღიარებულია. მას რუსთველოლოგთა უმრავლესობა უჭერს მხარს (მარი, კარიჭაშვილი, შანიძე, იუბტ. აბულაძე, ნოზაძე და სხვ.).

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვეფხისტყაოსნის დამდგენი კომისია მუშაობას 1880 წელს შეუდგა, მაგრამ, რადგან მუშაობის ხასიათი მეტად სერიოზული და შრომატევადი იყო (კომისიას ბოლო ხანებში მუშაობა უხდებოდა 22 ხელნაწერზე), გამოცემის საქმე საგრძნობლად დაგვიანდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ პოემის ამ გამოცემის მხატვრული გაფორმება უფასოდ იკისრა რუსეთის სამეფო კარის მხატვარმა მიხაი ზიჩმა, რომელიც ამ დროს (1882 წ.) საქართველოში იყო ჩამოსული ლერმონტოვის ერთ-ერთი გამოცემისათვის ილუსტრაციების მოსამზადებლად. საჭირო გახდა ზიჩისათვის პოემის სრული ტექსტის თარგმნა ფრანგულად. ყოველივე ამან და გამოცემის გაფორმებასთან დაკავშირებულმა ტექნიკურმა ამბებმა (ფერადი სურათების ბეჭდვა, აშიებისა და ბლოსართების ამოჭრა პეტერბურგში ხდებოდა) პოემის ტექსტის გამოცემა ძლიერ დააგვიანა. ტექსტის საბოლოო რედაქციის გაკეთება და გაფორმების ხელმძღვანელობა დაევალა „ბეჭდვით კომიტეტს“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე. კომისიის წევრები კი იყვნენ: ი. მეუნარგია, ივ. მაჩაბელი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი და დ. ბაქრაძე.

პოემა 1888 წელს გამოვიდა. იგი ცნობილია ქართველიშვილის გამოცემის სახელწოდებით, რადგან ამ გამოცემის ხარჯები მთლიანად იკისრა ცნობილმა ქართველმა მეცენატმა და ქველმოქმედმა გიორგი ქართველიშვილმა (1827—1901 წწ.).

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე შემოქმედებით მუშაობასთან ერთად დიდ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვეფხისტყაოსნის ზემოხსენებული გამოცემის მომზადების პერიოდში მაშინ, როდესაც ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომები კვირაში ორ-

⁷ შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წ. (1937 წ. გამოცემა), გვ. 371.

ჯერაც კი იმართებოდა, ილიას სხვა ძეგლების გამოცემაზეც უმუშავნია.

1881 წელს მისი მონაწილეობით გამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების პირველი წიგნი. ამ გამოცემაში ილიას მონაწილეობას ადასტურებს როგორც ილიას ზემოხსენებული ავტობიოგრაფია, ანეკე პ. უმიკაშვილის ავტობიოგრაფია, სადაც ვკითხულობთ: „1881 წელს ი. ჭავჭავაძის, გიორგი თუმანიშვილის და ჩემი რედაქციით დაიბეჭდა ალ. ჭავჭავაძის ლექსები, პირველი წიგნი“⁶.

ილიას ეკუთვნის აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის ლექსების წინასიტყვაობა, რომელსაც წამძღვარებული აქვს მისივე ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ამ წინასიტყვაობაში ილია სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რედაქცია ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფების უქონლობის გამო იძულებული იყო დაყრდნობოდა დავით რექტორისა და პოეტის სხვა თანამედროვეთა ასლებს და ნაბეჭდ წყაროებს. იცოდა რა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის თხზულებათა გამოცემის დროს ავტოგრაფებს, ილია თხოვნით მიმართავდა მკითხველ საზოგადოებას, მოეწოდებინათ პოეტის ავტოგრაფები და სხვა მასალები, თუ კი ასეთი სადმე აღმოჩნდებოდა. სამწუხაროდ, ამ გამოცემაში ილიას მონაწილეობის შესახებ სხვა დაწერილებითი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ილია მისთვის ჩვეული სერიოზულობით მოჰკიდებდა ხელს ამ საპატიო საქმეს და ბევრ საინტერესო მოსაზრებასაც გამოსთქვამდა როგორც რედაქტორ-გამომცემელი.

1884 წელს წ. კ. გ. საზოგადოების ინიციატივით გამოვიდა „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა. ამ გამოცემაში ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა. „ვისრამიანის“ 1884 წლის გამოცემა თავისი დროისათვის მეტად სერიოზულ გამოცემად ითვლება. იგი მომზადებულია ხელნაწერების შეჯერებისა და შესწავლის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ მას საფუძვლად დაედო ყველაზე ძველი და სანდო ტექსტი (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი № 27).

„ვისრამიანის“ პირველი გამოცემის სქოლიოში წარმოდგენილია ვარიანტული სხვაობები, რომელთაც თუმცა თან არ ერთვის სათანადო წყაროების აღნიშვნა, მაგრამ მაინც საგულისხმო ცნობებს იძლევა არსებული წაკითხვების შესახებ. მას დართული აქვს აგრეთვე სიტყვათა განმარტება. სწორ ტექსტოლოგიურ პრინციპებს იცავს ეს გამოცემა მართლწერისა და ორთოგრაფიის საკითხშიც. ამის შესახებ ხსენებული გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ტექსტის ბეჭდვის მართლწერა რედაქციამ დაიცვა ძველის ხელნაწერის დედნისა, ზოგი იქნება შეცდომილებითურთ. იმ საფუძვლისა გამო, რომ ამ ძველ ნაწერ თხზუ-

⁶ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი.

ლებას რამდენადმე მიეცა მასალა სასაუბრო ენის გამოთქმის, მეტყველების და ხმათა ცვლის ისტორიისათვის მაგ. უ დაუტევეთ და არ შეეცვალეთ ვ-ინად და არც მეთვრამეტე საუკუნეში შემოღებულ ამ ორ ასოთა აღმნიშვნელ ჟ (ბრჭგულ)“.

თუმცა „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა დაზღვეული არ არის უეცდომებისაგან, რაც ძირითადად სპარსული დედნის უქონლობით იყო გამოწვეული, მაგრამ ტექსტის დადგენის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეთანხმებული იყო ილიასთან, სწორედ იქნა შერჩეული, ამიტომ არის, რომ დღეს მკვლევარები მას თავისი დროისათვის სანიშნურო გამოცემად მიიჩნევენ.

„ვისრამიანის“ 1884 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიას ილიასათვის მიუხდვია წინასიტყვაობის დაწერა. ჩვენამდის მოღწეულია ამ წინასიტყვაობის ფრაგმენტი, რომელიც პირველად აკად. ალ. ბარამიძემ გამოაქვეყნა 1939 წელს (ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული — ..ი. ჭავჭავაძე და „ვისრამიანი“, გვ. 223).

ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობის ხსენებულ ფრაგმენტს შემოუნახავს ილიას მოსაზრება „ვისრამიანის“ მეცნიერული კვლევის დარკში ერთ მეტად პრობლემატურ საკითხზე. მიუხედავად სპარსული დედნის უქონლობისა, ილიას „ვისრამიანისათვის“ დაწერილ თავის წინასიტყვაობაში გამოუთქვამს აზრი ამ ძეგლის წარმომავლობის შესახებ და დაუწერია: „მესამე აზრი, და უფრო საბუთიანი, ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება“⁹. მაგრამ რედაქციის ერთ-ერთ წევრს (როგორც აკად. ალ. ბარამიძე ვარაუდობს — ალ. სარაჯიშვილს) აქ სიტყვები „და უფრო საბუთიანი“ გადაუხზავს და ისე დაუბეჭდავთ „ვისრამიანის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, რის გამოც მიიჩქმალა ილიას მართებული თვალსაზრისი „ვისრამიანის“ თარგმანობის თაობაზე. ამის გამო აკად. ალ. ბარამიძე წერს: „ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძემ საუცხოვო მეცნიერული ალღო გამოიჩინა და პირუთენელი სიმართლე აღიარა „ვისრამიანის“ შესახებ. მან კალმის ერთი მოსმით გადაწყვიტა ის პრობლემა, რაც მრავალი მკვლევარისათვის შემდეგშიაც თავსამტკრევი გახადა. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ამჟამად მცდარი შეხედულება ილიასავე ავტორიტეტით იქნა განმტკიცებული. მხოლოდ ახლა, ილიას გარდაცვალების ოცდაათი წლისთავზე ხერხდება მისი მეცნიერული სახელის რეაბილიტაცია „ვისრამიანის“ საკითხში“¹⁰.

⁹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945. გვ. 381.

¹⁰ ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939. გვ. 226.

ამრიგად, მიუხედავად სათანადო მასალების უქონლობისა, „ვისრამიანის“ ტექსტის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ილია ჭავჭავაძემ შესძლო სწორი დასკვნის გაკეთება ისეთ რთულ და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც ამ ძეგლის სადაურობის საკითხია.

ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე „ვისრამიანის“ ტექსტისა და ლექსიკონის მომზადებაშიც. ამის შესახებ მის ერთ პირად წერილში ვკითხულობთ: „ვისრამიანს“ სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვურთავთ“. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ როგორი აზრი ჰქონდა ილიას „ვისრამიანის“ ტექსტის ამა თუ იმ ადგილის გაგებაში და იმ წმინდა ტექსტოლოგიურ საკითხებზე, რაც ყოველთვის დგება რედაქტორ-გამომცემლის წინაშე ლიტერატურული ნაწარმოების გამოსაცემად მომზადების დროს.

ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით მომზადდა აგრეთვე ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა 1894 წლის გამოცემა. ეს გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ დაზღვეული არ არის მთელი რიგი ნაკლოვანებებისაგან, თავისი ხასიათით სერიოზული გამოცემაა. მას, გარდა წინასიტყვაობისა და ვ. ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიისა, ერთვის ავტორის თხზულებათა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი და დაუბეჭდავ ლექსთა სია.

ჩვენამდის მოაღწია ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ვ. ორბელიანის ლექსების 1881 წლის გამოცემამ (ამჟამად იგი დაცულია საჯარო ბიბლიოთეკაში). ილიას ნაქონი ვ. ორბელიანის ლექსების ეს გამოცემა შეიცავს მთელ რიგ შესწორებებსა და მინიშნებებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ილიას ვ. ორბელიანის ლექსების 1894 წლის გამოცემის მომზადების პერიოდში გაუკეთებია.

ილიას ბიბლიოთეკაში დაცულ ორბელიანის ამ წიგნში ილიას გაუხზავს მის მიერ საექვოდ მიჩნეული ადგილები. აქ მას შეუასწორებია როგორც აშკარა შეცდომები, ასევე უყურადღებობით გაპარული ერთი და იგივე სიტყვის ორი სხვადასხვა დაწერილობით ხმარების შემთხვევები. ილიას ეს დაკვირვებითა და საკითხის ღრმად შესწავლის შემდეგ გაუკეთებია. მას შედარებისათვის გაუხზავს ყველა ანალოგიური შემთხვევა. მაგ. სიტყვა „მხოლოდ“ გახაზულია თითქმის ყველგან. და, როდესაც ილია დარწმუნებულია, რომ ვ. ორბელიანი ამ სიტყვას „დონით“ ხმარობს, ხოლო „თანით“ ხმარების შემთხვევა ლექსში „ჯვარი ვაზისა“ გამონაკლისია, 1894 წლის გამოცემაში ეს შემთხვევაც „დონიანი“ დაწერა ღობით შეუცვლია.

ილია ჭავჭავაძის ამოუშლია აგრეთვე „ჯვარი ვაზისას“ პირველ თავში ერთ ადგილას ხმოვანი, რომელიც აზრსაც ამახინჯებდა და ზედმეტ პარცვალსაც ჰქმნიდა სტრიქონში.

მორბის უშიშრათ, მორბის ღვთის ძალით.

მოეშურება, მოჰფრინავს, მოჰქრის.

ზეირთთ განრისხებულთ გულ-ამაყად სჭირის¹¹ (სქრის).

ეს შეცდომა ც გასწორებულია 1894 წლის გამოცემაში.

ილიას პირადი ბიბლიოთეკის შემოსხენებული ცალის შესწავლისას გამოიჩევა, რომ, გარდა ჩვენს მიერ მოტანილი შემთხვევებისა, ილიას გადაუხაზავს ის სიტყვებიც, რომლებიც მას პირადად არ მოსწონდა. მაგალითად სიტყვები—„აცხოველებს“ („მწარე მოთხრობა წარსულთა ღროთ არ აცხოველებს“)¹², „მაგრამ“, „ეგება“ და სხვა. მაგრამ ილია დარწმუნებულია რა, რომ ამ სიტყვების ხმარება ვ. ორბელიანისათვის ჩვეულებრივი იყო, ისინი უცვლელად დაუტოვებია 1894 წლის გამოცემაში.

ვახტანგ ორბელიანის ლექსების 1894 წლის გამოცემას ერთვის ილიას დაწერილი პოეტის ბიოგრაფია. იგი არ შეიცავს მხოლოდ ბიოგრაფიულ ცნობებს და იძლევა ვ. ორბელიანის შემოქმედების მოკლე, მაგრამ საფუძელიან ანალიზსაც.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემისადმი ილიას დიდ ინტერესზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი მონაწილეობით უნდა გამოსულიყო თეიმურაზისა და არჩილ მეფის თხზულებები.

„არჩილიანის“ გამოცემის გამო ქ. შ. წ. გ. საზოგადოებაში არსებული მიმოწერის შესახებ მოთხრობილი აქვს სოლ. ყუბანეიშვილს წერილში „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან“ (იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VIII, 1953, გვ. 415), როგორც ამ წერილიდან ირკვევა, 1887 წლის მარტში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას ი. გოგებაშვილისათვის დაუვალებია „არჩილიანის“ გამოცემის საკითხის შესწავლა. გოგებაშვილს იმავე წლის ორ აპრილს გამგეობისათვის უცნობებია, რომ მისი დაანგარიშებით „არჩილიანის“ გამოცემა 600—700 მანეთი დაჯდებოდა. 1887 წლის 7 აპრილს კი გამგეობას დაუვალებია ილია ჭავჭავაძისათვის—ეს ამბავი შეეტყობინებინა ილია ოქრომქედლიშვილისათვის, რომლის თანხითაც საზოგადოება აპირებდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემას.

„აწარმოვა თუ არა ილია ჭავჭავაძემ ი. ოქრომქედლიშვილთან „არჩილიანის“ გამოცემის შესახებ მოლაპარაკება, არ ჩანს“-ო, წერს შემოსხენებულ წერილში ს. ყუბანეიშვილი. მაგრამ ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ოქრომქედლიშვილისადმი მიწერილი ილია ჭავჭავაძის ერთი წერილი, რომელშიც ილია ჭავჭავაძე სწერს: „წერა-კითხვის საზო-

¹¹ ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსნი, 1881, გვ. 20.

¹² ი ქ ე ე. გვ. 15.

გაღობამ“ დამავალა გაცნობო, რომ იგი შეუდგა ძველის მწერლების ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნებს მომზადებას, ფული კი, როგორც მოგვხსენება, იოხტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო: შეეწევი თუ არა. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემოწევას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა შოზრდილი წიგნები გამოვა, ნამეტნავად უკანასკნელის თხზულებანი, შემდგარია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სიმართლის აღდგენა. კომისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენდა გელოდებიან, რას იტყვი“¹³.

იმის გამო, რომ დღემდე ეს წერილი 1881 წელს დაწერილად იყო მიჩნეული (ასეა იგი დათარიღებული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, იხ. ტ. X, გვ. 93), სოლ. ყუბანეიშვილი, ბუნებრივია, მას ვერ მიიჩნევდა იმ მიმოწერის გაგრძელებად, რომელიც წ. კ. გ. საზოგადოებას 1887 წელს უწარმოებია „არჩილიანის“ გამოცემასთან დაკავშირებით. ხსენებული წერილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი სწორედ 1887 წელს არის დაწერილი და არა 1881 წელს. ეს აშკარად ჩანს იმ ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით, რომელიც ილიას წერილში უხვად არის წარმოდგენილი. ილია წერს: 1) მე (იგულისხმება „ივერიის“ გამომცემლობა) წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი, და ასახელებს: „ძმური სიტყვა“, „ნაკვესები“, „ფშავეური ლექსები“ და „დამაკვირდი“—ყველა ეს წიგნი 1887 წელს გამოვიდა. 2) „ჩვენმა ბანკმა თეატრი გადააქეთა და მშვენიერი რამაც გამოდის“—ო—წერს ილია აქ.—ბანკის მიერ თეატრის გადაქეთება 1887 წელს დასრულდა, იხ. „ახალი ამბები“, „ივერია“ 1887 წ., № 169, 15/VIII და სათავადაზნაურო ბანკის 1888 წლ. 14/V-ის სხდომის ოქმი, რომელზედაც მოსმენილი იყო 1887 წ. ანგარიში. ამ ანგარიშში იხსენიება ის თანხა, რომელიც თეატრის გადაქეთებაზე დაიხარჯა („ივერია“, 1888, № 102 8/V). 3) „შენი წერილი ბროსეზე ხომ დავბეჭდეთ და ბევრიც გააწიშბატა, ასე როგორ გამოიმეტე კაცი, რომელსაც ასე თუ ისე, ბევრი თუ ცოტა, საქართველოსათვის უშრომიყო“—სწერს ილია ი. ოქრომჭედლიშვილს. ეჭვსგარეშეა, აქ ილია გულისხმობს ი. ოქრომჭედლის (ოქრომჭედლიშვილის) „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილს“—ქართული ანბანისა და ქართული ენის წარმოშობის საკითხებზე, რომელშიაც ი. ოქრომჭედლიშვილი სასტიკად აკრიტიკებს ბროსეს. ეს წერილიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1887 წ. (იხ. №№ 194, 197 და 200). 4) დასასრულს, ოქრომჭედლიშვილის ამავე სტატიის გამო ილია წერს: „მე მინდოდა ამის გამო ჩემს გაზეთში მეთაურის დაწერაო“—ო — რა თქმა

¹³ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. X, 1961, გვ. 94—95.

უნდა, „ჩემს გაზეთში“ ილია „ივერიას“ გულისხმობს, რომელიც გაზეთად 1886 წელს გადაკეთდა¹⁴ და წერილი რომ 1881 წელს ყოფილიყო დაწერილი, ილია ქურნალ „ივერიას“ გაზეთად არ მოიხსენიებდა.

ვფიქრობთ, მოტანილი საბუთები საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ილიას შემოხსენებული წერილი ი. ოქრომჭედლიშვილისადმი დაწერილია არა 1881 წელს, როგორც დღემდე იყო ცნობილი, არამედ 1887 წელს. და ამდენად წარმოადგენს „არჩილიანის“ გამოჩვენს მიერ შემომოტანილი მიმოწერის ბუნებრივ გაგრძელებას.

რაც შეეხება „არჩილიანის“ ტექსტზე ილიას მუშაობას, ამის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. როგორც ილიას პირადი წერილის შემოთ უკვე მოტანილი ნაწილიდან ვგებულობთ. ტექსტის აღმდგენ კომისიას დაუწყია „არჩილიანის“ ტექსტზე მუშაობა. ხოლო ეს ტექსტი რომ ილიასაც ჰქონია ხელთ, ჩანს გოგებაშვილისადმი გაგზავნილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილიდან, სადაც ნათქვამია: „...თქვენ მონდობილი გაქვთ განიხილოთ ქართული ხელნაწერი „არჩილიანი“, რომელიც ეხლა აქვს ილია გრიგოლის-ძე ჰავეჭავაძეს...“¹⁵

ექვს გარეშეა, ილიას დიდი სურვილი ექნებოდა თეიმურაზისა და არჩილის თხზულებების გამოცემისა, მაგრამ მან ვერ შესძლო ამ სურვილის განხორციელება, ისევე, როგორც ვერ განახორციელა ბევრი სხვა ძეგლის გამოცემა, რომელიც მას ალბათ მიზნად ჰქონდა.

ამრიგად, ილია ჰავეჭავაძეს ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემა მეტად საჭირო საქმედ მიაჩნდა, როგორც ერის კულტურული ცხოვრების გასაცნობად, ასევე თვით მწერლის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის შესასწავლად. ამიტომ იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საქმეს.

ილია ტექსტის გამოცემისას ყოველთვის უპირატესობას აძლევდა ავტოგრაფს, როგორც ყველაზე სანდო წყაროს, ამავე დროს, მხარს უჭერდა ავტოგრაფის სიზუსტითა და შეუმცდარად დაბეჭდვას, რათა მკითხველს ხელთ ჰქონოდა ავტორის მართლწერისა და ორთოგრაფიის უტყუარი სურათი, ორთოგრაფიისა, რომელსაც უნდა მოეცა მასალა მწერლის თანამედროვე „სასაუბრო ენის გამოთქმის და მეტყველების

¹⁴ თუმცა „ივერია“ თავდაპირველად ყოველკვირიული გაზეთის „სახით გამოდიოდა“, მაგრამ ეს იყო 1877—1878 წლებში.

¹⁵ ს.ო.ლ. ყუბანეიშვილი, ცნობები ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VIII, 1953, გვ. 417.

„მათა ცვლის ისტორიისათვის“. ავტოგრაფის უქონლობის შემთხვევაში კი ილია მოითხოვდა ყველა არსებული ასლის ყურადღებით შესწავლას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ყოფილიყო აღდგენილი სავარაუდო დედნისეული ფორმები. ამავე დროს, ილიას საპიროდ მიაჩნდა ვარიანტული სხვაობების არა მხოლოდ გათვალისწინება გამოცემის მომზადების დროს, არამედ მათი დაბეჭდვა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გაცნობაც.

აკად. კორნელი კეკელიძის პუბლიკაციები

ქართველი ერი უძველეს ერთა ჯგუფს ეკუთვნის. იგი აღრიღანვე დაკავშირებული იყო თითქმის ყველა კულტურულ ერთან, რომელთაც მდიდარი მწერლობა ჰქონდათ. ორიგინალურ თხზულებებთან ერთად ქართველები თარგმანებითაც ამდიდრებდნენ მშობლიური ლიტერატურის საუნჯეს.

მთელი რიგი თხზულებებისა, რომლებიც ჩვენში მთარგმნელობითი გზით შემოვიდა, თავიანთ სამშობლოში ან აღრევე მიეცნენ დავიწყებას. ანდა, სხვადასხვა მიზეზისა გამო, განადგურდნენ. თვალსაჩინო ნაწილი ასეთი ძეგლებისა მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. ამის გარდა ქართველ მწერლებს ძვირფასი ცნობები მოეპოვებათ ამა თუ იმ გამოჩენილი უცხოელი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რაც სხვა წყაროებით უცნობია.

ამრიგად, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას დღეს ორგვარი მნიშვნელობა ენიჭება — ქართველოლოგიური და ზოგად-მეცნიერული.

მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, აღრინდელი ფეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურას, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლო დრომდის არ მიუბჱრია მეცნიერთა ის ყურადღება, რისი ღირსიც ის იყო.

მე-19 საუკუნიდან ჩვენში ასე თუ ისე ფეხს იკიდებს ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საქმე. შეძლებისდაგვარად იწყება ძეგლების დამუშავება და პუბლიკაცია (პ. იოსელიანი, მ. საბანინი). უფრო ნაყოფიერი მუშაობა ამ მიმართულებით დაიწყო მე-20 საუკუნის დაწყებისში. ამ დროიდან ინტენსიურად წარმოებს ქართულ ხელნაწერთა კონცენტრაცია და კატალოგიზაცია. გამრაველდა გამოცემა ქართული ძეგლებისა (ალ. ხახანაშვილი, ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ.), მაგრამ ნამდვილი მეცნიე-

რულ-კრიტიკული პუბლიკაცია ქართული ძეგლებისა დაიწყო პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი). ამავე დროს ქართველ ფილოლოგოსთა რიცხვს შეემატა კიევის სასულიერო აკადემიის ანლად კურსდამთავრებული კორნელი სამსონის ძე კეკელიძე.

მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული კ. კეკელიძეს მოწაფეობის ხანაში დაენერგა. სემინარიაში, და განსაკუთრებით აკადემიაში, მან ღრმად შეისწავლა ძველი სლავური, ბერძნული და სხვა ერთა ლიტერატურა. კ. კეკელიძემ მწვავედ იგრძნო და ნათლად დაინახა, რომ ძველი ქართული ლიტერატურა მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ terra incognita-ს წარმოადგენდა. ის სტუდენტობის დროსვე მთელი თავისი ახალგაზრდული ენერჯიით შეუდგა ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას. ამ მიზნით კ. კეკელიძემ ხელი მიჰყო საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულ ხელნაწერთა შესწავლას¹, რის შედეგად 1904 წ. საკანდიდატო დისერტაციად წარადგინა ვრცელი ნაშრომი «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение», რომლისთვისაც ავტორს არა მარტო საძიებელი სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, არამედ ნაშრომი ფულადი პრემიითაც იქნა დაჯილდოებული.

ლიტერატურის ისტორიკოსისათვის კვლევა-ძიების საფუძველს წარმოადგენს კრიტიკულად დამუშავებული და გამოცემული ძეგლი. ეს გარემოება კ. კეკელიძემ თავიდანვე გაითვალისწინა. ამიტომაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მთელ მანძილზე ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტექსტების კრიტიკულად დამუშავებას, მის გამოკვლევას და გამოცემას. პეტერბურგის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები ტექსტებს ამუშავებდნენ და აქვეყნებდნენ უფრო ლინგვისტური მიზნებისათვის. კ. კეკელიძე კი ძეგლს უპირველეს ყოვლისა უყურებდა როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, თუმცა ენობრივ მხარესაც ჯეროვან ყურადღებას აქცევდა, რადგანაც მისი სიტყვით მეცნიერულად გამოცემული ძეგლი ისტორიულ-ლიტერატურული ხაზით უნდა იძლეოდეს „ძეგლის სწორ გაგებას და ინტერპრეტაციას, ხოლო ლინგვისტურით—ავტორის თუ მთარგმნელის ეპოქაში

¹ კ. კეკელიძე ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ხელნაწერთა კატალოგიზაციას, ურომლისოდაც შეუძლებელია ლიტერატურის ისტორიის დარგში სერიოზული მუშაობის წარმოება. მან პირველმა აღწერა გელათის მდიდარი ხელნაწერთა კოლექცია, სადაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის საყურადღებო ძეგლები აღმოაჩინა და ზოგი მათგანი მზის სინათლეზე გამოიტანა. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე ტომი ს. ჯანაშიას სახელწოდების საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობისა, საქართველოს ცენტრალური არქივისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერებისა.

გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტს². ამ თვალსაზრისით კ. კეკელიძემ დაამუშავა და გამოაქვეყნა არა ერთი და ორი ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, რამაც მას დიდი ფილოლოგოსის სახელი მოუხვეჭა.

კ. კეკელიძის კვლევა-ძიებითი მუშაობა თავიდანვე, უპირატესად, ისეთი თხზულებების აღმოჩენასა და გამოქვეყნებას ისახავდა მიზნად, რომელთა დედნები დაკარგული ანდა ქართულად სხვა რედაქციით შემონახული იყო. მართალია, ასეთი ძეგლების გამოცემას მანამდისაც ექცეოდა ყურადღება (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და სხვ.), მაგრამ მათი სისტემატური გამოძიება და გამოქვეყნება კ. კეკელიძემ წამოიწყო. ერთ-ერთი ასეთი თხზულება „საკითხავი დღესასწაულისათვის“ კ. კეკელიძემ შესავალი წერილით დაბეჭდა კიევში რუსულ ენაზე³ 1905 წ. «К вопросу о времени празднования рождества Христова в древней церкви», ურს. «Труды киевской духовной академии» (1905 г. № 1, стр. 1—10). ეს „საკითხავი“ ეხება ერთდროს მეტად მნიშვნელოვან სადავო საკითხს, სახელდობრ, შობის დღესასწაულის თარიღს, რომელსაც აღმოსავლეთ ქვეყნებში ექვს იანვარს აღნიშნავდნენ, ხოლო დასავლეთში 26 დეკემბერს. აღნიშნული ძეგლი, რომლის ავტორობა იუსტინიანე დიდს მიეწერება, მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ შობა 25 დეკემბერს უნდა ვიდღესასწაულოთ და არა ექვს იანვარსაო.

ამ ნაშრომმა მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. მ. ჯანაშილმა მას გამოსვლისთანავე გულთბილი რეცენზია უძღვნა გაზეთში «Кавказский край». აღნიშნულ რეცენზიაში მ. ჯანაშილი წერდა: «К. Кекелидзе хорошо известный нам исследователь богословской литературы Тифлисского церковного музея. В этом музее он открыл массу памятников, которые в общей литературе считались утерянными». შემდეგ, მოჰყავს რა მოკლე შინაარსი კ. კეკელიძის დასახელებული ნაშრომიდან, რეცენზიის ავტორი ასკვნის: «К. Кекелидзе еще молодой человек и общество может ожидать от него новых и новых открытий в области церковно-богословской литературы Грузии, Армении, и вообще, Востока».

კ. კეკელიძის დასახელებული ნაშრომით აღფრთოვანებული აკად. ნ. მარი 1905 წ. 23 მარტს ავტორს სწერდა: «Надо во что бы то ни стало не бросать Вам Ваших начатых занятиях» და, თავის მხრივ, აღუთქვამდა დახმარებას: «Если будет что для напечатания, мы здесь

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და მოსე ჯანაშილი, „მოსე ჯანაშილი“, 1956, გვ. 46.

³ ქართული ტექსტის გამოქვეყნება იმ დროს ვერ მოხერხდა კიევში ქართული შრიფტის უქონლობის გამო.

устроим». ეს დაპირება აკად. ნ. მარმა შეასრულა. ოქტომბრის რევოლუციამდე კ. კეკელიძის სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა სწორედ ნ. მარის მიერ დაარსებულ ორგანოებში იბეჭდებოდა.

„საკითხავის“ ქართული ტექსტი კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა 1946 წ. („კიმენი“, II ტ., გვ. 64—71). ტექსტს დართული აქვს შესავალი წერილი, სადაც გარკვეულია ამ ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, კერძოდ, მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

„საკითხავის“ ტექსტი ქართულად მეათე საუკუნის ორი ხელნაწერთაა ცნობილი (A—19,95). ამ ხელნაწერთა მიხედვით არის აღდგენილი ტექსტი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე გადამწერთა ხელში განუცდია ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური ცვლილებები. ტექსტი დაბეჭდილია მნიშვნელოვანი ვარიანტების ჩვენებით.

„საკითხავის“ შემდეგ კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა „ახალი საგლობელი აბო თბილელისა“ („მწყემსი“. 1905 წ., № 13—14, გვ. 3—6). რომლის ავტორად გამოცემემელს იოანე საბანისძე (VIII ს.) მიაჩნდა.

1908 წ. მიწურულში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა თავისი სამაგისტრო ნაშრომი «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение». ამ ნაშრომის დასაშვადებლად ავტორმა ბეჯითად შეისწავლა თბილისში არსებულ სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერები, რომელთაგან შეარჩია 62 ხელნაწერი⁴. კ. კეკელიძემ სათითაოდ აღწერა ისინი, ზოგი მათგანის ტექსტის მთლიანი თარგმანიც აქვს მოცემული. გარკვეულია ძეგლთა ისტორიულ-ლიტერატურული და სხვ. საკითხები. ამ ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო „არქიერატიკონის“ ტექსტმა. ეს ძეგლი თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად X საუკუნემდე. ჩვენამდე მას ორი ხელნაწერით მოუღწევია (A — 86, 81), რომელთა შორის ყველაზე ძველია A — 86, რომლიდანაც მომდინარეობს A — 81 ხელნაწერი. კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ამ ძეგლის აღწერა და მისი რუსული თარგმანი (გვ. 1 — 32).

ქართული „არქიერატიკონის“ ტექსტი მსოფლიო საეკლესიო ლიტერატურის უნიკუმს წარმოადგენს. ამიტომაც იყო, რომ ცნობილმა ინგლისელმა არმენისტმა დოქტორმა კ. კონიბერომ რამდენჯერმე პიმართა კ. კეკელიძეს თხოვნით, გამოეცა „არქიერატიკონის“ ქართული ტექსტი. კ. კეკელიძემ აღნიშნული ძეგლი დაამზადა გამოსაცემად და 1912 წ. კიდევაც დაბეჭდა.⁵ ტექსტს თან ერთვის გამოცემლის გა-

⁴ ამათში ერთი პაპირუს პერგამენტზეა დაწერილი, 30 — პერგამენტზე და 31 — ქაღალტზე.

⁵ Древне-грузинский архиратикон. грузинский текст. под редакцией К. С. Кекелидзе, 1912 г.

ნოკვლევა, სადაც განხილულია ამ ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, აღწესებულია ქარაგმიანი სიტყვები და მოცემულია მათი გახსნა, განზრახული იყო ტექსტი დაბეჭდილიყო ასომთავრული ხუცურით, მაგრამ სტამბაში ნიშნების უქონლობის გამო, დაიბეჭდა ნუსხახუცურით, ასომთავრულით კი — ის სიტყვები და წინადადებანი, რომლებიც ხელნაწერში სინგურით არის წარმოდგენილი. ძირითად ტექსტს სქოლიოებში დართული აქვს ვარიანტული წაკითხვები. თვალსაჩინო შესწორებანი ტექსტში რედაქტორის მიერ შეტანილი არ არის. გასწორებულია მხოლოდ დიალექტიზმები, ნეოლოგიზმები, ვულგარული და არქაული ფორმები⁶.

აკად. ნ. მარი აღნიშნული ძეგლის გამოცემის შესახებ თავის რეცენზიაში წერდა: «Новость в издании — филологический аппарат... Этим нововведением ученый издатель смело становится на сторону современного научного понимания древнегрузинского языка: им усвоено все, что новое лингвистическое направление. Старалось внести в филологическую трактовку текстов, им в свою очередь вносится ценный материал в это дело для дальнейшего его развития»⁷.

კ. კეკელიძის გამოცემული „არქიერატიკონი“ ითარგმნა და 1914 წ. დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე ო. უორდროპისა და კ. კონიბერის მიერ⁸.

1910 წელს კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ეფრემ მცირის ახლად აღმოჩენილი თხზულება, სვიმეონ ლოლოთეტის შესახებ. სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასტად წოდებულის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხს არაერთხელ შეხებიან მეცნიერებაში, მაგრამ ბევრი საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩებოდა სათანადო საბუთების უქონლობის გამო. მე-11 საუკუნის ჩვენს სახელოვან მწერალს და მეცნიერს ეფრემ მცირეს სპეციალური თხზულება დაუწერია სვიმეონ ლოლოთეტის შესახებ „მოსაჭენებელი მცირე სუმეონისთვის ლოლოთეტისა [და] თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“, რომელიც მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა კ. კეკელიძის პუბლიკაციით⁹.

ამ თხზულების აღმოჩენამდის მთელი წლის ჰაგიოგრაფიული ძეგლების გადამმეტაფრასტებლად სვიმეონ მეტაფრასტს სთვლიდნენ. ეფრემ მცირის აღნიშნული თხზულებიდან კი ირკვევა, რომ სვიმეონს

⁶ Древнегрузинский архиператикон, стр. XXI—XXV.

⁷ Христианский Восток, т. I, 1912, стр. 358.

⁸ The Georgian version of the liturgy of the James.

⁹ Симеон Метафраст по грузинским источникам, Труды киевской духовной академии, 1910, თებერვალი, გვ. 1—10; ქართულა ტექსტი კ. კეკელიძემ დაბეჭდა 1947 წ. იხ. უნივერსიტეტის შრომები, XXXV, გვ. 37—40, ქართული და რუსული ტექსტები დაბეჭდა 1957 წ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. V, გვ. 223—226.

გადაუმეტაფრასტებია მხოლოდ სექტემბერ-იანვრის თვეთა საკითხავი. ეს შრომა მას დაუწყია 982 წლიდან. ამის შემდეგ გაურკვეველი რჩებოდა, თუ ვინ იყო დანარჩენი თვეების საკითხავ ტექსტთა გადამმეტაფრასტებელი.

1912 წ. კ. კეკელიძეს ბედნიერი შემთხვევა მიეცა ამ საკითხის სწორად გადასაჭრელად. მან გელათის ხელნაწერთა კოლექციაში აღმოაჩინა ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში მანამდე უცნობი მწერლის იოანე ქსიფილინოსის ანდერძის თარგმანი, რომლიდანაც გაირკვა, რომ სვიმეონ ლოლოთეტის დაწყებული საქმე დაუმთავრებია იოანე ქსიფილინოსს, რომელსაც თავისი შრომა დაუწყია 1081 წლიდან, მაგრამ ყველაზე უფრო სასენსაციო შეიქნა ის, რომ ბერძნულ ენაზე დაკარგული ქსიფილინოსის თხზულებები ქართულ ენაზე თითქმის მთლიანად აღმოჩნდა.

იოანე ქსიფილინოსის ანდერძის ქართული ტექსტი, რუსული თარგმანით და შესავალი წერილით კ. კეკელიძემ პირველად გამოაქვეყნა 1912 წ.¹⁰, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. აკად. ვ. ლატიშევმა იოანე ქსიფილინოსის ანდერძს უწოდა «высшей степени интересный и важный документ... так что К. Кекелидзе имел полное право оказать, что изданный им документ «является своего рода откровением в истории средневековой византийской письменности».

ამის შემდეგ კ. კეკელიძემ ზედიზედ გამოაქვეყნა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიათვის უცნობი ძეგლები, როგორცაა იოანე ურპელის ცხოვრება (1914 წ.), იოანე დამასკელის ცხოვრება (1915 წ.), პეტრე ახლის ცხოვრება (1915 წ.) და ალათანგელე დამასკელის ცხოვრება (1916 წ.).

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სიმდიდრემ და მისმა უაღრესმა სამეცნიერო მნიშვნელობამ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამ დარგში ჩვენში არ წარმოებდა სისტემატური მუშაობა, აიძულა კ. კეკელიძე 1915 წ. სპეციალური მოხსენებით მიემართა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისათვის, რათა უკანასკნელს ეკისრა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გამოცემა. პირველ რიგში უნდა გამოცემულიყო ისეთი ძეგლები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში ან უცნობი იყო, ანდა ქართულთან შედარებით განსაკუთრებულ რედაქციას იძლეოდა. პირველ ტომში უნდა დაბეჭდილიყო მეთექვსმეტი მოღწეული კიმენური ტექსტები, მე-2—6 ტომებში—იოანე ქსიფილი-

¹⁰ Христианский Восток, т. I, вып. III, 1912-г., მეორედ დაიბეჭდა 1957 წ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., გვ. 235—241.

ნოსის თხზულებები, ხოლო უკანასკნელ ტომში—სვიმეონ მეტაფრას-
ტის ნაწერები.

გამოცემა უნდა ყოფილიყო კრიტიკული, ყველა ხელნაწერის ვა-
რიანტების ჩვენებით. ტომები გაანგარიშებული იყო დიდი ფორმატი-
სა, საშუალოდ 500 გვერდის რაოდენობით.

კ. კეკელიძის მოხსენებას თან ერთვოდა სია იმ თხზულებათა, რომ-
ლებიც უნდა დაბეჭდილიყო კიმენის I ტომში. ამ მოხსენებისა და აკად.
ნ. მარის დასკვნის საფუძველზე სამეცნიერო აკადემიამ იკისრა ქარ-
თული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სერიის გამოცემა, რომლის რედაქ-
ტორობა დაევალა კ. კეკელიძეს. «Когда речь зашла об исполнителе
предначертанной серии, — წერს აკად. ნ. მარი, — не могло быть
двух мнений и все остановились на том, что для этого предприя-
тия должен быть привлечен К. С. Кекелидзе. Кроме основатель-
ной научной подготовки, сотрудничество его делали неизбежным
и его последние работы, помещавшиеся в «Христианском Восто-
ке» и в «Bibliotheca Armeno-Georgica» по грузинской агиологиче-
ской литературе. В них сказывается уже опытный агиолог, прек-
расно знающий, с одной стороны, родную литературу и научные
запросы по житийным памятникам, с другой — усвоивший в со-
вершенстве всю теорию грузинского языка, необходимую для
ученого издателя древнегрузинских текстов»¹¹.

„კიმენის“ პირველი ტომი დაიბეჭდა 1918 წ. (გამოცემა რუსეთის
სამეცნიერო აკადემიისა), ხოლო მეორე ტომის პირველი ნაწილი 1946
წ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა). პირველ ტომში
დაბეჭდილია 22 ძეგლი, მეორეში კი 13. ასეთივე ხასიათის ხუთი
თხზულება ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვით კ. კეკელიძემ
გამოაქვეყნა 1955 წ. თავის „ეტიუდების“ III ტომში.

„კიმენის“ პირველი ტომის შესავალ წერილში გამომცემელი გვა-
ცნობს გამოცემის მიზანს და გეგმას, ქართული ჰაგიოგრაფიის მოკლე
ისტორიას, ტექსტების ანალიზს და სხვ. მეორე ტომში კი ასეთი ისტო-
რიულ-ლიტერატურული ნარკვევები წამძღვარებული აქვს თითოეულ
ძეგლს. ზოგი ტექსტი თითო ხელნაწერითაა დაბეჭდილი, რადგანაც მე-
ტი ცნობილი არ იყო ანდა გამომცემლისათვის ხელმიუწვდომელი აღ-
მოჩნდა: ზოგი კი ორი და მეტი ხელნაწერის მიხედვითაა დაბეჭდილი.
ასეთ შემთხვევაში თხზულების ძირითად ტექსტს სქოლიოში დართუ-
ლი აქვს ვარიანტული წაკითხვებიც.

¹¹ Протокол VII заседания Историко-филологического Отдела АН. 15. IV.
1915 г., стр. 61—62.

„კიშენის“ გამოცემამ დიდი ყურადღება მიიპყრო სამეცნიერო წრეებში. „მთელი წიგნის ტექსტი,— წერდა „კიშენის“ I ტომის შესახებ მ. ჯანაშვილი, — შეიცავს იმისთანა მასალას, ურომლისოდ ძნელია კაცმა იკოდეს ქართველი ერის ღვაწლი სამწერლო საქმეში, და უმთავრესად, გაითვალისწინოს სიდიდე და ღირსება იმ ეროვნული წვლილისა, რომელიც მას შეუქმნია და შეუნახავს საკაცობრიო საყურთხვევლზე მისატანად და მის დამამშვენებლად. აგეთი მწერლობა თვით ქართველი ერის სიამაყეა“¹². ცნობილმა ორიენტალისტმა პ. პეტერსმა „კიშენის“ პირველ ტომში დაბეჭდილი ზოგი ძველი თარგმნა და გამოაქვეყნა ლათინურ ენაზე.

1920 წ. კ. კეკელიძემ გამოსცა მიტროფანე სმირნელის უცნობი თხზულება „თარგმანებაჲ ეკლესიისტიისაჲ“.

მიტროფანე სმირნელი იყო მე-9 საუკ. ბიზანტიელი მწერალი, არისტოტელეს მოძღვრების მიმდევარი, ანტიფოტიანური პარტიის წარმომადგენელი. თხზულება თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად ნე-11—12 საუკ. იოანე ჭიჭქიმელია მიერ. დედანი თხზულებისა დაკარგულია და მხოლოდ ქართული თარგმანით გახდა ის ცნობილი ბიზანტიურ მწერლობაში.

ხელნაწერი შემონახულია ერთადერთი (A—61) ნუსხით. შესავალ წერილში კ. კეკელიძეს გარკვეული აქვს ტექსტის ზოგიერთი თავისებურება, მაგ. უე ხელნაწერში თითქმის ყოველთვის დაწერილია უჭ-თი. მაწარმოებელი ნაწილაკი მო ხშირად მუ-დ არის ქცული, კ და ზ აღრუულია. რედაქტორს ტექსტი სათანადოდ შეუსწორებია. დამატების სახით დაუბეჭდია „ეკლესიასტე სოლომონისა“, რომლის შესავალ ნაწილში მიმოხილულია ამ ტექსტის ქართულ ენაზე არსებული ოთხი რედაქცია (ოშკის, მცხეთის, მოსკოვის და პეტრიწონის).

მიტროფანე სმირნელის აღნიშნული თხზულება ბიბლიურ წიგნთა შორის ყველაზე უფრო ფილოსოფიურია. ხასიათი ამ თხზულებისა გვაფიქრებინებს, რომ მისი გაგება დედანშიც ძნელი იქნებოდა, ამიტომ ქართულად გადმოღება მრავალ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული. ამას თუ დაეუმატებთ იმ გარემოებას, რომ ჭიჭქიმელი მეტად ხელოვნურ პეტრიწონულ სტილზე აწარმოებდა ქართული ტექსტის გამართვას, თავისთავად ცხადი იქნება, თუ რა სიძნელეებთან ექნებოდა საქმე გამომცემელს, მაგრამ კ. კეკელიძეს, მისთვის ჩვეული დიდი ერუდიციით და მკაცრი ფილოლოგიური კვლევა-ძიებით, დაუძლევია სირთულეები, „მთარგმნელის ლექსიკის გასათვალისწინებლად და თხზულების კითხვისა და შეგნების გააადვილებლად“ კი

¹² გაზ. „საქართველო“. 1918 წ., № 234.

გამოცემისათვის დაურთავს ზოგიერთი სიტყვის განმარტება (გვ. LXXII—LXXV).

„ეკლესიასტის თარგმანებაჲს“ აღმოჩენითა და გამოცემით კ. კეკელიძემ ამოავსო ბიზანტიის მე-9 საუკ. „კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხარვეზი“.

აღორძინების ხანის ძეგლებიდან კ. კეკელიძეს გამოცემული აქვს „შვიდი მთიები“.

ნოდარ ციციშვილის „შვიდი მთიები“ წარმოდგენს მე-17 საუკ. სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიის მნიშვნელოვან ძეგლს. პოემა (შეიცავს 1843 სტროფს) მთლიანი სახით პირველად გამოსცა კ. კეკელიძემ 1930 წ.¹³, გამოცემას დაურთო ვრცელი გამოკვლევა და ლექსიკონი. პოემის ოთხი ხელნაწერია ცნობილი (H—932, A—4529, 664 და 860), მაგრამ ხელნაწერთა დეფექტურობის გამო, არც ერთ მათგანში პოემა მთლიანი სახით შემონახული არაა, ამიტომ გამომცემელს მთლიანი ტექსტის აღსადგენად გამოუყენებია ოთხივე ხელნაწერი. ვარიანტული განსხვავებანი აღნიშნულ ხელნაწერში უფრო ორთოგრაფიულ-გრამატიკული ხასიათისაა, ვიდრე რედაქციული, ისინი დართული აქვს ტექსტს ბოლოში. გამომცემელს არ შეუტანია უ ბრჯგუიანი სიტყვები, არც ასო ჯ და სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების ჰ, ს უმართებულო ხმარების მჟგალითები. ვარიანტებში ყოველთვის არაა აღნიშნული აგრეთვე ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ნუსხაში ასეც იწერება და ისეც, მაგ. კვლა—კვლავ და მისთანანი, არც ის ზმნებია შეტანილი, რომლებიც ხელნაწერებში წარმოდგენილია თავსართი მათი მოსა ნაცვლად, ხნაცვლად ხელნაწერებში სრული ი არის, მაგ. ვაი, ასეთ შემთხვევაში ი ამოღებულია როგორც ზედმეტი მარცვლის მომცემი. შემოკლებით არის ტექსტში ზოგი ქვესათაური, რაც ვარიანტებში აღნიშნული არაა. ძირითად ტექსტში შესწორებულია გრამატიკულად ზოგი არასწორი ფორმებიც. გამოცემას მხედველობაში ჰყავს მასიური მკითხველიც, ამიტომ ლექსიკონში ძველი, უცხო და დღეს იშვიათად ხმარებული სიტყვები წარმოდგენილია ისე, როგორც ტექსტშია მოცემული და არა ფუძეთა და საწყის ფორმათა მიხედვით.

ამ გამოცემით კ. კეკელიძემ მზის სინათლეზე გამოიტანა აღორძინების ხანის საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი და ის ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა.

1940 წ. კ. კეკელიძემ „ენიმკის“ მოამბეში (VII) დაბეჭდა „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ“. ეს მრავალმხრივ საყურადღებო თხზულება დაწერილი ყოფილა არაბულად, რომლი-

¹³ ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, 1930.

დანაც უთარგმნიათ ბერძნულად, უკანასკნელიდან კი ქართულად. არც არაბული და არც ბერძნული ტექსტი ცნობილი არაა, ერთადერთი ქართული ტექსტით შეიქმნა ეს ძეგლი ცნობილი მეცნიერებაში. ძეგლში აღწერილია აღმოსავლეთში VIII საუკუნეში არაბობის ბატონობის შევზნელი ხანა.

ეს თხზულება ქართულად უთარგმნიათ მე-10 საუკუნემდე. მთარგმნელის შესახებ ცნობები არ შენახულა. ტექსტი ექვსი ხელნაწერთაა მოღწეული, მათ შორის გამომცემელს ძირითადად აუღია მე-13 საუკ. ხელნაწერი A—682, რომლის ზოგი ფურცელი მას აღმოუჩინია A—749 სხვადასხვა ხელნაწერებიდან გადარჩენილ ფურცელთა დასტაში. მაგრამ ხელნაწერის მთლიანი აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა, ამიტომ გამომცემელს დასახელებული ხელნაწერის შესავსებად ჰოუშველიებია 1697 წ. გადაწერილი A—105 ნუსხა. საკუთარ სახელთა შესადარებლად და ზოგიერთი ადგილის აღსადგენად კი გამოუყენებია გელათის ნუსხაც. ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები მოცემულია სქოლიოებში. სხვა ხელნაწერები კი კეკელიძეს არ გამოუყენებია, რადგანაც ერთი მათგანი ხელმოუწვდომელი აღმოჩნდა, მეორე ძალზე დეფექტური და მესამე მოკლე ექსცერპტებს წარმოადგენს და არა „ცხოვრებას“.

მართალია, ძეგლი კ. კეკელიძის გამოკვლევით მე-10 საუკუნემდეა თარგმნილი, მაგრამ ხელნაწერებს ჩვენამდე მე-12—13 საუკ. ადრინდელს არ მოუღწევია. ასეთი მდგომარეობის გამო, კ. კეკელიძეს ტექსტის კლასიკური ნორმების მიხედვით არქაიზაციისათვის ხელი არ მიუყვია, რაც შეეხება იმ მცირერიცხოვან არქაულ გადმონაშთებს, რომლებიც ხელნაწერებშია დაცული, ისინიც ხელუხლებლად დაუტოვებია. გასწორებულია მხოლოდ არასწორი ფორმები ფონეტიკური და მორფოლოგიური, ზოგიერთი დამახასიათებელი დიალექტიზმი.

გამოცემას თან ერთვის ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი, სადაც გარკვეულია ძეგლის მეცნიერული მნიშვნელობა, ტიმოთე ანტიოქელის ეპოქა, თხზულების ორიგინალისა და ბერძნული თარგმანის საკითხი, სხვა წყაროთა ცნობები ტიმოთე ანტიოქელზე, თხზულების ქართული თარგმანისა და მისი ნუსხების შესახებ და სხვ. ტექსტს ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ჩვეულებრივ მკითხველისათვის ყოველთვის არაა გააგებები.

ამ გეგმით და მეთოდით არის გამართული აღნიშნული თხზულების ტექსტი, რომლის გამოცემით „ჩვენს თვალწინ იშლება მოღვაწეობა აქამდის ისტორიაში უცნობი ადამიანისა, რომელიც, როგორც თხზულებიდან ირკვევა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სირიის

როგორც საეკლესიო-სარწმუნოებრივს, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (კ. კეკელიძე).

თხზულება თავისი „მიზნობრივი ფაბულით, სიუჟეტის დრამატული დამუშავებით, მხატვრული სახეებით, მეტაფორებით, პარალელიზმებით, ბუნების მშვენიერი სურათების დახატვით და მსუბუქი თავისუფალი, პერიოდულად დამრგვალებული და დამთავრებული მხატვრული ენის“ გამო, დიდი ინტერესით იკითხება.

კ. კეკელიძეს ეკუთვნის ისეთი საყურადღებო ორიგინალური პაგიოგრაფიული ძეგლების გამოცემა, როგორიცაა იოანე საბანისძის და ბასილ ზარზმელის თხზულებები (დაიბეჭდა 1935 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურის“ სახელწოდებით) „მარტვილობა აბო ტფილელისა“ და „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“. ორივე თხზულება დაწერილია ჩვენში არაბთა ბატონობის ხანაში¹⁴.

ეს თხზულებები წინათაც იყო გამოცემული: „მარტვილობა აბო ტფილელისა“ პირველად გამოსცა მ. საბინინმა 1882 წ.¹⁵, მეორედ პ. კარბელაშვილმა 1899 წ., „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ კი ერთხელ იყო გამოცემული 1909 წ. მ. ჭანაშვილის მიერ¹⁶. არცერთი მათგანი მეცნიერული გამოცემა არ არის. ამავე დროს ორივე ძეგლის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ „სცილდება ქართული ისტორიის ვიწრო ფარგლებს“, კერძოდ, „მარტვილობა აბო ტფილელისა“, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მოსაზღვრე და მეზობელი ქვეყნების შესახებაც (აფხაზეთი, ხაზარეთი, არაბეთი).

კ. კეკელიძის მიერ ზემოაღნიშნულ გამოცემულ ძეგლებს წამდვარებული აქვს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევები. ბოლოში კი დართული აქვს ვარიანტები და ლექსიკონი. ორივე ნარკვევში გამომცემელს მოცემული აქვს თხზულებების შემცველი ხელნაწერთა დახასიათება.

კ. კეკელიძეს დიდი შრომა აქვს გაწეული როგორც „აბო ტფილელის მარტვილობის“ ტექსტის დადგენის საქმეში, ისე „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ გამართვაში. უკანასკნელი ერთადერთი მე-16 საუკუნე ხელნაწერით არის ცნობილი. ტექსტი ძალზე დამახინჯებულია. წარყვნილია ცალკეულ წაკითხვებში, დარღვეულია თხრობის წესი. ტექსტს

¹⁴ მართალია, ბასილ ზარზმელის ჩვენამდე მოღწეული თხზულება შესრულებულია არა უადრეს XI საუკუნისა, მაგრამ ეს არის მეტაფრასული რედაქცია, მისი კომენტარი რედაქციამ უფრო ადრეა (X საუკუნე. პირველ მეთხედამდე) დაწერილი.

¹⁵ მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 333—350.

¹⁶ მ. ჭანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. 1—46.

შიგადაშიგ აკლია არა მარტო სიტყვები, არამედ, საფიქრებელია, აბ-
ზაცები და მთელი გვერდებიც, რომელთა აღდგენა ჭერ-ჭერობით
შეუძლებელი ხდება.

ქ. კეკელიძეს მოცემული აქვს საყურადღებო ცდები „ზარზმელის
ცხოვრების“ საუკუნეთა განმავლობაში გადაწერის დროს და გაუგებ-
რობის ნიადაგზე შექმნილი დამახინჯებული ადგილების გასწორებისა.
ნარკვევში ავტორი ჩერდება მხოლოდ ისეთ გასწორებათა შესახებ,
რომელთა განმარტება საჭიროდ უცვნიან. აღვნიშნავთ რამდენიმეს. ხელ-
ნაწერში ვკითხულობთ: „და მთავარი იგი კლდესა მას ზედა განათი-
ეს“, ეს უაზრო ფრაზა მეცნიერ გამომცემელს გაუსწორებია ასე:
„და მთავართა მათ ღამე იგი კლდესა მას ზედა განათიეს“. სერაპიონ-
მა და მისიანებმა, ნათქვამია ტექსტში, არ მოინდომეს მონასტრის
აშენება „ადგილთა მას ზედანავათასა“, ქ. კეკელიძეს ყურადღება
მიუქცევია სიტყვა „ზედანავათასაზე“, რომელიც ტექსტში გაუგებ-
რობას იწვევს. მკვლევარი წერს: „ზედანავათასა“ წარმოადგენს რაღაც
გეოგრაფიული სახელწოდების დამახინჯებასო და სხვადასხვა დაკვირ-
ვებათა საფუძვლით აღნიშნულ ტექსტს შემდეგნაირად ასწორებს:
„ზედა ზანაისათა“. ასეთი კარგი შესწორებანი მოეპოვება გამომცე-
მელს ხელნაწერის შემდეგ წაკითხვებშიც: „მოიძიონ ადგილისა და ჰნე-
ნავს აღშენებად უკლესიაჲ“ გასწორებულია: „მოიძიონ ადგილი, სადა
ჰნებავს აღშენებად ეკლესიაჲ“ და სხვ. ნარკვევში ავტორს აღნიშნული
აქვს სულ შვიდი მსგავსი შესწორება, მათ შორის ე. წ. დიტოგრა-
ფიული შეცდომებიც (გვ. 138—143). უმნიშვნელო ანდა ზედნაწერის
აშკარა ლათესუსების გასწორება უფრო მეტია. ამას გარდა ქ. კეკელი-
ძემ პირველმა სცადა „ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტის თანმიმდევ-
რულად გამართვა, რომელიც ხელნაწერში დარღვეულია.

ამრიგად, ქ. კეკელიძეს ეკუთვნის ამ საყურადღებო თხზულების
პირველი კრიტიკული გამოცემა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ,
ერთადერთი წარყვნილი ხელნაწერით არის მოღწეული.

შემდეგში ქ. კეკელიძემ ორივე ძეგლი (აბოს მარტვილობა და სე-
რაპიონ ზარზმელის ცხოვრება) გადათარგმნა რუსულ ენაზე და ვრცე-
ლი გამოკვლევათა დართვით დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბათა აკადემიის გამომცემლობამ 1956 წელს¹⁷.

კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურულ სხვა ძეგლთა შორის
ჩვენამდე მოღწეულია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რო-
მელიც საყურადღებოა არ მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ვრცლად არის
მოცემული თამარ მეფისა და მისი მამის გიორგი III მეფობა, არა-

¹⁷ Памятники древнегрузинской агиографической литературы, грузинский
текст перевел, исследованием к примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, 1956 г.

მედ როგორც ლიტერატურული ძეგლიც. ის გარემოება, რომ თხზულება სავსეა „მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოგვირისტებული, მხატვრულ-პოეტური ენით, მეტაფორებით, ტროპებით და ფიგურებით“, პას უფლებას აძლევს მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ძეგლად იქნეს მიჩნეული. ამას გარდა, ამ ძეგლში დაცული ცნობებით შესაძლებელი ხდება რამდენადმე მაინც წარმოვიდგინოთ ხასიათი მე-11—13 საუკუნეთა ქართული კულტურის შესახებ. ეს ძეგლი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1222 წლის მახლობლად, ჩვენამდე მოღწეულია სამი ხელნაწერით, რომელთა შორის ყველაზე ძველი არის 1638—1646 წწ. გადაწერილი (მარიამ დედოფლის ქ. ც. ნუსხა). დროთა მსვლელობაში ეს ძეგლი გადამწერთა ნებითი თუ უნებლიეთი შეცდომებით ისე დამახინჯებულა, რომ მისი წაკითხვებით სარგებლობა კ. კეკელიძის თქმით „მხოლოდ პრინციპული წინასწარი მათდამი უნდობლობით შეიძლება“ (გვ. 122).

ეს თხზულება, თავისი ფორმით და შინაარსით, ფართოდ იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას და ცნობისმოყვარეობას. ცალკეული წარყვნილი ადგილების აღდგენის ცდებიც მოიპოვებოდა, მაგრამ მთლიანი თხზულების ტექსტის აღდგენა და კრიტიკული გამოცემა მორიგ ამოცანად იდგა. ამ ძალზე რთულ საქმეს ხელი მოკიდა კ. კეკელიძემ. 1925 წ. მან „ისტორიანი და აზმანიდან“ გაშიფრა ორი მეტად რთული და საყურადღებო ტერმინი: „აზმანი“ და „ვასილოღრაფი“. მანამდის ზოგ მკვლევარს „აზმანი“ არაბულ სიტყვად („აზმანუნ“) მიაჩნდა, რომელიც თითქოს ნიშნავდა დროს, ხანას (ი. ჯავახიშვილი). კ. კეკელიძემ სხვადასხვა არგუმენტით გაარკვია, რომ „აზმანი“ არის არა არაბული, არამედ ბერძნული ἀσμα, რაც გალობას, ქებას შესხმას ნიშნავს¹⁸.

„ისტორიანი და აზმანის“ შესავალ ნაწილში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ „ყველაფერი, რაც მიხილავს ან მსმენია მე გადავსცემ ისტორიასა და ვასილოღრაფს“. ვასილოღრაფში ზოგი მკვლევარი ვასილი ღრაფს გულიანობდა, რომელსაც მიაწერდნენ „სულ მცირე“ მოთხრობის ავტორობას (ნ. მარი, ე. თაყაიშვილი). კ. კეკელიძემ კი დაამტკიცა, რომ ვასილოღრაფი არის ექსცეპტი კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკიფორეს (806—815) შრომიდან, რომელსაც ეწოდება *Χρονογραφία: ἱστον συστασιν*, სადაც მოცემულია ქრონოლოგიური სია ქვეყნის გაჩენიდან მოყოლებული, ებრაელების და სპარსელების მე-

¹⁸ კ. კეკელიძე, რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925, გვ. 309—310; მისივე ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 74—77.

ფეებისა, პტოლომეებისა, აგრეთვე რომისა და ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისა თვით ავტორის, ნიკიფორეს გარდაცვალებამდე (829 წ.)¹⁹.

მეორედ „ისტორიანი და აზმანის“ საკითხს კ. კეკელიძე შეეხო 1938 წ. მაშინ ამ თხზულებას ვრცელი ნარკვევი უძღვნა: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან როგორც ლიტერატურული წყარო“²⁰. ამ ნაშრომში კ. კეკელიძემ გაარკვია საკითხები: შემადგენლობა თხზულებისა, დრო მისი დაწერისა, ავტორის საკითხი და მისი სწავლავანათლების ორმაგი ხასიათი, მისი კულტურული ფიზიონომია და ლიტერატურული წყაროები. ამ ნაშრომში კ. კეკელიძემ პირველმა მოგვცა ტექსტის ერთი მეტად საყურადღებო ექსცეპტის აღდგენის ცდა. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ცნობით, თამარის ქმარი ისეთი მიჯნური უნდა იყოს თამარისათვის, როგორც სხვადასხვა სამიჯნურო რომანების გმირები იყვნენ და ჩამოთვლის 12 სამიჯნურო წყვილების სახელებს, რომლებიც მას სატრფიალო რომანებში ამოუკითხავს. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ეს სამიჯნურო წყვილები ავტორს ამოუღია: როსტომიანიდან, ამირანდარეჯანიანიდან; ხოსროვ-შირინიანიდან, ბიბლიიდან. მითოლოგიიდან, ვისრამიანიდან, გამოჩენილი სპარსელი პოეტის ონსორის (გარდ. 1039 წ.) აწ დაკარგული სამიჯნურო პოემა „შადბეკრ და აინალპეიათი“-დან („ბედნიერი და წყარო სიცოცხლისა“) და სხვ. მაგრამ სახელები ამ მიჯნურებისა ძალზე დამახინჯებით არის ხელნაწერში წარმოდგენილი. ამ მდიდარი ლიტერატურული ფაქტების შემცველი ცნობების გაშიფვრა და გაგება მოგვცა კ. კეკელიძემ

ზემოთ აღნიშნული მუშაობის ჩატარების შემდეგ კ. კეკელიძემ ხელი მოკიდა „ისტორიანი და აზმანის“ კრიტიკული ტექსტის დამზადებას. ეს რთული სამუშაო მან დააგვირგვინა. 1941 წ. ახლად დაარსებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ცალკე წიგნად გამოსცა კ. კეკელიძის „ისტორიანი და აზმანის“ კრიტიკული ტექსტი, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის შესავალი წერილი, ლექსიკონი და საკუთარ სახელთა (პიროვნული და გეოგრაფიული) საძიებლები. შესავალ წერილში კ. კეკელიძემ გაარკვია ძეგლთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხები და პრობლემები. აქვე ეხება ტექსტის დადგენის საკითხსაც. ჩამოთვლილი და დასაბუთებულია მხოლოდ მსხვილი, მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი შესწორებანი.

ტექსტის დადგენისას რედაქტორს კოლოსალური შრომა აქვს გაწეული. მან შეძლებისდაგვარად აღადგინა ნამდვილი სახე ძეგლისა, რო-

¹⁹ იქვე, გვ. 310—312.

²⁰ რუსთაველის კრებული, გვ. 121—158.

მელშიაც მნიშვნელოვანი კონიექტურა შეიტანა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ გამოცემას კ. კეკელიძე ტექსტის მხოლოდ აღდგენის ცდაა უწოდებს. „ჩვენ ოდნავადაც არ ვფიქრობთ, — წერს ის, — რომ ჩვენს გამოცემაში „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი იმ სახითაა წარმოდგენილი, რა სახითაც ის მისი ავტორის ხელიდან გამოვიდა“. კ. კეკელიძე კვლავ განაგრძობდა „ისტორიანი და აზმანზე“ მუშაობას. ეს მეტად რთული ძეგლი მან რუსულ ენაზე თარგმნა («История и восхваление венценосцев»), რომელიც დაბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ 1954 წ.²¹.

ამის შემდეგაც კ. კეკელიძის კვლევა-ძიების ინტერესი „ისტორიანი და აზმანის“ მიმართ არ შენელებულა. 1957 წ. თავის „ეტიუდების“ IV ტომში მან გამოაქვეყნა აღნიშნული თხზულების ერთი ბუნდოვანი სიტყვის „ზამირთას“ განმარტება²². საკითხის შესწავლამ კ. კეკელიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ისტორია და აზმანის“ „ზამირთა“, რომლის დასაწყისი ფორმა იქნება „ზამირი“, აღდგენილი უნდა იქნეს როგორც „ზმურთა“, რაც „ზურმუხტს ნიშნავსო“ (გვ. 80).

1946 წ. კ. კეკელიძემ გამოსცა მარტვილი საბაწმიდელის (VI—VII სს.) თხზულება „სინანულისათვის და სიმდაბლისა“²³. ტექსტი დაბეჭდილია მე-18 საუკუნის ხელნაწერის (A—56) მიხედვით, სადაც აღდგენილია დამახინჯებული (მორფოლოგია, სინტაქსი, ზმნები) ადგილები და დართული აქვს ლექსიკონი.

დიდი მუშაობა ჩაატარა კ. კეკელიძემ მეათე საუკუნის ქართველი მწერლის იოანეს „კალენდარის“ ტექსტის გამოცემისათვის. ეს ძეგლი ხელნაწერში დამახინჯებული (ქარაგმული, მორფოლოგიური, დიტოგრაფიული, ონომასტიკური) სახით არის წარმოდგენილი. ეს რთული ტექსტი კ. კეკელიძემ გამართა და პირველად დაბეჭდა 1950 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XXXIX, მეორედ 1957 წ. თავის „ეტიუდების“ V ტომში. ტექსტს წამძღვარებული აქვს ნარკვევი, სადაც მოცემულია თხზულების ანალიზი, გარჩევა მისი რაობისა, მეცნიერული ღირებულებისა და ადგილისა სხვა ენაზე არსებულ ანალოგიურ ნაწარმოებთა. ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძეგლთან გვაქვს საქმე და სხვ.

გარდა მთლიანი თხზულებისა, განსვენებულ მეცნიერს გამოაქვეყნებული აქვს გარკვეულ თემატიკასთან დაკავშირებით 'საკმაოდ

²¹ История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, 1954 г.

²² კ. კეკელიძე, ერთი ადგილის გაგებისათვის თამარის პირველ ისტორიაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 78—80.

²³ «ლიტერატურული ძიებანი», III, 1946, გვ. 261—313.

ბოზრდილი ექსცეპტები ამა თუ იმ ძეგლიდან, როგორცა „გიორგი კაბადუციელის წამება“, „ცხოვრებაჲ ბაგრატ ტავრომენიელთ ქალაქისა“, „მეკარი ჰრომელის ცხოვრება“, „იერუსალიმის განჩინება“, „პირველთა და შემდგომითი შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი“, „ზოსიმეს მიმოსვლა“²⁴ და სხვ.²⁵

ამის გარდა კ. კეკელიძის კალამს ეუთვნის ამა თუ იმ ძეგლის გაუუგებარი ადგილის გამართვა და გააზრება. მაგალითად, გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პოემას „ხოსრო შირინიანს“ დართული აქვს *momento*, რომელიც გადამწერთა მიერ ძალზეა დამახინჯებული. იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, ტექსტი შემდეგნაირად იკითხება: „ჯესე ნიხომიმ მოინდომა, თავის სიცოცხლეში შაირობდა. დიდი ხანია მინდოდა, რომ იმისი წყალობით ლექსები იმას ვამგზავსე და ხოსროვი-შირინი დავარქვი. და, ქორონიკონი ექვსასრვის წლისა იყო, რაჯაბს თვეს დავიწყევი. ვინც ნახოთ, მითხრას, რომ ხოსრო და შირინის სიცოცხლე გათავდა. ღმერთმან აცხონოს“. ამ დამახინჯებული ტექსტის აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად.

აღნიშნული ტექსტის აღდგენა სცადა კ. კეკელიძემ. 1926 წ. მან ამ *momento*-ს ჟურ. „ჩვენი მეცნიერებას“ 17—18 №-ში (გვ. 21—23) სპეციალური წერილი უძღვნა. კ. კეკელიძის აზრით, *momento*-ს პირველ სიტყვას „ჯერეს“-ს არის „ქ. ესე“. მისი დაკვირვებით, დედანი ხელნაწერისა დაწერილი ყოფილა მხედრული ხელითა და გადამწერს ქ და ჯ ერთმანეთში აურევია. „ნიხომიმ“ არის დამახინჯებული „ნიზამიმ“ ხ და ზ არევის გამო მხედრულში. „მოინდომას“ მაგიერ დედანში, კონტექსტით, უნდა ყოფილიყო „მოიგონა“. „წყალობით“ — ასე გაუხსნია გადამწერს ქარაგმიანი სიტყვა. სადაც „წყობით“ ეწერა. „ლექსების“ შემდეგ აკლია სიტყვა „მეწერა“ და ასე ამრიგად აღადგინა კ. კეკელიძემ აღნიშნული *momento*, რომელსაც გარკვეული შინაარსი ჩააქსოვა.

²⁴ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945.

²⁵ ჩვენ აქ არ ვეხებით კ. კეკელიძის თანარედაქტორობით გამოცემულ ძეგლებს: სამშლელმთავრო კონდაკს (1908 წ.), ვისრამიანს (1938 წ.), შანაშაეს, II ტ. (1934 წ.), კალმასობას, ტ. I (1935 წ.), II (1948 წ.), ვეფხისტყაოსანს (1937, 1951, და 1957 წწ. გამოცემები). ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა (1945 წ.) და სხვ.

1945 წ. კ. კეკელიძემ ეტიუდების II ტ. დაბეჭდა პოემა სამარტანის (მე-19 საუკ. პირველი ნახევრის თხზულება) კრიტიკული განხილვა (გვ. 171—194), სადაც მოცემულია ამ პოემის ტექსტოლოგიური ანალიზიც.

ასეთივე გასწორებები აქვს შეტანილი კ. კეკელიძეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების, სიბრძნე ბალავარის, აბდულმესიანის, თამარიანისა და სხვ. თხზულებათა ცალკეულ წაკითხვებში. სადაც გაშუქებულია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი.

კ. კეკელიძეს მოცემული აქვს ძეგლებში დაცული ცალკეული ტერმინების გაშიფვრა და ინტერპრეტაციაც. მაგ. მე-11 საუკ. ისტორიკოსი ჯუანშერი თავის ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ ასახელებს წიგნს „პრიმის: ტროსმან: იჯინტონის“. კ. კეკელიძის დაკვირვებით ჯუანშერის თქმულებაში „მომხდარა კონტამინაცია ორი სხვადასხვა წყაროდან ამოღებულის სხვადასხვა ცნობისა ირაკლის სამხედრო მოქმედების შესახებ“. მანვე აღადგინა პირვანდელი სახე ჯუანშერის აღნიშნული წყაროსი, რომელიც ყოფილა წიგნი „პერმეს ტრისმეჯისტონისა“²⁶.

ძველ ქართულ თხზულებებში არა ერთხელ გვხვდება ტერმინი „კიმენი“, რომელიც თ. ჟორდანიას V—VI საუკ. ავტორად მიაჩნდა (ქრონიკები, I, გვ. 223). კ. კეკელიძემ კი დაამტკიცა, რომ „კიმენი“ არის ბერძნული *κίμηνον*, რაც ეფრემ მცირის ცნობით ნიშნავს „მდებარეს“, მაშასადამე, ასკენის კ. კეკელიძე, „კიმენად“ იწოდებოდა ძველი მარტვილობა-ცხოვრებათა ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტებელი ტექსტი, რომელიც „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი“ იყო „პატიოსანთა და ღირსთა კაცთაგან, სხუებრ სიტყუათათჳს არა მოღუაწე ქმნილთა“²⁷.

კ. კეკელიძეს ეკუთვნის ტერმინი „მეხურის“ ინტერპრეტაციაც, მკვლევარებს მანამდე ის ესმოდათ როგორც ეთნოგრაფიული, ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინი. კ. კეკელიძის გამოკვლევით კი, „მეხური“ ისეთი ჰიმნებია, რომლებიც გალობით უნდა იქნენ შესრულებული²⁸.

კ. კეკელიძეს შრავლად მოეპოვება სხვა ტერმინების ახსნა-განმარტება, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით.

კ. კეკელიძე ტექსტების მეცნიერული გამოცემის საქმეს ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, ვინაიდან მისი მართებული შენიშვნით „არასწორად წაკითხული და გაგებული ტექსტის საფუძველ-

²⁶ კ. კეკელიძე, რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი. ტერმინი ჩიენი საისტორიო მწერლობისა, ტფილისის უნივერსიტეტის შოაშვე, V, 1925 წ., გვ. 306—309; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957, გვ. 70—73.

²⁷ კიმენი, ტ. I, 1918, გვ. X.

²⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 573.

ზე ხშირად ყალბი და შეუწყნარებელი დასკვნები კეთდება და უნიადაგო თეორიები ითხზება ამა თუ იმ საკითხის შესახებ²⁰.

ფართო ერუდიცია, უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, დიდი მეცნიერული სიღრმე, სამაგალითო კრიტიკული აზრო და მეცნიერული კეთილსინდისიერება, აი ყოველივე ის, რაც ახასიათებდა კ. კეკელიძეს, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდ მკვლევარსა და ბრწყინვალე მეცნიერ-ტექსტოლოგს.

²⁰ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 7, 1942, გვ. 739.

ნიკოლოზ კილანავა

ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა გამოცემანი

ვახტანგ ორბელიანის თხზულებანი თავიდანვე ხელნაწერად ვრცელდებოდა მის ნათესავ-მეგობართა შორის. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ პოეტის ცნობილი ლექსი „ბულბული“, რომელიც ვახტანგის ძმას, ალ. ორბელიანს თავის საკუთარი ლექსების კრებულში გადაუწერია ჯერ კიდევ 1834 წელს¹.

1832 წლის საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური შეთქმულების მონაწილეს, ვახტანგ ორბელიანს, სასიკვდილო განაჩენი ძლივს შეუცვალეს გადასახლებით, იგი სასჯელის მოხდის შემდეგ სდუმდა: აღრინდელ ნაწერებს არ აქვეყნებდა და ახალსაც არაფერს ბეჭდავდა. ამიტომ ვახ. ორბელიანი, როგორც პოეტი, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის დიდხანს უცნობი დარჩა².

სტამბის დაზგა ვ. ორბელიანის შემოქმედებამ მხოლოდ 1857 წლიდან იხილა. განახლებული „ციცკარის“ პირველსავე ნომერში, 1857 წ. ივ. კერესელიძემ (1829—1892), რომელიც თითქმის ორბელიანების ოჯახში აღიზარდა³, ვახ. ორბელიანის ნაწერებიდან პირველად გამოაქვეყნა პოეტის ზემოთ დასახელებული ლირიკული ლექსი „ბულბული“⁴.

„ბულბულის“ გამოჩენას იმთავითვე მიუპყრია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. იმ დროის ცნობილ კრიტიკოსს, ნ. ბერძნიშვილს ვ. ორბელიანი, „ციცკარის“ პირველი ნომრის გამოსვლის გამო დაწე-

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, საქმე № 1640ა, ფ. 9; აღნიშნული ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, თბ., 1963, გვ. 114, ნ. კილანავა, ვახტანგ ორბელიანის „ბულბულის“ დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXV, სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 20.

² მ. გ. ოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954, გვ. 348.

³ ალ. კალანდიაძე, ივანე კერესელიძე, თბ., 1959, გვ. 9.

⁴ თ. ვ. ჯ. ორბ. „ბულბული“, „ციცკარია“, 1857, № 1, გვ. 2.

რილ წერილში სწორედ ამ ლექსის მიხედვით ჰყავს დასახელებული იმ პოეტთა შორის, რომლებიც, კრიტიკოსის თქმით, „სასურველია უფრო ხშირად ვხედავდეთ“ ჟურნალის ფურცლებზე⁵. ი. ჰავეკავაძეს ლექსი იმ ხანებშივე გაუხდია თავისი განსაკუთრებული კურაღების ღირსად.

ილიას განზრახული ჰქონდა „საქართველოს მოამბესათვის“ დაეწერა ვრცელი წერილი—„ციცქარი 1857 წლიდან—1862 წლამდინა“. ამ მიზნით ილიას შეუსწავლია ჟურნალი მთელი ხუთი წლის მანძილზე; ამოუწერია თხზულებანი, სათაურები და ციტატები, ცალ-ცალკე, როგორც პოეზიიდან, ასევე პროზიდან. ამონაწერებისათვის მას იქვე მოუცია მოკლე, დადებითი თუ უარყოფითი დახასიათებანი, და, აზნაირად, წინასწარ შეუდგენია წერილის კონსპექტი სათაურით „მასალები ციცქარის წარმოების გასარჩევად“. ი. ჰავეკავაძის აღნიშნულ კონსპექტში დასახელებულია ლექსი „ბულბული“ და მოცემულია მისი შეფასება⁶. მოგვყავს არქივიდან „ბულბულის“ შესახებ ილიასეული ჩანაწერის სრული ტექსტი: „ბულბული. მშვენიერი ა. იხილე № 1“⁷ (ხაზი ჩვენია ნ. კ.).

როგორც ვხედავთ, ილიას რომელიმე, მისთვის მოსაწონი ადგილი კი არ ამოუწერია ლექსიდან, როგორც ეს მას სხვა, რიგ შემთხვევაში აქვს მოცემული, არამედ კონსპექტში მთელი თხზულებაა გასარჩევად დასახელებული. ცხადია, ი. ჰავეკავაძეს რომ თავისი აღნიშნული წერილი დაესრულებინა, ორბელიანის „ბულბული“ მასში გარკვეულ ადგილს დაიჭერდა, როგორც დადებითი მოვლენა ჩვენს მაშინდელ

⁵ Н. Бердзенишвили, Несклько слов о грузинской литературе. «Кавказ», 1857, № 4.

⁶ ილიას ეს კონსპექტი დამთავრებულია, ხოლო წერილი—ციცქარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა კი დასრულებული არ არის; ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოაღწია მისმა ნაწილმა. ეს ნაწილი (ექვსი ნაწყვეტი) აღნიშნული სათაურით გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ ი. ჰავეკავაძის თხზულებათა კრებულში (ტ. II, თბ., 1953, გვ. 450). მკვლევარი იქვე სარედაქციო შენიშვნებში წერდა:

თუ რამდენად ფართო მოცულობის უნდა ყოფილიყო ეს წერილი (ციცქარი 1857 წლიდან—1862 წლამდინა—ამას, სხვათაშორის, გვიჩვენებს ილიას მიერ შედგენილი კონსპექტი (მასალები «ციცქარის» წარმოების გასარჩევად. ნ. კ.), რომელიც შენახულია ამ წერილის ესკიზებთან ერთად... კონსპექტში ამოწერილია სათაურები და ციტატები განსახილველი მასალებისა... სულ კონსპექტში აღნიშნულია 129 ნაწარმოებიო.—ასევე ნიდა იგი (აქვე, გვ. 507). პ. ინგოროყვას სქოლიოში სამაგალითოდ მოყვანილი აქვს ილიას ზოგი შეფასება ცალკე ნაწარმოებთა თუ ადგილების გარშემო. თუმცა ვ. ორბელიანის «ბულბულის» ილიასეული შეფასება მკვლევარს ტომში არა აქვს დაბეჭდილი.

⁷ აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჰავეკავაძის ფონდი, № 49, ფ. 18.

ლიტერატურულ ცხოვრებაში. მაგრამ წერილისათვის ჩვენამდე მოღწეული „კონსპექტური მასალების“ ეს მოკლე ჩანაწერიც აშკარას ხდის ილიას აზრსა და დამოკიდებულებას ლექსისადმი. ასე რომ, დაბეჭდვის დროიდან მოცემულ ილიასეულ შეფასებას ვ. ორბელიანის „ბუღბული“ დღემდე ინარჩუნებს⁸.

„ბუღბულის“ დაბეჭდვიდან ორი წლის შემდეგ 1859 წ., „ციცქარში“ ისევ ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა ვ. ორბელიანის აგრეთვე აღრინდელი, მანამდე უცნობი თხზულება — „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“⁹. იმავე პერიოდისათვის, კერძოდ, 1863 წ., კვლავ ივ. კერესელიძემ „ციცქარში“ მოათავსა პოეტის ფრიად საყურადღებო პუბლი-

⁸ შედომით მიაჩნია ალ. კალანდაძეს, თითქოს ილიას სიტყვები ბუღბული მშვენიერია...», რომელიც მკვლევარს დფისითა და შემოკლებული სახით აქვს ამოწერილი, ეხებოდეს ივ. კერესელიძის ამავე სახელწოდების ლექსს—ბუღბული» (იხ. ალ. კალანდაძე. ივანე კერესელიძე, თბ., 1952, გვ. 292).

როგორც ცნობილია, ჩვენს იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში ბუღბულის სათაურით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან არა ერთი ლექსია დაბეჭდილი, დასახელებულ ჟურნალში, რომელსაც ალ. კალანდაძე ემყარება, ი. ჭავჭავაძე არ აღნიშნავს, თუ ვისი, რომელი პოეტის ლექსზეა საუბარი, მაგრამ საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ ილია მსჭვლობს არა ივ. კერესელიძის ლექსზე, როგორც ეს ალ. კალანდაძეს მიაჩნია, არამედ ვ. ორბელიანის ბუღბულზე, რომელიც 1857 წელს დაიბეჭდა „ციცქარში“ (№ 1, გვ. 2).

ივ. კერესელიძის ლექსი ბუღბული 1858 წ. გამოქვეყნდა (ციცქარში, № 1, გვ. 2), ხოლო ვ. ორბელიანის ბუღბული, როგორც ვთქვით, — 1857 წელს (ციცქარში, № 1, გვ. 2). თავის ჟურნალში, იქ, სადაც ი. ჭავჭავაძე იძლევა ბუღბულის შეფასებას, ილიას იმავე გვერდზე ჯერ მოცემული აქვს ქვესათაური: „1857, ი ა ნ ე ა რ ი, ც ი ც ქ ა რ შ ი, პ ო ე ზ ი ა“, შემდეგ კი იქვე, ამ სათაურის ქვემოთ, ილიას უწერია: ბ უ ლ ბ უ ლ ი. მ შ ვ ე ნ ი ე რ ი — ხ ი ლ ე № 1» (ხაზი ყველგან ჩვენია ნ. კ.), (იხ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 49, ფ. 13).

უდავოა, ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს ვ. ორბელიანის ბუღბული, რადგან 1857 წლის „ციცქარის“ პირველ ნომერში მხოლოდ და მხოლოდ ვ. ორბელიანის ბუღბულია დაბეჭდილი ინიციალებით თ. ვ. ჯ. ორბ., რ ა ც ა ლ ნ ი შ ნ ა ე ს თ ა ვ ა დ ე ა ხ ტ ა ნ გ ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს).

ჩანს, ალ. კალანდაძეს ლექსები, ალბათ, უფრო მათი ერთნაირი სათაურების გამო, ერთმანეთში არევიდა, არ გაუთვალისწინებია დაბეჭდვის წლები, არ მიუტკცევია ყურადღება არც ხელმოწერისათვის და ვ. ორბელიანის ბუღბულის ილიასეული შეფასება ივ. კერესელიძის ლექსისათვის მიუკუთვნებია.

ამრიგად, ბუღბულის ილიასეული შეფასება — ბ უ ლ ბ უ ლ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ა ი ხ. № 1» (ხაზი ჩვენია. ნ. კ.), რომელიც შემოუნახავს ი. ჭავჭავაძის დასახელებულ ჟურნალში, ეხება ვ. ორბელიანის ცნობილ ლირიკულ ლექსს— ბუღბული და არა ივ. კერესელიძის ამავე სახელწოდების ლექსს.

⁹ ე., ახალ გამოჩენილს მშვენიერებას, „ციცქარში“, 1959, № 2, გვ. 100.

ციტური წერილი „პოლშელი პატრიოტი-ქალი ჰენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსულ გაზეთებიდან)“¹⁰. ხუთი წლის შემდეგ, 1868 წ., ისევ ივ. კერესელიძის „ცისკარში“ „იმედის“ ამ მანამდე უცნობი სახელწოდებით დაიბეჭდა ორბელიანის 122 ტაეპისაგან შემდგარი უცნობი ნაწილი და ადრე, 1859 წ. გამოქვეყნებულ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, რომელიც ახლა შესავლის სახით უძღვოდა წინ ნაწარმოების აღნიშნულ უცნობ ნაწილს.

თხზულების ამ გაერთიანებული, ივ. კერესელიძისეული რედაქციის მიხედვით გახდა პირველად ცნობილი, რომ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“ „იმედის“ შემადგენელი ნაწილი იყო და, მაშასადამე, „იმედიც“, რომელიც ახლა ხელმოუწერლად იბეჭდებოდა, ვ. ორბელიანს ეკუთვნოდა. ამის გამო ივ. კერესელიძეს, ჩანს, პოეტთან შეთანხმების შემდეგ, საჭიროდ დაუნახავს „ცისკარში“ „რედაქტორის“ ხელმოწერით „იმედის“ ტექსტისათვის სქოლიოში შემდეგი განმარტება მიეცა:

„ამ ჩინებული ლექსის¹¹ თავი-შესავალი, სახელდობრ „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“ დაბეჭდილ[ი] იყო ამ რამდენიმე წლის წი-

¹⁰ უ., პოლშელი პატრიოტი ქალი ჰენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან), „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 590.

ორივე თხზულება—ახალ გამოჩენილს მშვენიერებას და აღნიშნულ პუბლიცისტური წერილი ერთდამავე ხანებში, ერთიადიგივე უ. ფსევდონიმით დაიბეჭდა „ცისკარში“, იმ დროისათვის უ. ფსევდონიმით, რაც უთუოდ ყაფლანიშვილს უნდა ნიშნავდეს, მხოლოდ ვ. ორბელიანი წერდა, მაშასადამე, ცხადია, პუბლიცისტური წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი ჰენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან)“ ვ. ორბელიანს ეკუთვნის.

ჩენი აღნიშნული მოსაზრება დაგვიდასტურა და „ცისკარის“ საკუთარი დიბლიოგრაფიით გვასარგებლა პროფ. ს. ხუციშვილმა, რომელსაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ დიბლიოგრაფიის ხელნაწერში სარგებლობისა და აზრთა ურთიერთგზიარებისათვის.

¹¹ ლაპარაკია იმედზე. იმედო ივ. კერესელიძეს მაშინ მინც ლექსად უნდა მიეჩნია, რადგან, ჯერ ერთი, ბეჭდურად იმ ხანად ნაწარმოების მხოლოდ სხვადანსხვა დროს გამოქვეყნებული, თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწყვეტები არსებობდა, გარდა ამისა, იმედის სხვა, მანამდე უცნობი ნაწილებიც მხოლოდ 1879 წლიდან გამოვიხილდა, იმედისა შედგენილობის საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი და დადგენილი. ამიტომ ტრადიციის მიხედვითაც, იმედო ბერს აქამდე ლირიული ლექსი ეგონა, თუმცა მკვლევართა უმრავლესობას იგი ყოველთვის პოემად მიაჩნდა.

იმედო ისტორიულ-ლირული პოემაა, რომელაც ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული.

ნათ „ცისკარში“. რადგანაც ახლა შუა ალაგის ამ ლექსისა და ბოლო (თუმცა აქაც აკლია, რადგანაც ავტორს დაუდევრობით რაც) დაუწერია სიყმაწვილეში, აქა-იქ დაუფანტავს), ავტორმა შეკრიბა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ჩვენი თხოვნით მოგვცა და ნება დაგვრთვა დაბეჭდვისა, — ამისთვის საჭიროდ დავინახეთ დავბეჭდოთ ის შესავალიცა და ამასთანავე მოვახსენოთ მადლობა ავტორს, რომელიცა სიმშვიდით და თავმდაბლობით მალავს თავის გვარს¹² (ხაზი ჩვენია ნ. კ.).

ივ. კერესელიძის მიერ აქ მოტანილი ცნობები მომდინარეობენ უშუალოდ პოეტის გადმოცემიდან და, ამდენად ყველა. ამ ცნობას პირველი წყაროს მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საკითხისათვის კი მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითმ ენიჭებათ, რომ ახსნილია საკითხები „იმედის“ ცალკე ნაწილისა და შემდეგ პოემის გაერთიანებული რედაქციის ბეჭდვის გარშემო. აღნიშნული ცნობებიდან ჩვენთვის ახლა მთავარი მაინც ისაა, რომ 1868 წ. პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ ნაწარმოების გაერთიანებული რედაქცია სათაურით „იმედი“, რომელიც ვ. ორბელიანს ჯერ კიდევ „...სიყმაწვილეში დაუწერია“¹³.

აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ „იმედის“ ივ. კერესელიძისეული რედაქციის დაბეჭვდასთან დაკავშირებულ ორ საყურადღებო გარემოებაზე.

ჯერ ერთი, უნდა გაირკვეს, რა მოცულობით გამოქვეყნდა „იმედის“ ივ. კერესელიძისეული რედაქცია 1868 წ. „ცისკარში“ და მეორე, აქვე უნდა დადგინდეს, „იმედი“, რომელიც დღეისათვის თავებად (I, II, III და ა. შ.) არის დაყოფილი, ასევე თავებად დაყოფილი რატომ არ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1868 წ., როცა ნაწარმოები ერთიანი სახით პირველად გამოქვეყნდა. ეს საკითხები მით უფროა საინტერესო, რომ პოემის აღნიშნულ გამოცემას, რომელსაც ჩვენ, პირობით, „ცისკარის“ ივ. კერესელიძისეული რედაქცია ვუწოდოთ, შემდეგ, 1879 წ., მიემატა თხზულების მანამდე უცნობი ერთი დიდი ნაწილი. რაც შეეხება პოემის ცნობილ თავებად დაყოფას, შესაძლებელია ის ავტორს არც ეკუთვნოდეს.

დავიწყოთ უკანასკნელი საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, „იმედი“ დღეს თავებად არის დაყოფილი. ხოლო 1868 წ. „ცისკარში“ იგი დაუყოფლად არის დაბეჭდილი.

¹² «იმედი», «ცისკარი», 1868, № 2, გვ. 1.

¹³ იქვე.

არ გვაქვს საფუძველი არ დავუჯეროთ ივ. კერესელიძის გადმოცემას, რომ „იმედის“ ტექსტი 1868 წელს ვ. ორბელიანმა „შეკრიბა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ჩვენი თხოვნით მოგვცა და ნება დაგვრთვა დაბეჭდვისათვის“¹⁴. უნდა ვიფიქროთ, რომ პოემის 1868 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტის ცალკე გაერთიანებული რედაქციის ავტორად არც არსებულა, გარდა პოეტის იმ „სიყმაწვილეში დაწერილი, აქა-იქ დაფანტული“¹⁵ ნაწყვეტებისა, რომელთა შეგროვებაც პოეტისათვის მოსახერხებელი გამხდარა 1868 წ. ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ „იმედის“ ტექსტი ვ. ორბელიანს მაშინ თავებად არ ჰქონია დაყოფილი.

1868 წ. „იმედის“ ივ. კერესელიძისეული რედაქცია ვ. ორბელიანის მიერ თავებად რომ ყოფილიყო დაყოფილი, როგორც ეს ჩვენ დღეს გვაქვს, მაშინ ივ. კერესელიძე მას ასევე თავების მიხედვით დაბეჭდვდა (მაგრამ „ცისკარში“ 1868 წ. „იმედი“ თავებად I, II და ა. შ. არ არის დაბეჭდილი). ეტყობა, რედაქტორს ხელნაწერი თავებად დაყოფილი არ მიუღია.

შემდეგ „იმედის“ ეს ტექსტი იმავე 1868 წ. მარტში გამოქვეყნდა აგრეთვე გაზ. „დროებაში“. აქაც „იმედი“ თავების დაუყოფლად არის დაბეჭდილი. გარდა ამისა, „იმედის“ კორექტურა „დროებაში“ ვ. ორბელიანის მიერ არის გასწორებული. მაშასადამე, პოეტის ხელიდან რომ „იმედი“ 1868 წ. თავებად დაყოფილი გამოსულიყო, მაშინ კორექტურის გასწორების დროს ვ. ორბელიანი ამას ყურადღებას მიაქცევდა და გაასწორებდა.

დასადგენია, ვის ეკუთვნის პოემის თავებად დაყოფა, რამდენად შეესაბამებია ისინი შინაარსს, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ამჯერად საჭიროა გაირკვეს საკითხი, თუ რა მოცულობით დაიბეჭდა პოემა 1868 წ. „ცისკარში“.

ივ. კერესელიძე ზევით დამოწმებულ განმარტებაში გარკვევით წერდა „იმედის“ 1868 წ. „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტის შესახებ, რომ ტექსტს „აკლიაო“¹⁶.

როგორც ვიცით, „იმედის“ დღევანდელი III თავი შემდეგი სახით იწყება:

სული მიკენისს, გული ჩემი მწარედ ღონდება.
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება.

¹⁴ «იმედი» «ცისკარი», № 2, გვ. 1..

¹⁵ იქვე, გვ. 1 (სქოლიო)

¹⁶ იქვე.

რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა,
ის ვამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა.

ამ სტრიქონების შემდეგ პოემაში პირველად ჩნდება „...გმირთა
გმირი, კახი პატარა“... აქ ერეკლე მეფე იმთავითვე გვევლინება, რო-
გორც ქვეყნის ბურჯი, იმედი და თავდადებული დამცველი, რომელსაც
ბრძოლებისა და ღვაწლის მიზნად გაუხდია: „ურწმუნოთ მამულს
არ მივცემო, არა და არა!“ პოეტს რამდენიმე შტრიხით აქვს გადმოცე-
მული ქვეყნისათვის თავშეწირული მეფისა და სარდლის გმირული სა-
ხე, რომელიც, ვ. ორბელიანის თქმით, დღენიადაც „ებრძვის ქრისტეს
მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს თვალსა!“.

მაგრამ პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახლაც „მტერთა
დროშებით მოცულია ქალაქის კარი“. მაშასადამე, ერეკლეს ღვაწლზე,
პოეტის თქმით, „ამ დიდ ღვაწლზე“ განა შეიძლება ითქვას, რომ იგი
საკმარისია? ვ. ორბელიანის აზრით, პირიქით, ახლა დგას ერეკლეს
ბრძოლების ისტორიის ყველაზე ურთულესი მომენტი. პოეტს მხედვე-
ლობაში აქვს ერეკლეს გმირული ბრძოლა 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის
ურდოების წინააღმდეგ თბილისის მისადგომებთან.

როგორც პოემის მომდევნო, ჩვენამდე მოღწეული თავებიდან ჩანს,
„იმედის“ ძირითადი იდეა სწორედ კრწანისის ომით არის განპირო-
ბებული. ამიტომ, გააკეთა თუ არა პოეტმა მონახაზი ერეკლეს ბრძო-
ლებისა, მკითხველი წინასწარ ჩააყენა კურსში, „მტერთა დროშებით
მოცული ქალაქის კართან“ ქართველთა თავდადებული ბრძოლების
ისტორიისა და ერეკლეს თავგანწირვის მხატვრული გადმოცემის გა-
საგებად. მაგრამ სწორედ აქ აკლია პოემას თავისი დიდი ნაწილი. მკით-
ხველისათვის ეს დანაკლისი რომ ნათელი გახდეს, მოგვყავს მთელი
ტექსტი, რომელიც ალა-მაჰმად-ხანთან ომის საკითხებთან არის ამ თავ-
ში დაკავშირებული.

როგორ თუ კმარა? მაშ ირაკლი საყვარელ მამულს,
ქრისტეს მცნებთა განათლებულს ბუნებით შემკულს
მისცემს ურწმუნოთ სისხლ-დაურღვევლად?
წინ მტერი ედგას, არ გავიდეს ბრძოლისა ველად?
როგორ? იკისროს — რაც თვით დასცა—სპარსთა მონება
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლე, თავში გონება?
ან რაღად უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი,
თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ყვენის ელი“¹⁷

¹⁷ ღვალი სპარსულად ნოშნავს ყვენის მოადგილესო. — შენიშნავს ავტორი (იხ. ვახ-
ტანგ ორბელიანი, თბ., 1949, გვ. 181).

ესაა და ეს. კრწანისის ომის შესახებ თხრობის დასაწყისში, როგორც ვხედავთ, მხოლოდ კითხვებია დასმული, მათი პასუხი, ე. ი. თხრობის განვითარება, ქვევით, პოემის ამ თავის გაგრძელებაში უნდა ყოფილიყო მოცემული. ერთი სიტყვით, „იმედის“ მომდევნო სტრიქონებში ავტორს უნდა ეჩვენებინა მეფის მიღებული გადაწყვეტილება; გავიდა თუ არა იგი „ბრძოლის ველად“, თუ ერეკლემ საყვარელი მამული მისცა ურწმუნოთ უომრად „სისხლ-დაურღვევლად?“ მაგრამ ეს ასე არ არის. სრულიად მოულოდნელად კრწანისის ომის გარშემო თხრობის ეს დასაწყისი ნაწარმოებში აქ წყდება. მოყვანილ სტრიქონებს მოსდევს აზრის მიხედვით სრულიად განსხვავებული შეუსაბამო სტროფები. აი, ამ სხვა დაპირისპირებული აზრის შემცველი სტროფებიდან პირველი სტროფის შინაარსი ასეთია:

გმირო, სცან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმ ქაშს,
როცა ქართველნი დატირდნენ თელავში შენს გეშს...
გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.

ამისაგან კიდევ უფრო განსხვავებულ აზრს გადმოგვცემენ მომდევნო სტროფებიც. ასე რომ კრწანისის ომთან დაკავშირებულ საკითხებზე აქ ქვემოთაც არ არის ლაპარაკი. იგი, როგორც ვთქვით. აქ შეწყდა.

მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ პოემას ნამდვილად აკლია დიდი ნაწილი, სადაც მოცემული იქნებოდა კრწანისის ომის მხატვრული ასახვა. ჩვენი ამ დებულების საბუთია ის, რომ მანამდე უცნობი თავები „იმედს“ 1879 წ. დაემატა სწორედ აქ და ისინი კრწანისის ომზე ზევით გაწყვეტილ თხრობას აგრძელებენ, თუმცა ეს დამატებაც არ არის სრული.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, ივ. კერესელიძემ პირველმა შესძლო ერთიანი ბეჭდური სახე მიეცა ვ. ორბელიანის ამ მთავარი ნაწარმოებისათვის, „ცისკარში“ „იმედი“ 1868 წ. სრულად მაინც არ დაბეჭდილა; დაიბეჭდა მხოლოდ ნაწილი, 158 სტრიქონი.

1868 წლის მარტის რიცხვებში, გამოვიდა თუ არა „ცისკარის“ მეორე ნომერი, გაზ. „დროებაში“ „ცისკრიდან“ გადაბეჭდა „იმედის“ ტექსტი. გაზეთში „იმედის“ გამოქვეყნებას მაშინ ერთგვარი პოლემიკა მოჰყოლია.

წერილში „ცისკარის“ რედაქციისაგან: „რომელიც, ივ. კერესელიძის მიერ არის დაწერილი, ვკითხულობთ:

„ამ წლის თებერვლის მეორე ნომერში დავბეჭდევით ჩინებულა ლექსი „იმედი“, რომელიცა გადმოგვცა თვით ავტორმა დასაბეჭდავად

„ცისკარი“ ეს ლექსი „დროებას“ გადაუბეჭდავს თავის გაზეთში. მარტის პირველს მეცხრე ნომერში. ამ ლექსის გადმობეჭდვა დიდათ სასიამოვნოთ მივიღეთ, რადგანაც ბევრი ხელისმომწერი ჰყავს ამ გაზეთს და, მაშასადამე, ბევრიც წაიკითხავენ და ამგვარი შესანიშნავი ლექსი არ დარჩება უყურადღებოთ, მაგრამ რიგი, წესი იყო მოეხსენებოდა ამ პატივცემულს გაზეთის საილამაც იყო გადმობეჭდილი“¹⁸.

საპასუხო წერილში კი „დროების“ რედაქცია წერდა:

„სწორედ მოგახსენოთ, სრულებითაც საჭირო არ იყო ამის მოხსენება, ამიტომ, რომ „დროების“ რედაქცია თვითონ იცნობდა ღირსპატივცემულს იმ ლექსის ავტორსა, რომელმანაც მისცა ნება „დროებას“, რომ ეს ლექსი დაებეჭდა და კორექტურის დაჭერაც თვითონ ავტორმა ინებაო“¹⁹.

„დროების“ რედაქციას კი მიაჩნდა, რომ კორექტურული შეცდომები ასოთამწყობთა დაბალი კვალიფიკაციით აიხსნებოდა, ხოლო კერესელიძის ცდაში იგი, თავის მხრივ, თაობათა ბრძოლის ძველი ღვარძლის ახალ გამოვლენას ხედავდა.

ივ. კერესელიძის ამ პასუხში გამოძეგლავდა, რომ ავტორი „დროების“ რედაქციის საპასუხო წერილისა — „პატივცემული „ცისკარის“ რედაქციას“ იყო გაზეთის რედაქტორი გ. წერეთელი, რომელიც აქ, კამათის დროს, თავისი ძველი, ცნობილი სტატიის — „ცისკარს“ რა აკაკანებდას?!“ იღებებს ავითარებდა. ივ. კერესელიძე იძულებული გახდა გაჩუმებულიყო. კამათი მაინც „იმედის“ რაიმე რედაქციულ სახეობას არ შეეხებოდა. „დროებაში“ ადეკვატური სიზუსტით მიჰყვებოდა „იმედი“ პოემის „ცისკარის“ ივ. კერესელიძისეულ, უკანასკნელ რედაქციას.

ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში „იმედი“ ერთი და იგივე რედაქციით, ორჯერ დაიბეჭდა, ხოლო აღნიშნულმა წერილებმა კიდევ საყოველთაოდ გაახმაურეს ვ. ორბელიანის პოეტური სახელი.

მოულოდნელად გამოჩენილმა შესანიშნავმა პოეტურმა თხზულებებმა ვ. ორბელიანს იმთავითვე შეუქმნეს სასახლო რეპუტაცია. „იმედმა“, „ბულბულთან“ ერთად, თავიდანვე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაზე. პოემის „ცისკარსა“ და „დროებაში“ ერთდროულად დაბეჭდვასთან დაკავშირებულმა კამათმა უფრო ცნობილი გახადა ვ. ორბელიანის პოე-

¹⁸ «ცისკარი», 1868, № 3, გვ. 7—8.

¹⁹ პატივცემულ «ცისკარის» რედაქციას, «დროება», 1868, № 12.

ტური სახელი, რომელსაც კიდევ მეტი დიდების შარავანდდით მოსავე-
და მხცოვანი დ. ყიფიანი²⁰.

„იმედის“ წარმტაცმა სტრიქონებმა, მისმა ელვარე მხატვრულმა
სახეებმა და ნაწარმოების მებრძოლმა-პატრიოტულმა იდეებმა სალი-
ტერატურო სარბიელზე ახლად გამოჩენილი ავტორის შეიმოქმედებამ
მაშინ სწრაფად მოუპოვეს გზა ქართული პოეტური კულტურის სი-
მალღებებისაკენ. სწორედ ამიტომ თვლიდა ი. ჭავჭავაძე ორბელიანის
„იმედს“ „ერთ უწარჩინებულეს მარგალიტად ქართულ პოეზიაში“²¹
„ჩვენ ვიცით, — წერდა ია ეკალაძე „იმედის“ შესახებ, — რომ ამ ლექ-
სმა ბევრ თანამედროვე მწერალზე დიდი გავლენა მოახდინა, სწავთა
შორის, — აგრძელებდა იგი, — მე პირველად ამ ლექსმა ამაღებინა
ხელში ჩემი სუსტი კალამი“²².

1872 წ. გ. წერეთელმა „ქრებულში“ დაბეჭდა ვ. ორბელიანის ად-
რინდელი ლექსი „ძველი მაგრისი“, რომელიც 1866 წლით არის დათა-
რილებული²³. ლექსი, შიგ დაცული რეალიების საფუძველზე, გაცილე-
ბით ადრე ჩანს დაწერილი.

ვ. ორბელიანი 80-იანი წლებიდან უბრუნდება პოეტურ შემოქ-
მედებას. ჩანს, მასზე გავლენა იქონია იმ ხანებისთვის რუსეთის იმპე-
რიაში მძვინვარე უსასტიკესმა რეაქციამაც, რომელიც საქართველოს
მანც საბოლოოდ მოსასპობად ემუქრებოდა. პატრიოტმა პოეტმა ქვე-
ყნისათვის ამ ყველაზე მძაფრ მომენტში გადასწყვიტა მოძმეთა შორის
გაედღივებინა სამშობლოს უანგარო სიყვარული და ამიტომაც ახალი
ძალით აამღერა თავისი პოეტური ქნარი; შესძინა ჩვენს მაშინდელ
ლიტერატურას არა ერთი შესანიშნავი პატრიოტული ნაწარმოები და
იგი კვლავ მთელი თავისი შეგნებით შეუერთდა ლაშქრობას საყვარე-
ლი სამშობლოს გადასარჩენად, რომელსაც 80-იან წლებში დიდი ილია
და მისი თაობა აწარმოებდა.

ოფიციალური, დოკუმენტური მონაცემების მიხედვითაც მტკი-
ცდება, რომ გენერალ-მაიორი ვ. ორბელიანი ამ დროისათვის უკვე და-
ბეჯითებით ცდილობდა ჩამოშორებოდა მეფის არმიას, ხოლო 1881 წ.
ნოემბრიდან კი მან, ოჯახური მდგომარეობის მომიზეზებით, მოახერ-

²⁰ ბაქარ ქართლელა, ძველი მეგობრის პასუხი. «დროება», 1883, № 231.

²¹ ი. ჭავჭავაძე, III, თბ., 1953, გვ. 208.

²² ანთოლოგია, ტომი მესამე, თბ., 1930, გვ. 245.

²³ ვ. ო., ძველი მაგრისი, ქრებულა, 1872, № 10—12, გვ. 201. ალბათ მექანიკური
შეცდომაა: პ. უმიკაშვილს აღნიშნული აქვს, თითქოს ეს ლექსი 1873 წლის კრებულის
10—12 ნომერში იყოს დაბეჭდილი (ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894,
გვ. 165).

და სამუდამოდ ჩამოსცილებოდა სამხედრო სამსახურს მეფის არ-
ნიაში²⁴.

1880 წ. ი. ჭავჭავაძემ ჟურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვ. ორბე-
ლიანის სამი ლექსი: „სიზმრები“²⁵, «***» (როგორც განაზღვრეს...²⁶),
„არის აღვილი“²⁷ და ერთი რომანტიკული პოემა — „ჭვარი ვაზისა“²⁸.

პოეტმა მომდევნო წლებში კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძო
შემოქმედებითი მუშაობა; 1881 წელს გამოაქვეყნა ოთხი ლირიკული
ლექსი და ერთი პოემა — „განკითხვა“²⁹, 1882 წ. ვ. ორბელიანმა და-
ბეჭდა ექვსი ლექსი და ორი რომანტიკული პოემა „ობოლი“³⁰ და „დე-
ლოფალი“³¹; 1883 წ. იბეჭდება პოეტის შვიდი ლირიკული ლექსი³²;
1884 წ. — ხუთი ლექსი. 1885 წ., სხვადასხვა ორგანოში გამოქვეყნე-
ბული სამი ლირიკული ლექსის გარდა, ვ. ორბელიანმა „ნობათში“
(№ 2) გამოაქვეყნა ჟუკოვსკის საბავშვო ზღაპრის — „თითისტოლა
ზავშვის“ თარგმანი და „დროებაში“ კი ერთი პუბლიცისტური წერილი
— „კონსტანტინე მამაცაშვილი“³³, 1886 წ. ი. ჭავჭავაძემ „ივერიაში“
დაბეჭდა ვ. ორბელიანის „ლოცვა“ და „ძეგლი“, ხოლო იმავე წლის
„თეატრში“ გამოქვეყნდა პოეტის „ორი სურათი“; „თეატრშივე“ 1887
წ. ქვეყნდება ვ. ორბელიანის „ვის გინახავთ“; იმავე წელს ი. ჭავჭავაძე
„ივერიაში“ აქვეყნებს „პოეტის ლექსს „თავად იასე ადამის ძის ანდრო-
ნიკაშვილის იუბილეს გამო“ („ივერია“, 1887, № 106).

1886 წლიდან მაინც ვ. ორბელიანი შედარებით უფრო ნაკლებად
ჩანს შემდეგდროინდელ პრესაში, რაც პოეტის ხანგრძლივი ავადმყო-
ფობით უნდა აიხსნას. 1888 წ. ის აქვეყნებს, შემდეგში საყოველთაოდ
ცნობილ, ერთადერთ ლექსს — „იანვრის 14-ს“. ლექსი დაიბეჭდა ჯერ
„ივერიაში“³⁴, ხოლო შემდეგ „მწყემსში“³⁵. 1889 წ. პოეტს არაფე-
რი გამოუქვეყნებია. 1890 წ. მისი მხოლოდ „ვასიკოს თავგადასაყალია“

²⁴ ბრძანება, ვ. ორბელიანის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, კ. კე-
კელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, საქმე 154906—გ. ფ. 9.

²⁵ ჟურნ. „ივერია“, 1880, № 1, გვ. 190.

²⁶ იქვე, № 9, გვ. 193.

²⁷ იქვე, № 4, გვ. 51.

²⁸ იქვე, № 3, გვ. 289.

²⁹ იქვე, 1881 № 11, გვ. 3.

³⁰ იქვე, 1882, № 1, გვ. 99.

³¹ „ივერია“ 1888, № 2, გვ. 72.

³² მათ შორის «ხმა სამშობლო ქვეყნისა», რომელსაც „დროებაში“ (№ 1, 1883)
დღემდე ცნობილ ტექსტს ემატება 13 უცნობი სტრეფონი.

³³ „დროება“, 1885, № 27.

³⁴ „ივერია“, 1888, № 9.

³⁵ „მწყემსი“ 1888, № 3, გვ. 9.

დაბეჭდილი „ჭეჯილის“ თებერვლის ნომერში³⁶. აღნიშნული წლის სექტემბერში კი ვ. ორბელიანა გარდაიცვალა³⁷.

ამრიგად, პერიოდულ პრესაში, ვ. ორბელიანის სიცოცხლეში დაიბეჭდა პოეტის ორმოცდათვრამეტი თხზულებიდან 39 ლექსი, 6 რომანტიკული პოემა და 2 პუბლიცისტური წერილი.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ პერიოდულ თუ ცალკეულ გამოცემებში არა ერთხელ გამოქვეყნდა მისი „ობოლი“³⁸, „არის ადგილი“³⁹ და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვ. ორბელიანის სიცოცხლეში დღის წესრიგში დადგა პოეტის თხზულებათა ცალკე გამოცემის საკითხი. „დროებაში“ 1880 წ. 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა ცნობა, ვ. ორბელიანის ლექსების გამოცემის განზრახვის შესახებ⁴⁰; 1881 წ. პოეტის თხზულებანი კიდევაც გამოვიდა.

არაერთმა გარემოებამ გააპირობა, რომ ნაწერები თითქოს ამ „რეაქციული რომანტიკოსი პოეტისა“, როგორც დღესაც უწოდებენ მას ზოგჯერ, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე მხოლოდ ხუთჯერ ყოფილიყო გამოცემული. ვ. ორბელიანის თხზულებათა უკანასკნელ გამოცემას ჩვიდმეტი წელი გვაშორებს. თუმცა ლიტერატურული საზოგადოებრიობა, კარგა ხანია ვ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემის საჭიროებას გრძნობს⁴¹.

აქივ ვიძლევიტ ცნობას პოეტის თხზულებათა ცალკე გამოცემების შესახებ.

1879 წ. ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ნაწარმოებები⁴². წიგნი ძირითადად ალ. ორბელიანის თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და მასში ვ. ორბელიანის მხოლოდ ოთხი ნაწარმოებია შეტანილი. ესენია: „იმელი“, „მიბაძეა პუშკინისა“.

³⁶ „ჭეჯილი“, 1890, № 2.

³⁷ „ივერია“, 1890, № 209.

³⁸ შ. რუსთაველი, ეფთხისტყაოსანი, ოზურგეთი, 1892, გვ. XIII, შ. რუსთაველი, ეფთხისტყაოსანი, ახალი-სენაკი, 1896, გვ. XIX, კრებული: ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს, თბ., 1938, გვ. 271, იქვე, თბ., 1966, გვ. 292.

³⁹ „მწყემსი“, 1891, № 21—22, გვ. 7.

⁴⁰ „დროება“, 1880, № 208.

⁴¹ ს. ბუციშვილი, ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლი, „მნათობი“, 1959, გვ. 18.

⁴² თ. ალექსანდრე ჩამბაკურიან-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თფილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1879 წ., 11+280, (18×12), ტირაკი 1200, დაბეჭდვის ნებართვა 10 მარტი 1879 წ., გაერცელების — 19 მარტი 1879 წ. (საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი № 480, საქმე № 384, ფ. 47).

„მიბაძვა ვიქტორ ჰიუგოსი“ და „ძველი მაგრიის“, ახლა უკვე შეცვლილი სათაურით — „ძველი დმანისი“⁴³.

კრებულის გარეკანის მეორე გვერდზე მოცემულია ზ. ჭიჭინაძის „მიმართვა“ საზოგადოებისადმი ძველი გუჯრების, სიგელებისა და ხელნაწერების გამოგზავნის აუცილებლობის შესახებ. „რადგანაცო, — წერს იგი, — ამჟამად ქართული ძველი ხელნაწერების წიგნთსაცავი არსდება, რომლის წესდებაც უკვე შედგენილია“, საჭიროა საზოგადოებამ, ვისაც რა აქვს, გამოაგზავნოსო. შემდეგ მოდის სატიტულე ფურცელი, რომელსაც მოსდევს წიგნში შეტანილი ორივე ავტორის თხზულებათა სარჩევი. სარჩევში, რიგის მიხედვით („XIX, XX, XXI, XXII“), დასახელებულია ვ. ორბელიანის ზემოაღნიშნული ოთხი ნაწარმოები⁴⁴. თვით ტექსტების შემდეგ, ბოლოში მოთავსებულია ჯერ „სია იმ პირთა, რომელთა დახმარებითაც გამოცემულია ეს წიგნი“, (მათ შორის არის ვ. ორბელიანიც⁴⁵), და ბოლოს, — ცნობა იმის შესახებ, თუ რა გამოცემები იყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში⁴⁶.

აღნიშნულ კრებულში შეტანილი ვ. ორბელიანის ოთხი თხზულებიდან „მიბაძვა პუშკინისა“, „მიბაძვა ვიქტორ ჰიუგოსი“ და „ძველი დმანისი“ შეცვლილი სათაურით პირველად ამ კრებულში დაიბეჭდა. „იმედიც“, საფუძვლიანად განსხვავებული რედაქციით, ამავე კრებულში დაიბეჭდა პირველად.

⁴³ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ალ. კალანდაძე ამ ლექსის სათაურის შეცვლას 1881 წლიდან ვარაუდობს, იგი წერს: «პოეტის თხზულებათა 1881 წლის (ჭიჭინაძისეული) გამოცემაში ეს ლექსი ძველი დმანისის სათაურით შევიდა და შემდეგ გამოცემებშიც ამ სათაურით იბეჭდებოდა» (ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 297).

ისე გამოდის, რომ თითქოს ლექსის სათაური ძველი მაგრიის ძველ დმანისად 1881 წლიდან იყოს შეცვლილი, მკვლევარის თქმით, «პოეტის თხზულებათა 1881 წლის (ზ. ჭიჭინაძისეული) გამოცემის შემდეგ». ეს კი, როგორც ვნახეთ, ასე არ არის.

გარდა აღნიშნულისა, ალ. კალანდაძეს მისი აქ მოტანილი ციტირება მეორე ნაწილის (შემდეგ გამოცემებშიც ამ სათაურით იბეჭდებოდა) დასამტკიცებლად თავის წიგნში მითითებული აქვს პოეტის თხზულებათა მხოლოდ ორი (1894, 1949 წწ.) გამოცემა და არ ასახელებს ვ. ორბელიანის ნაწერების ვ. კოტეტიშვილისეულ, 1928 წ. გამოცემის (იქვე, გვ. 297, სქოლიო), ალბათ, მკვლევარის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს კოტეტიშვილისეულ გამოცემაში ლექსის სათაურის შეცვლას ადგილი არ ჰქონდეს, არც ეს არის მართალი.

ნამდვილად ლექსს, «ძველ მაგრიისს» სათაური ძველი დმანისად შეეცვალა 1879 წ. ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ კრებულში, ხოლო პოეტის თხზულებათა ყველა შემდგომ გამოცემაში (1881, 1894, 1928, 1949) ლექსს ყველგან «ძველი დმანისი» ეწოდება.

⁴⁴ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ნაწერების დასახელებული კრებული, თბ., 1879, გვ. 188.

⁴⁵ იქვე, გვ. 280.

⁴⁶ იქვე, 281.

ზ. ჰიქინაძის მიერ 1879 წ. გამოცემულ ვ. ორბელიანის „...ოთხ ლექსში“, რომელიც ჩვენ პოეტის თხზულებათა ცალკე გამოსაცემად გვაქვს მიღებული, მთავარი და განსაკუთრებული მაინც ისაა, რომ აქ, როგორც აღვნიშნეთ, პირველად არის დაბეჭდილი „იმედის“ მანამდე უცნობი, შედარებით ვრცელი რედაქცია ახლად დამატებული 50 სტრიქონით.

ივ. კერესელიძისეული 1868 წ. გამოცემასთან შედარებით, ზ. ჰიქინაძისეული გამოცემა განსხვავდება იმითაც, რომ აქ გამომცემელს ამოღებული აქვს შემდეგი ორი ტაეპი:

ათასმა წელმა ეგრე ბრძოლაში განგლო
და შენთ ძეთ თვის მამულს თვალი აავლო.⁴⁷

ეს ორი ტაეპი 1868 წ. „ცისკარის“ კერესელიძისეულ რედაქციაში. „იმედის“ დღევანდელ II თავში, 26-ე ტაეპს მოსდევდა. მასთანადავე. ნაწარმოების ზ. ჰიქინაძისეულ, 1879 წ. გამოცემაშიც ისე, როგორც 1868 წლის „ცისკარში“, უნდა ყოფილიყო:

ან სულ გაწყდეთ და ან მტერთა ეძლიოთ ეგება
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!
ათასმა მეტმა წელმა ეგრეთ ბრძოლაში განგლო
და შენთ ძეთ თვის მამულს თვალი აავლო,
მაგრამ კეთილი შენი გული...» და სხვა.

ეს ხაზგასმული ორი ტაეპი კი, ალბათ, მექანიკური შეცდომის წყალობით, „იმედის“ 1879 წ. რედაქციაში ამოვარდნილა.

ზ. ჰიქინაძის მიერ დაშვებული ეს შეცდომა აქამდე მეორდება. ეს სტრიქონები არ დაბეჭდილა ვ. ორბელიანის თხზულებათა შემდგომდროინდელ არც ერთ გამოცემაში.

დასახელებული ორი ტაეპი არ არის „იმედის“ ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ხელნაწერში⁴⁸. რადგანაც პოემის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები ზ. ჰიქინაძისეულ 1879 წ. გამოცემიდან მომდინარეობენ. ამდენად აქამდე უყურადღებოდაა დატოვებული „ცისკარის“ ივ. კერესელიძისეული 1868 წ. გამოცემა, რომელიც ვ. ორბელიანის სიცოცხლეში პირველად გამოქვეყნდა და ჩანს, სხვა, დღემდე უცნობ, ავტოგრაფს ემყარებოდა.

მაგრამ, როგორც ითქვა, „იმედის“ ზ. ჰიქინაძისეულ, 1879 წ. გამოცემაში მთავარი მაინც მანამდე უცნობი, 50 სალექსო სტრიქო-

⁴⁷ „იმედი“, «ცისკარი», 1868, № 2, გვ. 4.

⁴⁸ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, საქმე № 4906, ფ. 117; იქვე, ფონდი S, საქმე № 2535, ფ. 12.

ნის შემოტანაა. მით უფრო, რომ ზემოთ აღნიშნული ორი ტაეპია ამოღების გარდა (ისიც ჩანს, რედაქტორის მიერ უნდა იყოს ამოღებული), სხვა, მოსალოდნელი, ავტორისეული რედაქციული ცვლილებები — ჩასწორებები, თუ გადაკეთებანი, ადგილების შემოკლება თუ გავრცელება და ა. შ. ტექსტს არ განუცდია. ნაწარმოების 1879 წ. გამოცემა, რომელსაც, სწორედ ამის გამოც შეიძლება პირობით ზ. ჰიჭინაძის რედაქცია ვუწოდოთ, სხვა მხრივ ზუსტად მიჰყვება პოემის „ცისკრის“, უფრო სწორად, ივ. კერესელიძისეულ 1868 წლის რედაქციას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დეფისთა, უკეთ, გამოყოფ ხაზთა სიმრავლეს შიგადაშიგ ტექსტში.

ამრიგად, პოეტის თხზულებათა ამ გამოცემაში მთავარია, აიხსნას ის. თუ რა შინაარსს მოიცავს მანამდის უცნობი 50 სტრიქონი; სად, რა ადგილას აქვს დღეისათვის ზ. ჰიჭინაძეს ნაწარმოებში ეს სტრიქონები ჩამატებული და გაირკვეს წყარო, თუ საიდან აიღო მან იგი. ბოლო საკითხის დადგენა მით უფრო საჭიროა, რომ ნაწარმოების აქამდე მოღწეულ არცერთ ხელნაწერში „იმედის“ ზ. ჰიჭინაძისეული, 1879 წ. გამოცემის ტექსტი ჩვენამდე შემონახული არ არის, ყოველ შემთხვევაში ეს ხელნაწერი დღემდე არ ჩანს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, „იმედის“ 1868 წ. რედაქციაში, თხზულების დღეისათვის ცნობილ III თავში, აშკარად ეტყობა ხარვეზი. ნაწარმოების ივ. კერესელიძისეულ, ხსენებულ რედაქციაში (თხზულების დღევანდელ მესამე თავში) კრწანისის ომის გარშემო თხრობა შეწყვეტილია ასე:

როგორ? იყისროს — რაც თვით დასცა-სპარსთა მონება
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლუ, თავში გონება?
ან რალად უნდა ირაკლისა თაგი ცოცხალი,
თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ყვენის ვალი.⁴⁹

1879 წ. ზ. ჰიჭინაძისეულ გამოცემაში ნაწარმოებს სწორედ დღევანდელი III თავიდან, ზუსტად ამ სტროფს ემატება „იმედის“ მანამდე უცნობი 50 სტრიქონი:

ან თუ აღარ ჰყავს ირაკლისა ერთგულნი ყმანი,
მამულისათვის სასიკვდილოდ მარადის მზანი?
ან თუ შამქარში, ასპინძაში სრულებით გაწყდენ,
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩენენ?
არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი,
სამი ათასი ქართველთ დასი არს დიდი დასი.
ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვევანან!

⁴⁹ ვალი განმარტებული აქვს ავტორს, ე. ორბელიანს: «ვალი სპარსულად ნიშნავს ყვენის მოადგილეს» (ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1949, გვ. 181).

ქალაქის კარი მაგრად მთვან არს დაქვრილო,
აქ სულ გავწყდეთო» ნათლად გულში აქვთ დაწერილი...
კრწანისის ბოლოს გურამისძე ზარბაზნებს მართავს
ან მტრის სულ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს

და ა. შ. ამნაირად გრძელდება ტექსტისათვის ახლად მიმატებული ეს 50 მანამდე უცნობი სტრიქონიც. მაგრამ აქვე იჭრება შემდეგი საკითხები: არის თუ არა ერთიანი შინაარსის შემცველი ყველა ეს 50 ტაეპი ან, უკეთ, განეკუთვნება თუ არა ყველა ისინი კრწანისის ომის ამბების გადმოცემას და, მაშასადამე, ავსებთ თუ არა ეს, მანამდის უცნობი 50 სტრიქონი ნაწარმოების ადრე არსებულ ხარვეზს?

შინაარსის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ეს 50 ტაეპი არ ეძღვნება მხოლოდ კრწანისის ომის მხატვრული ასახვის საკითხს; მათგან კრწანისის ომისადმი მიძღვნილ თხრობის უშუალო გაგრძელებას ეთმობა მხოლოდ 26 სტრიქონი, ხოლო დანარჩენი 24 სტრიქონის შინაარსი მიმართულია ქართველთა იმ ჯგუფის იდეების დასაცობად, რომლებმაც ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ თითქმის მთლიანად აიღეს ხელი სამშობლოს ინტერეგებზე; ამასთან ისიც ირკვევა, რომ აღნიშნული, მანამდის უცნობი 50 ტაეპი მთლიანად ვერ უნდა ავსებდეს პოემაში 1868 წლის გამოცემის ხარვეზს, მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ თხრობა, თვით კრწანისის ომის შესახებ, არც აქ არის დამთავრებული და ნაწარმოების ერთი ნაწილის დიდ ხარვეზთან სწორედ აქ უნდა გვქონდეს საქმე.

50 ტაეპიდან კრწანისის ომის საკითხების გასაგრძელებლად შემორჩენილ 26 სტრიქონში, 21-ე ტაეპამდე გადმოცემულია ომისთვის მზადების სურათები, 21-ე ტაეპამდე კი ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ ქართველები აღა-მაჰმად-ხანის ურდოებთან ხვალ გადაიხდიან „მამა-პაპურ ომს“. „აი, უკვე... თენდება, — ამბობს პოეტი, — ის დიდი დღე ძნელი საამბოო“. ვ. ორბელიანი ამ „დიდი დღის“ სწორედ წინა წუთებში მიმართავს თავის თანამოძმეთ: „ქართველნო, ყური დამიგდეთ, უნდა გიამბოთო“.

ამის შემდეგ ავტორი იწყებს „ძნელი საამბო“ ამბავის გადმოცემას:

სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!³⁰
აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა პატარა დასსა
როგორ იღწვიან და ებრძვიან სამოც ათასსა.³¹

³⁰ ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1949, გვ. 19.

³¹ იქვე (ხაზი ჩვენია ნ. კ.).

მაშასადამე, როგორც ხაზგასმული სიტყვებიდანაც ჩანს, პოეტი გვეუბნება, რომ ომი დაიწყო. და აქ კი, სავსებით მოულოდნელად, ზუსტად 26-ე სტრიქონზე, მანამდის უცნობ 50 ტაეპშიც, კვლავ წყდება თხრობა კრწანისის ომის გარშემო, ახლა ომის პირველი დღის ამბავთა გადმოცემის დასაწყისზე; ავტორმა მოასწრო ეთქვა მოპირდაპირეთა მხოლოდ პირველი შეტაკების შესახებ, სახელდობრ, ქართველთა სამათასიანი რაზმები თუ „როგორ იღწვიან და ებრძვიან სემოც ათასსა“.

მაგრამ პოეტს კი, როგორც ვნახეთ, განზრახული ჰქონდა გაეგრძელებინა მოთხრობა ომის მსვლელობისა და დასაპრულის თაობაზე. ანუ რომ, ნათქვამის მიხედვით ცხადია, მანამდის უცნობი 50 ტაეპიდან კრწანისის ომის გადმოცემას ეთმობა მხოლოდ 26 ტაეპი, ხოლო თხრობა კი კვლავ წყდება ომის დასაწყისშივე, მოწინააღმდეგეთა პირველი დღის პირველივე შეხვედრის გადმოცემით, ზუსტად 26-ე სტროფზე და ომის ამბავი დაუმთავრებელი რჩება.

27-ე ტაეპიდან იწყება ზემოთქმულთან სავსებით განსხვავებული, კრწანისის ომთან, მის დაუსრულებელ ამბავთან სავსებით შეუსაბამო, სულ სხვა შინაარსის შემცველი სტრიქონები:

მაგრამ რა ვითხრათ, რა ვიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძობელს გულს,
მწარე მოთხრობა წარსულს დროთა არ აცხოველებს,
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგერის ცრემლებს,
ჩვენ არც კი ვიციოთ, იმ უბედურთ, რაც დაგვდეს ვალი.
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედაეთ, ბნელი გვაქვს თვალი
და სხვა.

ასე გრძელდება ეს, სრულიად სხვა საკითხისადმი მიძღვნილი, დანარჩენი 24 ტაეპი, მანამდის უცნობი 50 ტაეპის ბოლომდე⁵². როგორც ზევით აღვნიშნეთ, მომდევნო, ეს მთელი 24 ტაეპი მიძღვნილია ქართველთა ერთი ჯგუფის მიმართ, რომელმაც ერეკლეს გარდაუკვალების შემდეგ მაინც, თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი ეროვნული სახე. „ოღონდ კი ჩვენთვის მზე მნათობდეს და ცაში ნუ ქრება; — გაჩხახოლნენ ისინი, — რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს“⁵³. პოეტის თქმით, აი ისინი, რომლებმაც ხელი აღიქმეს მშობელი ქვეყნის ინტერესებზე; დაიწყეს ბრძოლა ერეკლე მეფის იდეების წინააღმდეგ; თავს ესხმოდნენ მის ნაბიჯს, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში. ვ. ორბელიანის აზრით, ამ ვაეზატონებს არ უნდათ გაიგონ, რომ ბედი ძველი ივერიისა, ის-

⁵² ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1940, გვ. 19—20.

⁵³ იქვე, გვ. 20.

ტორიის უწყალო კანონზომიერებით იყო გაპირობებული, ცდილობენ ცილი დასწამონ მას, ვითომცდა ერეკლესათვის რუსეთთან შეერთების იდეა, პოეტის სიტყვით, „სამშობლო ქვეყნის აღდგინების“ ინტერესებით არ ყოფილიყოს ნაკარნახევი.

ვ. ორბელიანი იქვე ამხელს მათს უსამართლობასა და უსინდისობას: „თუ ნათლად გვეჩონდეს გულის გრძნობა და ნათლად პირი, ბევრს მოგვითხრობენ არაგვისა და შტკერის ნაპირნი“, — წერს იგი, დამახასათებელნი საქართველოს წარსული დიდების ნანგრევებითო. პოეტის თქმით, ჩვენი ქვეყნის წარსულ უბედურებათა „დიდი მოთხრობა“ ამ მდინარეებშია „სისხლით ჩართული“, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ქართველთა ამ ნაწილს „სხვით რითიმე“ აქვს „თვალი გართული“ და არ სურს დანახოს ისტორიის უკუღმართობა, რომელიც აღიმართა ერეკლეს დროის ქართველთათვის, უგუნურებმა არ იციან, ან არ უნდათ გაიგონ, არა მარტო ეს, ისიც თუ „რა ისტორიის დედამიწას ფეხითა ვთრგუნავთ“, არც შეუძლიათ გაიზიარონ ან არ სურთ კრინტიც დასძრან იმაზე, „თუ იმ გმირს (ერეკლეს ნ. კ.) მაშინ რა ცეცხლი სწვავდა“⁵⁴, როცა საქართველოს დამოუკიდებლობას მეფის რუსეთის საუკუნო მფარველობის ქვეშ აყენებდაო, მიუთითებდა პოეტი⁵⁵.

ასე რომ, ჰიჭინაძისეული ეს 50 ტაეპი ორი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი აზრის შემცველია. ერთი ნაწილი დათმობილი აქვს კრწანისის ომის ამბავს, რომელიც არც აქ არ არის დასრულებული. მეორე ნაწილი, 24 ტაეპი ეთმობა სამშობლოსადმი ზურგშექცეულთა კრიტიკას.

ამრიგად, „იმედი“ ჩვენამდის სრული სახით პრ არის მოღწეული. კატეგორიული მტკიცება კი, დანაკლისის სავარაუდო ნაწილის რაოდენობის შესახებ, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამის გარშემო მოპოვებული იქნება დამატებითი მასალები. საკვლევი ისიც, თუ საიდან უნდა აეღო ზ. ჰიჭინაძეს თხზულების დასახელებული 50 ტაეპი.

⁵⁴ იქვე, გვ. 21.

⁵⁵ 50 ტაეპიდან 24 ტაეპი, რომელიც პოეტს ერთი საკითხისათვის აქვს მიძღვნილი ვ. ორბელიანის თხზულებათა მომღვენო, 1881 წ. ზ. ჰიჭინაძისეულ გამოცემაში ორ ნაწილად არის გაყოფილი პოემის დღევანდელ III და IV თავებში: 12 სტრიქონი მიმატებულია ჩვენთვის ცნობილ 26 სტრიქონთან და ამით დამთავრებულია თხზულების დღევანდელი III თავი, ხოლო დანარჩენი 12 სტრიქონით დაწყებულია ახლანდელი IV თავი, მაგრამ ამ 24 სტრიქონის ცალ-ცალკე თავებში დაწვრილებს და დაშლა შინაარსიდან არ გამომდინარეობს და სწორი არ არის. როგორც ზევით ვაქვს ნათქვამი, პოემის თავებად დაყოფა არ უნდა ეკუთვნოდეს ვ. ორბელიანს და ეს საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

23 წლის ახალგაზრდა ზ. ჭიჭინაძემ ვ. ორბელიანი პირველად „იმედის“ გამოცემასთან დაკავშირებით გაიცნო. პოეტთან ამ შეხვედრას იგი შემდეგნაირად აღმოგვცემს:

„1876 წ. მე მიველ მასთან, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — და „იმედის“ გამოცემის ნება ეთხოვე. ამაზე სასტიკად შემომხედა მიფრინა და ზოთხრა, რისი „იმედით“, რუსულად დამიყვირა. მეც მაშინვე გამოვიქეცი; ეს პირველი ნახვა იყო ჩემი ვ. ორბელიანისა“.

დამაბრუნაო, განაგრძობს ზ. ჭიჭინაძე „...გვარი მკითხა, გამიცნო, გაცნობის შემდეგ მითხრა: დაბეჭდო, მაგრამ წაიკითხავს ვინმეო? მე იმიტომ დავტოვე ლექსების წერა, რომ მკითხველი არ იყო ძველათა“... მე იგი დავარწმუნე, რომ წაიკითხავენო, ასეცნის ჭიჭინაძე⁵⁶.

ზ. ჭიჭინაძე არაფერს ამბობს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო, ხოლო „იმედის“ გამოქვეყნების თაობაზე მათი სხვა შეხვედრები კი სპეციალურ ლიტერატურაში ჯერხნობით არ არის დამოწმებული. არ ვიცით, რა უთხრა პოეტმა ზ. ჭიჭინაძეს მანამდის უცნობი, 50 ტაეპის გარშემო ან შინაარსისა და პოემაში მისი ადგილის შესახებ.

ამიტომ, ზემოთქმულის მიხედვით, კიდევ ერთხელ დასტურდება ივ. კერესელიძის გადმოცემათა სიზუსტე იმის შესახებ, რომ „იმედი“ პოეტს ადრე დაუწერია და რომ ნაწარმოებს აკლია, „...რადგანაც ავტორს დაუდევნელობით რა(ც) დაუწერია, სიყმაწვილეში აქა-იქ დაუფანტავს...“⁵⁷. ეტყობა, ზ. ჭიჭინაძემაც 1876—1879 წლებში ვ. ორბელიანისაგან მიიღო, მის მიერ ადრე, „სიყმაწვილეში“ დაწერილი ნაწარმოების კიდევ ერთი, „ნაწყვეტ-ნაწყვეტად“ შეგროვილი ნაწილი, 50 ტაეპის რაოდენობით. საერთოდ თხზულებას, როგორც ითქვა, არც 1868 და არც 1879 წლისათვის, გარდა აღნიშნული ნაწილისა, სხვა, ავტორისეული რედაქციული ცვლილებები არ განუცდია.

ვ. ორბელიანის თხზულებათა ერთი ნაწილის და, მათ შორის „იმედის“ 1879 წ. ჭიჭინაძისეული გამოცემა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი პოეტის ნაწერების გამოცემის საქმეში.

1881 წ. ზ. ჭიჭინაძემ ხელახლა გამოსცა ვ. ორბელიანის თხზულებათა კრებული. გამოცემის ნაწილი დაბეჭდა გრ. ჩარკვიანის სტამბაში, ნაწილი კი — არსენ კალანდაძისაში. პირველს გამოცემის თარიღად აწერია 1881 წ., მეორეს — 1884 წ.

⁵⁶ ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, თფილისი, 1892, გვ. 39—40.

⁵⁷ „იმედი“, «ცისკარი», 1868, № 2, გვ. 1 (სქოლიო).

საკითხის საგანგებო შესწავლამ ცხადჰყო, რომ არსებობს ვ. ორბელიანის თხზულებათა მხოლოდ ერთი, 1881 წ. გამოცემა. ეს ჩანს შემდეგიდან:

წიგნის ყველა ეგზემპლარს, რომელსაც 1881 წ. ან 1884 წ. აწერია, ერთი და იგივე დროით, 1881 წ. 27 თებერვლის თარიღით, აქვთ მოცემული ცენზურის ვიზა. ამას გარდა, შემადგენლობის მხრივ, თვით გვერდების მიხედვითაც ორივე გამოცემა ერთი და იგივეა, არქივის მასალებში, ამ პერიოდისათვის, ვ. ორბელიანის ლექსების მხოლოდ 1881 წლის გამოცემაა დადასტურებული: „ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა, გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1881, სტამბა გრ. ჩარკვიანისა, ბარონის ქუჩა № 17, ტირაჟი 800, დაბეჭდვის ნებართვა 27 თებერვალი, 1881 წ.; გავრცელების — 19 ივნისი, 1881 წ.“⁵⁸.

ამრიგად, აღნიშნული პერიოდისათვის (1881—1884) ვვაქვს ვ. ორბელიანის თხზულებათა ცალკე, ზ. ჭიჭინაძისეული, მხოლოდ ერთი, 1881 წ. გამოცემა, რომელსაც გარეკანზე აწერია: „ლექსები თქმულნი თ. ვ. ო.“ და სატიტულე ფურცელზე — „ლექსნი თ. ვახტ. ორბელიანისა“.

პოეტის თხზულებათა ამ გამოცემას, იმის გამო, რომ გარეკანზე წიგნის ავტორი მხოლოდ ინიციალებით არის გამოცხადებული, გამოუწვევია მაშინდელ მკითხველთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება. იმავე, 1881 წ. „დროება“ წერდა: „ამ დღეებში გამოვიდა თბილისში ვ. ო. (ხაზი ავტორისაა ნ. კ.) ლექსთა კრება. ვ. ო.-ს, ჩინებულ პოეტს, როგორც დაარქვა ერთმა ჟურნალმა⁵⁹, ყველა იცნობს, მისი ლექსები ბევრმა ზეპირად იცის და სახელი განთქმულია. გვიკვირს. რამ აიძულათ, მისი დიდი სახელი ინიციალების ქვეშ ამოეფარათ და საიდუმლო ვ. ო.-ს ნაწერათ გამოეცხადებინათ ამდენი შესანიშნავი ლექსები“⁶⁰ (ხაზი ჩვენია ნ. კ.).

გაზეთის მომდევნო ნომერში, ზუსტად მეორე დღეს, ვ. ორბელიანის თხზულებათა აღნიშნული კრებულის გამომცემელს ზ. ჭიჭინაძეს გაკეთებული აქვს შემდეგი საპასუხო განცხადება ასეთი სათაურით: „წერილი რედაქტორთან“.

„ბატონო რედაქტორო, — წერდა აქ ზ. ჭიჭინაძე, — გუშინდელს, 17 ივლისის „დროების“ ახალ ამბებში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა, შესახებ თ. ვ. ო. ლექსების ცალკე გამოცემისა და აგრეთვე ის,

⁵⁸ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, საქმე № 474, ფ. 65.

⁵⁹ ლაპარაკია ჟურ. „ცისკარზე“ (იხ. 1868, № 3, გვ. 7).

⁶⁰ „დროება“, 1881, № 149.

თუ რამ „აიძულათ“, რომ პოეტის სახელი შემოკლებულ თ. ვ. ო-დ ყოფილიყო დაბეჭდილიო“.

ამაზე უნდა მოგახსენოთ მე, როგორც ამ ლექსების გამომცემმა: ეს თვითონ პოეტმა არ ისურვა, რომ იმისი სახელი და გვარი სრულად ყოფილიყო დაბეჭდილი და მე — გამომცემელს რა შემეძლო მისი სურვილის წინააღმდეგ მისი სახელი და გვარი მართლად გამომეცხადებინა“... რადგან, იმეორებდა ჭიჭინაძე, — „ეს მხოლოდ თვითონ პოეტის სურვილი იყო“⁶¹.

პოეტის საგანგებო თავშეკავების შესახებ ზ. ჭიჭინაძე სხვაგანაც აღნიშნავს: „ვახტ. ორბელიანი... თავის თავს მთელს საქართველოში უცნობლად ტოვებდა და არავინ არ იცოდა მისი მიზეზები. ამის მიზეზი, — განმარტავდა ზ. ჭიჭინაძე — საკუთრივ ვ. ორბელიანის საიდუმლოებას შეადგენდა და ეს საიდუმლოება მას თან გაჰყვა... თავის ლექსებზედ სულაც არ უნდოდა, რომ მის სახელის და გვარის ან ორი ასო ყოფილიყოს დაბეჭდილიო“ (ხაზი ჩვენია ნ. კ.)⁶².

ამრიგად, ცხადია, პოეტი არ უნდა ყოფილიყო მომხრე არც იმისა, რომ ზ. ჭიჭინაძეს მის თხზულებათა 1881 წ. კრებულის სატიტულე ფურცელზეც ვ. ორბელიანის გვარი აღენიშნა. მაგრამ, ბუნებრივია, გამომცემელს სხვანაირად არც შეეძლო. ასე რომ, კრებულის სატიტულე ფურცელზე პოეტის სახელისა და გვარის დაბეჭდვა: ვ. ორბელიანის სურვილის წინააღმდეგ უთუოდ ცენზურის კარნახით იყო გამოწვეული.

ვ. ორბელიანის თხზულებათა ზ. ჭიჭინაძისეულ, 1881 წ. კრებულში, წინა გამოცემაში დაბეჭდილი ლექსების გარდა გამოქვეყნებულია: „სიზმრები“, „ჯვარი ვახისა“, „* * *“ (როგორც განაზღვრეს...), „* * *“ (ვინც სოფლისაგან...), „არის ადგილი“, „ორი შენობა“, „ვიდევ შენს წინა“ და „* * *“ (სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ...). კრებულში ლექსს „ძველი დმანისი“ ზ. ჭიჭინაძის შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: „სოფელი დმანისი მდიდარის შენობათა ნანგრევებით ორბელიანთა მამულშია, მაშავერის წყალზე, მამულია გაყოფის შემდეგ ერგო ავტორს“⁶³. ხოლო „იმედი“ სიტყვასიტყვით მისდევს პოეტის თხზულებათა ზ. ჭიჭინაძისეულ 1879 წლის გამოცემას. იგი მხოლოდ ამ გამოცემაში დაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ პირველად („I“, „II“, „III“ და ა. შ.) თავებად დაყოფილი; აგრეთვე ორი ლექსი — „მიბაძევა პუშკინისა“ და „მიბაძევა ვიქტორ ჰიუგოსი“, რომლებიც აქ წინა გამოცემიდან არის გადამობეჭდილი.

⁶¹ ზ. ჭიჭინაძე, ბატონო რედაქტორო!, «დროება», 1881, 150.

⁶² ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ო. ორბელიანი, თბ., 1892, გვ. 9.

⁶³ ლექსნი თ. ვახტ. ორბელიანისა, თბ., 1881, გვ. 3 (სქოლიო.)

1881 წ. კრებულში პოეტის სულ 12 თხზულებაა გამოცემული, მაგრამ წიგნს არც წინასიტყვაობა, არც სარჩევი ან სხვა რაიმე ცნობა დართული არა აქვს. მიუხედავად ამისა, ვ. ორბელიანის თხზულებათა ამ გამოცემას ქართველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვედრიდა.

„ჩვენ მოხარული ვართ. — წერდა „ივერიის“ რეცენზენტი. — რომ... ვ. ორბელიანის ლექსების ერთად გამოცემაც გველირება. ბოდიშს ვიხდით პატივცემულ ავტორთან, რომ მისი პირველი ასოები ვ. ო. (ხაზი ავტორისაა ნ. კ.) გამოვანაშკარავეთ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ „იმედის“ ავტორი არის თ. ვ. ორბელიანი“. რეცენზიაში თხზულებანი და კერძოდ „იმედი“ დახასიათებულია. როგორც საუკეთესო მოვლენა მაშინდელს ჩვენს ლიტერატურაში⁶⁴.

აქაი წერეთელს სწორედ ამ კრებულის გამო აქვს დაწერილი თავისი შესანაშნავი ლექსი: „თ. ვ. ორბელიანს მისი თხზულებების გამოცემის გამო“, სადაც ავტორი ვ. ორბელიანის შესახებ ამბობდა:

ენვის გელი, ანაძგერო
წარსულისა მოგონებოთ.
ფიჭრს აღლევებს შავად, ავ-დ
მოშხამულის მწარ გონებათ.⁶⁵

ზ. ჭიჭინაძემ, პოეტის თხზულებათა აღნიშნული მეორე გამოცემით, კიდევ უფრო მოამზადა ნიადაგი ვ. ორბელიანის ნაწერების სრული კრებულის გამოსაცემად.

თავისი ნაწერების სრული კრებულის ერთტომეულის გამოცემა ჯერ ადრე 1884 წ. თვით პოეტს ვ. ორბელიანს განუზრახავს... „კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი, — წერდა „დროება“, — ...ჩვენი ნიჭიერი პოეტი ვ. ო. (თავადი ვახტანგ ორბელიანი) ერთად უყრის თავს ყველა თავის დაბეჭდილს და დაუბეჭდავს ლექსებს და მოკლე ხანში აპირებს ერთ ტომად გამოცემასო“⁶⁶.

ეს განზრახვა პოეტს ვერც 1887 წელს შეუხრულებია. ვ. ორბელიანის თხზულებათა 1894 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს, რომ „ჯერ ისევ პოეტის სიცოცხლის დროს, 1887 წელს ლექსთა-კრების რეეულები. ჩვენ მიერ მომზადებული, ავტორის გადათვალეიერებასლა ელოდა. გამოცემას თვათ ავტორი აპირებდაო...“⁶⁷.

⁶⁴ ლექსები თქმული თ. ვ. ო. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1881 წ., ოვერია», № 8, 122.

⁶⁵ ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 89.

⁶⁶ „დროება“, 1884, № 273.

⁶⁷ ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894, გვ. 111.

პრაქტიკულად კი წიგნის გამოცემის საქმე დღის წესრიგში დამდგარა ვ. ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 1891 წლიდან. როცა პოეტის ასული მ. ორბელიანი (1852—1941) საზღვარგარეთიდან დაბრუნებულა. პ. უმიკაშვილი, 1891 წ. 14 ოქტომბრის თარიღით წერდა ი. მეუნარგიას:

..... მარია, ვახტანგ ორბელიანის ქალი, ამ დღეებში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და აპირებს მამის ლექსების დაბეჭდვას. წუხელის. გამოცემის თაობაზე მასთან ვიყავით გოგებაშვილი, თაყაიშვილი და მე; დაიბეჭდება სურათით, ბიოგრაფიით და წინასიტყვაობით, ეს წინასიტყვაობა და ბიოგრაფია შენ მოგანდესო — აცნობებდა იგი მას⁶⁸.

შემდეგში, გარკვეულ გარემოებათა გამო. რომელთა შესახებ აქ არ შევჩერდებით, შესავალი წერილი და „მოკლე ბიოგრაფია“... კრებულისათვის დაწერა ი. ჭავჭავაძემ და თვით აღნიშნული გამოცემაც ი. ჭავჭავაძის საერთო ხელმძღვანელობით იქნა მომზადებული⁶⁹. კრებულის შემდგენელი და მისი ფაქტიური რედაქტორი იყო პ. უმიკაშვილი⁷⁰, რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ი. გოგებაშვილი⁷¹ და ე. თაყაიშვილი⁷²; გამოვიდა წიგნი მარ. ორბელიანის საფასით.

წიგნის სატიტულე ფურცლის მეორე გვერდზე აღნიშნულია ცენზურის ვიზა: «Дозволено цензурою. Тифлис 27 апреля 1892 г.»⁷³.

კრებული კი ნამდვილად მხოლოდ 1894 წ. ზაფხულში გამოვიდა⁷⁴, დროის ეს დიდი მონაკვეთი ორ წელზე მეტი ცენზურის ვიზასა და ფაქტიურად წიგნის გამოსვლას შორის, აიხსნება იმით, რომ

⁶⁸ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის «შრომები», I, თბ., 1947. გვ. 225.

⁶⁹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. IX, თბ. 1957, გვ. 357.

⁷⁰ შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი, 10.

⁷¹ პ. უმიკაშვილი, წერილი ი. გოგებაშვილთან, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტი, გოგებაშვილის ფონდი, № 228.

⁷² ზუგდიდის მუზეუმის დასახელებული «შრომები» გვ. 225—226.

⁷³ «ლექსები ვახტ. ორბელიანისა, სრული გამოცემა მისი ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, მომავლის ქართული საქალბო სკოლის და წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ, სტამბა წიგნის გამაერკელებელი საზოგადოებისა, ტფილისი. 1894 წ., III + 178 + XXIII გვ. (19 X 14). კრებულის ტირაჟისა, დაბეჭდვისა და გავრცელების ცნობები არქივში არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჟურნალის საფასით აიჩანს.

⁷⁴ «იეროია», 1894, № 136 (28 ივნისი).

კრებული უცდიდა ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ წერილს. — შესავალს⁷⁵, რომელიც დაიწერა 1894 წლის თებერვალ-მარტმ⁷⁶ და იმავე წლის 30 მარტს გადაეგზავნა სტამბას⁷⁷.

მთელი მასალა კრებულში შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: სატიტულე ფურცელს მოსდევს პ. უმიკაშვილის „წინასიტყვაობა“ (გვ. III—IV). შემდეგ — პოეტის სურათი. საკუთარი ხელრთვით. „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა“. დაწერილი ი. ჭავჭავაძის მიერ (გვ. V—XX) და სარჩევი (გვ. XX). კრებულში დაბეჭდილია ვ. ორბელიანის სულ 55 პოეტური ნაწარმოები. წიგნს ბოლოს დართული აქვს: პ. უმიკაშვილის „მაჩვენებელი. როდის დაწერილა ან რა გამოცემაში დაბეჭდა პირველად ლექსები“ (გვ. 175); მისივე. „სა აქამდე დაუბეჭდველად დარჩენილი“ ლექსებისა (გვ. 178). რაც, სხვათა შორის. სარჩევში. ჩანს, შეცდომით არაა შეტანილი. რადგან წიგნში იგი პაგინირებულია. სულ ბოლოს. მოცემულია „შეცდომათა გასწორება“, რაც პაგინაციაში არ შედის.

ამ გამოცემაში პირველად დაბეჭდა პოეტის მანამდე უცნობი, გამოუქვეყნებელი თერთმეტი თხზულება: „მთის ქალი და მოგზაური“ („ნაწერიანო, — შენიშნავს შემდგენელი. — 1886 ან 1887 წ.“), „კოლხიდა“, „დიდის კარის წინ“, პ. უმიკაშვილი კვლავ უთითებს თარიღს: „1888 ანუ 1889 წ.“. რადგანო, წერს იგი. „ასულის კნ. მარიამ ორბელიანის ალბომში პოეტს ჩაუწერია 1889 წ. მარტის 9-ს“, „როდესაც მშვენიერება“, „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“. „გამოსალმება“, „მდინარე ა-ს“. „დახშულის გულით“. „რა ნახა ლაზარემ საიქიოს“. რომელსაც უმიკაშვილი იქვე აწნარად ათარღლებს: „(1888—1890 წ.)“, „რაკი დადგება გაზაფხული“ და „სიცოცხლის რაში“.

ტექსტს კრებულში ზოგ თხზულებათა სქოლიოში დართული აქვს პოეტისა და აგრეთვე თვით პ. უმიკაშვილისეული შენიშვნები. ასე: ლექსისათვის — „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“ სქოლიოში შენიშნულია: „მოწერილი ავტორის სრულიად ახალს ყმაწვილობაში

⁷⁵ პ. უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილასადმი, პუბლიკაცია პ. ოფ. მ. ზანდუკელისა, პუშკინის სახ. თბ. სახ. სამსწავლებლო ინსტიტ. შრომები, ტ. I-1941, გვ. 60.

⁷⁶ ნ. კილაძეა, ი. ჭავჭავაძის ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის დათარიღებისათვის, შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის XXIV საწესწავლო სესიის თეზისები, თბ., 1964, გვ. 21.

⁷⁷ პ. უმიკაშვილი, წერილები ი. ჭავჭავაძისადმი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 202.

აკტ...⁷⁸ „ობოლს“. რომელიც შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი, სქოლიოში უწერია თვით პოეტის შემდეგი შენიშვნა:

„ამ ლექსის დამწერს ხშირად გაუგონია მეფის ირაკლის II-ის ასულის თეკლესაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წ., რომ ააქართველოს სამეფოს სახლში ძველი დროითგანვე სიტყვიერად შემდეგი გადმოცემა ყოფილა თურმე: შოთა რუსთაველი ყოფილა ობოლი, ტომით მესხი. სოფელ რუსთავეთაგან. რომლის სახელითაც იმ დროში მისთვის უწოდებიათ — „რუსთაველი“. შოთა ყოფილა მშვენიერის სახის კაციო“⁷⁹. წიგნის 139-ე გვერდის სქოლიოში ზღაპრის გარშემო „რა ნახა ლაზარემ საიქიოს“ პ. უმიკაშვილი ურთავს შემდეგ შენიშვნას:

„ლექსის დასრულება ავტორს ველარ მოუხერხდა. თუმცა პირველი კარი დამთავრებული ჰქონდა 1888 წელსა, II და III კარი შავად ნაწერი დარჩა, II უფრო შესრულებული, ხოლო მესამე თითქმის შეუცვლელი“⁸⁰.

კრებულში „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ თხზულებანი ქრონოლოგიის მიხედვით არ არის დალაგებული; მასში დალაგების არც ერთობრივი პრინციპია დაცული. პ. უმიკაშვილი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ იგი ამ შემთხვევაში, ავტორის ნებას დაჰყოლია. პოეტმა „საკმაოდ გადასინჯა რვეულები, — წერს პ. უმიკაშვილი, — შესწორა და იმ რიგზე დაწყობილი დასტოვა, როგორც ახლა იბეჭდება. რამდენიმე ლექსი, რომელიც განსვენებულს დაეიწყებოდა (თავის ხელნაწერებში ნ. კ.) ანუ ჯერ არ შეესრულებინა, ჩვენ ჩაუმატეთ შინაარსის კვალობაზე (რიცხვით სულ ექვსია, 'აარჩევში ვარსკვლავებით აღნიშნული); დაბეჭდვის დროს გვქონდა ზემოხსენებული რვეულები და ნამდვილი ხელნაწერები პოეტისა“⁸¹.

ირკვევა, რომ პ. უმიკაშვილი ნაწარმოებთა დალაგებაში ყოველთვის არ მიჰყვება თხზულებათა რიგის შემცველ ვ. ორბელიანის სიას,

⁷⁸ ლექსები ვახტანგ ორბელიანისა. თბ., 1894, გვ. 57.

⁷⁹ იქვე, გვ. 100.

⁸⁰ იქვე, გვ. 239.

⁸¹ აქვე საგანგებოდ უნდა შენიშნოთ პოეტის ამ ანამდვილი ხელნაწერების გარშემო, ხელნაწერები, რომლებიც დღემდე ორბელიანის სახელითაა ცნობილი, აღრე წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებას შეადგენდა. შემდეგ, ერთხანს, იგი თბილისის სახელმწიფო უნ-ტის მუზეუმს ეკუთვნოდა. აღნიშნული ხელნაწერები ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწ. ინსტ-ში 4906 და 2535 ნომრებით. ხელნაწერი № 4906 მოთავსებულია ყუთში. ხელნაწერს შემოკრული აქვს მწვანე, სქელ, ძველი, უკვე გვერდებზე მოხეული ქაღალდი, რომელსაც აწერია: „№ 4906 ვახტ. ორბელიანის. ხელი უნდა ეკუთვნოდეს პ. უმიკაშვილს, მასში მოთავსებულია:

1) „№ 4906 — ვახტ. ვახ-ქე ორბელიანი: ლექსები თეთრად გადაწერილი დასაბეჭდად (პეტრე უმიკაშვილის მიერ) (ხელწერაც მას ეკუთვნის).“

რომელიც პოეტის „ნამდვილ ხელნაწერთა“ კრებულიდან (4906—გ-დან) გამომდინარეობს⁸².

შემდეგ, „...სარჩევში ვარსკვლავებით აღნიშნული“ ექვსი ლექსი, რომელზედაც პ. უმიკაშვილი ლაპარაკობს, არის „ბულბული“, „მართალი არაკი“, „მშვენიერი დასნი“, „თითისტოლა ბავშვი“, „ვასიკოს თავგადასავალი“ და „გავჩნდით რისთვისა“ — ყველა ეს ლექსი დასრულებულია და ადრე იყო დაბეჭდილი. მაშასადამე, მოსაზრება, რომ ისინი „...ჯერ არ შეესრულებინა ავტორს“ — სწორი არ არის. საკმე ისაა, რომ ხელნაწერთა ანაკინძ კრებულში (№ 4906—ბ), რომელიც პ. უმიკაშვილს პოეტის „ნამდვილ ხელნაწერებად“ მიაჩნდა, შემდეგ, გაცილებით გვიან არის შედგენილი და ვ. ორბელიანს აღნიშნულ (4906—ბ) კრებულში ამ ექვსი ლექსის ხელახალი გადაწერა და შეტანა ვერ მოუხწრია. ლექსები კი, როგორც ვთქვით, ადრე იყო დაბეჭდილი იმდროინდელ პერიოდულ თუ ცალკე გამოცემაში.

ეს კი თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უდავოდ კრებული 4906—ბ, თხზულებათა გამოცემის მიზნით, შემდეგ არის შექმნილი, რასაც ისიც ადასტურებს. რომ მასში შეტანილი ხელნაწერების დიდი ნაწილი არ არის ავტოგრაფები. ასე რომ, „ნამდვილი

2) № 4906— ბ. ვახტ. ვახტ. ორბელიანი: ლექსები შავად, რომელსაც პ. უმიკაშვილი აქვე დატული კრებულის წინასიტყვაობის ხელნაწერში ეძახის „ნამდვილ ხელნაწერებს პოეტისას“.

3) № 4906— გ პეტრე უმიკაშვილის წინასიტყვაობა. აქვეა პოეტის სხვა, ბოგრაფიული ცნობების შემცველი მასალაც.

რაც შეეხება № 2535 ხელნაწერს, იგი მოიკავს მხოლოდ იმედს, შესრულებულია არა ვახტ. ორბელიანის, არამედ ვიღაც სხვის მიერ, ტექსტი გადმოწერილია თხზულების ზ. კიკინაძისეულ 1879 წ. გამოცემიდან.

საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში მოგვეპოვება იმედის ხელნაწერის ერთი ნაწილი. მომდინარე თხზულების აღნიშნულ გამოცემიდან (16283) და რამდენიმე ლექსის ხელნაწერი (1625, 16281, 16282, 19207) მაგრამ არც ერთი მათგანი ავტოგრაფი არ არის, ისინი გადმოწერილია ნაბეჭდი ტექსტიდან, გარდა ერთისა, — ჩემს მამოს (18264-ს).

ვ. ორბელიანის თხზულებათა სხვა ხელნაწერი ჯერ ჯერობით არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ პოეტის ნამდვილი ხელნაწერებიდან, ე. ი. კრებული № 4906 ბ-დან მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოადგენს ავტოგრაფებს, დანარჩენი კი სხვა ხელითაა შესრულებული, მისი დიდი რაოდენობა შეადგენს ოფიციალური ქალაქების ანაკინძს; შიგ ძვეს რამდენიმე ლექსის ძველი რვეულის ფურცლები. ყველაფრიდან ჩანს, რომ ანაკინძი შემდეგდროინდელია, რომ იგი შედარებით ახალია; ის შექმნილი უნდა იყოს 80-იან წლებში, კერძოდ 1884 წლიდან, როცა პოეტმა გადაწყვიტა, გამოეცა მისი ნაწერების ერთობეული და ერთად უყრიდა თავს ყველა თავის დაბეჭდილსა და დაუბეჭდავ თხზულებებს (დროება, 1884, № 273).

⁸² შტრ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი S № 4906-ბ, ფ. 201—203, და ვ. ორბელიანის თხზულებათა 1894 წ. გამოცემის სარჩევი.

ხელნაწერები“, რომელშიაც პ. უმიკაშვილი ვარაუდობდა ვ. ორბელიანის ავტოგრაფთა პირველ კრებულს, დღეს არ ჩანს, ის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ეს მონაზრება მტკიცდება შემდეგი საბუთებით:

ა) უდავოა, რომ „იმედის“ ავტორის ხელიდან გამოსული „სიყმაწვილეში“ დაწერილი ავტოგრაფი 60-იან წლებამდე არსებულა. იგი უთუოდ ავტოგრაფთა დღეწდღე დაკარგულ, სავარაუდო კრებულში უნდა ყოფილიყო შეტანილი. იქიდან უნდა აეღო პოეტს „იმედის“ ერთი ნაწილი, რომელიც „ცისკარში“ გამოაქვეყნა 1859 წ. იქიდან უნდა აეღო მას ის ნაწილიც, რომელიც მან აგრეთვე „ცისკარში“ დაბეჭდა 1868 წ. ავტოგრაფთა იმ დაკარგული კრებულიდან უნდა იყოს ის 50 ტაეპიც, რომელიც ზ. კიკინაძემ დაბეჭდა დამატებით 1879 წ. კრებულში „...ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა“.

ბ) უურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილია ვახტ. ორბელიანის „დედოფლის“ გავრცობილი ვარიანტი⁸³ პ. უმიკაშვილს კრებულში „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ შეტანილი აქვს ამ ლექსის მოკლე რედაქცია 106 ტაეპით⁸⁴. რა თქმა უნდა, სხვა აზრი არც შეიძლება არსებობდეს. „დედოფლის“ პირველი, გავრცობილი რედაქცია, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა, ვ. ორბელიანის თხზულებათა სწორედ დღემდე დაკარგული ხელნაწერი კრებულიდან უნდა იყოს აღებული.

ამრიგად, ირკვევა, რომ კრებულისათვის „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ რედაქციას არ ჰქონია „ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა“, როგორც ეს პ. უმიკაშვილს ეგონა. ამიტომაც აღნიშნულ ბეჭდურ რედაქციებს, რომელთაც დღემდე აქვს შემონახული ბევრი თხზულების პირველი შედგენილობა, რედაქციული და ავტოგრაფული თავისებურებანი, ურყევი პირველწყაროს მნიშვნელობა ეძლევა.

უმათავრესი მაინც ისაა, რომ „ქრონოლოგიური მაჩვენებლის“... მიხედვით, რომელიც ბოლოში აქვს წიგნს დართული, პ. უმიკაშვილი აქვე, წინასიტყვაობაში ასკვნის: „უმეტესი ნაწილი (კრებულში შემავალი) ლექსებისა დაწერილია 1879 წლის შემდეგ... უმათავრესს მათგანს წელიწადი არ უწერია. მაგრამ ბეჭითად შიგვიძლია ვთქვათ, რომ ლექსები ყიბეჭდებოდა უურნალ-გაზეთებში თითქმის დაწერის წელსვე“⁸⁵ (ხაზი ჩვენია ნ. კ.).

⁸³ ვ. ო. დედოფალი, „ივერია“, 1882, № 2, გვ. 72.

⁸⁴ ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894, გვ. 117.

⁸⁵ მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ «ზულბული», რომელიც ჭარ კიდევ 1834-სა წელსა» არსებული ხელნაწერად (კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, აღ. ორბელიანის კრებული № 1640, ფ. 9) და რომელიც პირველად 1857 წ. დაბეჭდა «ცისკარში» (№ 1, გვ. 3).

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია 1879 წ. შემდეგ დაწერილ ლექსებზე, ხოლო წიგნის ბოლოში დართულ „მაჩვენებელში“ კი ვ. ორბელიანის ყველა ნაწარმოებისათვის მიღებულია ასეთი სათაური:

„მაჩვენებელი როდის დაწერილა ან რა გამოცემაში დაბეჭდილა პირველად ლექსები“ (ხაზი ყველგან ჩვენია მ. კ.). აქედან კი გამოდის, რომ პოეტის ყველა ნაწარმოები დაბეჭდვის წელსვე იყო დაწერილი, რადგან „მაჩვენებელში“ დასმული მხოლოდ ერთი, დაბეჭდვის თარიღი. ამდენად, აღნიშნულ გამოცემაში მკითხველს ეძლეოდა კრებული, სადაც თითქოს ვ. ორბელიანის ყველა მანამდე დაბეჭდილი ნაწარმოები დათარიღებული იყო. ნამდვილად კი პოეტის თხზულებათა ერთი დიდი ნაწილი, არა თუ „დაწერის წელსვე“, არამედ 20—35 წლების შემდეგ დაიბეჭდა და, მასასადამე, დიდი ხნით ადრე იყო დაწერილი.

ამრიგად, თხზულებათა დათარიღების საკითხში კრებულს „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ უხეშ შეცდომაში შეჰყავდა მკითხველი. ეს იყო ამ გამოცემის ერთი ყველაზე უმთავრესი ნაკლი.

მეორე, ასევე ყველაზე დიდი ნაკლი, რომელიც ამ გამოცემისათვისაა დამახასიათებელი, გამომდინარეობს წერილიდან „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაყურიან-ორბელიანისა“, რომელიც პირველად აქ დაიბეჭდა. წერილმა და მასასადამე, კრებულმა „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“, სადაც ეს წერილი იყო გამოქვეყნებული, დღემდე დააქანონა მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ ვ. ორბელიანს ვითომცდა გასული საუკუნის ოციანი წლები რუსეთში გაეტარებინოს⁸⁶; თითქოს ბავშვობიდანვე მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, ქართულ ყოფას, ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს ჩამოშორებოდეს, პეტერბურგში აღზრდილს, ძირითადად მხოლოდ რუსული განათლება მიეღოს და იქვე შეეთვისებინოს რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება⁸⁷.

მაგრამ ვ. ორბელიანმა, როგორც ახლა ცნობილია, 20-იანი წლები საქართველოში, თბილისში გაატარა: 1820—1827 წლებში სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში და VI კლ. მოწაფე, სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში გაემგზავრა 1827 წ. ბოლოს; დარჩა იქ მხოლოდ 2 წლამდე და 1829 წ. სექტემბერში იაეც სამშობლოში დაბრუნდა⁸⁸.

⁸⁶ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, III, თბ., 1953, გვ. 232.

⁸⁷ ვ. კობეტიშვილი. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1925, გვ. 175.

⁸⁸ ნ. კილანაძე, ერთი სადავო საკითხის დადგენისათვის, ლიტერატურული საქართველო, 1939, № 39 (1364).

იმავე, 1894 წ. გამოქვეყნდა რეცენზია «Поэт-Гражданин. Стихотворения кн. Вахтанга Орбелиани, Тифлис, 1894 г.»⁸⁹. რომელიც Г-ს (გიორგი თუმანიშვილს)⁹⁰ ეკუთვნოდა, ხოლო 1895 წ. ა. ხ. (ალექსანდრე ხახანაშვილმა) დაბეჭდა „ივერიაში“ „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა. სრული გამოცემა მისის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, ტფილისი, 1894 წ...“⁹¹.

ორივე რეცენზენტი ერთნაირად მიესალმებოდა პოეტის თხზულებათა ამ გამოცემას; აფასებდა პოეტის ნიჭს. მაგრამ, სამწუხაროდ ორივეს ერთნაირად მიაჩნდა, „მაჩვენებელის“ წყალობით, რომ ვ. ორბელიანმა მწერლობა დაიწყო 60-იან წლებში, როცა ის უკვე 45 წლის იყო. მეორე მხრივ, როგორც გ. თუმანიშვილი, ასევე ა. ხახანაშვილი უკმაყოფილონი იყვნენ ბიოგრაფიის სიმცირით. პირველი წერდა: «Нельзя только не пожалеть, что последний (ლაპარაკია ილია ჭავჭავაძეზე ნ. კ.) не должен был ограничиться весьма скудным биографическом матерьялом»-ო. ა. ხ.-ს აკვირვებდა ორი აზრი: ზ. ჭიჭინაძე წერს, 20-იანი წლებისათვის ვ. ორბელიანი თბილისში იყო, ხოლო „ახალი ბიოგრაფიის დამწერს (ი. ჭავჭავაძეს) უნდა მიეღო მხედველობაში ეს ცნობა და ან დაემტკიცებინა ეს გარემოება, ან უარეყო“ იგი.

ამის შემდეგ ვ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემა 1928 წლამდე არ ყოფილა. აღნიშნულ წელს გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“ თბილისში დაბეჭდა პოეტის თხზულებათა კრებული⁹².

ამ გამოცემაში არ შესულა რომელიმე მანამდის უცნობი, ახალი თხზულება. აქ ქრონოლოგიური რიგის მიხედვით დაბეჭდილია ვ. ორბელიანის იგივე 56 პოეტური ნაწარმოები. პოეტის თხზულებათა ამ კრებულის ტექსტი დადგენილი აქვს ვ. კოტეტიშვილს.

წინასიტყვაობაში „რედაქტორისაგან“ ვ. კოტეტიშვილი წერს. რომ ამ გამოცემის დროს მის მიერ „ყველა ლექსი შედარებულ იქნა თვით პოეტის ხელნაწერებთან...“ და მათი მიხედვით აღდგენილ იქნა ცალკე ადგილები, რომლებიც წინა გამოცემაში არ შესულა. ამას გარდა, — ასკენის მკვლევარი, — ამ გამოცემაში აღდგენი-

⁸⁹ Новое Обозрение, 1894, № 3621.

⁹⁰ И. Ф. М а с л и н о в. Словарь псевдонимов, т. I, 1956, стр. 260.

⁹¹ «ივერია» 1895, № 74.

⁹² ვახტანგ ორბელიანი, ლექსები, სრული კრებული გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1928, XII+177 (17×12).

ლია ქრონოლოგიური რიგი ჩვენი პოეტის ნაწერებისაო⁹³, რაც ერთ-
გვარად მაინც განასხვავებდა მას წინა გამოცემიდან.

ვ. კოტეტიშვილსაც ვ. ორბელიანის თხზულებათა ხელნაწერების
ახალი ანაქინძი (№ 4906 — ბ) მიღებული აქვს ურყევე წყაროდ და
როცა ლექსების ხელნაწერებთან შედარებაზე ლაპარაკობს, სწორედ
ეს კრებული აქვს მხედველობაში. მას საჭიროდ არ მიუჩნევია ტექს-
ტები შეეჯერებინა ვ. ორბელიანის ნაბეჭდ წყაროებთან (ამის გამო გა-
მოცემაში დაშვებულია წინა გამოცემის ანალოგიური შეცდომები,
რომელთა შესახებ ჩვენ აქ მსჯელობას არ გავაგრძელებთ).

კრებულს, როგორც ვთქვით, წამძღვარებული აქვს „რედაქციი-
საგან“ (გვ. 1). „ვახტანგ ორბელიანი, მოკლე ბიოგრაფიული
ცნობები, რომელსაც სქოლიოში ერთვის შენიშვნა: „უმთავრესად
ილია ჭავჭავაძის წერილის მიხედვით (იხ. ილ. ჭავჭავაძის წერილების
კრებული, ტ. 9, 1927 წლის გამოცემა, გვ. VI—VIII);“ „შინაარსი“
(გვ. IX—XIII). გამოცემას ერთვის „სარედაქციო შენიშვნები“ (გვ.
165—177) და „შენიშნული ბეჭდვითი ცთომილება“.

„სარედაქციო შენიშვნები“ მკვლევარს დაყოფილი აქვს ქვეთავე-
ზად: „ვახტანგ ორბელიანის ლექსების ქრონოლოგიური ნუსხა“, რო-
მელშიაც წელთა მონაკვეთების („30-იანი წლები“, „40-იანი წლები“
და ა. შ.) მიხედვით თხზულებები ქრონოლოგიის მიხედვით არის
განლაგებული; „ტექსტი“, სადაც ვ. კოტეტიშვილს მოცემული
აქვს მის მიერ შერჩეული, უკვე მითითებული, ხელნაწერებთან შე-
ჯერებული ის ადგილები, რომელიც წინა გამოცემაში გამორჩინათ
და, ბოლოს, „ვახტანგ ორბელიანის შენიშვნებში“ მკვლევარს ცალკე
ამოუკრფეთა და გაუტანია ავტორის ის შენიშვნები, რომლებიც წინა
გამოცემაში ტექსტს სქოლიოშივე ჰქონდა დართული. თუმცა მათგან
ერთი „ნამდვილი ისტორიული ფაქტი“, რომელიც წინა გამოცემაში
ტექსტს ერთვოდა სქოლიოში⁹⁴, ვ. კოტეტიშვილსაც ასევე დაუტოვე-
ლია⁹⁵.

ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა ბოლო გამოცემა ეკუთვნის
გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“⁹⁶.

ეს გამოცემა გამეორებაა პოეტის თხზულებათა წინა, 1928 წ.,
ვ. კოტეტიშვილისეული გამოცემისა; დართული აქვს ავტორის კიდევ
უფრო შემოკლებული ბიოგრაფიული ცნობები („ვახტანგ ორბელია-

⁹³ ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსები, თბ., 1928, გვ. V.

⁹⁴ ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894, გვ. 147.

⁹⁵ ვ ა ხ ტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსები, თბ., 1928, გვ. 94.

⁹⁶ ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1949.

ნი“, გვ. 167), რომელიც ჭავჭავაძის ზემოთ დასახელებულ წე-
რილს ემყარება. იქვეა დამატებული ამ გამოცემის გარშემო მოცემუ-
ლა ორიოდ შენიშვნაც, სადაც კვითხულობთ:

„ვახტანგ ორბელიანის ლექსების სრული კრებული პირველად
გამოვიდა 1894 წელს ილია ჭავჭავაძისა და პეტრე უმიკაშვილის რე-
დაქციით. მეორედ გამოიცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს,
1928 წელს. წინამდებარე კრებული იბეჭდება ამ გამოცემის მიხედ-
ვით. ბიოგრაფიული ცნობები ამოკრეფილია ილია ჭავჭავაძის წერი-
ლიდან, რომელიც დართული აქვს გამოცემას“.

ბოლოს წიგნს ერთეის სარჩევი. თუმცა შემდგენელს, სამწუხა-
როდ, მასში გამორჩენია კრებულში შეტანილი ლექსები: 1) „მშვენი-
ერთ დასნი“ (გვ. 12), 9 „მიმგავსება ვიქტორ ჰიუგოსი“, (გვ. 13),
„არის ადგილი“ (გვ. 29) „ * * “ (ისწავლეთ ძენო... გვ. 60).
ნსგავსად წინა გამოცემისა, თხზულებანი სარჩევში დალაგებულია
წელთა მონაკვეთების („1834—1839, 1840—1849“ და ა. შ.) მიხედვით
და თითოეულ მათგანს მიცემული აქვს კოტეტიშვილისეული, 1928
წლის გამოცემის თარიღი.

ამ სახით წარმთავრიდგება დღეს ვ. ორბელიანის თხზულებათა ყვე-
ლა გამოცემა. თითოეულ მათგანს გააჩნია დადებითი და უარყო-
ფითი მხარეები, რაც გათვალისწინებულია პოეტის თხზულებათა ახა-
ლი გამოცემისას, რომელიც გამზადებული აქვს ამ სტრიქონების
ავტორს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ი. ლორთქიფანიძე — ტექსტოლოგია როგორც მეცნიერება	5
ლ. კრელაშვილი — თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა	7
ბ. კუსრაშვილი — ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები	27
პ. ლორთქიფანიძე — ატრიბუციის საკითხები	33
ლ. სანაძე — ეპისტოლარული შექვეიდრეობის მოშზადება გამოსაცემად	80
ნ. კილანაძე — თხზულების დათარიოების პრობლემა	107
ლ. გვარამაძე — კომენტარი აკადემიურ გამოცემაში	127
ე. შარაშენიძე — ძირითადი ტექსტის წყაროს შერჩევისა და დადგენის საკითხი	144
ლ. მეფარიშვილი — რედაქციები და ვარიანტები	159
ლ. სანაძე — ილია ჭავჭავაძის ტექსტოლოგიური დაკვირვებანი	166
ს. ყუბანეიშვილი — აკად. კორნელი კეკელიძის პუბლიკაციები	178
ნ. კილანაძე — ვანსტანგ-ორბელანის თხზულებათა გამოცემანი	196